

უკვე დროა!

საცნობარო სახელმძღვანელო
ახალგაზრდობის
პოლიტიკისათვის
ევროპული პერსპექტივიდან



ახალგაზრდობის ცოდნა #28

ახალგაზრდობის თანამშრომლობა

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს
თანამშრომლობა ახალგაზრდობის სფეროში



EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

უკვე დროა!

საცნობარო
სახელმძღვანელო
ახალგაზრდობის
პოლიტიკისათვის
ევროპული
პერსპექტივიდან

ჰოვარდ უილიამსონი
მაქს ფრასი
ზარა ლავჩიანი

რედაქტორი: ტანია ბასარაბი
და ჰოვარდ უილიამსონი

ევროპის საბჭო და ევროკომისია

ევროკავშირის და ევროპის
საბჭოს ახალგაზრდობის
პარტნიორობის დაკვეთით . ამ
ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები
ავტორების პასუხისმგებლობაა და
ყველა შემთხვევაში არ ასახავს არც
ერთი პარტნიორი ინსტიტუტის, მათი
წევრი სახელმწიფოების ან პარტნიორი
ორგანიზაციების ოფიციალურ
პოლიტიკას.

ყველა უფლება დაცულია. ამ
პუბლიკაციის არცერთი ნაწილი არ
შეიძლება ითარგმნოს, გამრავლდეს ან
გადაეცეს, ნებისმიერი ფორმით ან
ნებისმიერი საშუალებით,
ელექტრონული (CD-Rom, ინტერნეტი
და ა.შ.) ან მექანიკური, მათ შორის
ფოტოკოპირების, ჩაწერის ან
ინფორმაციის შენახვის ან მოძიების
სისტემის ჩათვლით, კომუნიკაციების
დირექტორატისგან წინასწარი
ნებართვის გარეშე (F-67075 Strasbourg
Cedex ან publication@coe.int).

ყდა: დოკუმენტაციისა და
პუბლიკაციების წარმოების
დეპარტამენტი (SPDP),
ევროპის საბჭო
ფოტო:
განლაგება: ჯუვი, პარიზი

ევროპის საბჭო
გამომცემლობა F-67075
Strasbourg Cedex
<http://book.coe.int>

ISBN 978-92-871-8663-8
© ევროპის საბჭო
და ევროკომისია,
2021 წლის მაისი

დაბეჭდილია ევროპის საბჭოში
ქართული გამოცემის დიზაინი და თარგმანი
ინგლისურიდან ქართულ ენაზე:
დელტას მთარგმნელობითი ჯგუფი
შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება დელტა დეველოპმენტ გრუპი

მადლიერება: ავტორებს სურთ პატივი
მიაგონ 2009 წლის ახალგაზრდობის
პოლიტიკის სახელმძღვანელოს ავტორს
ფინ ლენშტადს (1968-2020), რომლის
წვლილი ახალგაზრდობის პოლიტიკის
პროცესების წამოწყებაში,
განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ
და აღმოსავლეთ ევროპაში,
ძალიან ღირებული იყო.

ამ საცნობარო სახელმძღვანელოს
შემუშავების პროცესს
ხელმძღვანელობდა და მხარს უჭერდა
ექსპერტთა ჯგუფი - ევროპული და
ეროვნული ახალგაზრდობის
პოლიტიკის ექსპერტები, რომლებმაც
მოგვცეს ღირებული გამოხმაურება და
მიმართულება, პირველი პროექტიდან
სახელმძღვანელოს საბოლოო
ვერსიამდე.
დაბოლოს, სახელმძღვანელოში
დოკუმენტირებული და მითითებული
წყაროების გარდა, ჩვენ მადლობას
უხდით ყველა კორესპონდენტს და
მკვლევარს, რომელიც მონაწილეობდა
ახალგაზრდობის პოლიტიკის ევროპული
ცოდნის ცენტრისა (EKCYF) და
ევროკავშირის ახალგაზრდული ვიკისა
და ევროპული ახალგაზრდების
მკვლევართა ჯგუფის (PEYR) მუშაობაში.
განსაკუთრებული მადლობა სლადანა
პეტკოვიჩის მისი წვლილისთვის
სახელმძღვანელოს სტრუქტურასა და
მინარსზე საწყის დისკუსიებში.

შინაარსი

ავტორების შესახებ 3

შესავალი 5

ნაწილი 1 - ცნებები და იდეები 12

თავი 1 - რა არის "პოლიტიკა"? 14

თავი 2 - დებატები, მიდგომები, მოდელები 19

თავი 3 - ახალგაზრდობის კვლევა და მტკიცებულებების ძიება 26

თავი 4 - ახალგაზრდობის პოლიტიკის "საათი":

ახალგაზრდობის პოლიტიკის გატარება 35

ნაწილი 2 - ეროვნული მმართველობა და ინფრასტრუქტურა 41

შესავალი 43

თავი 5 - ახალგაზრდობის ეროვნული პოლიტიკის მმართველობა 45

თავი 6 - განხორციელება, ინფრასტრუქტურა და დაფინანსება 53

თავი 7 - მტკიცებულება და ანგარიშვალდებულება 65

ნაწილი 3 - საერთაშორისო მმართველობა და ინფრასტრუქტურა 70

შესავალი 72

თავი 8 - ევროკავშირი 74

თავი 9 - ევროპის საბჭო 85

თავი 10 - ევროკავშირი - ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე 96

თავი 11 - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 108

თავი 12 - ევროპის ახალგაზრდული ფორუმი 97

ნაწილი 4 - ინსტრუმენტები და პრაქტიკა 116

შესავალი 117

თავი 13 - მონაწილეობა და აქტიური მოქალაქეობა 122

თავი 14 - ახალგაზრდობის შესახებ ინფორმაცია 129

თავი 15 - მოხალისეობა 133

თავი 16 - სოციალური ჩართულობა 137

თავი 17 - უფლებათა წვდომა 142

თავი 18 - ახალგაზრდული საქმიანობა 147

თავი 19 - მობილობა 156

თავი 20 - დიგიტალიზაცია 161

ნაწილი 5 - რა მუშაობს "ახალგაზრდობის პოლიტიკაში"? 170

თავი 21 - ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარება ევროპაში: დაპირება პრაქტიკა და უწყვეტი გამოწვევები 172

დასკვნა 184

წყაროები 189

ავტორების შესახებ

ჰოვარდ უილიამსონი CVO CBE FRSA FHEA არის გაერთიანებული სამეფოს სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის ევროპული ახალგაზრდობის პოლიტიკის პროფესორი. იგი ეროვნულ დონეზე კვალიფიცირებული ახალგაზრდობის მუშაკია და ხელმძღვანელობდა ახალგაზრდობის ცენტრს 25 წლის განმავლობაში, რაც მოიცავდა აკადემიურ კვლევასა და პოლიტიკის შესახებ მუშაობას. მან ჩაატარა ორიგინალური კვლევა „სტატუსი ნული“, რომელმაც პოლიტიკური ყურადღების ქვეშ მოაქცია იმ ახალგაზრდების საკითხი, რომლებიც არ იღებდნენ მონაწილეობას განათლების, დასაქმებისა და სწავლების (NEET) აქტივობებში. აღნიშნულ კვლევას ასევე მოყვა მორიგი კვლევა მამაკაცთა ჯგუფის „გარეუბნის ბიჭები“ („Milltown Boys“) შესახებ, რომლებიც ამჟამად 60 წლისა და ზევით ასაკის არიან, და რომლებსაც იგი პირველად შეხვდა, როდესაც ისინი კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდები იყვნენ 1970-იან წლებში. *Milltown Boys at Sixty* (გარეუბნის ბიჭები 60 წლის ასაკში) გამოქვეყნებულია გამომცემლობა Routledge-ის მიერ 2021 წელს. ჰოვარდ უილიამსონი გასცემს რჩევებს ახალგაზრდობის პოლიტიკის საკითხებზე სხვადასხვა დონის მთავრობებისათვის, მათ შორისაა უელსისა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობები, ევროკომისია, ევროპის საბჭო და გაერო. ის არის რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის რწმუნებული წარმომადგენელი. 2002 წელს იგი დაინიშნა ბრიტანეთის იმპერიის ორდენის მეთაურად (CBE) ახალგაზრდებისთვის გაწეული სამსახურისათვის და 2016 წელს სამეფო ვიქტორიანული ორდენის მეთაურად (CVO).

მაქს ფრასი არის მკვლევარი და საერთაშორისო განვითარების კონსულტანტი. მას აქვს დოქტორის ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში და ორი მაგისტრის ხარისხი რელიგიის მეცნიერებებსა და საერთაშორისო ურთიერთობებში. მაქსს აქვს 15 წელზე მეტი გამოცდილება როგორც მკვლევარს, ტრენერს, შემფასებელს და აკადემიურ კონსულტანტს ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯსა და ლონდონის ეკონომიკის სკოლაში, ასევე აქვს გამოცდილება ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორიცაა ევროკავშირი, ევროპის საბჭო, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), იუნესკო, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ბრიტანეთის საბჭო, სამოქალაქო საზოგადოების, ახალგაზრდობის, განათლების, კულტურისა და ადამიანის უფლებების სფეროებში. მაქსი არის ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის დეპარტამენტის ტრენერთა გაერთიანებისა და ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე, ევროპელ ახალგაზრდობის მკვლევართა ჯგუფის (PEYR) წევრი.

ზარა ლავჩიანი არის განმანათლებელი, საგანმანათლებლო მრჩეველი, პროგრამის შემქმნელი და ექსპერტი ახალგაზრდობის პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში. ზარა არის ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის დეპარტამენტის ტრენერთა გაერთიანების წევრი. ბოლო 15 წლის განმავლობაში იგი აქტიურად იყო ჩართული ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების, ახალგაზრდული საქმიანობის, არაფორმალური განათლებისა და საზოგადოების განვითარების ხელშეწყობაში სომხეთში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და ასევე ევროპის სხვა ნაწილებში. ის ასევე არის არაერთი საგანმანათლებლო აქტივობის, თამაშების, სახელმძღვანელოებისა და ცნობარის, ჩართულობის საგანმანათლებლო პროგრამების, ახალგაზრდობის პოლიტიკის, ახალგაზრდული საქმიანობის და პროექტების, ინტერკულტურული დიალოგის, გამჭოლი უნარების, სოციალური მეწარმეობისა და საზოგადოების განვითარების საკითხებზე ონლაინ კურსების ავტორი.

ტანია ბასარაბი არის ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პარტნიორობის ახალგაზრდობის საკითხებში კვლევისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის ოფიცერი, სადაც ის მუშაობს ახალგაზრდობის პოლიტიკის ევროპული ცოდნის ცენტრში (EKCYF), რომელიც ორიენტირებულია ახალგაზრდობის დასაქმებასა და ახალგაზრდობის სოციალურ ჩართულობაზე. სწავლობდა საერთაშორისო ურთიერთობებს კონცენტრაციით - განვითარება, იგი ჩართული იყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობაში ახალგაზრდობის, საზოგადოების განვითარების, აქტიური მოქალაქეობის, სოციალური ინტერვენციისა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში. მისი წვლილი მიმართულია მმართველობაზე, სამოქალაქო დიალოგზე, დემოკრატიულ მონაწილეობაზე, სოციალურ ჩართულობასა და უფლებებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ პროცესებზე. იგი ჩართული იყო სარედაქციო სამუშაოებში და წარმოადგენდა კოორდინატორს ახალგაზრდობის პარტნიორობის მიერ გამოქვეყნებულ წიგნებზე, კერძოდ, 23-26 ნომრებში ახალგაზრდობის ცოდნის სერიაში.

შესავალი

წ

არმოდგენილი საცნობარო სახელმძღვანელო ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ მნიშვნელოვანწილად ემყარება ფინ დენშტადის (2009) ორიგინალურ ნაშრომს ამავე სფეროში, მაგრამ ამასთანავე იგი ამ უკანასკნელის არსებითი განახლებისა და განვითარების შედეგია. 2009 წლის სახელმძღვანელო ეფუძნება ახალგაზრდობის პოლიტიკის ზოგიერთ იმ მოდელს, რომელსაც ცხადად შედეგობრივი, სისტემური და სწორხაზოვანი ხასიათი აქვს. ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ევროსაბჭოს 10 წლიანი გამოცდილების, ცოდნის დაგროვებისა და პოლიტიკის ეროვნულ დონეზე განვითარების, ფორმირების და განხორციელების შესახებ კვლევების საფუძველზე შემოთავაზებულია უფრო მეტად ციკლური მიდგომა. აღნიშნული გულისხმობს უმეტესწილად დინამიურ ასპექტებს. ერთის მხრივ აღნიშნული შესაძლებელია პოლიტიკური ლიდერობით, კვლევითი და სამემფასებლო ცოდნით, პროფესიული დებატებითა და პრაქტიკული გამოცდილებით; მეორეს მხრივ, აღნიშნული შესაძლოა დააბრკოლოს პოლიტიკურმა ცვლილებამ, შესაბამისი და დროული ცოდნის ტრანსფერის არ არსებობამ, პროფესიულმა გულგრილობამ და პრაქტიკაში არსებულმა ინერციამ.

წარმოდგენილი საცნობარო სახელმძღვანელო იკვლევს ახალგაზრდობის პოლიტიკას, იყენებს რა ბოლო წლებში ევროპულ დონეზე დაგროვილ ცოდნას, თეორიული და კონცეპტუალური ჩარჩოების, ეროვნული და რეგიონული ახალგაზრდობის პოლიტიკის ინიციატივების თაობაზე ევროპაში, იმ მმართველობის და მხარდაჭერის მექანიზმების მხედველობაში მიღებით, რომლებიც შემუშავდა ევროპულ დონეზე ევროპის საბჭოს და ევროკავშირის მიერ. მაშინ როცა 10 წლის წინ გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს ესაჭიროებოდათ დარწმუნება, რომ საჭირო იყო ახალგაზრდობის მონაწილეობის უზრუნველყოფა პოლიტიკის შემუშავებაში, დღეისთვის მონაწილეობის მნიშვნელოვანი პრინციპი გაგებული და მიღებულია, სხვადასხვა ხარისხით, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ანალოგიურად, ფართოდ მიღებულია რომ მტკიცებულების შეგროვებისა და წარსული ინიციატივების შეფასების ზოგიერთი ფორმა გამოყენებულ უნდა იქნას ახალი პოლიტიკის ინიციატივების დაგეგმვისას. დღეს, პოლიტიკის შემქმნელებს ევროპაში შეუძლიათ მიმართონ ცოდნისა და ინფორმაციის ისეთ დიდ ბაზებს ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ, როგორიცაა ახალგაზრდობის პოლიტიკის ცოდნის ევროპული ცენტრი (EKCYF) ან EU Youth Wiki პლატფორმა. ამ მონაცემთა ბაზებზე თვალის გადახედვა გვაჩვენებს, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკის ლანდშაფტი რთული და მრავალფეროვანია, მაგრამ ამავე დროს იმართება ცალკეული სტანდარტებით, რომლებიც ჩვეულებრივ განიხილება და თანხმდება დაინტერესებული მხარეების მიერ ევროპულ ფორუმებზე.

დღეს, სახელმძღვანელოს პირველი გამოცემიდან ათი წლის შემდეგ სახეზეა პროგრესი ახალგაზრდობის პოლიტიკის ჩამოყალიბების, პრინციპების, მმართველობის, კონცეპტუალური მიდგომების, განხორციელებისა და დაფინანსების სისტემების გაგებასთან მიმართებაში. ასევე გაჩნდა რამდენიმე თემა, რომელმაც განაპირობა ევროპული თანხმობა და მიდგომა ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებისადმი. ახალგაზრდობის სასარგებლოდ ბევრი ინსტრუმენტი, ტექნიკა და განხორციელების სისტემა ამოქმედდა ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

ვიმედოვნებთ, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკის სახელმძღვანელოს ეს ახალი გამოცემა მოტივაციას მისცემს ახალგაზრდებს - მათ, ვინც უკვე პოლიტიკის ასპარეზზეა, კვლევაში მყოფებს და პრაქტიკოსებს, და რა თქმა უნდა თავად ახალგაზრდებს და მათ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩართულნი არიან ასეთ ინიციატივებში - აღიარონ წვლილი, რომელიც მათ შეუძლიათ შეიტანონ პოზიტიური და მიზანმიმართული ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებაში, უკეთესი გაგების, აქტიური ჩართულობისა და დასაბუთებული მოქმედების გზით. წინამდებარე საცნობარო სახელმძღვანელოს

მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის პოლიტიკის აღქმას, დიალოგსა და განხორციელებას და ასევე რეალისტური ხედვის შექმნას ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების ციკლურ ბუნებასთან დაკავშირებით.

ახალგაზრდობის პოლიტიკა, როგორც კონცეფცია, შეიძლება იყოს ძალიან ვიწრო, ასევე საკმაოდ ფართო კონსტრუქციის. ეს სახელმძღვანელო იწყება ამ ფართო იდეით - ახალგაზრდობის პოლიტიკის საჯარო პოლიტიკის ზოგად კონტექსტში პოზიციონირების შესახებ. თემატურად იგი განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას ახალგაზრდობის პოლიტიკის იმ სფეროებზე, რომლებიც შემუშავებულია და განსაზღვრულია ევროპული კონსენსუსით: მონაწილეობა, ინფორმაციის გავრცელება, მოხალისეობა, სოციალური ჩართულობა, უფლებებზე წვდომა, ახალგაზრდების მუშაობა, მობილობა და გაციფრულება. ეს, რა თქმა უნდა, არის ის თემები და საკითხები, რომლებიც უნდა იყოს ახალგაზრდობის პოლიტიკის საფუძველი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ყველა დონეზე; ბევრი მათგანი ახლავს ახალგაზრდობის პოლიტიკისა და პრაქტიკის უმეტეს ასპექტებს. მაგრამ სახელმძღვანელო დეტალურად არ განიხილავს ახალგაზრდობის პოლიტიკის იმ კონკრეტულ ასპექტებს, რომლებიც დიდწილად რჩება ეროვნული ან ადგილობრივი საჯარო ხელისუფლების კომპეტენციის ფარგლებში - მაგალითად, ფორმალური განათლება, პროფესიული სწავლება და დასაქმება, ჯანმრთელობა, განსახლება, სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, სოციალური დაცვა და ფინანსური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა. შეიძლება ასევე არსებობდეს ევროპული მასშტაბის ახალგაზრდობის პოლიტიკის განზომილება, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს ახალგაზრდების ცხოვრებაზე, თუმცა აღნიშნული არ გამხდარა ყურადღების ცენტრალური საკითხი ევროპაში.

ახალგაზრდობის პოლიტიკის სახელმძღვანელოს ადგილი და მიზანი

[ახალგაზრდობის პოლიტიკის ძირითადი ასპექტები Youth policy essentials](#) – ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების ძირითადი მახასიათებლების მოკლე პრეზენტაცია (ევროკავშირი – ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე 2019).

[ახალგაზრდობის პოლიტიკის მმართველობის გაცნობიერება Insights into youth policy governance](#) – მოსახერხებელი პრეზენტაცია ახალგაზრდობის პოლიტიკის ეროვნული მმართველობის სისტემების მრავალფეროვნების შესახებ - თუ როგორ უზრუნველყოფენ ისინი ახალგაზრდების მონაწილეობას (ევროკავშირი – ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე 2018).

მასიური ღია ონლაინ კურსი (MOOC): (ხელმისაწვდომია <https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/%20online-course-on-youth-policy>).

ახალგაზრდობის პოლიტიკის შეფასებითი მიმოხილვა (Lonean et al. 2020) და ხედვები ახალგაზრდობის პოლიტიკის შეფასებაზე - შედარებითი კვლევა, ახალგაზრდობის პოლიტიკის შეფასების გამოყენებაზე ევროპაში.

ქვეყნების ინფორმაცია ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ - ეროვნულ დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკის მიმოხილვის მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომია EKCYP-ში.

პირველი ახალგაზრდობის პოლიტიკის სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პარტნიორობამ ახალგაზრდობის საკითხებზე უკვე შეიმუშავა მთელი რიგი სხვა დოკუმენტები და რესურსები ახალგაზრდობის პოლიტიკასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოიცავს შემდეგს.

ახალგაზრდობის პოლიტიკის ეს განახლებული სახელმძღვანელო, შესაბამისად, გვამღებს ახალგაზრდობის პოლიტიკის აღწერას და აყალიბებს ამ პოლიტიკის აღქმას. საუბარია იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ ახალგაზრდობის სფეროს აქტორებმა, თავიანთი წვლილის ოპტიმიზაციისათვის ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებაში და შეინარჩუნონ ინტერესი ახალ ახალგაზრდობის პოლიტიკის მიმართ საკუთარ ქვეყანაში. ეს არის პრაქტიკული სახელმძღვანელო იმ გამოწვევებისთვის, რომლებიც არსებული რესურსებისა და საპასუხო ქმედებების პირობებში ჩნდება რამოდენიმე არსებითი კონცეპტუალური აზროვნების საფუძველზე, იგი ემყარება მრავალფეროვან წყაროებსა და ილუსტრაციებს, რომლებიც ხელმისაწვდომი გახდა ახალგაზრდობის პოლიტიკის პირველი სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ.

ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველასთვის, ვინც მოიაზრება ახალგაზრდობის სექტორის „სამკუთხედში“ ან „პირამიდაში“, მათთვის, ვინც უკვე მუშაობს ყველა დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკაში, ახალგაზრდობის კვლევაში ჩართულ პირებისათვის და ახალგაზრდობის სფეროს პრაქტიკოსებისათვის, ასევე ახალგაზრდებისა და მათი ორგანიზაციებისათვის. რასაკვირველია, სექტორში დიდი გამოცდილების მქონე პირები, სავარაუდოდ, უკვე კარგად არიან ინფორმირებული მმართველობის სტრუქტურების შესახებ, იცნობენ კონცეპტუალური დებატების მინიმუმ ცალკეულ ნაწილებს და ფლობენ ინსტრუმენტებს „ახალგაზრდობის პოლიტიკის განსახორციელებლად“. სახელმძღვანელო მოგაწვდით დამატებით ინფორმაციას ახალგაზრდობის პოლიტიკის ევროპულ ინფრასტრუქტურაზე - მის მისწრაფებებზე და სახელმძღვანელო თემებზე, მმართველობაზე, დაფინანსებასა და მიწოდების მექანიზმებზე, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს დებატებს და ადვოკატირებას ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. მეოთხეელთა ჩართულობის უზრუნველყოფისათვის, სახელმძღვანელო დაყოფილია 5 ნაწილად.

- ▶ ნაწილი 1 ეძღვნება ახალგაზრდობის პოლიტიკის კონცეფციებს და იდეებს, რაც ასევე ასახავს პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების დინამიკას.
- ▶ ნაწილი 2 აღწერს ევროპის ქვეყნების ეროვნულ დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების ლანდშაფტს, რომელიც განიხილავს მმართველობის სისტემებისა და სტრუქტურების მრავალფეროვნებას და როლებს, რომლებიც სხვადასხვა მოქმედებებს ასრულებენ პოლიტიკის შემუშავების, დაფინანსების, აღსრულებისა და მხარდაჭერის სისტემებში.
- ▶ ნაწილი 3 განიხილავს ახალგაზრდობის პოლიტიკის ევროპულ და საერთაშორისო მმართველობას და ეროვნულ და ადგილობრივ პოლიტიკურ ინიციატივათა როლს და რესურსებს, ევროკავშირიდან, ევროპის საბჭოდან და მათ შორის ახალგაზრდობის პარტნიორობიდან დაწყებული, გაეროს სისტემისა და ევროპის ახალგაზრდული ფორუმის ჩათვლით, როგორც პლატფორმა, რომელიც ემსახურება ახალგაზრდების ორგანიზებული პერსპექტივების მოძიებას, რათა გავლენა მოახდინონ იმ პოლიტიკაზე, რაც მათ სასარგებლოდ არის შექმნილი.
- ▶ მეოთხე ნაწილი განიხილავს ინსტრუმენტებს და მექანიზმებს მე-10 თემის პრიზმაში და რესურსებს, რომლებიც შემუშავებულია კვლევის, პოლიტიკური დებატების, რესურსების,

ინსტრუმენტების და ახალგაზრდობის სფეროში ეროვნული და ტრანსნაციონალური თანამშრომლობის მხარდამჭერი დაფინანსებით.

- ▶ საბოლოოდ, ნაწილი 5 მოკლედ იკვლევს რას გვეუბნება კვლევა იმის შესახებ, თუ რა მუშაობს ახალგაზრდობის პოლიტიკაში დღეს ევროპაში.

ეს სახელმძღვანელო არის საცნობარო ინსტრუმენტი ახალგაზრდობის პოლიტიკის დასაწყებად და ახალგაზრდობის პოლიტიკისათვის ხელმისაწვდომი ეროვნული და საერთაშორისო მმართველობისა და ინფრასტრუქტურის მრავალფეროვნების გასაცნობად და განხორციელების განსახილველად. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ განსახილველი საკითხები დაგეხმარებათ გაანალიზოთ ახალგაზრდობის პოლიტიკის თავსატეხი და შემდგომ ააგოთ ახალგაზრდობის პოლიტიკის არქიტექტურა თქვენს კონტექსტში, საკუთარი პერსპექტივიდან, ხოლო ჩვენ მოგცემთ საკმარის მითითებებს პოლიტიკის შემუშავების ყოველ ეტაპზე. რაც მთავარია, სახელმძღვანელო მოიცავს სტანდარტების, ინსტრუმენტებისა და რესურსების ფართო სპექტრს, რომელიც შემუშავებულია ახალგაზრდობის პოლიტიკის შემქმნელების, პრაქტიკოსების, მკვლევარებისა და აქტივისტების მიერ ევროპაში, პირველი სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ. წარმატებებს გისურვებთ ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ ამ სახელმძღვანელოს კითხვასა და წარმოდგენილი კონცეპტუალური და პრაქტიკული მასალის წარმატებით გამოყენებაში. თუ გსურთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით თქვენი მოსაზრებების, წინადადებებისა და შეფასებების გაზიარება გთხოვთ დაუკავშირდეთ ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პარტნიორობას. ერთად აღმოვაჩინოთ და განვაავითაროთ ევროპული ახალგაზრდობის პოლიტიკა!

ახალგაზრდობის პოლიტიკა, როგორც კონცეფცია, შეიძლება აგებული იყოს დიაპაზონში ძალიან ვიწრო გაგებიდან ძალიან ფართომდე. ეს სახელმძღვანელო იწყება ახალგაზრდობის პოლიტიკის პოზიციონირების იდეით საჯარო პოლიტიკის ზოგად კონტექსტში. თემატურად ის კონკრეტულად ფოკუსირებულია ახალგაზრდობის პოლიტიკის იმ სფეროებზე, რომლებიც ჩამოყალიბდა, შემუშავდა და წარიმართება ევროპული კონსენსუსის დონეზე: მონაწილეობა, ინფორმაცია, მოხალისეობა, სოციალური ჩართულობა, წვდომა უფლებებზე, ახალგაზრდების მუშაობა, მობილობა და გაციფრულების პროცესი. რა თქმა უნდა, არის თემები და საკითხები, რომლებიც უნდა იყოს ახალგაზრდობის პოლიტიკის ცენტრში პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების ყოველ დონეზე; ბევრი მათგანი ლაიტმოტივად გასდევს ახალგაზრდობის პოლიტიკის და პრაქტიკის მრავალ ასპექტს. მაგრამ ეს სახელმძღვანელო არ განიხილავს დეტალურად ახალგაზრდობის პოლიტიკის იმ კონკრეტულ ასპექტებს, რომლებიც ძირითადად ეროვნული ან ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების პრეროგატივად რჩება, როგორიც არის, მაგალითად, ოფიციალური განათლება, პროფესიული მომზადება და დასაქმება, ჯანმრთელობა, საცხოვრისით უზრუნველყოფა, სისხლის სამართალწარმოება, სოციალური დაცვა და ფინანსური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ევროპულ დონეზე შეიძლება არსებობდეს კომპეტენცია პოლიტიკის ამ სფეროების მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდობის სექტორთან, სადაც ეს სფეროები უშუალო შეხებაში მოდის ახალგაზრდების ცხოვრებასთან, მაგრამ ისინი არ არის მთავარი ახალგაზრდობის სექტორის განხილვისას ევროპულ დონეზე.

ახალგაზრდობის პოლიტიკის სახელმძღვანელოს ადგილი და მიზანი

ევროკავშირის და ევროპის საბჭოს პარტნიორობამ ახალგაზრდობის პოლიტიკაში უკვე შეიმუშავა სხვა დოკუმენტების და რესურსების ჩამონათვალი, რომელსაც კავშირი აქვს ახალგაზრდობის პოლიტიკასთან, პირველი სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც ეხებოდა ამ პოლიტიკას. აღნიშნული მოიცავს შემდეგს.

Youth policy essentials – ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების ძირითადი მახასიათებლების მოკლე პრეზენტაცია (ევროკავშირი – ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე 2019).

Insights into youth policy governance – მოსახერხებელი პრეზენტაცია ახალგაზრდობის პოლიტიკის ეროვნული მმართველობის სისტემების მრავალფეროვნების შესახებ - თუ როგორ უზრუნველყოფენ ისინი ახალგაზრდების მონაწილეობას (ევროკავშირი – ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე 2018 ა).

მასიური ღია ონლაინ კურსი (MOOC): (ხელმისაწვდომია <https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/online-course-on-youth-policy>).

ახალგაზრდობის პოლიტიკის შეფასებითი მიმოხილვა (Lonean et al. 2020) და ხედვები ახალგაზრდობის პოლიტიკის შეფასებაზე - შედარებითი კვლევა, შეფასების გამოყენებაზე ევროპის ახალგაზრდობის პოლიტიკაში.

ქვეყნის ინფორმაცია ახალგაზრდობის პოლიტიკაზე - ახალგაზრდობის პოლიტიკის მიმოხილვების მონაცემთა ბაზა ეროვნულ დონეზე, რომელიც ხელმისაწვდომია EKCYP-ში.

ახალგაზრდობის პოლიტიკის ეს განახლებული სახელმძღვანელო, შესაბამისად, მოიცავს დიაპაზონს, დაწყებული ახალგაზრდობის პოლიტიკის აღწერიდან და დამთავრებული მისი უფრო ღრმად გაგებით. ის ეხება იმას, თუ რა უნდა გააკეთონ აქტორებმა ახალგაზრდობის სფეროში, რომ მოახდინონ მათი წვლილის ოპტიმიზაცია ახალგაზრდობის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში და ამ პოლიტიკის მამოძრავებელი ძალის შენარჩუნებაში მათ ქვეყნებში. ეს არის პრაქტიკული სახელმძღვანელო იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ წარმოიქმნება, რესურსების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია და მოქმედებების შესახებ, რომელთა განხორციელება საჭიროა. ეყრდნობა რა ზოგიერთ არსებით კონცეპტუალურ მოსაზრებას, ის იყენებს სხვადასხვა წყაროებს და ილუსტრაციებს, რომლებიც ხელმისაწვდომი გახდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ახალგაზრდობის პოლიტიკის პირველი სახელმძღვანელო.

ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა იმ ადამიანისთვის ცნობილი სამკუთხედის ან პირამიდის შიგნით, რომელიც შეადგენს ახალგაზრდობის სექტორს - ისინი, ვინც უკვე მუშაობენ ახალგაზრდობის პოლიტიკაში ყველა დონეზე, ვინც ჩართულია ახალგაზრდობის კვლევებში და პრაქტიკოსები ახალგაზრდობის სფეროში, ისევე როგორც თავად ახალგაზრდები და მათი ორგანიზაციები. რა თქმა უნდა, ადამიანები, ვისაც დიდი გამოცდილება აქვს სექტორში, დიდი ალბათობით უკვე კარგად არიან ინფორმირებული მმართველობის სტრუქტურების შესახებ, იცნობენ მინიმუმ ზოგიერთ კონცეპტუალურ დებატს და გააჩნიათ ცოდნა ინსტრუმენტების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომია „ახალგაზრდობის პოლიტიკის რეალიზაციისთვის“. თუმცა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოცდილება მნიშვნელოვან წილად მიღებული იყო ევროპულ დონეზე, ეს სახელმძღვანელო იძლევა დამატებით ინფორმაციას ახალგაზრდობის პოლიტიკის ევროპული ინფრასტრუქტურის - მისი მისწრაფებების და წამყვანი თემების, მმართველობის, დაფინანსების და მიწოდების მექანიზმების შესახებ, რომელსაც შეუძლია გაამლიეროს ახალგაზრდობის პოლიტიკის არგუმენტაცია და დაცვა ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. იმისთვის, რომ დაეხმაროს მკითხველებს შინაარსთან მუშაობაში, ეს სახელმძღვანელო დაყოფილია ხუთ ნაწილად.

- ▶ 1-ლი ნაწილი ეძღვნება ახალგაზრდობის პოლიტიკის კონცეფციებს და იდეებს, ასევე განხილულია პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების დინამიკა.
- ▶ მე-2 ნაწილი აღწერს ახალგაზრდობის პოლიტიკის მდგომარეობას ეროვნულ დონეზე ევროპის ქვეყნებში, იხილავს რა მმართველობის სისტემების, სტრუქტურების და როლების მრავალფეროვნებას, რომლებსაც სხვადასხვა აქტორები თამაშობენ პოლიტიკის შემუშავებაში, დაფინანსებაში, იმპლემენტაციაში და მხარდაჭერის სისტემებში.
- ▶ მე-3 ნაწილი იხილავს ახალგაზრდობის პოლიტიკის ევროპულ და საერთაშორისო მართვას, და როლებს და რესურსებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ეროვნული და ადგილობრივი ინიციატივებისთვის ახალგაზრდობის პოლიტიკაში, დაწყებული ევროპის კავშირიდან, ევროპის საბჭოდან და მათ შორის ახალგაზრდობის პარტნიორობიდან, დამთავრებული გაერთიანებული ერების სისტემით და ევროპული ახალგაზრდული ფორუმით, რომელიც არის პლატფორმა, სადაც ორგანიზებული ახალგაზრდების სამომავლო პერსპექტივები რეალიზდება პოლიტიკაზე ზემოქმედებისთვის, რომელიც შექმნილია მათი სარგებლისთვის.
- ▶ მე-4 ნაწილი იხილავს ინსტრუმენტებს და მექანიზმებს 10 თემის და რესურსის პრიზმაში, რომლებიც შემუშავდა კვლევის, პოლიტიკური დებატების, რესურსების, ინსტრუმენტების და ეროვნული და ტრანსნაციონალური თანამშრომლობის დაფინანსების საშუალებით ახალგაზრდობის საკითხების სფეროში.
- ▶ და ბოლოს, მე-5 ნაწილი იხილავს, თუ რა არის, კვლევის აზრით, ის, რაც მუშაობს ევროპის ახალგაზრდობის პოლიტიკაში დღეს.

ეს სახელმძღვანელო არის საცნობარო ინსტრუმენტი ახალგაზრდობის პოლიტიკის ინიცირებისთვის და ეროვნული და საერთაშორისო მმართველობის ფორმების და ინფრასტრუქტურის მრავალფეროვნების შესწავლისთვის, რომლებიც ხელმისაწვდომია ახალგაზრდობის პოლიტიკისთვის და მისი განხორციელების მიმოხილვისთვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შეკითხვები განსჯისთვის დაგეხმარებათ იფიქროთ ახალგაზრდობის პოლიტიკის პრობლემებზე და, შესაძლოა, ააგოთ ახალგაზრდობის პოლიტიკის არქიტექტურა საკუთარ კონტექსტში, თქვენი გადმოსახედიდან, და საკმარის მინიშნებებს მოგცემთ გადაწყვეტილებების მიღების ყველა ეტაპზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს სახელმძღვანელო მოიცავს სტანდარტების, ინსტრუმენტების და რესურსების ფართო სპექტრს, რომლებიც შემუშავებულია ახალგაზრდობის პოლიტიკის შემმუშავებლების, პრაქტიკოსების, მკვლევარების და ახალგაზრდა აქტივისტების მიერ ევროპის მასშტაბით, პირველი სახელმძღვანელოს პუბლიკაციის შემდეგ. წარმატებებს გისურვებთ ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ ამ სახელმძღვანელოს კითხვაში და წარმოდგენილი კონცეპტუალური და პრაქტიკული მასალის წარმატებით გამოყენებაში. თუ გსურთ წარმოადგინოთ თქვენი გამოხმაურება, მოსაზრებები და ფიქრები სახელმძღვანელოს შესახებ, დაუკავშირდით ევროკავშირის და ევროპის საბჭოს პარტნიორობას ახალგაზრდობის საკითხებზე. ერთად აღმოვაჩინოთ და განვაავითაროთ ევროპული ახალგაზრდობის პოლიტიკა!

ნაწილი 1

ცნებები და იდეები

თავი 1

რა არის "პოლიტიკა"?

შესავალი

ამ თავში მოკლედაა განხილული პოლიტიკის არსი, რაც მოიცავს ფართო სოციალურ და ასევე საჯარო პოლიტიკას. აღნიშნული ეხმიანება და აყალიბებს ადამიანების ცხოვრებასა და ახალგაზრდობის პოლიტიკას მრავალფეროვანი გზებით. იგი ახალგაზრდების ცხოვრებას ეხმიანება და განსაზღვრავს მას, როგორც განკერძოებულად მდგომი კონცეფცია და ასევე როგორც ფართო პოლიტიკის ნაწილი.

სოციალური და საჯარო პოლიტიკა

სოციალური პოლიტიკა, უმარტივესი სახით, არის პოლიტიკა საზოგადოებრივ სფეროში. სოციალური პოლიტიკა ეხება გზებს, რომლითაც საზოგადოებები აკმაყოფილებენ ადამიანების მოთხოვნილებებს უსაფრთხოებაზე, განათლებაზე, სამუშაოზე, ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე. საჯარო პოლიტიკა უფრო ფართო კონცეფციაა, რომლის ცნობილი აღწერა ეკუთვნის Dye-ს (2016), როგორც „რაიმეს, რომელსაც მთავრობა ირჩევს გააკეთოს ან არ გააკეთოს“. მაგრამ ეს შეიძლება უფრო სასარგებლოდ გამოვხატოთ, როგორც მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იმოქმედოს ან არ იმოქმედოს, აღიარებულ პრობლემაზე რეაგირებისთვის ან მისი გადაჭრისთვის. საჯარო პოლიტიკა არის მოქმედებათა მიმდევრობა, რომელიც წარმართავს ერთმანეთთან დაკავშირებული მოქმედებების დიაპაზონს მოცემულ სფეროში. შესაბამისად, მას შეუძლია მოიცვას სოციალური სფერო და ამგვარად გახდეს „სოციალური პოლიტიკა“, მაგრამ მას შეუძლია მოიცვას სხვა საკითხები, გარდა „სოციალურისა“, სამხედრო საკითხებიდან ეკონომიკურ მოსაზრებებამდე. „კლასიკური“ სოციალური პოლიტიკის სფერო, Beland and Mahon-ის (2016) მიხედვით, ეხება საკითხებს, როგორიც არის სოლიდარობა და სოციალური მოქალაქეობა, კერძოდ, ყურადღების მიქცევით თანასწორობაზე და უფლებებზე. ავტორები ამტკიცებენ, რომ ამჟამად არის სამი თანამედროვე „დიდი იდეა“ და გამოწვევა სოციალურ პოლიტიკაში - სოციალური გამორიცხვა, სოციალური ინვესტიცია და ახალი სოციალური რისკები. ესენი არის ცვალებადი ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული, და ამჟამად, ბევრის აზრით, ეკოლოგიური გარემოებების შედეგი, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია უფრო მეტი ქალის ყოფნა დაქირავებულ სამუშაოზე, დაბერების პროცესში მყოფი მოსახლეობა, დაბალი კვალიფიკაციის ადამიანების გამორიცხვა შრომის ბაზრიდან და „საჯარო“ სერვისების პრივატიზაცია (Taylor-Gooby 2004). ეს ნახსენებია აქ იმიტომ, რომ ამ საკითხებს გავლენა აქვთ ახალგაზრდა ადამიანებზე მრავალი მიმართულებით და სხვადასხვა გზით, ეს კი ცვლის იმპერატივის ხასიათს სოციალური პოლიტიკისთვის, და, განსაკუთრებით, პასუხობს ახალგაზრდა ადამიანების მოთხოვნილებებს, რაც ამკარად აძლევს დამატებით განზომილებებს „ახალგაზრდობის პოლიტიკის“ ჩარჩოებს.

პოლიტიკა ვლინდება მრავალფეროვანი და ხანდახან მისტიური და ხშირად რთული სახით. პოლიტიკა შეიძლება ასახული იყოს კანონმდებლობაში, შემოსაზღვრული იყოს მითითებებით, გამოხატული წერილობითი ან ზეპირი განცხადებებით, პრეს-რელიზებით, ფორმულირებული საკვლევ დოკუმენტებში, შექმნილი იყოს სტრატეგიების საშუალებით ან ჩამოყალიბებული პრეზენტაციებში. პოლიტიკა, ჩვეულებრივ, ვლინდება ზემოთ ჩამოთვლილის სხვადასხვა კომბინაციების საშუალებით. პოლიტიკა ხანდახან აღიწერება, როგორც მთავრობის არსებითი მუშაობა. როგორც Freeman (2009) ამტკიცებს, პოლიტიკა აყალიბებს და ასტრუქტურირებს მთავრობის სამუშაოს, წარმოაჩენს პრობლემებს და გამოწვევებს, როგორც „შეკითხვებს და პოზიციებს, ახდენს რა მათ განმარტებას და

გარდაქმნას გადაწყვეტილებებად, პროგრამებად და ინსტრუმენტებად“. მართლაც, როგორც ჰოვარდ უილიამსონმა ივარაუდა მის ცენტრალურ პრეზენტაციაში პირველ მსოფლიო ფორუმზე ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ, პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა ხდება „იდების, ინიციატივების და ინსტრუმენტების“ საშუალებით. იმავე პოლიტიკის სფეროს საცხოვრისის უზრუნველყოფიდან დანაშაულის სფერომდე) ან იმავე სამიზნე ჯგუფს პოლიტიკისთვის (ბავშვებიდან მოხუცებამდე, ან, ვთქვათ, პრობლემური მსმელების დედები) შეუძლია საკუთარი თავი გამოსახოს მრავალი სხვადასხვა გზით, რაც დამოკიდებულია პრინციპებზე და იდეოლოგიაზე, ცოდნაზე და ხელმისაწვდომი საპროგრამო ვარიანტების გაცნობიერებაზე და ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებზე, რომელთა მობილიზებაც არის შესაძლებელი. ნამცხვრის მგავსად, საზოგადოებრივ პოლიტიკა შეიძლება „დაიჭრას“ მრავალი სხვადასხვა სახით. კვლავაც, თუ გავამარტივებთ, სოციალური პოლიტიკის ზოგადი მისწრაფება არის იმის უზრუნველყოფა, რომ საზოგადოებები შეკავშირებული და უსაფრთხო იყოს და მათი ადამიანები თავს კომფორტულად, ჯანმრთელად და დაცულად გრძნობენ. ამისთვის, იქმნება პოლიტიკა, რომ წახალისებული იყოს დადებითი ნაბიჯები ამ მიმართულებით, აღიკვეთოს უარყოფითი ტრეკტორიები და დაცული იყვნენ შედარებით მოწყვლადი კატეგორიები - ოჯახურ ცხოვრებაში, თემში და ეკონომიკაში.

ჩვენ ასევე უნდა ვაღიაროთ დასაწყისშივე, რომ საჯარო პოლიტიკის პოლიტიკურად გამოხატული მიზნები, როდესაც ისინი ფორმულირებულია მთავრობის მიერ, ექვემდებარება ინტერპრეტაციას და ცვლილებას, ცხოვრებაში ასახვის პროცესში. როგორც Guba (1984) ამტკიცებს, სოციალური პოლიტიკა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც „პოლიტიკა განზრახვაში“, რომელიც რაღაცას ამბობს პოლიტიკის მიზანზე და თუ რატომ უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტული პოლიტიკა პირველ რიგში; ასევე, როგორც „პოლიტიკა“ განხორციელებაში“, რომელიც მოიცავს იმ ქმედებებს, ურთიერთობებს და ქცევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ პოლიტიკის განხორციელების პროცესში; ხოლო „პოლიტიკა გამოცდილებაში“ დაკავშირებულია იმ ადამიანების გამოცდილებასთან, ვისი თავდაპირველი მოთხოვნილებები წარმოადგენდა პოლიტიკის სამიზნეს პირველ რიგში. ეს არ განსხვავდება Evans-ის (1998) მტკიცებისგან, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკა სამ ეტაპად უნდა იყოს განხილული: ის, რაც მხარდაჭერილია, ის, რაც განხორციელებულია, და ის, რა გამოცდილებაც არის. ეს ზოგადად სოციალურ და საზოგადოებრივ პოლიტიკაზე ფიქრის მნიშვნელოვანი გზაა, კერძოდ კი ახალგაზრდობის პოლიტიკაზე.

როდესაც სოციალური პოლიტიკის კეთების იმპულსი ჩნდება (ის კი შეიძლება გაჩნდეს სოციალური ცხოვრების ნებისმიერ ადგილას), თუ მან ფეხი უნდა მოიკიდოს, ის განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგება სამთავრობო დონეზე, რაც შეიძლება იყოს ადგილობრივი ხელისუფლება, ეროვნული ხელისუფლება, ან ზეეროვნული ხელისუფლება (როგორც არის ევროკავშირი) ან სამთავრობათშორისი ხელისუფლება (როგორც არის ევროპის საბჭო). სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკის საბოლოო დამტკიცება, შესრულება და შეფასება ხდება სახელმწიფო პოლიტიკურ დონეზე. საპარლამენტო კომიტეტებმა შეიძლება განახორციელონ საჯარო პოლიტიკის ასპექტების მათი საკუთარი განხილვა და რჩევა მისცენ ან გააკრიტიკონ სამთავრობო ორგანოები. დეპარტამენტებმა და სხვა საჯარო ორგანოებმა (როგორც არის პოლიტიკური კავშირების მქონე კვლევითი ცენტრები (ე.წ. ტინკ ტანკები)), შეიძლება შეიმუშაონ პოლიტიკა, რომელიც მიღებული ან უარყოფილი იქნება მინისტრების მიერ. თავად მინისტრებს შეუძლიათ განსაზღვრონ პოლიტიკა, რომელიც მხარდაჭერილი ან მივიწყებული იქნება უფრო ზემდგომი სამთავრობო კოლეგიების და მათი მრჩეველების მიერ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკურ გარემოშიც კი, გავლენა პოლიტიკის შემუშავებაზე სხვადასხვანაირად არის დაბალანსებული საპარლამენტო, სამთავრობო და არასამთავრობო მოთამაშეებს შორის.

პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებამდე და ნებისმიერ შემდგომ პოლიტიკურ მოქმედებამდე, საჯარო პოლიტიკის ევოლუციაზე, სავარაუდოდ, გავლენას ახდენს „მტკიცებულებები“. ეს არის პოპულარული პოლიტიკური მანტრა, რომ პოლიტიკა „მტკიცებულებებზეა დამყარებული“. მაგრამ რა სახის მტკიცებულებებზე? ცინიკოსები ხანდახან ამტკიცებენ, რომ ეს მიდგომა იყენებს „პოლიტიკაზე

დაფუძნებულ მტკიცებულებას“, და არა „მტკიცებულებაზე დაფუძნებულ პოლიტიკას“. ისინი აცხადებენ, რომ პოლიტიკის შემუშავების დროს გამოიყენება მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც შეესაბამება პოლიტიკურ სურვილებს და პოლიტიკური კურსის მიმართულებას. მტკიცებულებები, რომლებსაც შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ ეს, როგორც წესი, გვერდზე არის გადადებული ან იგნორირებულია. ამგვარად, გონივრული რჩევა არის ის, რომ არ არის საჭირო პოლიტიკის დოკუმენტის მტკიცებულებითი საფუძვლის დადასტურება მტკიცებულებების სქოლიოს გადახედვით, რომელიც არის მის შიგნით; საჭიროა უფრო შორს გახედვა საწინააღმდეგო მტკიცებულებების სანახავად. მართლაც, კიდევ უფრო ფუნდამენტური შეკითხვა, რომელიც ასაბუთებს საჯარო პოლიტიკის შემუშავებას, ეხება კვლევის ჩარჩოებს, რომელიც გამოყენებულია პოლიტიკის წარმართვისთვის. ახალგაზრდებთან მიმართებაში, ჩარჩოების ეს ძიება ქვემოთ იქნება განხილული.

ამგვარად, საზოგადოებრივი და სოციალური პოლიტიკა მოიცავს პოლიტიკური ქმედებების სპექტრს, რომლებიც მიმართულია საზოგადოების შეკავშირების და მოსალოდნელი კეთილდღეობისკენ. ისინი, როგორც წესი, ეფუძნება „მტკიცებულების“ გარკვეულ ფორმას, თუმცა ხანდახან არ ეფუძნება (როდესაც უფრო სპონტანურ რეაქციას აქვს ადგილი მოვლენებზე ან გამოწვეულია პოლიტიკური სურვილებით და კაპრიზებით); თუმცა, „მტკიცებულება“ ერთობ საკამათო კონცეფციაა და შეიძლება, როგორც ვნახეთ, მოყვანილი იყოს მრავალი წყაროდან. მტკიცებულებები საზოგადოებრივი და სოციალური პოლიტიკისთვის შეიძლება აიგოს მრავალი სხვადასხვა გზით და მრავალი სხვადასხვა მიზნისთვის. ყველაზე აშკარა საზოგადოებრივი და სოციალური პოლიტიკა არის განათლების და გადამზადების, დასაქმების, ჯანდაცვის, საცხოვრებლის ფლობის და მართლმსაჯულების სფეროებში, თუმცა ასევე არის ციფრული, სატრანსპორტო, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის პოლიტიკის მიმართულებები. ყველაფერი ეს გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე ამა თუ იმ გზით, თუმცა ზოგი მეტად, ვიდრე სხვები.

ახალგაზრდობის პოლიტიკა

ახალგაზრდობის პოლიტიკა არსებობს ყველა ქვეყანაში ამა თუ იმ ხარისხით, თუმცა ხშირად ის არ არის აშკარად გამოხატული ან თანმიმდევრული. ყველა ქვეყანას აქვს ახალგაზრდული პოლიტიკა - გააზრებულად, ნაგულისხმევად ან მისი უგულებელყოფით. ახალგაზრდობის პოლიტიკა, რომელიც არის საჯარო პოლიტიკის ჩარჩოში, ცდილობს შეხებაში მოვიდეს ახალგაზრდა ადამიანების ცხოვრებასთან (ახალგაზრდობის ცნება სხვადასხვანაირად არის განსაზღვრული ასაკის ან სხვა კრიტერიუმების მიხედვით სხვადასხვა ქვეყანაში), როგორც გათავისუფლების, ისე რეგულირების გზით, და იღებს მრავალ ფორმას და მოიცავს მრავალ დაინტერესებულ მხარეს და აქტორს. ახალგაზრდობის პოლიტიკა იშვიათად არის თანმიმდევრულად აწყობილი, თუმცა შეიძლება ჰქონდეს თანმიმდევრული საფუძველი. ეს მუდმივად დანაწევრებული მოზაიკაა, შესაძლოა, შეკრული გარკვეული საერთო მიზნებით და ძაფებით, მაგრამ უფრო ხშირად შედგენილი განზრახულობათა შესახებ დეკლარაციების და პრაქტიკული ინიციატივების არაერთგვაროვანი ნაკრებისგან, რომელიც ხშირად აჩენს მნიშვნელოვან ხარვეზებს ლოგიკაში და თანმიმდევრულობაში, როდესაც ხვდება თანმიმდევრული შემოწმების და ანალიზის ქვეშ. ასევე მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის პოლიტიკის გახსენება და შემოწმება ნებისმიერ კონკრეტულ დროს. პოლიტიკამ, რომელიც განსაზღვრულია „10-წლიან გეგმებში“, ხშირად შეიძლება გასტანოს მხოლოდ ერთი კვირა! საპილოტე ღონისძიებები შეიძლება სწრაფად გახდეს მაგისტრალური პოლიტიკური ხაზის და პრაქტიკის შემადგენელი ნაწილი. არა მხოლოდ მთავრობები იცვლება, არამედ მინისტრებიც; ორივე შემთხვევაში, არსებობს ცვლილების ალბათობა, მაგრამ ასევე უწყვეტობისაც. ხანდახან ინიციატივები გრძელდება, მაგრამ მათი სახელი იცვლება. ხანდახან კი სახელი იგივე რჩება, მაგრამ ინიციატივის შინაარსი იცვლება. გზავნილი ის არის, რომ იდეები ამ საცნობარო სახელმძღვანელოში მხოლოდ მიმანიშნებელია და არა საბოლოო:

ახალგაზრდობის პოლიტიკა ნებისმიერ კონტექსტში მუდმივად ევოლუციონირებს, იცვლება მისი პრიორიტეტები და პრაქტიკები და აგება (ან უარყოფა) ხდება სხვადასხვა ფორმის „მტკიცებულებებზე“. შესაბამისად, არის იმედი, რომ სახელმძღვანელო აღჭურავს მკითხველებს უფრო სიღრმისეული ცოდნით, თუ რა განსაზღვრავს ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებას და დანერგვას, წახალისებს მათ ცნობისმოყვარეობას კრიტიკულად გაიაზრონ ახალგაზრდობის პოლიტიკის მტკიცებები და შემადგენლობა მათ საკუთარ კონტექსტში და შეაიარაღებს მათ ცოდნით და უნარებით, რომ დაიცვან შესაძლებლობებზე დაფუძნებული, უფლებებზე დამყარებული და დემოკრატიული ახალგაზრდობის პოლიტიკა.

-
1. კლასიკური, არც მთლად ჰიპოთეტური მაგალითი არის ბავშვთა საქმეების მინისტრები, რომლებიც მოიხმობენ გაეროს კონვენციას ბავშვის უფლებების შესახებ და მიესალმებიან ახალგაზრდებს, როგორც რესურსს, რომლის ხმა გაგონილი უნდა იქნეს, მაშინ როცა სამთავრობო დერეფნებში იუსტიციის მინისტრები იგნორირებას უკეთებენ ამ კონვენციას, აცხადებენ რა, რომ ახალგაზრდები პრობლემას წარმოადგენენ, რომელთა ქცევას სანქციები უნდა დაედოს, თუ საჭიროა, თავისუფლების აღკვეთის უფრო ხშირი გამოყენებით

დასკვნა

ეს მოკლე თავი ცდილობს მოგვაწოდოს კრიტიკულად მნიშვნელოვანი შეტყობინება, რომ „პოლიტიკის“ ბუნდოვანი, მაგრამ ხშირად მიმზიდველი კონცეფცია მუდმივად მალავს და ჩრდილში აქცევს იდეების სპექტრს, რომლებიც მომდინარეობს სხვადასხვა წყაროებიდან, და რომლებიც შექმნილია სხვადასხვა მიზნების მისაღწევად და შემუშავებულია სხვადასხვა მიმართულებისთვის. „სოციალური და საჯარო პოლიტიკის“ ფართო ჩარჩოებში ძვეს „ახალგაზრდობის პოლიტიკის“ იდეა - ხანდახან განსხვავებული, თითქმის ცალკე მდგომი კონცეფცია და ხანდახან კი ჩაშენებული უფრო ფართო სოციალურ პოლიტიკაში, ხოლო ხშირად ორივე ერთად.

შეკითხვები განსჯისთვის

რა არის სოციალური პოლიტიკის

მიმართულება/ფოკუსირების საგანი თქვენს

ქვეყანაში?

რა ახდენს გავლენას საჯარო პოლიტიკაზე თქვენს

ქვეყანაში?

რა არის განვითარების წარმმართველი ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებს საზოგადოებრივი და სოციალური პოლიტიკის არსზე და პრიორიტეტებზე?

რა არის კონცეპტუალური / ფილოსოფიური / თეორიული საფუძვლები და მიდგომები, რომლებზეც ის არის აგებული?

რა ადგილი უჭირავს ახალგაზრდულ პოლიტიკას ზოგადად სოციალურ და საზოგადოებრივ პოლიტიკაში?

თავი 2

დებატები, მიდგომები, მოდელები

შესავალი

ეს თავი ეხება იმას, რაც, შესაძლოა, არის ახალგაზრდობის პოლიტიკის დიდი ნაწილის საერთო მიზანი: სოციალურ ჩართულობას. ის ასევე განიხილავს მოზაიკას, რომელიც შეადგენს ახალგაზრდობის პოლიტიკის ფართო ჩარჩოს და იძლევა წარმოდგენას მის ფუნდამენტურ ელემენტებზე - ახალგაზრდობის პოლიტიკის განზომილებებზე, რომლებიც, თუკი საკმარისად დამუშავებული არ არის, ახალგაზრდობის პოლიტიკას არასრულად და არაეფექტურად აქცევს.

სოციალური ჩართულობა


სავარაუდოდ, ახალგაზრდობის პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საერთო მიზანი, მიუხედავად მისი კონკრეტული თემების და მისწრაფებებისა, არის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ყველა ახალგაზრდისთვის - რომ იყოს ინკლუზიური, თანაბარი წვდომის მიცემით უფლებებზე და შესაძლებლობებზე. ახალგაზრდობის პოლიტიკას ხშირად აქვს „ხედვა“ ახალგაზრდებისთვის, რომელიც შეიძლება ზოგადად აღიწეროს, და ყოველთვის რიტორიკულად დეკლარირებულია, როგორც ახალგაზრდების მხარდამჭერი საშუალება წარმატებული მომავლისკენ მიმავალ ბილიკზე (ან გზატკეცილზე): აქტიური მოქალაქეობის, ცხოვრების განმავლობაში სწავლის, სოციალური ჩართულობის და პირადი და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხედვა. თავდაპირველად ეს იყო 1999 წელს ახალგაზრდობის პოლიტიკის დაგეგმვის ჩარჩო პირველი ადმინისტრაციისთვის უელსში და შემდგომში კი საფუძველი ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პოლიტიკის ინდიკატორების შესახებ დისკუსიისთვის 2002-2003 წლებში.

თუმცა, ახალგაზრდობის პოლიტიკა ასევე ხშირად წარმოსახავს ახალგაზრდებს სხვადასხვა სახით და შესაბამისად პასუხობს. იქ, სადაც ის აფასებს ახალგაზრდებს (მაგალითად, მათ, ვინც „კარგად იქცევა“ და ჩართულია განათლებაში, გადამზადებაში ან დასაქმებაში), პოლიტიკა ძირითადად ფოკუსირებულია გათავისუფლებაზე და შესაძლებლობებზე; იქ, სადაც ის აღიქვამს ახალგაზრდებს, როგორც მსხვერპლს ან მოწყვლად კატეგორიას (მაგალითად, ისინი, ვინც განიცადა შევიწროება ან ვისაც აქვს სწავლის შეზღუდული შესაძლებლობები), პოლიტიკა უფრო მეტად დამცავი ხასიათისაა; ხოლო იქ, სადაც ის განიხილავს ახალგაზრდა ადამიანებს „დამნაშავეებად“ (მაგალითად, ისინი, ვინც ჩართულია „ანტისოციალურ ქცევაში“), პოლიტიკა იხრება უფრო მარეგულირებელი და შემზღუდავი ზომებისკენ. რა თქმა უნდა, ახალგაზრდების უმეტესობა ამ სამის გარკვეული ნარევია, ისევე როგორც ახალგაზრდობის პოლიტიკა უმეტეს შემთხვევაში მსგავსი კომბინაციაა. ახალგაზრდობის პოლიტიკა მოიცავს შესაძლებლობების წახალისებას, დაცვას ზიანისგან და „გადახრის“ პრევენციას და, თუ საჭიროა, დასჯას. მოკლედ რომ ვთქვათ, როდესაც ახალგაზრდობის პოლიტიკა გულდასმით არის გამოკვლეული, აღმოჩნდება პრევენციული და წამახალისებელი პრაქტიკის ელემენტები, მხარდაჭერის ზომები, რომლებიც ხანდახან არ ექვემდებარება შეცვლას, და ასევე, იძულება (ხშირად, იდეალურ შემთხვევაში, როგორც უკანასკნელი იმედის საშუალება). ეს არის იმ ელემენტების ბალანსი, რომელიც მოითხოვს განხილვას და ხანდახან გამოწვევის ქვეშ დაყენებას.

მიუხედავად ცხადი მზადყოფნისა ებრძოლონ „სოციალურ გამორიცხვას“ ბევრ ქვეყანაში, ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არასასურველ გარემოებებში აღმოჩნდება ხოლმე, როგორიც არის სკოლის ადრეული დატოვება, ჯანმრთელობის რისკის შემცველი ქცევა, ნაადრევად მშობლად

გახდომა ან **ახალგაზრდების მიერ ჩადენილი** დანაშაული. შედეგად, პოლიტიკა არა მხოლოდ ცდილობს გააძლიეროს ბარიერები, რომლებიც საჭიროა სოციალური გამორიცხვის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, არამედ ასევე ცდილობს უზრუნველყოს, რომ სათანადო ხიდეები იყოს შექმნილი ხელახალი ჩართვისთვის უფრო პოზიტიური და მიზანდასახული ცხოვრების მიმართულებებით. სოციალური გამორიცხვის გადაჭრის კონკრეტული ასპექტის შესახებ, არსებობს ზოგიერთი მარტივი შეკითხვა, რომლებიც მოითხოვს პასუხებს, თუმცა „პასუხები“ უცვლელად რთულია და შედეგები პოლიტიკისთვის, შესაბამისად, სულაც არ არის სწორხაზოვანი, როგორც ნაჩვენებია სურათზე 1.

ნახაზი 1: მარტივი კითხვები, რთული პასუხები



წყარო: ჰოვარდ უილიამსონის საკვანძო სიტყვა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ბავშვების და ახალგაზრდების დეპარტამენტის დაფუძნებისას 2000 წელს.

მასშტაბი და დიფერენცია

1. რა არის გამოწვევის მასშტაბი? რამდენად დიდია მოსახლეობა „ყუთში“?
2. როგორ შეიძლება „ყუთში“ მოხვედრილთა დიფერენცირება?

მიზეზები და შედეგები

3. რა იწვევს მათ ფეხის დაცურებას, დაცემას ან მთავარი გზიდან გადახვევას?
4. რა შედეგები დადგება, თუ არაფერი გაკეთდება, თუკი პოლიტიკა „მარტოდ დატოვებს“ ბავშვებს“?

ბარიერები და ხიდეები

5. როგორ შეიძლება გაძლიერდეს პრევენციის ბარიერები?
6. რა სახის ხიდეებია საჭირო ხელახლა ჩართვის და რეინტეგრაციისთვის?

ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ მსჯელობისთვის შექმნილი ამ მოდელის მთელი ხიბლი არის ის, რომ მისი გამოყენება შეიძლება ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული პოლიტიკის შესახებ დებატებისთვის, და მიესადაგება ნებისმიერ ჯგუფს ან საკითხს.

კომპლექსური მოზაიკა - მიდგომები, რომელიც რკინაში ვერ გამოიკვეთება

ახალგაზრდობის პოლიტიკა ასევე არსებობს სხვადასხვა დონეებზე. საფუძველში შეიძლება იყოს ეროვნული სტრატეგიები და პოლიტიკა, თუმცა ისინი წარმართება (ან შეიძლება წარმართებოდეს) ევროპული და საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტების შესაბამისად და ასევე საჭიროა მათი განხორციელება რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე აქტივობებით. შესაბამისად, არსებობს ახალგაზრდობის პოლიტიკის რთული პროცესი, რომელიც, ჩვეულებრივ, იწყება პოლიტიკური დეკლარაციით ან რატიფიკაციით, გადის მენეჯერების და პრაქტიკოსების მიერ სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვის და განხორციელების ეტაპს, აღწევს ახალგაზრდობამდე და (ხანდახან) წარმოადგენს მონიტორინგის და შეფასების ობიექტს. ამ პროცესის განმავლობაში, ხედვიდან მიწოდებამდე, აუცილებლად არის ინტერპრეტაცია, მოქმედება, რეაგირება, ხელის შეშლა და გადახედვა. თუმცა, როგორც Marris and Rein (1972, გვ. 260) წერდნენ 40 წელზე მეტი ხნის წინ, ოღონდ თემების განვითარების და სოციალური ცვლილების პროექტებთან დაკავშირებით:

მთელი პროცესი - ყალბი დასაწყისები, გაწბილება, ადაპტაციები, განზრახვების თანმიმდევრული გადახალისება - უნდა იყოს გაგებული. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია გავიგოთ, რა იქნა მიღწეული და ვისწავლოთ ამ გამოცდილებიდან. თუმცა არავინ გაივლის კვლავ ზუსტად იმავე გზას, პროექტების თავგადასავლებისთვის თვალის მიდევნება ზოგად წარმოდგენას იძლევა მათ სფეროში არსებული საფრთხეების და მიგნებების შესახებ.

იგივე ადვილად შეიძლება ითქვას ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების შესახებ, მისი მოსახვევებით, გაჩერებებით და დაწყებებით, კონფლიქტებით და კონსენსუსებით, წარმატებებით და მარცხებით. ამ სახელმძღვანელოს არ შეუძლია მოიცვას ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების ყველა ნიუანსი, დაყოვნება და მიწოდება, მაგრამ მას შეუძლია მოგვიყვას ამ პროცესის ისტორია (ან ისტორიები), ფართო გამოცდილების საფუძველზე ევროპაში, რომელიც დაგროვდა ბოლო ათწლეულის და მეტის განმავლობაში. მართლაც, „ახალგაზრდობის პოლიტიკის“ შესახებ რეფლექსიის ადრეული ჩარჩო გამომდინარეობდა ევროპის საბჭოს მიერ ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის მხოლოდ და მხოლოდ შვიდი მიმოხილვის მიგნებებიდან. თუმცა შემდგომ მიღებულმა ცოდნამ ეჭვქვეშ დააყენა ზოგიერთი საკითხი და ასევე მოითხოვა კონტენტის უფრო ფართო სპექტრი, თავად ჩარჩო (ცხრილი 1) კვლავ დარჩა, როგორც ერთი სასარგებლო ნიშნული „ახალგაზრდობის პოლიტიკის“ შესახებ რეფლექსიისთვის, შემდგომ ალტერნატივებთან ერთად, მათ შორის არის ახალგაზრდობის პოლიტიკის თავდაპირველ სახელმძღვანელოში შეთავაზებული ალტერნატივები.

ცხრილი 1: „ახალგაზრდობის პოლიტიკის“ შესახებ ფიქრის ჩარჩო

კონცეფციების განსაზღვრა -

„ახალგაზრდობა“/ახალგაზრდობის

პოლიტიკა“. კანონმდებლობა და

ბიუჯეტი.

მიწოდების სტრუქტურები.

პოლიტიკის სფეროები, როგორც არის განათლება, ჯანმრთელობა, საბინაო მშენებლობა, დასაქმება და მართლმსაჯულება.

გამჭოლი საკითხები, როგორც არის მონაწილეობა, ინფორმაცია, თანაბარი შესაძლებლობები და სოციალური ჩართულობა.

მამოძრავებლების მხარდაჭერა - პროფესიონალების ტრენინგი;

ინფორმაციის გაცვლა; კვლევა. მონიტორინგი და შეფასება.

წყარო: უილიამსონი (2002)

ცხრილი 1 შემოსაზღვრავს სფეროებს ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ კვლევისთვის, რომ უფრო ცხადად შეგვეძლოს გავიგოთ და განვმარტოთ ახალგაზრდობის პოლიტიკა. ეს არ არის არსებითი მოთხოვნების სია ახალგაზრდობის პოლიტიკისთვის. მაგალითად, ახალგაზრდობის პოლიტიკა ყოველთვის როდი მოითხოვს კანონმდებლობას, თუმცა შეიძლება შევნიშნოთ, რომ კანონმდებლობის გარეშე ზოგიერთ ქვეყანაში პოლიტიკის შემუშავების ან მხარდაჭერის ალბათობა დაბალია. თუმცა, ამის საპირისპიროდ კანონები არ უზრუნველყოფს აუცილებლად სათანადო ქმედების გარანტირებას ადგილზე. ახალგაზრდობის პოლიტიკა აშკარად მოითხოვს ფინანსურ მხარდაჭერას, თუმცა „ბიუჯეტები“ ახალგაზრდობის პოლიტიკისთვის ძნელი დასადგენი და შეცდომაში შემყვანია: რესურსები ხშირად მოდის სხვადასხვა წყაროებიდან, სამთავრობო დეპარტამენტებიდან, საქველმოქმედო ფონდებიდან, კერძო ქველმოქმედებისგან და სხვა. შემდეგ, შეკითხვები იმის შესახებ, თუ როგორ არის ამგვარი რესურსები განაწილებული და რომელ ხელმისაწვდომ რესურსებს იყენებს მათი პოლიტიკის „სამიზნეები“ ეფექტურად.

შესაბამისად, ცხრილები და ჩამონათვალები მოითხოვს ყურადღებით შესწავლას და შემოწმებას. ძალზე ხშირად ჩვენ შეიძლება დაგვამშვიდოს მათმა მოხერხებულობამ და სიმარტივემ, და არა მხოლოდ მივიღოთ ისინი, როგორც არის, არამედ მივიანიჭოთ მათ „ფაქტის“ მნიშვნელობა, მაშინ როცა ისინი მოითხოვს კრიტიკულ გააზრებას. როგორც წესი, არსებობს დიდი გადაფარვა ახალგაზრდობის პოლიტიკის პროცედურების და პროცესების ყოველ ეტაზე, იქნება ეს გარდამავალი ეტაპების განსაზღვრა „ახალგაზრდობის“ კონცეფციის ფარგლებში, სათანადო სტრუქტურების შემუშავება მიწოდებისთვის (ცენტრიდან ადგილებზე) ან ურთიერთობაში პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებს შორის. როგორც ერთმა გამჭრიახმა დამკვირვებელმა თქვა, „თქვენ ვერ გადაწყვეტთ ახალგაზრდობის მიერ ჩადენილი დანაშაულის პრობლემას სისხლის სამართლის პოლიტიკის საშუალებით“. ყველაზე ეფექტური პოლიტიკა ახალგაზრდობის მიერ ჩადენილი დანაშაულის მართვისთვის სხვაგან ძევს: განათლებაში, ჯანდაცვაში, საცხოვრისის უზრუნველყოფაში და დასაქმებაში. ეს იწვევს კითხვებს არა მხოლოდ იმაზე, თუ ვისზე უნდა იყოს პასუხისმგებლობა ახალგაზრდობის პოლიტიკის ელემენტებზე (ნებისმიერ შემთხვევაში, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს), არამედ ასევე იმაზე, თუ ვინ უნდა წარუძღვას პროცესს. მაგალითად, ახალგაზრდობის მიერ ფსიქოტროპული ნივთიერებების არასათანადო გამოყენების შესახებ პოლიტიკას უნდა წარუძღვას განათლება, ჯანდაცვა თუ პოლიცია? ხანდახან, ყველაზე კრეატიული, მდიდარი წარმოსახვის მქონე და პროგრესული რეფლექსია

ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ მოდის ყველაზე ნაკლებად მოსალოდნელი წყაროებიდან.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი შეკითხვა - ხუთი „C“ და რა მიმართულებით უნდა „დავჭრათ ნამცხვარი“?

ის მნიშვნელოვანი რამ, რაც არის ახალგაზრდობის პოლიტიკაზე რეფლექსიის საფუძველი, ცნობილია, როგორც ხუთი „C“.

ეფექტური ახალგაზრდობის პოლიტიკის კომპონენტები - ხუთი „C“:

დაფარვა (Coverage),
შესაძლებლობა (უნარი),
კომპეტენცია (Competence,
თანამშრომლობა (Co-operation),
ხარჯი (Cost)

წყარო: უილიამსონი (2002)

ახალგაზრდობის პოლიტიკის ინიციატივები უნდა იყოს საკმარისად კომპლექსური, რომ მიაღწიონ იმ ახალგაზრდობამდე, ვისთვისაც ისინი არის განკუთვნილი (დაფარვა). შედარებით ადვილია პოლიტიკის მისწრაფების და განზრახვის შექმნა, მაგრამ უნდა არსებობდეს „მიწოდების სტრუქტურები“ (იხილეთ ცხრილი 1): არ არის აუცილებელი, რომ ეს იყოს ეროვნული, რეგიონული ან ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებები, შესაძლოა ეს იყოს ახალგაზრდობის ორგანიზაციები და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები (უნარი). ახალგაზრდობის პოლიტიკის მრავალ სფეროში (განსაკუთრებით განათლებაში, ჯანდაცვაში და მართლმსაჯულებაში), არსებობს საჭიროება, რომ ახალგაზრდებს ჰქონდეთ წვდომა პროფესიული უნარების სათანადო დონეებზე (კომპეტენცია). ჩაკეტილობის და დუბლირების რისკის თავიდან ასაცილებლად, და სინერგიის და სინქრონულობის გასაძლიერებლად, ახალგაზრდობის პოლიტიკაში ჩართულმა პირებმა უნდა უზრუნველყონ პლატფორმები დიალოგის, გაცვლის და კომპლემენტარობისთვის (თანამშრომლობა). და ბოლოს, ახალგაზრდობის პოლიტიკა შეიძლება ეფექტური იყოს მხოლოდ მაშინ, თუ მხარდაჭერილია საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსებით (ხარჯი).

როგორც აღნიშნული იყო, ნამცხვრის მსგავსად, ახალგაზრდობის პოლიტიკა შეიძლება დაიჭრას (და უნდა დაიჭრას) სხვადასხვა გზით, რომ კარგად გავიგოთ ის. ახალგაზრდობის პოლიტიკა ფორმას იძენს მრავალი სხვადასხვა გზით და სახით, და მზარდი ზეწოლის და იმის მოთხოვნის პირობებში, რომ მოხდეს უნივერსალიზაცია (უზრუნველყოფილი იყოს, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკის შეთავაზებები ხელმისაწვდომია ყველასთვის) და სპეციალიზაცია (უზრუნველყოფილი იყოს, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკის შეთავაზებები აღწევს კონკრეტულ „სამიზნეებამდე“), პოლიტიკა სულ უფრო გამჭოლი და ყოვლისმომცველი ხდება, და არა მხოლოდ სექტორთაშორისი. ახალგაზრდობის პოლიტიკის მიწოდება ვარირებს ადგილებს, კონტექსტებს, კოპორტებს, ჯგუფებს და საკითხებს შორის, როგორც ცხრილი 2 გვიჩვენებს.

ცხრილი 2: გამჭოლი ახალგაზრდობის პოლიტიკა

ადგილები (საპილოტე პროექტები და/ან პრიორიტეტული სფეროები).

კონტექსტები (სწავლება, დასვენება, ოჯახი, კულტურა, მართლმსაჯულება და სხვა).

მთელი მოსახლეობა/კოჰორტები (ასაკობრივ დიაპაზონებს შორის).

კონკრეტული **სამიზნე ჯგუფები** (ახალგაზრდა დამნაშავეები, ახალგაზრდები შავკანიანი და ეთნიკური უმცირესობის ჯგუფებიდან, ახალგაზრდები სახელმწიფო მეურვეობის სისტემებიდან).

კონკრეტული **საკითხები** (ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენება, ქუჩაში ცხოვრება, ანტისოციალური ქცევა).

ინფრასტრუქტურული გამოწვევები (მიწოდების მექანიზმები, სამუშაო ძალის განაწილება).

ნათელი უნდა იყოს, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკის თითოეული ეს არხი არ არის სრულად დამოუკიდებელი სხვებისგან და ყოველთვის არის შეკითხვები, გადაფარვა არის თუ არა ეფექტური დამიზნების განხორციელების ფორმა, თუ ის არის არასაჭირო და მფლანგველი დუბლირება. მაგალითად, თუ ახალგაზრდობის საინფორმაციო სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების მობილობას, ფოკუსირებულია მხოლოდ სკოლებზე ღარიბულ რაიონებში და ახალგაზრდებზე სახელმწიფო მეურვეობის სისტემებიდან, არის ეს ის „კონცენტრირებული ცეცხლი“, რომლის მიზანია ახალგაზრდებთან მიღწევა, ვინც ყველაზე მეტად საჭიროებს ამგვარ ინფორმაციას? თუ ეს უგულვებელყოფს მრავალ სხვა ახალგაზრდას, რომლებსაც თანაბრად სჭირდებათ ეს? ამგვარი სტრატეგია უნივერსალურად რომ ყოფილიყო გამოყენებული, შეიძლებოდა ეს განხილულიყო, როგორც მფლანგველი „გაფანტული ცეცხლის მიდგომა“, რომელიც მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზაციას ახდენს მრავალი ახალგაზრდისთვის, ვისაც ეს არ სჭირდება?

გარდა ამისა, ყოველთვის არის ახალგაზრდობის პოლიტიკის შეკითხვები იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მიაწოდოს სხვადასხვა ინიციატივები და სერვისები და არიან თუ არა მიმწოდებლები სათანადოდ აღჭურვილი, რომ ეს გააკეთონ. ეს არის ინფრასტრუქტურის შეკითხვები მიწოდების მექანიზმების შესახებ და მათი ტრენინგი, ვინც პასუხისმგებელია ამგვარ მიწოდებაზე. წარმოიდგინეთ ახალგაზრდობის პოლიტიკის გეგმები, რომლებიც ეხება ინიციატივას პირადი და სათემო უსაფრთხოების შესახებ. არიან კი პოლიციის ოფიცრები საუკეთესოდ არჩეული იმისთვის, რომ მიაწოდონ საკვანძო გზავნილები თუ სასურველი ზემოქმედება უკეთესად იქნება უზრუნველყოფილი სოციალური მუშაკების ან მასწავლებლების მიერ, ან თუნდაც ახალგაზრდობის საქმეთა მუშაკების მიერ?

ახალგაზრდობის პოლიტიკის ბოლო, მუდმივი შეკითხვა არის სინამდვილეში სოციალური პოლიტიკის კლასიკური შეკითხვა, რომელიც ეხება უნივერსალურ ან შერჩევით (ანუ გამიზნულ) პოზიციას. თითოეულს აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები. საჯარო პოლიტიკა სულ უფრო მეტად იხრება გამიზნული მიდგომებისკენ, იმ დეკლარირებული ინტერესების ფარგლებში, რომ „ვხარჯოთ გონივრულად“ და „მოვახდინოთ რესურსების ფოკუსირება“. პოლიტიკოსები დახელოვნებული არიან ჭკვიანური მანტრების გამოყენებაში, როგორც არის „უნივერსალური სერვისის მიწოდება, რომელიც დიფერენცირებული იქნება მოთხოვნილების მიხედვით“, რაც ნიშნავს, რომ თუმცა თეორიულად ყველასთვის ხელმისაწვდომია, პრაქტიკაში, სავარაუდოდ, მოხდება კონცენტრირება მათზე, ვინც „გაჭირვებაშია“. გაბატონებული პროფესიონალური შეხედულება ახალგაზრდობის სექტორში, განსაკუთრებით აქტივისტებში და ადვოკატებში ახალგაზრდობის ორგანიზაციებიდან, არის ის, რომ

თუმცა ნამდვილად იქნებოდა ახალგაზრდები, ვინც უფრო მეტად არის „რისკის“ ქვეშ, ვიდრე სხვები და ვისაც მართლაც სჭირდება მეტი მხარდაჭერა, ახალგაზრდობის პოლიტიკამ ზოგადად უნდა მოიცვას ყველა ახალგაზრდა და განიხილოს ისინი უფლებების მქონეებად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იქ, სადაც პოლიტიკა შეიმუშავებს კონკრეტულ დებულებას, და იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ სტიგმატიზაცია, ყველა იმ ახალგაზრდას, რომელიც ფიქრობს, რომ მათ სჭირდებათ სარგებლის მიღება ამ დებულებისგან, უნდა ჰქონდეს უფლება მასთან წვდომაზე. საბედნიეროდ, კვლავაც არსებობს მიდგომების მრავალფეროვნება ახალგაზრდობის პოლიტიკის მიმართ ევროპის კონტინენტზე და ახალგაზრდობის პოლიტიკის მინიმუმ რამდენიმე ელემენტი კვლავაც აგებულია უნივერსალისტურ პრინციპებზე, ღონისძიებებით და სერვისებით, რომლებიც შეთავაზებული და ხელმისაწვდომია ყველა ახალგაზრდისთვის.

დასკვნა

„ახალგაზრდობის პოლიტიკის“ იდეა განსაზღვრულია და განსჯის ქვეშ არის მრავალი სხვადასხვა გზით. მის მთავარ მიზნად ხშირად განიხილება „სოციალური ჩართულობა“, თუმცა თავად ეს საკამათო კონცეფციაა, რადგან საზოგადოებები ცდილობენ როგორც „მიიღონ თანხმობა“, ასევე „აიძულონ დათანხმება“. ეს იშვიათად ხდება თანაბარი ზომით, რაც დამოკიდებულია „ახალგაზრდობის“ აღქმაზე და იმაზე, თუ რომელი მიდგომის საჭიროება - გამათავისუფლებელი შესაძლებლობის თუ მარეგულირებელი ინტერვენციის - რამდენად არის აღიარებული (იხილეთ Davies 1986). გარდა ამისა, არის მუდმივი დებატები იმაზე, თუ რამდენად უნდა იყოს ახალგაზრდებისკენ მიმართული პოლიტიკა უნივერსალურად ხელმისაწვდომი ან კონკრეტულად დამიზნებული მათკენ, ვინც ითვლება, რომ ყველაზე მეტად „საჭიროებს“ მას.

შეკითხვები განსჯისთვის

როგორ აღიქმება ახალგაზრდა ადამიანები

თქვენს საზოგადოებაში? ვინ ითვლება

„ახალგაზრდად“?

როდის და როგორ ახდენენ ადამიანები გადასვლას ბავშვობიდან ახალგაზრდობაში, ახალგაზრდობიდან მოწიფულობაში?

რა არის საფუძველში არსებული მსჯელობა, რომელიც განსაზღვრავს ახალგაზრდობის პოლიტიკას თქვენს კონტექსტში (მაგალითად, გათავისუფლება, დაცვა, რეგულაცია, წახალისება, შეზღუდვა)?

როგორ არის სხვადასხვა პარადიგმები/მიდგომები დაბალანსებული და რა განსაზღვრავს ამ ბალანსს? რა არის განმსაზღვრელი თქვენს პოლიტიკაში, უნივერსალურობა თუ დამიზნებული მიდგომა?

რომელ ახალგაზრდებზეა თქვენი ეროვნული ახალგაზრდობის

პოლიტიკა განსაკუთრებით ფოკუსირებული? რა განსაზღვრავს

ახალგაზრდობის პოლიტიკის დებატებს მათ მიმართულებასთან,

პრიორიტეტებთან და მიზნებთან დაკავშირებით?

როგორ არის „ყოვლისმომცველობა“ გადაჭრილი თქვენს დებატებში

ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ? რომელი ინსტრუმენტები

უზრუნველყოფენ ამას?

ახალგაზრდობის კვლევა და მტკიცებულებების ძიება

შესავალი

ზემოთ იყო აღნიშნული, არსებობს მუდმივი მოთხოვნა, რომ პოლიტიკა, მათ შორის ახალგაზრდობის პოლიტიკა, იყოს „მტკიცებულებებზე დაფუძნებული“. მართლაც, ჩვეული მოვლენაა იმის მტკიცება, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკა მყარად არის დაფუძნებული მტკიცებულებებზე. მაგრამ რა სახის მტკიცებულებებზე? კონკრეტულად რა არის კვლევის ბაზა, როდესაც საქმე ეხება ახალგაზრდობის პოლიტიკის შექმნას? აქ ბევრი არჩევანი უნდა გაკეთდეს; არ არსებობს მხოლოდ ერთი მარტივი მეცნიერული შაბლონი. მოდით ვიფიქროთ მხოლოდ ზოგიერთი ვარიანტის საშუალებით იმ კვლევის ტიპზე, რომელიც დაგვეხმარება გავიგოთ როგორც ახალგაზრდობის ზოგადი „სოციალური მდგომარეობა“² ევროპაში, ასევე ზოგიერთი კონკრეტული გამოწვევა, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ან განსაზღვროს მათი ცხოვრება - კვლევის ტიპი, რომელიც უნდა იყოს კატალიზატორი მეტი მზადყოფნისთვის „ახალგაზრდობის პოლიტიკის“ სხვადასხვა ფორმებისთვის. ყველა ახალგაზრდობის კვლევა როდი არის აუცილებლად ისე შექმნილი, რომ განსაზღვროს ახალგაზრდობის პოლიტიკა (იხილეთ Petkovic et al. 2019), მაგრამ ახალგაზრდობის კვლევების ბევრი მიგნება შეიძლება მოხმობილ იქნეს, როგორც არგუმენტი სხვადასხვა გზით ახალგაზრდობის პოლიტიკის ამა თუ იმ ასპექტის დასასაბუთებლად. Smith et al. (1996) აღწერენ კვლევითი მიდგომების მრავალფეროვნება ახალგაზრდობის „სოციალური მდგომარეობის“ აღმოჩენის და გამოვლენის მიმართ, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება განსაზღვროს სხვადასხვა დასაბუთებები ახალგაზრდობის პოლიტიკის განზომილებების და მიზნებისთვის.

1. ეს არის ტერმინი, რომელიც პირველად გამოიყენა სოციოლოგმა პოლ უილისმა მის „ახალგაზრდობის მიმოხილვაში“ ინგლისის მუნიციპალიტეტისთვის, ახალგაზრდობის სოციალური პირობებისთვის ვულვერპემპტონში 1984 წელს. ის ამტკიცებდა, რომ მიუხედავად ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკისა, არსებობდა ადგილი ლოკალური ადგილობრივი პოლიტიკისთვის, რომელიც პოზიტიურად რეაგირებდა ადგილზე ახალგაზრდობის მოთხოვნილებებზე. მან წარუდგინა ეს არგუმენტები ევროპის საბჭოს 1986 წელს (Willis, P. et al. 1985).

რას გულისხმობს „ახალგაზრდობა“?

„ახალგაზრდობის“ განსაზღვრა ახალგაზრდობის საკითხების სოციოლოგიებისთვის და ახალგაზრდობის პოლიტიკაში ჩართული პირებისთვის მუდმივად გონების სავარჯიშოა. ეს ყოველთვის გამოწვევა იყო, მაშინაც კი, როდესაც კონცეფცია თითქმის არ არსებობდა (იხილეთ Gillis 1981) ან მაშინ, როდესაც ახალგაზრდობის იდეამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი საზოგადოებრივ ცნობიერებაში (იხილეთ Savage 2007). ახალგაზრდობასთან შეხებაში მყოფ პოლიტიკაში ჩართული პირები მუდმივად მოიხმობენ ასაკობრივ განსაზღვრებებს, ავლებენ რა გარკვეულ საზღვარს „ბავშვობასა“ და „მოწიფულობას“ შორის, რომლის ფარგლებში შეიძლება „ახალგაზრდობის“ მოქცევა, თუმცა არსებობს გარდაუვალი გადაფარვა მათ შორის. შედეგად, „ახალგაზრდობა“, რომელიც ერთ დროს ითვლებოდა დროის შედარებით ხანმოკლე პერიოდად, რომელიც ემთხვეოდა სქესობრივი მომწიფების დაწყებას და ყრმობას, სიჭაბუკეს - დაახლოებით შუა „თინეიჯერული წლები - ამჟამად ხშირად განიხილება ქვედა ასაკის მქონედ - 11 წელი და ზედა ასაკის - 25 წელი. ეს უკანასკნელი კი ხანდახან იზრდება 30 წლამდე, ხოლო ზოგ ქვეყნებში 40 წლამდეც კი. ამის მიზეზები, როგორც ამტკიცებენ, არის ის, რომ თუმცა ბავშვები ახლა უფრო სწრაფად იზრდებიან, მოწიფულობა ხშირად დაგვიანებით იწყება. უფრო ფართო ასაკობრივი დიაპაზონი იძლევა საფუძველს „ახალგაზრდობის“ პოლიტიკისთვის. მართალია, აუცილებლად უნდა იყოს გარკვეული ქვეჯგუფები მის შიგნით, მაგრამ კვლავაც ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდებს 15 წლიდან 25 ან 30 წლამდე. ასაკი, რა თქმა უნდა, არაპირდაპირი საზომია: „ახალგაზრდობის“ კონცეფცია ასევე განისაზღვრება სტატუსით, განსაკუთრებით ავტონომიურობის, დამოუკიდებლობის და გადაწყვეტილებათა მიღების თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა კი ფორმალურად განსაზღვრულია გაეროს კონვენციის მიერ ბავშვთა უფლებების შესახებ, როგორც პირები 18 წლამდე ასაკით, ბავშვები ამჟამად უფრო ავტონომიური გახდნენ მცირე ასაკში, გარკვეული სახით (ეს „გარკვეული სახით“ არ დაგვაიწყდეს). ამავე დროს, „ახალგაზრდა“ ხშირად არ აღწევს სრული მოწიფულობის სტატუსს (კვლავაც, გარკვეული სახით, როგორც მინიმუმ), როცა უკვე შესულია კლასიკურად და ქრონოლოგიურად განსაზღვრულ მოწიფულ ასაკში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდები ხშირად რჩებიან განათლებაში ბევრად უფრო დიდი ხნით. ამ მიზეზის გამო, ახალგაზრდა მოწიფული ასაკის ადამიანები მოიხსენიება, როგორც „კვაზიმოქალაქეები“ (იხილეთ Jones and Wallace 1992), and Williamson (1985). როგორც ახალგაზრდობის საქმეების მუშაკმა აღნიშნა, ახალგაზრდები „ვერ გამოდიან თინეიჯერობიდან“. ამგვარი მუშაკები იმდენად იყვნენ დაკავებული „მოწიფულობის მწვავე პრობლემებით“, რომ ვერ ამჩნევდნენ მოახლოებულ „ახალგაზრდა მოწიფულობის ქრონიკულ კრიზისს“.

სწორედ ამ სიტუაციამ მიიყვანა სოციოლოგები იმასთან, რომ განეხილათ მოწიფულობაში გადასვლის რამდენიმე გზა, არა მხოლოდ უბრალო ტრანზიცია სკოლის მერხიდან სამუშაო ადგილამდე. გარდა ეკონომიკური ტრანზიციისა, ასევე არის საცხოვრებელთან დაკავშირებული ტრანზიცია, რადგან ახალგაზრდები გადადიან დამოკიდებულებიდან დამოუკიდებელ ცხოვრებაში, და საოჯახო ტრანზიცია, როდესაც ახალგაზრდები გადადიან მშობლიური ოჯახიდან დანიშნულების ოჯახში. ასევე შეიძლება იყოს თანაბრად მნიშვნელოვანი, მაგრამ შესაძლოა ნაკლებად ჩვეულებრივი ტრანზიციები ზოგიერთი ახალგაზრდისთვის. მაგრამ მაშინ, როცა წარსულში ეს ტრანზიციები თანმიმდევრობით ხორციელდებოდა (მუშაობა, ბინის შეძენა, ოჯახი), ამჟამად ისინი ბევრად უფრო რთულია თავიანთ ურთიერთდამოკიდებულებებში, როგორც ერთმანეთთან, ასევე დროსთან (იხილეთ Furlong and Cartmel 1997). სწორედ ეს სირთულე აიძულებს მკვლევრებს სიფრთხილე გამოიჩინონ, როდესაც საუბრობენ „ახალგაზრდობაზე“ და ცდილობენ გაიგონ მასთან დაკავშირებული გარემოებები, რომ წვლილი შეიტანონ ახალგაზრდობის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. ჩვენ შეიძლება დავიღალეთ ერთი და იმავე მანტრის მოსმენით, რომ „ახალგაზრდობა“ არ არის ერთგვაროვანი ჯგუფი, მაგრამ ეს მაინც სიმართლედ რჩება. ასაკობრივი ჯგუფების, განათლების ან დასაქმების სტატუსის, ცხოვრების პირობების,

პასუხისმგებლობის დონის, გეოგრაფიული მდებარეობის, უნარების და მათი შეზღუდულობის, და მრავალი სხვა კრიტერიუმებით, ისევე როგორც ჩვეულებრივი კლასიკური დიფერენციაციით სოციალური კლასის, ეთნიკურობის და გენდერის მიხედვით, „ახალგაზრდობა“ მოიცავს მრავალ მახასიათებელს და გამოცდილებას. ჩვენ ერთად ვაჯგუფებთ „ახალგაზრდობას“ გარკვეული რისკის გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, ამ მნიშვნელოვანი გაფრთხილებით, ჩვენ კვლავ უნდა განვიხილოთ ახალგაზრდობა, როგორც კატეგორია, ჩვენ მიერ „ახალგაზრდობის პოლიტიკის“ იდეის დაცვის დროს.

თუმცა, არსებობს მრავალი სხვადასხვა გზა, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ „მტკიცებულება“ ახალგაზრდა ადამიანების შესახებ, რომ განვსაზღვროთ ახალგაზრდობის პოლიტიკის მომავალი და შემდგომი განვითარება. ქვემოთ განხილულია შეკითხვების შვიდი ნაკრები, რომელთაგან თითოეული იძლევა განსხვავებულ პასუხებს და მნიშვნელობებს ახალგაზრდობის პოლიტიკისთვის.

ტენდენციები დროში

ერთ-ერთი ამომავალი წერტილი ახალგაზრდობის პოლიტიკის მიმართ მზაობის განახლებისთვის არის ტენდენციების განხილვა ახალგაზრდების ცხოვრებისეულ გარემოებებში და ცხოვრების სტილში დროთა განმავლობაში. თუმცა, მეთოდოლოგია ამგვარი ტენდენციების განსაზღვრისთვის შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. ორი მათგანი არის ყველაზე მნიშვნელოვანი. პირველ რიგში, არსებობს შედარებები ახალგაზრდების სხვადასხვა კოჰორტებს შორის, მათი ცხოვრების ერთსა და იმავე მომენტებში და ერთი და იგივე „კლასიფიკაციის“ მახასიათებლებით (ჩვეულებრივ, სოციალური კლასი, ეთნიკური წარმოშობა ან გენდერი, მაგრამ ასევე გეოგრაფია ან უნარშეზღუდულობა, ან თუნდაც ნასამართლეობის ისტორია ან სწავლის გარემოებები), მაგრამ დროის სხვადასხვა მომენტებში. ეს საშუალებას იძლევა გამოჩნდეს თაობათა შორის კონტრასტები ისეთ საკითხებში, როგორიც არის სკოლის დატოვება, საგანმანათლებლო კლასიფიკაციები, სოციალური გამორიცხვის დონეები, საცხოვრისის ფლობა, ოჯახის შექმნა ან დასაქმების სტაბილურობა. ამგვარი ანალიზი ხარჯიანია და იძლევა „ფართო ფუნჯის“ დასკვნებს გრძელვადიანი ცვლილებების შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვთ ახალგაზრდების ცხოვრებაში და, შესაბამისად, იმ სფეროებში, სადაც უფრო მეტი მხარდაჭერა და პოზიტიური ჩარევა (ან სანქციები და რეგულაცია) შეიძლება ახლა საჭირო იყოს. მაგალითად, ახლახან მოხსენებული იყო, რომ გაერთიანებულ სამეფოში ოთხიდან მხოლოდ ერთი „საშუალო შემოსავლის მილენიალი“ ფლობს მის საკუთარ სახლს, მაშინ როცა 20 წლის წინ, სახლების ფლობის დონე ამ ჯგუფში იყო 65%. წვდომა (ხელმისაწვდომ) საცხოვრისზე და მისი მნიშვნელობა გამოყენებადი შემოსავლისთვის, პროფესიული მისწრაფებებისთვის და ოჯახის შექმნისთვის წარმოადგენს ახალგაზრდობის პოლიტიკის დიდ გამოწვევას ახალგაზრდების თანამედროვე კოჰორტისთვის. მეორეც, არსებობს მონაცემები, რომლებიც მიღებულია იმავე ახალგაზრდების კვლევიდან დროთა განმავლობაში. ეს მონაცემები ძლიერ მტკიცებულებას იძლევა ადრეული მოვლენების უფრო გრძელვადიანი შედეგების შესახებ, მიუთითებს რა შესაძლო ურთიერთობებზე (არა რკინისებრ კანონებზე). ამის შემდეგ ადამიანმა შეიძლება იფიქროს პოლიტიკის შესაბამის ღონისძიებებზე სიცოცხლის განმავლობაში, რომ, შესაძლოა, გაძლიერდეს ბავშვობის გამოცდილება ახალგაზრდა მოწიფულობის პერსპექტივების გაუმჯობესებისთვის, ან რომ გაძლიერდეს ახალგაზრდობის პოლიტიკის ინიციატივები პერსპექტივების გაუმჯობესებისთვის მოწიფულობაში და ხანში შესულ ასაკში. გარდა მრავალი მეთოდოლოგიური გამოწვევისა ამ მიდგომის ფარგლებში (მათგან არც ისე უმნიშვნელოა შესამჩნევი დადლილობა, რადგან სულ უფრო ნაკლები რესპონდენტი არის გამოკითხვაში), მისი მთავარი სისუსტე არის დაყოვნება დროში: პოლიტიკის შესახებ დებატს განსაზღვრავს მონაცემები, რომლებიც უკვე მნიშვნელოვნად მოძველებულია. მაგალითად, ბრიტანელმა მინისტრმა 1998 წელს განაცხადა, იმ დროს გამოქვეყნებული მონაცემების შესახებ მოხსენებისას, რომ „უკეთესია სახლში დარჩენა და ტელევიზორის ყურება, ვიდრე ახალგაზრდულ კლუბში წასვლა“. ის ემყარებოდა ცხოვრების განმავლობაში მიღებული შედეგების ანალიზს 1970 წელს დაბადებულთა

კოჰორტის კვლევიდან, რომელმაც აჩვენა მტკიცებულება, რომ 26 წლის ასაკში უფრო ცუდი შედეგები იყო მათთვის, ვინც ახალგაზრდულ კლუბებში დადიოდა 16 წლის ასაკში (ანუ 10 წლით ადრე და, მოხსენებული მონაცემების უტყუარობის მაღალი ხარისხის პირობებში, ნავარაუდევია იყო, რომ ახალგაზრდებთან მუშაობის ხარისხი არ შეცვლილა ჩარევის წლების განმავლობაში).

მთელი თაობების მანძილზე

თუმცა, არის შედარებების სხვა ნაკრები, რომლებიც შეიძლება გაკეთდეს ახალგაზრდების „სოციალურ პირობებთან“ დაკავშირებით, ანუ არა მათ წინამორბედებთან, და არა თავად მათთან მათი ცხოვრების უფრო ადრეულ ეტაპზე, არამედ სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან, ანუ ჩვენთან, ახლა. შეიცვალა თუ არა „მოლაპარაკების პირობები“, „ჩართულობის წესები“ ან „თაობის კონტრაქტი“ მნიშვნელოვნად ბოლო ორი ან სამი ათწლეულის განმავლობაში? ჩვენ უნდა განვიხილოთ ეს შეკითხვა, რადგან ის დაესმის ყველა ახალგაზრდას, არა მხოლოდ მათ, ვინც უფრო არახელსაყრელ გარემოებებში იმყოფება. მაგრამ ის უკიდურესად რთულია საკვლევად და საპასუხოდ. შეკითხვის ხასიათის უფრო მეტად დაზუსტება პრობლემატურია. ვსაუბრობთ ჩვენ რესურსების წილზე, რომელიც გამოყოფილია ახალგაზრდებისთვის, თუ შესაძლებლობების ტიპზე თუ გამოცდილების ხარისხზე? რა შეიძლება ითქვას ამ რესურსების განაწილებაზე, არის თუ არა ეს ინვესტიცია პოზიტიურ შესაძლებლობებში თუ უფრო მეტად არის შეკავება და კონტროლი, და არის თუ არა ისინი განაწილებული საორგანიზაციო და პროფესიონალური მხარდაჭერისთვის თუ უფრო პირდაპირ ახალგაზრდებისთვის, ხელფასების, სარგებლის და გრანტების სახით? რამდენად გადაწონის მოგება პოლიტიკის ერთ სფეროში წაგებას მეორე სფეროში? „საბალანსო უწყისის“ ეს ცნება შეიძლება ძნელი გასაგები იყოს და დასკვნები მისგან რთულად მისაღები, მაგრამ ამ მიზეზის გამო არც ის უნდა გადავდოთ გვერდზე. შეიძლება იყოს „სამეცნიერო“ მტკიცებულებების გარკვეული ნაკლებობა, მაგრამ არგუმენტები დამაჯერებელია: მაშინ როცა ახალგაზრდებს დღევანდელ ევროპაში აქვთ მშვიდობა და უსაფრთხოება, ტექნოლოგია, განათლება, დემოკრატია, მობილობა და შესაძლებლობების უფრო ფართო არჩევანი, ისინი ასევე დგანან პროფესიული უსაფრთხოების ნაკლებობის, უმუშევრობის, შემცირების პროცესში მყოფი სამოქალაქო სივრცის, პოპულიზმის, ფსიქიკური ჯანმრთელობის გახშირებული პრობლემების, სოციალურ მედიაში არსებული საფრთხეების და დამაბრკოლებელი კლიმატური კრიზისის წინაშე. ახალგაზრდობის პოლიტიკამ, სავარაუდოდ, უნდა მოახდინოს თაობათა შორის უთანასწორობების ხელახალი დაბალანსება.

თავად ახალგაზრდებს შორის - დამსხვრეული ტრანზიციები

შეკითხვების მესამე ნაკრები, რომელიც ხშირად უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდობის პოლიტიკის განხილვებში, არაპირდაპირ ეყრდნობა ზოგიერთ მტკიცებულებას, რომელიც ხელმისაწვდომია სხვა მეთოდოლოგიებიდან, მაგრამ ფოკუსირებას ახდენს უფრო კონკრეტულ საკითხებზე, რომლებიც გამომდინარეობს ახალგაზრდების ტრანზიციების გახანგრძლივებიდან და გართულებიდან. უკვე მთელი თაობის განმავლობაში, ახალგაზრდობის კვლევების სპეციალისტები მსჯელობენ „დამსხვრეულ“ ტრანზიციებზე და იმაზე, თუ როგორ გახდნენ ისინი გახანგრძლივებული, შექცევადი, შეიძინეს სხვადასხვა განზომილება (სკოლიდან სამუშაომდე, თავდაპირველი ოჯახიდან დანიშნულების ოჯახამდე, დამოკიდებული ცხოვრებიდან დამოუკიდებლამდე, და შესაძლებელია, უფრო „ქუჩის კულტურის“ ტრანზიცია თავისუფალი დროის დევიაციიდან უფრო მეტად „გათავისებული“ კრიმინალისკენ ეკონომიკური გადარჩენისთვის) და ხასიათდებიან ერთდროულად როგორც მეტი შესაძლებლობებით, ასევე მეტი რისკით (Furlong and Cartmel 1997). ახალგაზრდები ერთსა და იმავე დროს არიან უფრო მეტად ავტონომიური და მოწყვლადი, როდესაც ავტონომიურობა და მოწყვლადობა მუშაობს სხვადასხვა გზით ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფებისთვის. მეცნიერები ცდილობენ აღწერონ და გააანალიზონ „ტრაექტორიები“, „ნავიგაციები“, „ნიშები“ და „ბილიკები“ (Evans

and Furlong 1997), რომლებიც ამჟამად ასახავენ ახალგაზრდების ტრანზიციებს, და ახალგაზრდობის პოლიტიკა მიისწრაფის, სხვადასხვა გზებით, გააძლიეროს პოზიტიური მიდგომები მომავლის მიმართ ამ სულ უფრო გახანგრძლივებული პერიოდის განმავლობაში.

ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფებს შორის

შეკითხვების მეოთხე ჯგუფი, რომლისთვისაც მტკიცებულება საჭიროა, ეხება მზარდ ნაპრაღს გამოცდილებაში, შესაძლებლობებში და შედეგებში ახალგაზრდა ადამიანების სხვადასხვა ჯგუფებისთვის,

– რასაც ჯილ ჯონსმა (2002) უწოდა „ახალგაზრდობის დაყოფა“. გაფართოვდა ეს ნაპრაღი მათ შორის, ვინც წარმატებას მიაღწია და ვინც არა? შესაძლებელია ახალგაზრდათა იმ ჯგუფების იდენტიფიცირება, ვინც მუდმივად სოციალურად გამორიცხული გახდა უკეთესი შესაძლებლობებიდან, მათი ცხოვრების კრიტიკულ ეტაპებზე განცდილი მარცხის გამო (ნაწილობრივ იმიტომ, რომ მზარდაკერა არ ჰქონდათ)? რამდენად განსხვავებულად მოქმედებს არჩევანის და შესაძლებლობების გაზრდილი მრავალფეროვნება - რომელიც თავისთავად გამიზნული პოლიტიკის შედეგია ნაწილობრივ, ისევე როგორც უფრო ფართო ეკონომიკური და სოციალური ცვლილებისა - ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფებზე, როდესაც უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდები უფრო მეტ სარგებელს იღებენ და საპირისპირო არის ძალაში მათთვის, ვინც ნაკლები შესაძლებლობით იწყებს (ცნობილი „მათეს ეფექტი“). ეს ქმნის პოლიტიკის მიმართ შეკითხვებს არჩევანის და იძულების შესახებ: თუ ზოგიერთი ჩარევა ითვლება ფასეულად და მნიშვნელოვნად ახალგაზრდებისთვის, უნდა ვაიძულოთ თუ არა ახალგაზრდები მიიღონ მასში მონაწილეობა? კურტ ჰანმა თქვა, რომ სოციალური პასუხისმგებლობის მოხსნა არ „ვაიძულოთ ახალგაზრდები მიიღონ ახალი გამოცდილება“ (იხილეთ Hogan 2002). ამ მიდგომის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების „სოციალური პირობების ანალიზს“, უნდა განვიხილოთ ტრადიციული უთანასწორობების მუდმივი ზემოქმედება, რომელიც განსაზღვრულია ისეთი ფაქტორებით, როგორიც არის სოციალური კლასი, გენდერი ან ეთნიკური წარმომადგენლობა, უფრო თანამედროვე რისკებთან ერთად, როგორიც არის გარემოს დაბინძურება ან მრეწველობის მოულოდნელი კოლაფსი, რასაც შეიძლება ჰქონდეს უეცარი და მოულოდნელი ეფექტი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ჯგუფების ან ინდივიდების ცხოვრებისეულ შანსებზე (იხილეთ Beck 1992). მაშინ როცა ამჟამად უფრო მეტი არჩევანი და შესაძლებლობაა, ისევე როგორც ორმოები და რისკები, ბევრი არ არის ცნობილი მათი შედეგების შესახებ. თუმცა საზოგადოებები შეიძლება გახდეს უფრო „ინდივიდუალიზებული“, სადაც ახალგაზრდები სულ უფრო მეტად განსაზღვრავენ თავიანთ საკუთარ „არჩეულ ბიოგრაფიებს“, ჩვენ ვიცით, რომ ის, რაც ერთ დროს ხანდახან განიხილებოდა, როგორც „კეთილი უგულებელყოფა“ (ასევე ეწოდებოდა „გონივრული ჩაურევლობა“,

– რომელიც ამჯობინებდა მიდგომას „თავი დავანებოთ ბავშვებს“, ახალგაზრდული პოლიტიკით ჩარევის გარეშე, რომელსაც შეიძლება სტიგმატიზაციის და იარლიყების მიწებების ეფექტი ჰქონდეს), დღეს უფრო მეტად გადაიქცა „ბოროტ გულგრილობად“ (Drakeford and Williamson 1998); თუ არაფერს გავაკეთებთ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც გაზრდილი რისკის ქვეშ არიან, მათი პერსპექტივა, რომ გახდნენ გამოთიშული დროთა განმავლობაში და „იარებით დაფარული“ მომავალი ცხოვრებისთვის, მკვეთრად გაიზრდება.

გეოგრაფიული და ისტორიული ფაქტორების განხილვა

კვლევამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ადგილმდებარეობის მნიშვნელობა. რა სხვა დაყოფები და თანასწორობებიც არ უნდა იყოს გაბატონებული, ჩვენ ვიცით სერიოზული სოციალური და

ეკონომიკური პოლარიზაციის შესახებ არა მხოლოდ ევროპულ ქვეყნებს შორის, არამედ მათ შიგნითაც, და არა მხოლოდ სოფლის და ქალაქის რეგიონებს შორის, არამედ ქალაქებშიც, როდესაც სოციალურად არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა კონცენტრირებულია გარკვეულ გარეუბნებში. ასევე არის მკვეთრი რეგიონული უთანაბრობები, რომელთაგან ზოგი თანამედროვე ეროვნულ საზღვრებს სცდება. და ხანდახან ისტორიული მემკვიდრეობა, კერძოდ, კულტურის, პოლიტიკის რელიგიის საშუალებით, ასევე ზემოქმედებს ამ გეოგრაფიულ ლანდშაფტზე. ეს ყველაფერი სხვადასხვა გზით გავლენას ახდენს ცხოვრების შანსებზე ზოგადად და უფრო კონკრეტულ საკითხებზე, როგორც არის წვდომა განათლებასთან, დასაქმება, დასვენება და საცხოვრისის პრობლემა, და განათლების, იდენტობის და მოქალაქეობის ხასიათი. ის, თუ სად ცხოვრობენ ადამიანები, რა თქმა უნდა, მიგრაციის ძლიერი ფაქტორია, ქვეყნებს შორის და სოფლიდან ქალაქში. და თუმცა ნამდვილად არსებობს შედეგები პოლიტიკისთვის, გამოწვეული ამ „გეოგრაფიული“ მტკიცებულებით, ისინი არანაირად არ არის ცხადი: არის ალტერნატივების მთელი სპექტრი, დაწყებული შესაძლებლობების გაძლიერებით „სახლში“, დამთავრებული გაუმჯობესებული შესაძლებლობით და სერვისებით დანიშნულების ადგილებში.

ახალგაზრდების თვალთახედვა

ასევე არის „მტკიცებულება“ თავად ახალგაზრდებისგან, კერძოდ, მათი საკუთარი შეხედულებები და დამოკიდებულება მრავალი საკითხის მიმართ, რომელიც ზემოთ იყო ნახსენები, მათი საკუთარი გამოცდილების და მოლოდინების საფუძველზე. გარდა ამისა, საზოგადოებებს, განსაკუთრებით მათ, სადაც მოსახლეობა დაბერების პროცესშია, გაზრდილი მოლოდინები აქვთ ახალგაზრდებისგან, როგორც ოჯახებს, სადაც ნაკლები ბავშვია. ახალგაზრდების ხმა ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ დებატებში ნამდვილად გაიზარდა წარმომადგენლობის, მონაწილეობის და ჩართულობის გაუმჯობესებული სტრუქტურების საშუალებით, მაგრამ ჩვენ მაინც მეტი უნდა ვიცოდეთ იმის შესახებ, თუ რა განსაზღვრავს მათეულ იდენტობის გაგებას, და იმ მნიშვნელობის შესახებ, რომელსაც ისინი ანიჭებენ პოლიტიკის კონტექსტს, რომელიც მოქმედებს მათ ცხოვრებაზე.

მაგალითად, 2003 წლიდან ირლანდიაში, ბავშვთა და ახალგაზრდათა საქმეების დეპარტამენტის (DCYA) მონაწილეობის განყოფილება თანამშრომლობს სამთავრობო დეპარტამენტებთან და სახელმწიფო სააგენტოებთან კონსულტაციების, გამოკითხვების და დიალოგების ჩატარებით ბავშვებთან და ახალგაზრდებთან პოლიტიკის, პრაქტიკის და საკანონმდებლო ინიციატივების ფართო სპექტრზე. 2017 წელს DCYA-მ დააფუძნა „Hub na nÓg“, წარჩინების და კოორდინაციის ეროვნული ცენტრი, რომელიც მხარს უჭერს სამთავრობო დეპარტამენტებს, სახელმწიფო სააგენტოებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის ხმის მიცემაში გადაწყვეტილებების მიღებისას საკითხებზე, რომლებიც მოქმედებს მათ ცხოვრებაზე, განსაკუთრებული ფოკუსირებით მათზე, რომლებიც იშვიათად გვეხვები. DCYA მოამზადა Hub-ის დაფუძნება „გადაწყვეტილების მიღებაში ბავშვების და ახალგაზრდების მონაწილეობის ეროვნული სტრატეგიის 2015-2020“ მხარდასაჭერად (მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ <https://hubnanog.ie/consultations/>).

ახალგაზრდების ცხოვრების განმსაზღვრელი გარემო და საკითხები

და ბოლოს, არსებობს ასევე „მტკიცებულება“, რომელიც გამომდინარეობს ახალგაზრდების ცხოვრების სპეციალური კონტექსტების უფრო ღრმა გაგებიდან და საკითხებიდან, რომლებიც დაკავშირებულია ამ

კონტექსტებთან. პოლიტიკის მიზნებისთვის ჩვენ შეიძლება გვსურდეს მეტი ვიცოდეთ მიღებული განათლების და მოსწრების ნაკლებობის შესახებ, ისეთი ფაქტორების განხილვით, როგორიც არის დასწრება და მხარდაჭერა. ჩვენ შეიძლება გვსურდეს გამოვიკვლიოთ ახალგაზრდების დასვენება და ცხოვრების სტილი, რომ განვიხილოთ ხელმისაწვდომი „ვარიანტები“, დაწყებული ახალგაზრდული ჯგუფებით და სპორტული კლუბებით და დამთავრებული კომერციული ობიექტებით და თვითორგანიზებული აქტივობებით, რომელთაგან ბოლო შეიძლება მოიცავდეს ფართო სპექტრს, მოხალისეობის მუშაობიდან ნარკოტიკების მოხმარებამდე. მართლაც, რაც შეეხება მოხალისეობის კონკრეტულ საკითხს, ჩვენ შეიძლება დაგვიჩრდეს გამოვიკვლიოთ, თუ რატომ ხდება ზოგი ახალგაზრდა მონდომებული მოხალისე მთელ რიგ ფრონტებზე, ხოლო სხვები ძალზე მცირედ მუშაობენ ამ მხრივ ან სულ არ აქტიურობენ. ან ჩვენ შეიძლება ვცადოთ გავიგოთ ურთიერთობა ღამის ეკონომიკას, ალკოჰოლის მოხმარებას და დანის გამოყენებით ჩადენილ დანაშაულებს შორის, რომ განვსაზღვროთ პოლიტიკა, რომელიც ქმნის უფრო უსაფრთხო გარემოს.

დასკვნა

ეს სახელმძღვანელო არ ეხება კვლევის მეთოდებს. უბრალოდ საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ „მტკიცებულების“ შეგროვება ზემოთ ნახსენები ნებისმიერი მიზეზით უცვლელად არის დამოკიდებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების კომბინაციაზე. რაოდენობრივი მეთოდები უფრო სასურველია გამოცდილებების და კავშირების დასადგენად, და იმის ასახსნელად, თუ რა ხდება ან რა მოხდა. ხარისხობრივ მეთოდებს უკეთ შეუძლიათ გააშუქონ, თუ რატომ და როგორ ჰქონდა ადგილი ამ გამოცდილებებს და კავშირებს. კვლევითი მეთოდები მუდმივად ვითარდება, იქნება ეს გამოკითხვების თუ ინტერვიუების, დაკვირვების ან მონაწილეობის გამოყენებით, ან უფრო ინოვაციური მიდგომების, როგორიც არის ფოტოების საშუალებით ელიციტირება. კვლევისთვის ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები ასევე უფრო რთული ხდება, ძირითადად ტექნოლოგიის განვითარების შედეგად. მკვლევრები აღარ არიან დამოკიდებული მხოლოდ ქაღალდზე ან აუდიო ჩამწერზე. რაც არ შეცვლილა, ეს არის სხვადასხვა მეთოდოლოგიების სანდოობა. ზოგიერთი მიდგომა მტკიცებულებების მოპოვებისთვის ითვლება უფრო მყარად, ვიდრე სხვები; მაგრამ ყოველთვის მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ თუმცა „დასკვნების“ გამოტანა შეიძლება ოქროს სტანდარტი იყოს, როგორც სამეცნიერო ნიშნული, მაგრამ სინათლის მოფენა კონკრეტულ საკითხზე და მის ურთიერთობაზე ახალგაზრდების ცხოვრების სხვა ასპექტებთან შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს წვლილის შეტანის მხრივ ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ დებატებში.

დასკვნის სახით, ადვილია „მტკიცებულების“ საჭიროების დაჯერება, რომელზეც უნდა დაეფუძნოს ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარება, მაგრამ თუ ცოტა უფრო ღრმად ჩავიხედავთ ამ რწმენაში, ნათელი გახდება, რომ არსებობს მტკიცებულებების მრავალი ფორმა, რომლებიც შეიძლება მოხმობილ იქნეს სხვადასხვა მიზეზებით. ერთ-ერთი ამგვარი მიზეზი, როგორც Coles (2000) ამტკიცებდა, არის პოლიტიკური კომფორტი და მიზანშეწონილობა: მრავალი მტკიცებულება არსებობს, საიდანაც შეიძლება ამორჩევა, და ნაცვლად იმისა, რომ თავი იტყვონ ხანდახან კონკურენტ მტკიცებულებებზე ან ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაციებზე, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებნი ამჯობინებენ აირჩიონ მხოლოდ ის მტკიცებულება, რომელიც მხარს უჭერს მათ პოლიტიკას. როგორც მინიმუმ, ამის ცოდნა შეიძლება დაგვეხმაროს იმაზე ფიქრში, თუ რატომ იქნა კონკრეტული მტკიცებულება არჩეული ახალგაზრდობის პოლიტიკის კონკრეტული ინიციატივის მხარდასაჭერად.

გარდა ამისა, არის პრობლემური საკითხი, რომელიც ეხება ურთიერთობას მკვლევრებსა და გადაწყვეტილებების მიმღებებს შორის პოლიტიკაში. ორივე მხარე შეიძლება თავს იკავებდეს დიალოგში ჩართვისგან და, როგორც წესი, ისინი სხვადასხვა ქსელებში ბინადრობენ. ამ დიალოგის გაძლიერება და ამ ქსელების დაკავშირება ახალგაზრდობის სექტორის კონკრეტულ მისიას

წარმოადგენს (იხილეთ Milmeister and Williamson 2006), თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება პლატფორმების დაფუძნება და შენარჩუნება გაცვლისთვის, მათ შორის იმიტომ, რომ მკვლევრები შეიძლება (სხვადასხვა მიზეზის გამო) გაურბოდნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებთან ზედმეტად დაახლოებას, ხოლო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი მუდმივად იტოვებს უფლებას აირჩიოს და ინტერპრეტაცია მოახდინოს კვლევითი „ცოდნისა“ ისე, როგორც მას აწყობს. ამგვარად, დამაბულობა ყოველთვის იქნება, მაგრამ ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარება და ევოლუცია უდავოდ სარგებელს მიიღებს აზრთა გაზიარების მიმართ უფრო მეტი მზადყოფნისგან.

შეკითხვები განსჯისთვის

რა სახის მტკიცებულება გამოიყენება თქვენი ახალგაზრდობის პოლიტიკის განსაზღვრისთვის?

როგორ ხდება მისი შეგროვება, ვის მიერ, და რამდენად ღიაა პროცესი მონაწილეობის თვალსაზრისით? ვინ წყვეტს, რომელი მტკიცებულებაა საჭირო?

რამდენად წარმომადგენლობითი, დაბალანსებული და ფოკუსირებულია მტკიცებულება ახალგაზრდა ადამიანების სხვადასხვა ჯგუფებზე?

არიან ახალგაზრდები „პოლიტიკის

განმსაზღვრელების“ ნაწილი? როგორ ხდება

კვლევის დამოუკიდებლობის

უზრუნველყოფა?

არის თუ არა „მტკიცებულებათა საფუძველი“ ის პრინციპი, რომელიც შეტანილია თქვენი ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტებში?

როგორ უზრუნველყოფთ მტკიცებულებათა განახლებას, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილებათა მიღებაში?

რა არის მექანიზმები/ინსტრუმენტები მტკიცებულებისთვის, რომ გავლენა მოახდინოს და განსაზღვროს ახალგაზრდობის პოლიტიკა სხვადასხვა ეტაპზე?

რომელ პლატფორმებზე ხვდებიან და თანამშრომლობენ პოლიტიკის მკეთებლები და მკვლევრები?

თავი 4

ახალგაზრდობის პოლიტიკის "საათი": ახალგაზრდობის პოლიტიკის გატარება

შესავალი

ახალგაზრდობის პოლიტიკა, რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ვითარდება. მაგრამ ახალგაზრდობის პოლიტიკის სხვადასხვა განზომილება ვითარდება დროის სრულიად სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში, რაც დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მაგრამ ყველაზე მეტად პოლიტიკური ლიდერობის სიმღიერზე და სიღრმეზე. როდესაც წამყვანი პოლიტიკოსები, ნებისმიერ დონეზე, თანხმდებიან, რომ „რაც უნდა მოხდეს“, ეს მართლაც ხდება, როგორც წესი, თუმცა შეიძლება არც იყოს დამყარებული მყარ მტკიცებულებებზე, არ იყოს გამოყოფილი სათანადო ბიუჯეტი ან არ იყოს მხარდაჭერილი პროფესიონალური წრეების მიერ.

2005 წლის მაისში, ვარშავაში, ოფიციალური პირები შეცდომაში იყვნენ შეყვანილი, როდესაც ევროპის კავშირის გენერალურმა მდივანმა ტერი დევისმა გამოაცხადა მეორე კამპანია სახელწოდებით „ყველა განსხვავებულია - ყველა თანაბარია“. ბიუჯეტი არ იყო გამოყოფილი და ის არ იყო სამუშაო გეგმის ნაწილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც გაგრძელდა ერთი წლის განმავლობაში 2006 და 2007 წლებს შორის. მსგავსად ამისა, 2016 წლის სექტემბერში ევროპის კომისიის პრეზიდენტმა იუნკერმა, მის მიმართვაში „კავშირის მიმართ“ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებს ევროპას უმუშევარი ახალგაზრდებით და გამოაცხადა ევროპული სოლიდარობის კორპუსის შესახებ, რომელსაც ეყოლებოდა 100 000 მონაწილე 2020 წლის ბოლოსთვის. „სამიზნე“ მიღწეულ იქნა, თუმცა სტატისტიკის გარკვეული მოხერხებული მანიპულაციით იმისთვის, რომ შეტანილი ყოფილიყო ევროპის მოხალისეთა სერვისის პროგრამის არსებული მონაწილეები (რომელიც ამჟამად გაუქმებულია ევროპის სოლიდარობის კორპუსის სასარგებლოდ) და ზოგიერთი ერთობ მოქნილი ინტერპრეტაციით იმის შესახებ, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო შეტანილი! ორივე შემთხვევაში, პოლიტიკური მიზანი მიწოდებული იყო, თუმცა ორივე ინიციატივას სჭირდებოდა კრეატიული სტრატეგია და საბიუჯეტო გააზრება, რომ ხედვა რეალურად განხორციელებულიყო.

1997 წელს გაერთიანებულ სამეფოში პრემიერ-მინისტრმა გამოაცხადა „ახალი შეთანხმება“ ახალგაზრდობისთვის, ლეიბორისტული პარტიის საარჩევნო მანიფესტის შესასრულებლად, რომ გადაეყვანა 18-24 წლის 250 000 უმუშევარი სოციალური დახმარებიდან სამუშაოზე. ამ შემთხვევაში, დიდი რესურსები იქნა გამოყოფილი შესასრულებლად, მაგრამ პრემიერ-მინისტრს სურდა პროგრესის შესახებ ანგარიშის მიღება ყოველ კვირაში. ეს რთული ლოგისტიკური გამოწვევა იყო, მაგრამ ძალზე უხვი ბიუჯეტი, მიწოდების მოქნილ სისტემასთან ერთად, ნიშნავდა, რომ ყველაფერი მზად იყო მისი ეროვნულ დონეზე გაშვებისთვის 1998 წლის იანვარში, სულ რაღაც ხუთი თვის შემდეგ, რაც ხალხმა მასზე მუშაობა დაიწყო. ახალგაზრდობის პოლიტიკა შეიძლება შემუშავდეს და დაინერგოს ძალზე სწრაფად, როდესაც მაღალი რანგის პოლიტიკური ლიდერობა ძვეს მის საფუძველში.


და პირიქით, თუნდაც იყოს მყარი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ კონკრეტული განვითარების საჭიროებაზე, და მათ ასევე მხარს უჭერს პროფესიონალური წრეები, როდესაც

პოლიტიკის ინიციატივისთვის მცირე პოლიტიკური მხარდაჭერა არსებობს ან საერთოდ არ არის, და ბიუჯეტი არასაკმარისია კოორდინირებული პოლიტიკის წარმართვისთვის, მაშინ ახალგაზრდობის პოლიტიკის ეს განზომილება, სავარაუდოდ, გადადებული იქნება.

ახალგაზრდობის პოლიტიკის "საათი"

ის, რომ სხვადასხვა დრო სჭირდება ახალგაზრდობის პოლიტიკის დაფუძნებას, თუმცა თეორიულად ნათელია, ემპირიულად დადასტურდა ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პოლიტიკის საერთაშორისო მიმოხილვების დროს. მსჯელობამ და ანალიზმა პირველი შვიდი მიმოხილვიდან (1997-2001) მყარად დაადასტურა, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკის სხვადასხვა ელემენტი არა მხოლოდ განვითარდა სხვადასხვა სიჩქარით, არამედ შეეძლო აჩქარებულიყო ან შენელებულიყო ნებისმიერ დროს. საჭირო იყო იმპულსის შენარჩუნება, სხვა შემთხვევაში ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარება შეიძლება დამუხრუჭებულიყო. არსებობდა თანდაყოლილი დინამიკა ახალგაზრდობის პოლიტიკის ფორმულირების, განხორციელების და გადახედვის შიგნით, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც ციკლი ან „საათი“, როგორც ნაჩვენებია სურათზე 2.

სურათი 2: დინამიკა - ახალგაზრდობის პოლიტიკის „D“-ები (ბურჯები)



წყარო: უილიამსონი 2002 წ.

მნიშვნელოვანია იმის დაფიქსირება და გამეორება, რომ „ახალგაზრდობის პოლიტიკა“ (ან მისი ელემენტები) შეიძლება დაიწყოს ან შეჩერდეს ნებისმიერ წერტილში. ადგილობრივი პროექტები ცნობილი იყო იმით, რომ იწვევდა უფრო ფართო ინტერესს და ხდებოდა შაბლონი ეროვნული და საერთაშორისო ინიციატივებისთვის. კონკრეტული ღონისძიებების პროფესიონალურმა დაცვამ შეიძლება ხანდახან პოლიტიკოსთა გულები მოიგოს. არსებული პრაქტიკისგან სწავლამ შეიძლება შეცვალოს პოლიტიკის შემდგომი ფორმულირების ხასიათის და ფორმატი. მსგავსად ამისა, ცვლილებებმა პოლიტიკურ კლიმატში, საჯარო ადმინისტრირებაში ან პროფესიონალურ გარემოში (როდესაც წინა პლანზე გამოდის სხვა პრიორიტეტები) შეიძლება შეანელოს ახალგაზრდობის

პოლიტიკის განვითარების ტემპი მის ეტაპებზე.

გადაწყვეტილება და განხორციელება

გადაწყვეტი მომენტი ახალგაზრდობის პოლიტიკის ნებისმიერი ციკლისთვის არის პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა პროექტისთვის ან ინიციატივისთვის, რაც გამოიხატება გადაწყვეტილებაში, რომ პოლიტიკის იდეა დაიდრას და განხორციელდეს კიდეც. პოლიტიკური მხარდაჭერის და გადაწყვეტილების უზრუნველყოფა, ისევე როგორც კანონების, დადგენილებების ან ბრძანებულებების შექმნა, ჯერ კიდევ არ იძლევა არაფრის გარანტიას, მაგრამ მის გარეშე ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარება ვერ შედგება.

მიწოდება

ახალგაზრდობის პოლიტიკის მიზნების შექმნა პოლიტიკური დამტკიცების შემდეგ, კანონების, პოლიტიკის, სტრატეგიების და გეგმების საშუალებით, შედარებით ადვილია. ესენი სიტყვებია ქაღალდზე. იმისთვის, რომ ამან რაიმე შედეგი გამოიღოს, უნდა არსებობდეს მექანიზმები, რომლებიც სიტყვებს მოქმედებად აქცევს. ეს მოითხოვს დეცენტრალიზაციას რეგიონული და ადგილობრივი სტრუქტურების საშუალებით, იქნება ეს სამთავრობო თუ არასამთავრობო. ახალგაზრდობის პოლიტიკის მიწოდება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა საშუალებებით.

გარდაუვალად არსებობს შემხვედრი სიძნელეები, რომლებიც ცნობილია, როგორც გაუთვალისწინებელი ან არაპროგნოზირებადი შედეგები, ან „არასწორი ქცევა“, რომელიც გამომდინარეობს ცუდად შედგენილი „სამიზნეებიდან“ ან პოლიტიკის მიზნებიდან. პოლიტიკის ეფექტურობის გაზომვა დაკავებების რაოდენობის საფუძველზე შეიძლება არ იყოს იდეალური გზა, თუ პოლიტიკის ოფიცრები ადვილ გზებს ეძებენ და ახალგაზრდობის დაპატიმრებას იწყებენ ნებისმიერი სამართალდარღვევისთვის – რაც ხანდახან ცნობილია, როგორც „დაბლა დაკიდებული ხილის მოკრეფა“. იქ, სადაც არსებობს რეპუტაციული ან ფინანსური ზეწოლა ორგანიზაციებზე, რომლებსაც ევალებათ მიწოდება, ისინი ბუნებრივად იწყებენ „ადვილი“ სამიზნეების ძებნას. ამას ხანდახან უწოდებენ „ფსტის ეფექტს“, როდესაც კერძო კაკლები გვერდზეა გადადებული.

დებატები

რაც არ უნდა იყოს სიძნელეების მიზეზი ან განმარტება, აშკარად საჭიროა შემდგომი დებატები მათ გადასაჭრელად. ეს მოითხოვს, რომ პრაქტიკოსები და მიმწოდებლები კვლავ გაერთიანდნენ, რაც სათქმელად ადვილია, მაგრამ განსახორციელებლად ხშირად ძნელი. გამჭოლი და „ინტერსექტორული“ ან „ინტერპროფესიონალური“ პრაქტიკა, რიტორიკულ დონეზე, ყოველთვის სასურველია (თანამშრომლობა ზემოთ ნახსენებ „C“-ებში), მაგრამ თითოეულ ჩართულ პროფესიონალურ ჯგუფს მისი საკუთარი განსხვავებული ფასეულობები და ფილოსოფია, პრაქტიკის რეჟიმები და საორგანიზაციო პრიორიტეტები აქვს.

სექტორთაშორისი პრაქტიკა ხშირად ეფუძნება „მყიფე წონასწორობას“ საორგანიზაციო, პროფესიონალურ და პირად ურთიერთობებში (იხილეთ Williamson and Weatherspoon 1985; Williamson 2017).

დებატების ამძრავი ხშირად არის პოლიტიკის შეფასება, თუმცა აქ გარკვეული სიფრთხილე უნდა

გამოვიჩინოთ. ახალგაზრდობის პოლიტიკის შეფასებას შეიძლება ჰქონდეს სრულიად განსხვავებული მნიშვნელობები (იხილეთ Lonean et al. 2019). რა თქმა უნდა, ეს არის მნიშვნელოვანი ამოსავალი წერტილი პოლიტიკის ინიციატივების შესახებ პროფესიონალური დისკუსიისთვის, თუმცა „საათის“ ამ წერტილშიც შეიძლება არსებობდეს წინააღმდეგობები აღებულ მეთოდოლოგიების, პრიორიტეტულ საკითხების და მიღწეული დასკვნების ირგვლივ. ყველაზე საიმედო და პრესტიჟული შეფასებითი კვლევაც კი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად მოწონებულია სპეციალისტთა წრეების მიერ, შეიძლება იგნორირებული, გვერდზე გადადებული ან ჩახშობილი იყოს, როდესაც პოლიტიკა შემდგომ ვითარდება (იხილეთ ქვემოთ), თუ ის არ არის პოლიტიკურად მისაღები და კომფორტული. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდობის სექტორი ჩამორჩება სხვა სფეროებს, რომლებსაც შეფასება უფრო მეტად აღიარებული აქვთ მათ პროცესებში პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას. ეს უზრუნველყოფს პოლიტიკის და პრაქტიკის მეტ გამჭვირვალობას და მათ უკეთეს გაგებას. ახალგაზრდობის პოლიტიკამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს შეფასებას და შედეგების საჯარო განხილვას სათანადო დაინტერესებულ მხარეებთან.

განვითარება

ადრე თუ გვიან, უთანხმოება და განსხვავებები შეხედულებებში გადალახული უნდა იყოს, თუ გვინდა უზრუნველყოთ ახალგაზრდობის პოლიტიკის შემდგომი განვითარება. არც ერთ პოლიტიკოსს არ სურს ჩაერთოს, მით უმეტეს, მხარდაჭერა გამოუცხადოს, ბრძოლაში მყოფ სფეროს (ეს ხშირად გამხდარა გამოწვევა ახალგაზრდობის სექტორის შიგნით). საჭიროა გარკვეული კონსენსუსი, თუ უნდა მოხდეს ახალი მიმართულებების შეთანხმება და დაცვა, განახლებული და გაგრძელებული პოლიტიკური მხარდაჭერის მოლოდინით და იმედით.

ევროპის საბჭოს ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის საერთაშორისო მიმოხილვები, როგორც ახალგაზრდობის პოლიტიკაზე ზეგავლენის ძლიერი ფაქტორი ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის დეპარტამენტის შიგნით, იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი ჩატარდა (1997-2016), თავდაპირველად დაეხმარა ადრეული ჩარჩოების შექმნას „ახალგაზრდობის პოლიტიკის“ იდეის შესახებ ფიქრისთვის ევროპაში (იხილეთ Williamson 2002). ეს თანდათანობით განვითარდა წლების განმავლობაში. მაგრამ ახალგაზრდობის პოლიტიკის კონტექსტები, რომლებიც გამოკვლეული იყო მიმოხილვებში, საბოლოოდ გადატვირთული გახდა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის კომპეტენციის და ძირითადი საქმიანობის ფარგლებს გასცდა. 2017 წელს კარგად ორგანიზებულმა დებატებმა დააზუსტა ახალგაზრდობის პოლიტიკის საკვანძო სფეროები, რომლებშიც, ახალგაზრდობის დეპარტამენტის აზრით, ევროპის საბჭოს უნდა უზრუნველყოფს ახალგაზრდობის პოლიტიკის მხარდაჭერის ღონისძიებები წევრი ქვეყნებისთვის: მონაწილეობა, ინფორმაცია, წვდომა უფლებებზე, სოციალური ჩართულობა, მობილობა და ახალგაზრდებთან მუშაობა. ესენია ახალგაზრდობის პოლიტიკის საკვანძო სფეროები ევროპის კავშირისთვის და, ახალგაზრდობის პოლიტიკის სხვა თემებთან ერთად, შეადგენს ამ სახელმძღვანელოს ყურადღების ცენტრს, როგორც ახალგაზრდობის პოლიტიკის დომინანტური საკითხები ევროპაში.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება გამოგონილად ჟღერდეს, არ არის გონივრულობას მოკლებული, რომ განვიხილოთ ახალგაზრდობის პოლიტიკის ევოლუცია, როგორც ანალოგური საათის მსგავსი - რომელიც წიკწიკებს, სჭირდება დაქოქვა, ხანდახან ჩერდება და ხანდახან კი ჩქარდება. ყველა ფაქტორი

იმავითად გვხვდება ერთად, რომ შექმნას „იდეალური შტორმი“ ახალგაზრდობის პოლიტიკის იმპულსისთვის; უფრო ხშირად სხვადასხვა ფაქტორები, დაწყებული პოლიტიკური ცვლილებიდან დამთავრებული ეკონომიკის ღონისძიებებით, ხელს უშლის განვითარებას. მაგრამ განვითარება, საბოლოოდ მაინც, მიმდინარეობს. ახალგაზრდობის პოლიტიკა თითქმის არ არსებობდა, კონცეფციის სახითაც კი, რამდენიმე ათწლეულის წინ. დღეს ის პოლიტიკური დიალოგის განუყოფელი ნაწილია, მნიშვნელოვანი ეროვნული და ტრანსნაციონალური სტრუქტურებით, როგორც მე-2 და მე-3 ნაწილებში ვაჩვენებთ, და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი რესურსებით, როგორც მე-4 ნაწილშია დოკუმენტირებული. ეს არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარება გარდაუვალია. მან კვლავ უნდა მოიპოვოს არსებობის უფლება, მოიპოვოს თავისი ადგილი და კონკურენცია გაუწიოს სხვა მოთხოვნილებებს რესურსებზე. ეს არ არის ადვილი ამოცანა და ის მოითხოვს ოსტატურ დაბალანსებას, რომელიც მოიცავს როგორც შიდა დებატებს (და გარკვეულ უთანხმოებას), ასევე ძლიერ მხარდაჭერას გარედან, ეფექტური ალიანსების საშუალებით, რასაც შეიძლება ეწოდოს „ახალგაზრდობის პოლიტიკის“ პრაქტიკაში განმახორციელებელი თემი

შეკითხვები განსჯისთვის

შეგიძლიათ გაიხსენოთ ახალგაზრდობის პოლიტიკის ერთი სფერო თქვენს კონტექსტში, რომელიც სწრაფად შეიქმნა?

შეგიძლიათ გაიხსენოთ ახალგაზრდობის პოლიტიკის ერთი სფერო თქვენს კონტექსტში, რომელსაც დიდი დრო დასჭირდა შესაქმნელად?

შეგიძლიათ იმსჯელოთ განსხვავების მიზეზებზე ამ ორს შორის?

საიდან დაიწყო ახალგაზრდობის პოლიტიკის კონკრეტული ასპექტი?

რატომ შეჩერდა ახალგაზრდობის პოლიტიკის კონკრეტული ასპექტი?

რამ შეინარჩუნა იმპულსი ახალგაზრდობის პოლიტიკის

კონკრეტული სფეროებისთვის?

რამ დაამუხრუჭა იმპულსი ახალგაზრდობის პოლიტიკის

კონკრეტული სფეროებისთვის?

დასკვნა I ნაწილისათვის

ამ სახელმძღვანელოს 1-ლ ნაწილში, რომელიც მისდევს კანტის დაკვირვებას, რომ „არაფერია უფრო მეტად პრაქტიკული, ვიდრე კარგი თეორია“: გამოიკვეთა პოლიტიკის კონცეფცია, მათ შორის ახალგაზრდობის პოლიტიკის (თავი 1); განხილული იყო ის, რაც ხშირად ითვლება ახალგაზრდობის პოლიტიკის საერთო მიზნად - სოციალური ჩართულობა და თანაბარი შესაძლებლობები (თავი 2); განხილული იყო სხვადასხვა გზები, რომლითაც „მტკიცებულება“ შეიძლება იყოს წარმოდგენილი, რომ განსაზღვროს ახალგაზრდობის პოლიტიკა (თავი 3); და შეთავაზებული იყო, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება პოლიტიკურ დონეზე, მიწოდება და განხორციელება, პროფესიონალური დებატები და (შემდგომი) განვითარება განხილული უნდა იყოს, როგორც „საათი“, რომელიც მიდის სხვადასხვა სიჩქარეებით და ყოველთვის შეუძლია გაჩერდეს და ამოძრავდეს სხვადასხვა მომენტებში (თავი 4). ზოგიერთი საკვანძო სტრუქტურა, აქტორი და მექანიზმი

ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების განსაზღვრისთვის ეროვნულ დონეზე განხილულია მე-2-ე ნაწილში, და ევროპულ და საერთაშორისო დონეზე - მე-3 ნაწილში. საკვანძო ინსტრუმენტები და რესურსები ახალგაზრდობის პოლიტიკის მიწოდებისთვის - მისი დანერგვისთვის ადგილზე - განხილულია მე-4-ნაწილში. მე-5 ნაწილი განიხილავს ზოგიერთ მტკიცებულებას იმის შესახებ, თუ „რა მუშაობს“ ახალგაზრდობის პოლიტიკაში. მოკლე დასკვნა ასრულებს სახელმძღვანელოს.

ნაწილი 2

ეროვნული მმართველობა და
ინფრასტრუქტურა

შესავალი

ამ სახელმძღვანელოს მე-2 და მე-3 ნაწილებში ყურადღება ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვაზეა გამახვილებული. „მართვა“, „მმართველობა“ ტევადი ტერმინია, რომლის მრავალგვარი შინაარსის ამომწურავად განსაზღვრა მარტივი არ არის, მაგრამ აქ განვიხილავთ მას როგორც ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ახალგაზრდობის პოლიტიკას სამი მიმართულებით:

- ▶ ვის ეკუთვნის ხმა გადაწყვეტილების მიღებისას და ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებისას?
- ▶ როგორ სრულდება ახალგაზრდობის პოლიტიკის გადაწყვეტილებები?
- ▶ ვინ არის ანგარიშვალდებული ახალგაზრდობის პოლიტიკის გადაწყვეტილებებისთვის?

ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვაში მონაწილეობს სუბიექტებისა და სტრუქტურების ფართო წრე, დაწყებული საზოგადოებრივი გაერთიანებითა თუ ადგილობრივ დონეზე, დასრულებული საერთაშორისო და მთავრობათაშორის დონეზე. „ახალგაზრდობის პოლიტიკა“ მრავლისმომცველი ცნებაა, ამდენად, ის არ ებმის მხოლოდ რომელიმე ერთ ინსტიტუციას და არ არის მოქცეული სტრატეგიის შემცველ რომელიმე დოკუმენტში, არამედ შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოს მიერ ამ პოლიტიკის გასატარებლად საჭირო საშუალებების წყებას. აქედან გამომდინარე, მე-2 და მე-3 ნაწილებში მოცემული კატეგორიები სცილდება ოფიციალურ ინსტიტუციებს და საქმეში მონაწილე სუბიექტებისა და ინფრასტრუქტურის უფრო ფართო არეალს მოიცავს.

მე-2 ნაწილში, რომელიც სამ თავად იყოფა, განვიხილავთ სახელმწიფოს დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების, მართვისა და სტრუქტურული აგების სხვადასხვა საშუალებას. მათ შორის პირველი — მე-5 თავი ეთმობა მმართველობის საკითხებს (ადგილობრივი და საზოგადოებრივი/სათემო დონით დაწყებული — სამთავრობო დონით დასრულებული). მე-6 თავი შეიცავს ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმებს, მათ შორის: დარგობრივ თანამშრომლობას, ინფრასტრუქტურისა და დაფინანსების საკითხებს. მე-7 თავში არსებული მოცემულობისა და პასუხისმგებლობის საკითხებს განვიხილავთ.

ახალგაზრდობის ეროვნული პოლიტიკის მმართველობა

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ახალგაზრდობის პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულების შემუშავებასა და განმტკიცებაში, ახალგაზრდობის პოლიტიკის ძირითადი ნაწილის მართვა პირველ რიგში, ეროვნული ხელისუფლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების (მათ შორის, სახელმწიფო ორგანოების, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების) ხელთაა. ამ თავში განვიხილავთ ეროვნულ/სახელმწიფო დონეზე მართვის სამ მიმართულებას, რომლებიც ახალგაზრდობის პოლიტიკის სამართლებრივ ბაზას და ამ პოლიტიკის მართვაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების როლს მოიცავს.

სამართლებრივი ბაზა

ახალგაზრდობა და ახალგაზრდები პირდაპირ ან ირიბად, ევროპის ქვეყნების არაერთ ძირითად კანონში არიან მოხსენიებულნი. ევროპის ქვეყნების უმეტესობათა კონსტიტუციაში, სულ მცირე, მოცემულია ასაკის როგორც აქტიური ხმის უფლების (ხმის მიცემის უფლება) შესაბამისი განსაზღვრება, თუმცა ზოგ შემთხვევაში განსხვავებულია პასიური ხმის უფლების (არჩევნებში მონაწილეობის უფლება) ასაკისგან. ბევრი ძირითადი კანონი შეიცავს დებულებებს, რომლებიც ეხება სახელმწიფოს მიერ არასრულწლოვნების, ობლებისა და სხვა „მოწყვლადი“ ჯგუფების განსაკუთრებულ დაცვას, რაც ხშირად, ადამიანის უფლებებისა და ბავშვის უფლებების სფეროს საერთაშორისო (მაგალითად, გაეროს ან ევროპის საბჭოს) დოკუმენტებს ეყრდნობა. ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო დებულებებს შეიცავს ასევე კანონები, პროცედურული ან კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები, რომლებიც გამომდინარეობს სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საოჯახო სამართლის, სამართალმემკვიდრეობისა და მემკვიდრეობის შესახებ კანონების დადგენილი ნორმებიდან. ერთიანი ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის ან მწყობრი სისტემის მქონე ქვეყნებში ახალგაზრდობის პოლიტიკა შეიძლება გამყარებული იქნეს უმაღლესი დონის კანონმდებლობაში - კონსტიტუციაში. მაგალითად, ფინეთის კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილია: „ბავშვებს უნდა ექცეოდნენ როგორც თანასწორთა და როგორც პიროვნებებს და მათ უნდა ჰქონდეთ უფლება, გავლენა მოახდინონ მათთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაზე მათი განვითარების დონის შესაბამისად“.

პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუცია (2005) ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საგანგებო მუხლს (მუხლი 70) შეიცავს.

1. საკუთარი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად, ახალგაზრდები უნდა სარგებლობდნენ განსაკუთრებული დაცვით, რაც გულისხმობს:

- 1) განათლების, პროფესიული მომზადებისა და კულტურის ხელმისაწვდომობას;
- 2) პირველი სამუშაოს, სამსახურისა და სოციალური უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობას;
- 3) საცხოვრებლის ხელმისაწვდომობას;
- 4) ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს;
- 5) თავისუფალი დროის გამოყენების შესაძლებლობას.

2. ახალგაზრდობის პოლიტიკის პრიორიტეტებს უნდა წარმოადგენდეს ახალგაზრდა ადამიანის პიროვნების განვითარება, აქტიურ ცხოვრებაში მისი ეფექტური მონაწილეობისთვის, შემოქმედებითობისკენ ლტოლვისა და საზოგადოების სამსახურში ჩასადგომად საჭირო პირობების შექმნა.

3. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს და მხარი დაუჭიროს ახალგაზრდობის ორგანიზაციებს, ოჯახებთან, სკოლებთან, საწარმოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, კულტურულ გაერთიანებებთან და ფონდებთან, ასევე, კულტურულ და გასართობ ჯგუფებთან ერთად უზრუნველყოფილი იქნეს ჩამოთვლილი მიზნების მიღწევა და აგრეთვე, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების განხორციელება.

ზოგიერთ ქვეყანაში, რომლებსაც შემუშავებული აქვთ ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის სისტემა, ახალგაზრდობის პოლიტიკა ეროვნული განვითარების მთლიანი სისტემის ნაწილს წარმოადგენს. მაგალითად, ლიეტუვაში, როგორც ახალგაზრდობა, ასევე ახალგაზრდობის პოლიტიკა შესულია ეროვნული განვითარების პროგრამაში, რომელიც „2030 წლამდე ლიეტუვის ეროვნული პროგრესის სტრატეგიად“ გვევლინება.

ევროპის ბევრ ქვეყანაში მოქმედებს ახალგაზრდებთან დაკავშირებული კონკრეტული კანონები, ზოგს კი ახალგაზრდების საკითხები დარგობრივ — მაგალითად, განათლებისა და დასაქმების შესახებ კანონებში აქვთ შეტანილი. უკრაინამ 1993 წელს მიიღო კანონი ახალგაზრდების სოციალური მდგომარეობისა და განვითარების ხელშეწყობის შესახებ. ბელგიის ფლამანდური თანამეგობრობის ხელისუფლებამ შეიმუშავა დაწვრილებითი რეგლამენტი ახალგაზრდებთან დაკავშირებით ფლანდრიაში, კერძოდ - ახალგაზრდობის წარმომადგენლობითი ორგანოების აღიარების შესახებ 2012 წლის 20 იანვრის კანონი (ფლანდრიის მთავრობა 2012) ახალგაზრდებისა და ბავშვთა უფლებების განახლებული პოლიტიკის შესახებ. თუმცა იტალიაში ეროვნულ დონეზე სპეციალური კანონმდებლობა მიღებული არ არის, იტალიის რეგიონების ნახევარს მიღებული აქვს ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკუთარი კანონები იმ სფეროებში, რომლებიც მათი გამგებლობის ქვეშაა მოქცეული. ისლანდიის კანონმდებლობა ახალგაზრდებთან პირდაპირ დაკავშირებულ ორ კანონს შეიცავს, ესენია: კანონი ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ახალგაზრდობის ორგანიზაციებისთვის მთავრობის დახმარებასა და მათი ჩამოყალიბების ხელშეწყობას, და კანონი ახალგაზრდობის საქმიანობის შესახებ. შესახებ. სლოვენიას შემუშავებული აქვს ახალგაზრდობის პოლიტიკის ეროვნული პროგრამა, რომელიც აერთიანებს კანონს ახალგაზრდობის შესახებ და კანონს ეროვნული ახალგაზრდობის საბჭოს შესახებ, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მის დაფინანსებას უზრუნველყოფს.

ესტონეთს ასევე აქვს ახალგაზრდობის შესახებ ორი ძირითადი კანონი, ესენია: ბავშვთა დაცვის კანონი, რომელიც 0-18 წლამდე ბავშვების უფლებებისა და კეთილდღეობის პრინციპებს განსაზღვრავს, და ახალგაზრდების დასაქმების კანონი, რომლითაც დადგენილია ასაკობრივი ღიაპაზონი 7-დან 26

წლამდე ასაკის ადამიანებისთვის და ახალგაზრდობის სფეროში ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს ვალდებულებები (2014 წ. ბავშვთა დაცვის კანონი).

გარდა ამისა, მკაფიოდ განსაზღვრული ახალგაზრდობის პოლიტიკის სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებს (როგორცაა ზემოთ ჩამოთვლილი: უკრაინა, ისლანდია, სლოვენია თუ ესტონეთი) ასევე მიღებული აქვთ მეორადი სამართლებრივი აქტები, რომლებიც უფრო კონკრეტულად ადგენს და ახორციელებს მათი ახალგაზრდობის პოლიტიკის პროგრამას და ახალგაზრდობის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების სახით გვევლინება.

განსახილველი საკითხები

როგორია ახალგაზრდობის პოლიტიკის სამართლებრივი საფუძველი თქვენს გარემოში?

რამდენად ხშირად იცვლება და რა დონეზე?

რა გავლენას ახდენს ეს ცვლილებები?

ცენტრალური და ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურები

ახალგაზრდობის პოლიტიკის ცენტრალური (სამთავრობო/ეროვნული) და ადგილობრივი ორგანოები და სტრუქტურები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, რადგან ისინი ეროვნული წეს-ჩვეულებების, სახელისუფლებო პრიორიტეტების, მმართველობის ძირითადი მოდელისა (მაგალითად, უნიტარული თუ ფედერალური) და პოლიტიკური ამოცანების თავისებურებებზეა დამოკიდებული. ევროპაში ახალგაზრდობის პოლიტიკის ინსტიტუციური სტრუქტურის ორი ძირითადი სახეობა არსებობს:

- ▶ ერთიანი ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკა ან სისტემა (მიდგომა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ფინეთი და შვედეთი), რომლის მიხედვითაც მთავრობის ქმედებებს ხელმძღვანელობს ერთიანი ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ▶ ძირითადი ან დარგობრივი ახალგაზრდობის პოლიტიკა, რომლის შესაბამისად, ახალგაზრდობის პოლიტიკა სხვა პოლიტიკის სფეროებშია „ინტეგრირებული“ (მიდგომა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ავსტრია, ნორვეგია და დანია); ავსტრიაში მოქმედებს მოთხოვნა, რომ სამთავრობო სამინისტროების მიერ შემოთავაზებული ყველა საკანონმდებლო აქტი უნდა შემოწმდეს ახალგაზრდებზე ზემოქმედების კუთხით (Youth Check).

ბევრ ქვეყანაში, განსხვავებული დოზებით, შერეული მოდელი მოქმედებს.

დეცენტრალიზებული ახალგაზრდობის პოლიტიკა, რომელიც რეგიონული ან ფედერალური ერთეულებისა და ადგილობრივი ხელისუფლების (მუნიციპალიტეტების) დონეზე ხორციელდება, ევროპაში დიდი რაოდენობით განსხვავებულ მიდგომებით გამოირჩევა. ამასთან, ინსტიტუციური მოწყობის თვალსაზრისით, ისინი სამ ძირითად სახეობად შეიძლება დაჯგოფდეს, კერძოდ:

- ▶ დეცენტრალიზებული (ან ფედერალური) ინსტიტუციური მოდელი, რომელიც ითვალისწინებს რეგიონებს შორის დიდ განსხვავებებს და მის შემადგენელ ნაწილებს შორის თავსებადობის ნაკლებობას (გაერთიანებული სამეფო (მოიცავს ინგლისს, შოტლანდიას, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიას), შვეიცარია); ეს მოდელი ყველაზე ნაკლებადაა გავრცელებული,

რადგან პოლიტიკის შემადგენელ ნაწილებს შორის ესოდენ დიდ განსხვავებას მხოლოდ ევროპის რამდენიმე ქვეყანა უშვებს;

- ▶ დამხმარე (ან დამატებითი) ინსტიტუციური მოდელი, რომელიც დამახასიათებელია ფედერალური სახელმწიფოებისთვის, როგორცაა გერმანია ან ბელგია, სადაც ახალგაზრდობის პოლიტიკის სხვადასხვა დონე ერთმანეთს ავსებს და თუმცა განსხვავებები მაინც არსებობს, როგორც ერთიანი სისტემის ნაწილები, ისე მოქმედებს;
- ▶ ცენტრალიზებული ან იერარქიული ინსტიტუციური მოდელი, რომლის ფარგლებშიც რეგიონული და ადგილობრივი ახალგაზრდობის პოლიტიკა ცენტრალური დონის ინსტიტუციებს ექვემდებარება და მათი კოორდინაციით ხორციელდება (მაგალითად, პოლონეთი და ესტონეთი).

ბევრ ევროპულ ქვეყანაში მოქმედებს შერეული მოდელები, რომლებიც დამხმარე და იერარქიული სისტემების კომპონენტებს აერთიანებს. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები (გერმანია და ესტონეთი) ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ვერტიკალური თანამშრომლობის ორ ყველაზე გავრცელებულ მოდელს წარმოადგენს.

ფედერალური მოდელი — გერმანია

გერმანიის ფედერალური სახელმწიფო სტრუქტურიდან გამომდინარე, ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვა რთული სისტემის ნაწილია, რომელშიც სხვადასხვა ორგანო/ორგანიზაცია - როგორც საჯარო/სამთავრობო, ასევე არასამთავრობო - მონაწილეობს და სხვადასხვა (ფედერალურ, რეგიონულ, მუნიციპალურ და ადგილობრივ) დონეზე განსხვავებული პასუხისმგებლობები აკისრიათ. პოლიტიკისა და მმართველობის ყველა სფეროში საჯარო და არასაჯარო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა დახმარების (ურთიერთ შევსების) პრინციპით განისაზღვრება, რომლის მიხედვითაც, ცენტრალური (სახელმწიფო) ხელისუფლება კისრულობს მხოლოდ ისეთ ამოცანებს, რომელთა შესრულებაც ცალკეული ადამიანის, ჯგუფის ან ადგილობრივი დონის ორგანიზაციისთვის შეუძლებელია.

ფედერალურ დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკას ოჯახის, ხანდაზმული მოქალაქეების, ქალებისა და ახალგაზრდობის საქმეთა ფედერალური სამინისტრო უძღვება. რეგიონულ დონეზე (Länder) ეს არის სამინისტროები, რომლებიც ახალგაზრდობის საკითხებსა და ახალგაზრდობის ოფისებს განაგებენ და რომლებსაც ბავშვებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკისა და მომსახურების ინიცირება, ხელშეწყობა და განვითარება აკისრიათ. ადგილობრივ დონეზე ამას უძღვებიან ქალაქები და მუნიციპალიტეტები თავიანთი ახალგაზრდობის ოფისებით, რომლებიც ბავშვებისა და ახალგაზრდობის მომსახურების გაწევას გეგმავენ და აფინანსებენ. ადგილობრივი ახალგაზრდობის ოფისები (Jugendämter - სულ ქვეყნის მასშტაბით 600) აყალიბებენ კომიტეტს (გადაწყვეტილება/ზედამხედველობის ფუნქციით) და ადმინისტრაციას (აღმასრულებელი და საკადრო ფუნქციით) (Jugendpolitik 2020).

უნიტარული მოდელი — ესტონეთი

ესტონეთში¹ ახალგაზრდობის პოლიტიკას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მისი ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი განაგებს. გარდა ამისა, სამინისტროს სპეციალური დანაყოფი — ესტონეთის ახალგაზრდობის დასაქმების ცენტრი (EYWC) — ახალგაზრდობის დასაქმების ეროვნული ცენტრის ფუნქციას ასრულებს. ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანიზაციის კანონის თანახმად, ესტონეთის ადგილობრივ ხელისუფლებას საკვანძო როლი აკისრია ადგილობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში, განსაკუთრებით - ახალგაზრდობის დასაქმებაში. ახალგაზრდობის დასაქმების დაფინანსების უმეტესი წილი სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტიდან იფარება და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების რესურსებიდან ივსება. ივსება. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობის დასაქმებასთან დაკავშირებული საკუთრივ რეგიონული ან ადგილობრივი კანონმდებლობა არ არსებობს, ესტონეთის ყველა მუნიციპალიტეტს ან ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია აქვს შემუშავებული, ან ახალგაზრდობის საკითხები მუნიციპალიტეტის განვითარების საერთო გეგმაში აქვს ასახული. ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობა ძირითადად ითვალისწინებს:

- ▶ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი ახალგაზრდობის დასაქმების უზრუნველყოფის ფინანსურ მხარდაჭერას;
- ▶ EYWC-ის მეშვეობით ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევას ახალგაზრდობის სტრატეგიის შემუშავებისა და ახალგაზრდობთან მუშაობის მიმართულებით;
- ▶ EYWC-ის მეშვეობით ყველა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ადგილობრივი პერსონალის (ახალგაზრდობის მუშაკთა) მომზადება/დაოსტატებას;
- ▶ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დასაწერად, ახალგაზრდობთან მუშაობის აღიარებისა და დადასტურების სქემების შემუშავება EYWC-ის მიერ (ახალგაზრდობის პოლიტიკა ესტონეთში, 2017 წ.)

განსახილველი საკითხები

მიესადაგება თუ არა თქვენს გარემოში მოქმედი ახალგაზრდობის პოლიტიკა მოცემულთაგან რომელიმე მოდელს?

შეესატყვისება თუ არა ეს მოდელი/სტრუქტურა ახალგაზრდობისა და სხვა დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს?

არის თუ არა თქვენს გარემოში ახალგაზრდობისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვაზე მკაფიო და ხელშესახები წვდომა?

საპარლამენტო სტრუქტურები

სამთავრობო ინსტიტუციების მსგავსად, ახალგაზრდობის პოლიტიკაზე საპარლამენტო ზედამხედველობისა და ანგარიშების პრაქტიკა ევროპაში მნიშვნელოვნად განსხვავდება.

¹ ესტონეთის შესახებ ინფორმაცია ამ სახელმძღვანელოში სწორი იყო წერის დროს, თუმცა ესტონეთში ახალგაზრდობის (სამუშაო) სექტორი რეორგანიზაციის პროცესს გადიოდა.

ახალგაზრდობის პოლიტიკაში საპარლამენტო ანგარიშგების პრაქტიკა ევროპაში შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად, რომლებშიც შედის:

- ▶ ქვეყნები, სადაც ახალგაზრდობის საკითხების მოსაგვარებლად სპეციალური საპარლამენტო კომიტეტები არსებობს, კერძოდ: ბულგარეთი, ხორვატია, პორტუგალია და გაერთიანებული სამეფო;
- ▶ ქვეყნები, სადაც ახალგაზრდობის საკითხებს განაგებენ არსებული საპარლამენტო კომიტეტები, მაგალითად — პოლონეთი (განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის კომიტეტი) და გერმანია (ოჯახის, ხანდაზმული მოქალაქეების, ქალებისა და ახალგაზრდობის კომიტეტი).

პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობაში შედის:

- ▶ საჯარო ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლი (ახალგაზრდობის პოლიტიკის შემთხვევაში, დარგობრივი სამინისტროები და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, რომლებსაც ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება აკისრიათ), განსაკუთრებით — მათი შესაბამისობა კანონმდებლობასთან და მათ მიერ გაწეული ხარჯები;
- ▶ საკანონმდებლო წინადადებების განხილვა და გაანალიზება;
- ▶ ძირითადი/ზოგადი პოლიტიკის პრობლემების საჯარო განხილვების (მათ შორის მოსმენების/მსჯელობის) გამართვის ინიცირება.

საზედამხედველო საქმიანობის ეს უმთავრესი სახეობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პარლამენტის უფლებამოსილება და მისი გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკა კვლავაც ნაკლებ ადგილს იკავებს საპარლამენტო საქმიანობაში და შედარებით იშვიათად გვევლინება ფართომასშტაბიანი საპარლამენტო განხილვის საგნად, როგორც ეს ხდება უფრო „სტრატეგიული“ მნიშვნელობის პოლიტიკური სფეროების — თავდაცვისა თუ ეკონომიკის შემთხვევაში, — საპარლამენტო განხილვებმა შეიძლება ზიმი მისცეს მნიშვნელოვან კვლევასა და, აქედან გამომდინარე, ცვლილებებს არსებული პოლიტიკის სისტემაში. ეს სამუშაო შეიძლება იტვირთონ დროებითმა ორგანოებმა, როგორიცაა საპარლამენტო ჯგუფები ან საგამომიებო კომისიები.

ინგლისში, თემთა პალატის (გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის ქვედა პალატა) ახალგაზრდობის საკითხებში ინტერპარტიულმა საპარლამენტო ჯგუფმა (APPG) ჩაატარა ახალგაზრდობასთან მუშაობის ფართომასშტაბიანი შესწავლა (ინტერპარტიული საპარლამენტო ჯგუფი, 2020), რასაც ბევრი შედეგი მოჰყვა, კერძოდ:

- ▶ ინგლისში ახალგაზრდობასთან მუშაობის როლისა და ადგილის შესწავლა;
- ▶ ამ პოლიტიკაში არსებული მდგომარეობის (დგას თუ არა საკმარის დონეზე ახალგაზრდობასთან მუშაობა?) შესწავლა;
- ▶ დასკვნები და რეკომენდაციები გაერთიანებული სამეფოსთვის.

კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი — „ნიშანდობლივი“ — გამოკვლევა ჩაატარა უელსის მთავრობის ბავშვთა, ახალგაზრდობისა და განათლების კომიტეტმა, რომელმაც შეისწავლა უელსის ხელისუფლების მიერ 2016 წელს მიღებული ნიშანდობლივი გადაწყვეტილება უელსის ახალგაზრდობის არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანებისთვის დაფინანსების შეწყვეტის შესახებ. კომიტეტმა არა მხოლოდ „მეყსეულად“ ჩაატარა უელსში ახალგაზრდობასთან მუშაობის

მდგომარეობის გამოკვლევა, არამედ ასევე დაავალა ახალგაზრდობასთან მუშაობისთვის პასუხისმგებელ მინისტრს, რომ გაეცა განკარგულება „უფლებამოსილების გაფართოების“² გადახედვის თაობაზე, 2018 წელს კი „მორიგი“ გამოკვლევაც ჩაატარა. ეს გახლდათ იმის თვალსაჩინო დადასტურება, რომ უელსის მთავრობა დაუბრუნდა საკუთარი ვალდებულების შესრულებას სხვადასხვა ფორმით ახალგაზრდობასთან მუშაობის სფეროში, რის შედეგადაც, 2020 წელს უელსში ახალგაზრდობასთან მუშაობის დაფინანსება ორგზის გაორმაგდა. ახლა, როცა ამის შესახებ ვწერთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უელსში ახალგაზრდობასთან მუშაობაზე გამოყოფილი ბიუჯეტი Covid-19-ის კრიზისის პირობებშიც შენარჩუნდება. ახალგაზრდობასთან მუშაობის შედეგები უელსში მკაფიოდ წარმოაჩენს ინტერპარტიული კომიტეტის საკვანძო როლს, რომელიც არსებული დაბრკოლებების მიუხედავად, ახალგაზრდობასთან მუშაობის მნიშვნელობას ქადაგებდა.

ირლანდიის რესპუბლიკაში Oireachtas-ის (პარლამენტი) ბავშვთა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტი ვრცელი უფლებებით სარგებლობს, მათ შორისაა: მტკიცებულებების შეგროვება, გამოცემა და გამოქვეყნება; დაინტერესებული პირების ან ორგანოების წარმომადგენელთა მოწვევა; საკანონმდებლო ცვლილებებისა და ახალი კანონპროექტებისთვის რეკომენდაციების შემუშავება; ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის (კანონის) შესწავლა; ნებისმიერი სამთავრობო დეპარტამენტის ან მექანიზმის შემქმნელი ორგანოსთვის მოთხოვნა, წარუდგინოს კომიტეტს განსახილველი საკანონმდებლო აქტის განმარტება ან დაესწროს კომიტეტის სხდომას ამგვარი ნორმატიული აქტის ახსნის მიზნით; მთავრობის წევრის ან სახელმწიფოს მინისტრის მოწვევა კომიტეტის სხდომაზე იმ პოლიტიკის განსახილველად, რომელიც მათ ოფიციალურად აკისრიათ; სპეციალისტებისა და ექსპერტების ჩართვა; ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ახალგაზრდობის პროექტებისა და პროგრამების ადგილზე გაცნობა (Oireachtas, 2020).

განსახილველი საკითხები

არის თუ არა პარლამენტი ახალგაზრდობის პოლიტიკის სფეროში აქტიური სუბიექტი თქვენს გარემოში? უახლოეს პერიოდში რა საქმიანობა გასწია ამ სფეროში?

ხართ თუ არა ინფორმირებული ახალგაზრდობის პოლიტიკის სფეროში საპარლამენტო კვლევების შესახებ თქვენს გარემოში? რა გავლენა იქონია ახალგაზრდობის პოლიტიკის სფეროზე მის მიერ ჩატარებულმა კვლევამ?

დასკვნა

ამ თავში განვიხილეთ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების როლი ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის გატარებაში. ახალგაზრდობის პოლიტიკის გატარებისას, როგორც

² „უფლებამოსილების გაფართოება: უელსში ახალგაზრდობის მხარდაჭერა“ (უელსის ეროვნული ასამბლეა, 2000) — უელსის პირველი დამოუკიდებელი ახალგაზრდობის პოლიტიკა. პოლიტიკა. ის ეწინააღმდეგებოდა ინგლისში დამკვიდრებულ, ნეგატიურ პრობლემებზე — თინეიჯერებში ორსულობაზე, ფსიქოპათიური ნივთიერებების ბოროტად გამოყენებაზე, სკოლებიდან გარიცხვასა და ახალგაზრდების დამნაშავეობაზე — ორიენტირებულ მიდგომას და ამის ნაცვლად შეადგინა პოზიტიური შესაძლებლობებისა და გამოცდილების ნუსხა („უფლებათა პაკეტი“), რომელიც ყველა ახალგაზრდაზე უნდა ვრცელდებოდეს. იმის გათვალისწინებით, რომ ბევრმა ახალგაზრდამ ეს პაკეტი პირადად და ინდივიდუალურად მიიღო, კომიტეტი ირწმუნებოდა, რომ საჯარო პოლიტიკის ამოცანა იყო, იგივე უფლებები გავრცელებული ახალგაზრდებზე, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით მას ვერ იღებდნენ. „უფლებამოსილების გაფართოების“ ფილოსოფია დღემდე ახდენს გავლენას უელსში ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარებაზე, ასევე ზემოქმედებს ახალგაზრდობის პოლიტიკაზე მთელ ევროპაში და, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს სხვა კუთხეებში.

აღმასრულებელ ცენტრალურ და ადგილობრივ სახელისუფლებო სტრუქტურებში, ასევე საპარლამენტო ზედამხედველობის სფეროში, განსხვავებული მექანიზმები მოქმედებს. ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება საკანონმდებლოზე უფრო ძლიერია, საქმეს მხოლოდ ერთი ინსტიტუცია (ცენტრალური მთავრობა) შეიძლება გაუძღვეს; ზოგან ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვისას სამივე შტოს ურთიერთთანამშრომლობას ან ურთიერთკონკურენციას ვაწყდებით. თითოეული მათგანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებაში, მის დაფინანსებასა და განხორციელების პროცესში, რის შესახებაც ქვემოთ მოცემულ მე-6 თავში ვიმსჯელებთ.

თავი 6

განხორციელება, ინფრასტრუქტურა და დაფინანსება

შესავალი

ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვა სახელმწიფოს დონეზე მხოლოდ მისი შემუშავებისთვის პასუხისმგებელი ძირითადი ინსტიტუციების საქმე როდია: არანაკლებ მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების სხვა საშუალებები, როგორცაა: დაფინანსების წყაროები, განხორციელებისთვის პასუხისმგებელი ორგანოები და არსებული ინფრასტრუქტურა. წინამდებარე თავში ვიმსჯელებთ განხორციელების, ინფრასტრუქტურისა და დაფინანსების სხვადასხვა მექანიზმზე, რომლებიც ევროპაში გამოიყენება.

განხორციელება

პოლიტიკის შემუშავების მრავალფეროვნებას მისი განხორციელების მრავალფეროვნება მოსდევს. ევროპის ქვეყნებში ახალგაზრდობის პოლიტიკა სულ მცირე, სამი გზით ხორციელდება, კერძოდ:

- ▶ სპეციალური დაწესებულებების (ინსტიტუციების) მეშვეობით;
- ▶ დარგობრივი სამინისტროს მეშვეობით;
- ▶ რამდენიმე სამინისტროს მეშვეობით.

სპეციალური დაწესებულებ(ა)ები

ქვეყნები, სადაც ახალგაზრდობის საკითხებზე და ახალგაზრდობის სფეროში ეროვნული პოლიტიკის განსახორციელებლად არსებობს სამინისტრო, სახელმწიფო მდივანი ან ახალგაზრდობის სააგენტო (arm's-length body — „უწყება ხელის გაწვდენაზე“).

კონკრეტულად ეს მოდელი ევროპის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული არ არის, მაგრამ მსგავსი სტრუქტურები ავსტრიაში, ბელგიაში, ესტონეთში, ირლანდიაში, ლუქსემბურგში, მალტასა და სლოვაკეთში გვხვდება. ფედერალური მოწყობის მქონე ისეთ დიდ სახელმწიფოში, როგორცაა გერმანია, მოქმედებს პოლიტიკის განხორციელების სისტემა, რომელიც აერთიანებს მრავალ კომპონენტს, კერძოდ: ერთი მხრივ, ესაა საზოგადოებრივი ვალდებულებით მოქმედი მოხალისეობრივი და დამხმარე სააგენტოების მხარდაჭერა, ხოლო მეორე მხრივ, ახალგაზრდობის ოფისების მიერ ახალგაზრდების მხარდაჭერა (Jugendpolitik, 2020 — „ახალგაზრდობის პოლიტიკა“, 2020). ახალგაზრდული საქმიანობის ბევრ სფეროში მომსახურებისა და მოქმედი მექანიზმების უმეტეს ნაწილს მხარდაჭერის მოხალისეობრივი სააგენტოები უზრუნველყოფენ. ესაა დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც ქვეყნის კანონმდებლობის დაცვით საკუთარი მუშაობის შინაარსსა და მიზნებს თავად განსაზღვრავენ.

დარგობრივი სამინისტრო

ქვეყნები, სადაც არ არსებობს სპეციალური ახალგაზრდობის სამინისტრო, მაგრამ ახალგაზრდობის საკითხებს განაგებს სამინისტრო, რომლის კომპეტენციის ფარგლებიც არ შემოიფარგლება ახალგაზრდობის სფეროთი: მაგალითად, კულტურისა და სოციალური საკითხების სამინისტრო, განათლების ან სპორტის სამინისტრო.

ასეთ შემთხვევაში, მთავრობა, როგორც წესი, ამ სამინისტროში სპეციალურ — ახალგაზრდობის დეპარტამენტს ქმნის. მსგავსი მოდელი მოქმედებს: ბელგიის ფრანგულენოვან ნაწილში, ლატვიაში, იტალიასა და ხორვატიაში.

რამდენიმე სამინისტრო

ქვეყნები, რომლებშიც არც ახალგაზრდობის საკითხებში სპეციალური სამინისტრო და არც რომელიმე სამინისტროში ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი არ არსებობს.

ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება აკისრია სხვადასხვა სამინისტროს, ახალგაზრდული ცხოვრების შესაბამისი მხარეებიდან გამომდინარე. ასეთი მოდელები მოქმედებს პოლონეთსა და შვეიცარიაში, სადაც ახალგაზრდობის საკითხებს, სხვებთან ერთად, სოციალური საკითხების, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროები განაგებენ.

განსახილველი საკითხები

ვის აკისრია ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელება თქვენს გარემოში?


რამდენად მნიშვნელოვანია აღმასრულებელი სტრუქტურა ახალგაზრდობის პოლიტიკის სფეროში არსებული მდგომარეობისთვის?

დარგთაშორისი თანამშრომლობა

დარგთაშორისი თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის პოლიტიკის გატარებისთვის, თუმცა ხშირ შემთხვევაში, სამთავრობო პოლიტიკას არ სდევს. ახალგაზრდობის პოლიტიკის საუკეთესო გამოცდილება, მათ შორის ევროკავშირის ახალგაზრდობის სტრატეგიის 2018 წელს მიღებული რეკომენდაციები, ეროვნულ ხელისუფლებებს ამ პოლიტიკის განხორციელების მიღებული მიდგომების, მათ შორის დარგთაშორისი თანამშრომლობის, გამოყენებისკენ აქეზებს. ეს ნიშნავს, რომ სათანადო დონის ახალგაზრდობის პოლიტიკა უნდა ყალიბდებოდეს და ხორციელდებოდეს სახელისუფლებო სტრუქტურების მონაწილეობით, რომლებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა ახალგაზრდობის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი სფეროსთვის. ახალგაზრდობის პოლიტიკის გატარების სფეროში დარგთაშორისი თანამშრომლობა პრაქტიკულად ნიშნავს, რომ როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე, ახალგაზრდობის სექტორებსა და პოლიტიკის სხვა სექტორებს შორის ეფექტური კოორდინაცია არსებობს. სხვადასხვა ინსტიტუცია ერთი და იმავე ზომების აღსანიშნავად განსხვავებულ ტერმინებს იყენებს: ინტერსექტორულს, დარგთაშორისს, უწყებათშორისს, გადამკვეთს, ინტეგრირებულს, ინტერინსტიტუციურს. მთავარი საერთო არსი ის გახლავთ, რომ დარგთაშორისი თანამშრომლობა აერთიანებს სხვადასხვა ჯგუფსა და ინსტიტუციას და სცდება ტრადიციული და

სახელისუფლებო მართვის ორგანოებს. დარგთაშორისი თანამშრომლობის სულ ცოტა, ორი განსხვავებული სახეობა არსებობს: ჰორიზონტალური და ვერტიკალური, როგორც ეს მე-3 სქემაზე ნაჩვენებია.

სქემა 3: დარგთაშორისი თანამშრომლობის ტიპოლოგია



წყარო: მაქს ფრასი.

ჰორიზონტალური დარგთაშორისი თანამშრომლობის ყველაზე გავრცელებული ფორმა ინტერსექტორული თანამშრომლობაა.

ევროკავშირის „ახალგაზრდული დიალოგის ეროვნული სამუშაო ჯგუფები“ (NWG) ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ეროვნულ დონეზე ახალგაზრდობის დიალოგების გამართვასა და კოორდინაციას მისდევენ (იხ. თავი 8). „სამუშაო ჯგუფების“ შემადგენლობა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, მაგრამ ჩვეულებრივ, მათ კოორდინირებას უნდა უწევდეს ეროვნული ახალგაზრდობის საბჭო და მასში უნდა შედიოდნენ ახალგაზრდობის პოლიტიკასა და პოლიტიკის სხვა სფეროებში გადაწყვეტილების მიმღები პირები, ახალგაზრდობის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ასევე, დამოუკიდებელი ექსპერტები და ახალგაზრდობის პოლიტიკისა და ახალგაზრდობასთან მუშაობის სპეციალისტები (მაგალითად, ახალგაზრდობის სფეროს მკვლევრები და ახალგაზრდობის სფეროს მუშაკები) („ეროვნული სამუშაო ჯგუფები“, 2020)

ჰორიზონტალური დარგთაშორისი თანამშრომლობის სხვა სახეობაა, რომელიც სოციალურ ინტეგრაციას ემსახურება და ახალგაზრდობის დარგების ორგანიზაციებსა და ახალგაზრდობის

პრობლემატიკაზე მომუშავე სხვა სექტორების — კერძოდ, განათლების, სოციალურ საკითხთა თუ იუსტიციის — ორგანოებს აერთიანებს.

სხვა შემთხვევებში, დარგობრივი თანამშრომლობა ხორციელდება სხვადასხვა სამთავრობო უწყებასა და ერთეულს შორის, რასაც ასევე, სამინისტროთაშორის თანამშრომლობას უწოდებენ. ესპანეთში სამინისტროთაშორისი ახალგაზრდობის კომისია აერთიანებს სამთავრობო უწყებებს, სოციალური საკითხებისა და თანასწორი შესაძლებლობების სახელმწიფო მდივანს, Injuve-ის (ახალგაზრდობის ინსტიტუტი) გენერალურ დირექციას, მთავარი სახელმწიფო სამმართველოს სამინისტროების დეპარტამენტების გენერალურ დირექტორებსა და ეროვნული ახალგაზრდობის საბჭოს თავმჯდომარეს (INJUVE, 2010).

ვერტიკალური დარგთაშორისი თანამშრომლობა შეიძლება აერთიანებდეს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეს, მათ შორის — ეროვნულს, რეგიონულსა და ადგილობრივს. მრავალდონიანი თანამშრომლობა თვალსაჩინოა, როცა ცენტრალური ხელისუფლება უშუალოდ რეგიონულ და ადგილობრივ მმართველობასთან ერთად მუშაობს. ლატვიაში განათლების სამინისტრო 100 ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან მუშაობს, უზრუნველყოფს ტრენინგებს მუნიციპალური ახალგაზრდობის სპეციალისტებისთვის და გამოცდილების ურთიერთგაზიარების სემინარებს ახალგაზრდობის მუშაკებისთვის. ეს მექანიზმი ხელს უწყობს ახალგაზრდობის ეროვნულ პოლიტიკასა და ადგილობრივ ახალგაზრდობის სტრატეგიებს შორის ერთიანობისა და ამ პროცესში უმცირესობების ჩართვისადმი ერთიანი მიდგომის გამოყენების უზრუნველყოფას (ლატვიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2020).

ვერტიკალური თანამშრომლობის მეშვეობით შესაძლებელია ასევე, ახალგაზრდობის პოლიტიკის წარმმართველ ორგანოებსა (სამინისტროებსა თუ პარლამენტებს) და საკუთრივ ახალგაზრდებს შორის კავშირის დამყარება.

ესტონეთში, Erasmus+-ის დაფინანსებით განხორციელებულმა პროექტმა — Sinu mõju! („შენი გავლენა!“) პოლიტიკის წარმმართველებსა და ახალგაზრდებს ერთად მოუყარა თავი. უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდების ჯგუფი ნარვიდან, ახალგაზრდობის პოლიტიკაზე მისი ეროვნების გავლენაზე სამსჯელოდ, ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლებს, ესტონეთის პარლამენტისა და ევროპარლამენტის წევრებს შეხვდა (Sinu mõju, 2020)

განსახილველი საკითხები

რა პლატფორმები და პროცესები უზრუნველყოფს ახალგაზრდობის სფეროს შესაბამის ორგანოებს შორის დარგთაშორის თანამშრომლობას?

რა უწყობს ხელს ან არ აფერხებს ეფექტურ დარგთაშორის თანამშრომლობას თქვენს გარემოში?

ახალგაზრდობის სერვისები

ინფორმაცია და კონსულტაცია ახალგაზრდებისთვის

ინფორმაცია და კონსულტაცია ახალგაზრდებისთვის შეიძლება ასახავდეს სხვადასხვა აქტივობას, ექცეოდეს განსხვავებულ ჩარჩოებში და უზრუნველყოფილი იქნეს არაერთი განსხვავებული „ინფორმაციის წყაროს“ მიერ.

ინფორმაციისა და კონსულტაციის სფერო გამუდმებით იცვლება. წინათ ახალგაზრდობის ინფორმაცია უმეტესად უცვლელი გახლდათ, მწირი რაოდენობის წყაროებიდან მოდიოდა, თან მას სულ რამდენიმე ინფორმაციის წყარო აკონტროლებდა და გვაწვდიდა. დღეს ევროპაში ახალგაზრდობის ინფორმაციის შექმნა კარდინალურად შეცვლილია; ინფორმაცია ძალზე სწრაფად იცვლება და ახლდება, ხოლო მისი წყაროებისა და არხების რაოდენობა ათასობით განისაზღვრება. რადგან ახალი ფორმატები გამუდმებით ვითარდება, ხშირად ინფორმაციის სანდოობის შეფასება ძნელდება. ახალგაზრდებს ზრდა-განვითარება და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნა ამ ვითარებაში უწევთ; ისინი არა მარტო ინფორმაციის მიმღები და მომხმარებლები, არამედ თავადაც მისი შემქმნელები და გამავრცელებლებიც ხდებიან. ამგვარად, ახალგაზრდობის ინფორმაცია საკვანძო როლს ასრულებს ახალგაზრდებისთვის სანდო ინფორმაციის განსაზღვრასა და შემოწმებაში.

თუმცა ახალგაზრდობის ინფორმაციასთან დაკავშირებული ვითარება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, ქვემოთ ჩამოთვლილი საინფორმაციო წყაროები და ინსტიტუციები „ახალგაზრდობის საინფორმაციო სერვისების“ ცნებაში ერთიანდება:

- ▶ კარიერული/პროფესიული კონსულტაცია და რეკომენდაციები;
- ▶ ჯანდაცვის საინფორმაციო სერვისები, მათ შორის — სასიყვარულო ურთიერთობისა და სქესობრივი ცხოვრების შესახებ;
- ▶ ინფორმაცია სოციალური დაცვისა და შეღავათების შესახებ;
- ▶ ინფორმაცია ახალგაზრდობის უფლებების შესახებ;
- ▶ ინფორმაცია მომხმარებელთა უფლებების შესახებ;
- ▶ ახალგაზრდობის სამართლებრივი კონსულტაციის სერვისები; ევროპაში მობილობის შესაძლებლობები ახალგაზრდებისთვის (მოხალისეობა, მუშაობა, მოგზაურობა, განათლება, სტაჟირება, სოლიდარობა);
- ▶ არაოფიციალური და სკოლისგარე ახალგაზრდული საქმიანობა და გაცვლითი პროგრამები.

ბევრი ევროპული ქვეყანა ახალგაზრდობის ინფორმაციასა და საკონსულტაციო სერვისებს, უმეტესად ონლაინ პლატფორმებზე უყრის თავს. ავსტრიაში, ახალგაზრდობის პორტალის სერვისი (იხ. www.jugendportal.at) 2011 წელს ერთობლივად შექმნეს და მართავენ ავსტრიის ახალგაზრდობის საინფორმაციო ქსელი და შრომის, ოჯახისა და ახალგაზრდობის ფედერალური სამინისტრო. პორტალი განკუთვნილია ავსტრიაში მცხოვრები 12-დან 26 წლამდე ასაკის ადამიანებისთვის და მომხმარებლებს სთავაზობს ინფორმაციას ახალგაზრდებთან დაკავშირებულ თემებზე, რომლებიც მოიცავს: მოხალისეობას, მოქალაქეობრივ აქტიურობას, დასაქმებას, ახალგაზრდობის უფლებებს, ჯანმრთელობას, თანასწორობასა და სოციალურ კეთილდღეობას.

დანიაში 12-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვისაა განკუთვნილი საზოგადოებრივი საკონსულტაციო და კეთილდღეობის საკითხების სერვისი — Headspace. ეს სერვისი ხელმისაწვდომია 2013 წლიდან, ონლაინ, ტელეფონით და 18 გეოგრაფიულ პუნქტში მთელი ქვეყნის მასშტაბით (იხ. www.headspace.dk).

ლატვიაში პორტალი Jaunatnes Lietas („ახალგაზრდობის საკითხები“ (იხ. www.jaunatneslietas.lv) მომხმარებლებს სთავაზობს ინფორმაციას ახალგაზრდების მოქალაქეობაზე, მოხალისეობაზე,

განათლებაზე, საზოგადოებრივ მონაწილეობასა და ახალგაზრდობის პოლიტიკაზე როგორც ეროვნული, ასევე ევროპული მასშტაბით.

ახალგაზრდული საქმიანობა

„ახალგაზრდული საქმიანობა“ კრებითი ცნებაა, რომელიც ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის გაწეული სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო ან პოლიტიკური ხასიათის საქმიანობას გამოხატავს (Glossary on Youth, 2020 — „ლექსიკონი ახალგაზრდობაზე“, 2020). ამგვარად, სხვადასხვა სტრუქტურასა და ინსტიტუციაში ის განსხვავებულად გამოიხატება.

„ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ ევროსაბჭოს რეკომენდაციებში“ ტერმინი „ახალგაზრდული საქმიანობა“ ასე განისაზღვრება:

მრავლისმომცველი ტერმინი, რომელიც აერთიანებს სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, გარემოსდაცვითი და/ან პოლიტიკური ხასიათის საქმიანობათა ფართო სპექტრს, რომელიც ხორციელდება ახალგაზრდების მიერ, ახალგაზრდებთან ერთად და მათთვის, ჯგუფებურად ან ინდივიდუალურად. ახალგაზრდულ საქმიანობას ახორციელებენ ხელფასიანი და მოხალისე ახალგაზრდობის მუშაკები და იგი აგებულია ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ არაფორმალურ და არაოფიციალურ სწავლებასა და ნებაყოფლობით/მოხალისეობრივ მონაწილეობაზე. ახალგაზრდული საქმიანობა თავისი არსით სოციალური საქმიანობაა, რომელიც ხორციელდება ახალგაზრდებთან და საზოგადოებებთან (გაერთიანებებთან), სადაც ისინი ცხოვრობენ, და ხელს უწყობს ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას მათი თემების ცხოვრებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში.

ევროკავშირის ვერსიით, რომელიც „ევროკავშირის ახალგაზრდობის სტრატეგიაში“ განსაზღვრული, ახალგაზრდული საქმიანობა არის:

მრავლისმომცველი ტერმინი, რომელიც აერთიანებს სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო თუ პოლიტიკური ხასიათის საქმიანობათა ფართო სპექტრს, რომელიც ხორციელდება ახალგაზრდების მიერ, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდებისთვის. ეს საქმიანობები სულ უფრო ხშირად მოიცავს სპორტსა და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ სერვისებს. ახალგაზრდული საქმიანობა მიეკუთვნება „სკოლისგარე“ განათლებასა და ასევე, თავისუფალი დროის გატარების კონკრეტულ სახეობებს, რომლებსაც პროფესიონალი ან მოხალისე ახალგაზრდობის მუშაკები და ახალგაზრდობის ლიდერები უძღვებიან და რომელიც აგებულია არაფორმალურ სასწავლო პროცესებსა და მოხალისეობრივ მონაწილეობაზე.

ამგვარაა, რომ საქმე გვაქვს საკმაოდ დიდ სხვაობასთან ახალგაზრდული საქმიანობის განსაზღვრებებს შორის და, მნიშვნელოვანი კონსენსუსის ფარგლებში, გარკვეულ შეუთავსებლობასთან. ევროპის ახალგაზრდული საქმიანობის პირველ კონვენციამ 2010 წელს ახალგაზრდობის საქმიანობის მრავალფეროვნება დააფიქსირა (პრაქტიკის კონტექსტის, განხილული საკითხების, ახალგაზრდების ჯგუფების ტიპებისა და გამოყენებული მეთოდების თვალსაზრისით), ხოლო ევროპის ახალგაზრდული საქმიანობის მეორე კონვენცია ცდილობდა დაედგინა, ჰქონდა თუ არა საერთო ნიადაგი ამ მრავალფეროვნებასა და სხვადასხვა ფორმას, და დაასკვნა, რომ ყველანაირი ახალგაზრდული საქმიანობა ორიენტირებულია ახალგაზრდობის გამარჯვებასა და ისეთი „სივრცის“ შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს მის აქტიურობასა და ავტონომიურობას, ასევე, „ხიდების“ გადებას ახალგაზრდებისთვის ცხოვრებაში წინსვლისთვის საჭირო მომდევნო ნაბიჯების გადასადგმელად.

ახალგაზრდული საქმიანობის სტრუქტურები საკმაოდ განსხვავდება როგორც ევროპულ ქვეყნებს შორის, ასევე საკუთრივ ქვეყნების ფარგლებშიც: თუ ბევრ ევროპულ ქვეყანაში მას სახელმწიფო ხელისუფლება მნიშვნელოვან სფეროდ აღიარებს, ხელს უწყობს და აფინანსებს, თანაც — სახელმწიფო სახსრებიდან და საკმაოდ უხვად, — ზოგან ის ერთობ მოკრძალებულ მდგომარეობაშია და არსებითად, მხოლოდ ნებაყოფლობითი, მოხალისეობრივი ზომებით სულდგმულობს. რასაც ზოგ ქვეყანაში ახალგაზრდობის მუშაკთა — სპეციალისტთა თუ მოხალისეთა — ტრადიციულ სამუშაოდ მიიჩნევენ, ის სხვა ქვეყანაში მხოლოდ კონსულტანტების ანაზარად რჩება ან კიდევ — მეზობლებისა და ოჯახების, ზოგან კი სულაც არ სრულდება. ახალგაზრდული საქმიანობის მთავარი დანიშნულებაა, ახალგაზრდებს საკუთარი მომავლის აგების შესაძლებლობა მისცეს. ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში სულ უფრო ხშირად შემოდის სპორტი და ახალგაზრდების მომსახურება (სერვისები). ახალგაზრდული საქმიანობა მიეკუთვნება „სკოლისგარე“ განათლებას და უმეტესად, ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ არაფორმალურ და არაოფიციალურ სწავლებაზეა აგებული. ახალგაზრდული საქმიანობის ძირითადი ამოცანები საზოგადოებაში ახალგაზრდების ინტეგრირება და მის ცხოვრებაში მათი მონაწილეობაა. ერთ-ერთ ამოცანად დამოკიდებული მდგომარეობისა და ექსპლუატაციისგან ახალგაზრდების დასაცავად, ინდივიდუალური თუ სოციალური ემანსიპაცია შეიძლება დაისახოს. ახალგაზრდული საქმიანობა როგორც სოციალური უზრუნველყოფის, ასევე საგანმანათლებლო სისტემის ნაწილია. ზოგიერთ ქვეყანაში მას კანონი არეგულირებს და უმეტესად ადგილობრივ დონეზე, სამოქალაქო მოხელეები უძღვებიან.

ანგარიში „ახალგაზრდული საქმიანობის ღირებულება ევროკავშირში“ (ევროკომისია, 2014) გვამცნობს, რომ მართალია, ევროკავშირში ახალგაზრდული საქმიანობის საერთო პროფესიული სტანდარტები დაწესებული არ არის, სამაგიეროდ არსებობს კონტინენტზე ახალგაზრდული საქმიანობის ორი საერთო მახასიათებელი: ახალგაზრდობის მუშაკები საკუთარ საქმიანობას უმეტესად, ნებაყოფლობით მისდევენ და მუშაობენ ახალგაზრდებთან, რომლებიც ამ საქმიანობაში მოხალისეობრივ საწყისებზე მონაწილეობენ. ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობა ბუნდოვანია ასევე, ამ მუშაობის განსხვავებული პრაქტიკული ფორმების თვალსაზრისით. ახალგაზრდული საქმიანობის თაობაზე ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციაში 2010/C 327/01 ნათქვამია:

ახალგაზრდული საქმიანობა ხორციელდება როგორც კლასგარეშე საქმიანობა, წარმოადგენს თავისუფალი დროის გარკვეულ სახეობას, არაფორმალურ და არაოფიციალურ სასწავლო პროცესს და ითვალისწინებს მოხალისეობრივ მონაწილეობას... ეს საქმიანობა ხორციელდება თვითმმართველობის, ერთობლივი მმართველობის ან საგანმანათლებლო თუ პედაგოგიური მმართველობის მეშვეობით, რომელსაც პროფესიონალი ან მოხალისე ახალგაზრდობის მუშაკები და ახალგაზრდა ლიდერები უძღვებიან, და შეიძლება შემუშავდეს და განსხვავებული ფაქტორების გავლენით ცვლილებები განიცადოს (ევროკავშირის საბჭო, 2010).

ახალგაზრდული საქმიანობის აღმასრულებელი სტრუქტურები ზემოთ ნახსენები მრავალფეროვნების ნათელი გამოხატულებაა.

ესტონეთში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, EYWC წარმოადგენს ახალგაზრდობასთან საქმიანობის ეროვნულ ცენტრს, რომელიც ესტონეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემადგენლობაში შედის. მისი მთავარი ამოცანა ესტონეთის ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში ახალგაზრდული საქმიანობის შემუშავება და ორგანიზებაა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის შესახებ კანონის შესაბამისად, ადგილობრივ ხელისუფლებას ასევე მნიშვნელოვანი როლი აკისრია ადგილობრივი ცხოვრებისთვის აქტუალური პრობლემების, მათ შორის ახალგაზრდული საქმიანობის, ორგანიზებაში, ხოლო ახალგაზრდული საქმიანობის დაფინანსების

უმეტესი ნაწილი ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან და შემოსავლებიდან გამოიყოფა.

ლიეტუვაში ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდობის პოლიტიკის ორიდან ერთ-ერთ საყრდენ მიმართულებას წარმოადგენს. ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების ამჟამად მოქმედი ეროვნული პროგრამა, რომელიც 2011-2019 წლების პერიოდისთვის შემუშავდა, ამ პოლიტიკის ორ ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს: 1) ახალგაზრდობის ინტერესების დაცვას სახელმწიფოს პოლიტიკის ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ სფეროებში, როგორცაა: განათლება, კულტურა, სპორტი, სამუშაო და დასაქმება, საცხოვრებელი, ჯანმრთელობა, შემოქმედება და მასთან დაკავშირებული პოლიტიკა; 2) ახალგაზრდულ საქმიანობას, კერძოდ: ახალგაზრდების განათლებას, რომლის ამოცანაა ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს გამოცდილებასა და ექსპერიმენტზე (მოხალისეობრივი საქმიანობა, დამოუკიდებლობა, ავტონომიურობა) აგებულ სწავლაში.

ნიდერლანდში ახალგაზრდული საქმიანობა საკმაოდ დეცენტრალიზებულია, მას ადგილობრივი და რეგიონული მმართველობები ახორციელებენ და იგი ურთიერთდაკავშირებული ახალგაზრდობის სერვისების წყებას წარმოადგენს. ახალგაზრდული საქმიანობის უზრუნველყოფა განუყოფელი ნაწილია სოციალური ჩარევის მწყობრი სისტემისა, რომელშიც შედის: სკოლა, ოჯახი, თავისუფალი დრო, ახალგაზრდობაზე ზრუნვა, ფსიქიატრიული დაწესებულებები, პოლიცია და მართლმსაჯულება, შრომის ბაზრის სააგენტოები და ადგილობრივი სოციალური პოლიტიკა (Ewijk, 2010). ცენტრალური მთავრობა მხარდაჭერას, კვლევასა და არსებული მდგომარეობის სურათს ზემოთ ნახსენები უწყებების — ახალგაზრდობის ეროვნული ინსტიტუტის, სოციალურ საკითხთა სამინისტროსა და განათლების სამინისტროს მეშვეობით უზრუნველყოფს (ახალგაზრდობაზე ზრუნვის ჰოლანდიური სისტემა, 2020).

ახალგაზრდობის ინფრასტრუქტურა

ახალგაზრდობის ინფრასტრუქტურა, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ახალგაზრდული საქმიანობის სერვისების ჩათვლით, მჭიდროდაა დაკავშირებული ახალგაზრდობის პოლიტიკის საფუძვლებთან და მათ განხორციელებასთან. ისევე, როგორც განათლების, საგანმანათლებლო პოლიტიკისა და მისი ინფრასტრუქტურის შემთხვევაში, ეროვნული მთავრობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ახალგაზრდობის ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით მისი დაფინანსებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის საქმეში. ადგილობრივი ორგანოების მთელი წყება, როგორცაა ადგილობრივი მმართველობები, სამოქალაქო საზოგადოებრივი საზოგადოებები და ახალგაზრდული ჯგუფები, ასევე ქმნიან ახალგაზრდული სივრცეების და ინფრასტრუქტურის ყოველდღიურ რეალობას და უზრუნველყოფენ რესურსების გამოყოფას საჭიროებების, ინტერესების, ადგილობრივი პირობებისა და მხარდაჭერის შესაძლებლობისა და მიხედვით, რომლებიც ხშირად ქვეყანასა თუ საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზეა დამოკიდებული.

- ▶ ახალგაზრდული სივრცის ყველაზე მოწესრიგებული სექტორისა და ინფრასტრუქტურის მქონე სფერო განათლება, მათ შორის კლასგარე განათლებაა. ახალგაზრდული სივრცისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის მეორე საკვანძო სფეროა ადგილობრივი ახალგაზრდული ცენტრები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ სახელმწიფო ან კერძო/საზოგადოებრივი სამოქალაქო ორგანიზაციები, და ასევე, ახალი და ინოვაციური არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივები, რომლებიც ახალგაზრდულ სერვისებს მუდმივად თუ ერთჯერადად ახორციელებენ.
- ▶ ახალგაზრდული სივრცის ყველაზე მოწესრიგებული სექტორისა და ინფრასტრუქტურის მქონე სფერო განათლება, მათ შორის კლასგარე განათლებაა. ახალგაზრდული სივრცისა და

ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის მეორე საკვანძო სფეროა ადგილობრივი ახალგაზრდული ცენტრები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ სახელმწიფო ან კერძო/საზოგადოებრივი სამოქალაქო ორგანიზაციები, და ასევე, ახალი და ინოვაციური არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივები, რომლებიც ახალგაზრდულ სერვისებს მუდმივად თუ ერთჯერადად ახორციელებენ.

- ▶ ქვეყნებში, სადაც ძლიერია ცენტრალური სახელმწიფო მხარდაჭერა ახალგაზრდობის პოლიტიკისათვის (მაგალითად, აზერბაიჯანი), ცენტრალური მთავრობის მნიშვნელოვანი ფინანსური და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა არსებობს ახალგაზრდული სამუშაოსთვის და ახალგაზრდობის მომსახურებისთვის ადგილობრივ დონეზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრი ახალგაზრდობის მომსახურება ხორციელდება სახელმწიფო დაწესებულებების მიერ.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება საკვანძო როლს ასრულებენ ახალგაზრდობის სერვისების უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით, ისეთ დიდ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია ან საფრანგეთი, სადაც მათ მომსახურების გაწევის ლომის წილი აწევს და მათი ბიუჯეტიც ბევრად აღემატება ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტიდან გამოყოფილ ნაწილს.

უფრო მომცრო ქვეყნებში, როგორიცაა კიპროსი ან პორტუგალია, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება სახსრების დეფიციტს განიცდის და ახალგაზრდობის ინფრასტრუქტურის ძალზე მწირ დაფინანსებას ახერხებს; გამონაკლისია დედაქალაქები, რომელთა განკარგულებაშიც, პოლიტიკის ყველა სფეროსთვის გაცილებით დიდი ბიუჯეტი აქვთ.

დღეს სახელმწიფო სისტემებში არსებული სიძნელები, რომლებიც განათლებისა და შრომის ბაზრის სფეროებში ადეკვატური გლობალური ხელმისაწვდომის უზრუნველყოფას უკავშირდება, ნიშნავს, რომ ახალგაზრდული საქმიანობა სულ უფრო ხშირად აწყდება უმუშევრობას, განათლების ნაკლებობას, მარგინალიზაციასა და სოციალურ იზოლაციას. ახალგაზრდული საქმიანობა სულ უფრო ხშირად გადაკვეთილია სოციალური მომსახურების სფეროსთან, რომელსაც წინათ კეთილდღეობის სახელმწიფო უზრუნველყოფდა. აქედან გამომდინარე, ის მოიცავს მუშაობას ისეთ სფეროებში, როგორიცაა: განათლება, დასაქმება, დახმარება და ხელმძღვანელობა, საცხოვრისი, გადაადგილება, კრიმინალური მართლმსაჯულება და ჯანმრთელობა, ისევე, როგორც — მონაწილეობის უფრო ტრადიციული სფეროები — ახალგაზრდობის პოლიტიკა, კულტურული საქმიანობა, დასვენება და სპორტი. ახალგაზრდული საქმიანობა ხშირად მიმართულია ახალგაზრდობის კონკრეტულ ჯგუფებზე, როგორებიცაა სოციალურად დაუცველი უბნების დუხჭირი ახალგაზრდები ან იმიგრანტი ახალგაზრდები, მათ შორის ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები. ახალგაზრდული საქმიანობა შეიძლება დროებით, კონკრეტული რელიგიური ტრადიციების ჯგუფისკენ იყოს მიმართული.

განსახილველი საკითხები

რა ტიპის ახალგაზრდული სივრცეებია თქვენს გარემოში და როგორ იცვალა მათ სახე წლების განმავლობაში, თუკი ეს საერთოდ მოხდა?

ვინ აფინანსებს ამ სივრცეებს და ვინ ეხმარება ადამიანური რესურსებით? როგორ იყენებენ ახალგაზრდები ამ სივრცეს?

რომელი სივრცეებით შეგიძლიათ სარგებლობა თქვენ და თქვენი ორგანიზაცია ან გაერთიანება?

ახალგაზრდობის პოლიტიკის დაფინანსება

ახალგაზრდობის პოლიტიკის დაფინანსების სტრუქტურები და ორგანოები დამოკიდებულია ახალგაზრდობის პოლიტიკის ადგილზე არსებულ სისტემასა და ძირითად მიდგომაზე პოლიტიკის, განსაკუთრებით — სოციალური და საგანმანათლებლო პოლიტიკისადმი. ახალგაზრდობის პოლიტიკის დაფინანსების ძირითადი წყაროები ყველა ევროპული ქვეყნის მასშტაბით არის:

- ▶ სახელმწიფო ბიუჯეტი (დარგობრივი სამინისტროს განკარგულებაში არსებული ფინანსები, როგორც ლუქსემბურგში, ან ჰორიზონტალური წესით, როგორც საფრანგეთში);
- ▶ ადგილობრივი და მუნიციპალური ბიუჯეტი (განსაკუთრებით იქ, სადაც ადგილობრივ ხელისუფლებას/მუნიციპალიტეტებს აკისრიათ კონკრეტული სერვისები, როგორიცაა: ახალგაზრდულისაქმიანობა, სოციალური საკითხები, ოფიციალური საგანმანათლებლო სისტემა, ადგილობრივი ტრანსპორტი, „ჰობი განათლება“ — hobby education);
- ▶ სპეციალური გადასახადები და ფონდები (მაგალითად, თამაშის გადასახადი ფინეთში);
- ▶ კერძო ინიციატივები (მაგალითად, ანტრეპრენერობის განვითარების პროგრამა ENTRUM ესტონეთში);
- ▶ საერთაშორისო საჯარო დაფინანსება, მათ შორის ევროკავშირის ფონდები (მაგალითად, ევროპის სოციალური ფონდი სლოვენიაში) და სხვა უცხოური/დონორი ფონდები (როგორიცაა: EEA გრანტები და ნორვეგიის გრანტები ესტონეთში, გაეროსა და USAID-ის დაფინანსება საქართველოში, უკრაინაში, სერბეთში, ალბანეთსა და მონტენეგროში).

ესტონეთისა და სლოვაკეთის მსგავს მომცრო ქვეყნებში დაფინანსება ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ, დარგობრივი სამინისტროს მეშვეობით (ორივე ქვეყანაში — განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო). დამატებითი დაფინანსება შეიძლება ასევე გამოიყოს დარგობრივ სამინისტროებს დაქვემდებარებული ან მათი ხელმძღვანელობით მოქმედი სპეციალური ორგანიზაციების მიერ (ასეთია, მაგალითად, IUVENTA სლოვაკეთში და EYWC ესტონეთში). უფრო დიდ და ფედერალური მოწყობის სახელმწიფოებში, ასევე იქ, სადაც ახალგაზრდობის პოლიტიკას ფართო გაგებით ეკიდებიან, ახალგაზრდობის პოლიტიკის დაფინანსება ხდება ჰორიზონტალური ან დარგთაშორისი ურთიერთთანამშრომლობით შექმნილი პროგრამების მეშვეობით, რომელიც მოიცავს ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ ყველა სფეროს - განათლებას, დასაქმებას, სწავლებას (ტრენინგები) და მოხალისეობას; ეს სისტემა საფრანგეთშია დამკვიდრებული. ახალგაზრდობის პოლიტიკის დაფინანსების მნიშვნელოვანი პრობლემა საკუთრივ ახალგაზრდობისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციების, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ე.წ. ქოლგა ორგანიზაციებისთვის ფინანსების მიწოდებაა. ევროპული ქვეყნების უმეტესობაში მთავრობა ახალგაზრდობის ორგანიზაციებს არსებით მხარდაჭერას უწევს — საფრანგეთში ახალგაზრდობის პოლიტიკისადმი ფართო მიდგომის გამო, მოხალისეობრივი ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი სახსრები სახელმწიფოს ჰორიზონტალური ახალგაზრდობის ბიუჯეტის (დაახლოებით 500 მილიონი ევრო) მხოლოდ 0,5%-ს შეადგენს, აი, ესტონეთში კი ეს მაჩვენებელი ახალგაზრდობის პოლიტიკის მთელი ბიუჯეტის (დაახლოებით 3 მილიონი ევრო) მესამედზე მეტს აღწევს.

ფინეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ახალგაზრდულ პრობლემებს სათამაშო საქმიანობიდან შემოსული თანხებითა და ბიუჯეტით აფინანსებს. განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, „სათამაშო საქმიანობით შემოსული სახსრების თითქმის 30 პროცენტი, რომელიც ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობას ხმარდება, ახალგაზრდობის სექტორის ორგანიზაციების საქმიანობაზე მიემართება და არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) მიერ

სამოქალაქო აქტივობისა და ახალგაზრდული საქმიანობის გაძლიერებას ისახავს მიზნად (ფინეთს ახალგაზრდული Wiki, 2020).

ახალგაზრდობის პოლიტიკის დაფინანსების სფეროსთვის მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორია მისი მიზნობრიობა და პრიორიტეტები. ახალგაზრდობის პოლიტიკის ვიწრო მიდგომითა და მწირი ბიუჯეტით გამორჩეულ ევროპულ ქვეყნებში, ახალგაზრდობის პოლიტიკისთვის გამოყოფილი სახსრების უმეტესი ნაწილი „სახერხემლო“ (მეინსტრიმული) ან პრიორიტეტულ პროექტებსა და პროგრამებზე იხარჯება და ახალგაზრდობის პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტებში განსაზღვრულ სფეროებსა და პროგრამებს, ასევე, პრიორიტეტებს შორის ბალანსის დაცვას დიდი ყურადღება არ ეთმობა. ახალგაზრდობის პოლიტიკის ვიწრო გაგების მქონე ქვეყნებში სახსრები უმეტესად მიმართულია ახალგაზრდულ მუშაობაზე, არაფორმალურ განათლებასა და სწავლებაზე (მაგალითად, ესტონეთი). ახალგაზრდობის პოლიტიკის ფართო გაგების მქონე ქვეყნებში ხდება რესურსების გაერთიანება ახალგაზრდობასთან დაკავშირებული ყველანაირი, მათ შორის განათლებისა და დასაქმების, პრობლემების მოსაგვარებლად (მაგალითად, საფრანგეთი).

აქვე უნდა ითქვას, რომ ქვეყნებში, სადაც ახალგაზრდობის პოლიტიკისადმი არა გამაერთიანებელ-შეჯერებითი (კონსოლიდირებული) წესები, არამედ დარგთაშორისი ან „სახერხემლო“ (მეინსტრიმული) მიდგომაა, პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოებსა და მაკოორდინებელ ინსტიტუტებს დაფინანსებაზე გავლენა არა აქვთ. ინგლისში, თუმცა ახალგაზრდობის პოლიტიკისთვის პასუხისმგებელი დარგობრივი სამინისტროა (ციფრული ტექნოლოგიების, კულტურის, მასმედიისა და სპორტის დეპარტამენტი — DCMS), ის კი არ არის ძირითადი დამფინანსებელი, არამედ ცალკეულ დეპარტამენტებს (სამინისტროებს) აკისრიათ მათთვის მინდობილი პოლიტიკისა და პროგრამების დაფინანსება. ნიდერლანდში, რაკი ახალგაზრდობასთან დაკავშირებული პოლიტიკის პასუხისმგებლობა განაწილებულია ოთხ სამინისტროზე (ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და სპორტის სამინისტრო; უსაფრთხოებისა და იუსტიციის სამინისტრო; განათლების, კულტურისა და მეცნიერების სამინისტრო; სოციალური საკითხებისა და დასაქმების სამინისტრო), ახალგაზრდობისთვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების მასშტაბი ძნელი დასადგენია.

განსახილველი საკითხები

დაფიქრდით თქვენს გარემოში განხორციელებული ახალგაზრდობის პოლიტიკის კომპონენტსა თუ მიზანზე — ვინ იყო პასუხისმგებელი მის განხორციელებაზე და როგორ დაფინანსდა იგი?

რა მოგეწონათ მასში და რისი გაუმჯობესებაა შესაძლებელი?

რამდენად ინფორმირებული არიან ახალგაზრდები თქვენს გარემოში ხელისუფლების მიერ ახალგაზრდობის პოლიტიკის დაფინანსების შესახებ?

დასკვნა

ამ თავში ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების პროცესი განვიხილეთ. ისევე, როგორც მართვის, სამთავრობო და საკანონმდებლო ინსტიტუტების საქმეში, დაფინანსების სფეროში (განსაკუთრებით, მისი წყაროების საკითხში), აღმასრულებელი ორგანოებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის ინფრასტრუქტურაშიც, საკმაო განსხვავებებს ვაწყდებით. განხორციელება ხშირად

დასტურდება მტკიცებულებებით და საანგარიშგებო სტრუქტურების (ან მათი არარსებობის) გავლენას განიცდის. ორივე ამ პრობლემაზე ქვემოთ მოცემულ მე-7 თავში ვიმსჯელებთ.

მტკიცებულება და ანგარიშვალდებულება

შესავალი

ეს თავი განიხილავს ახალგაზრდობის პოლიტიკის მტკიცებულებების წყაროებს, მათ შორის კვლევებსა და მონაცემებს, რომლებიც გამოიყენება ეროვნულ დონეზე, მაგრამ მომდინარეობს სხვადასხვა წყაროებიდან, ადგილობრივიდან საერთაშორისომდე, ასევე ანგარიშვალდებულების ცნებას და როგორ მოქმედებს იგი პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაზე.

ახალგაზრდობის პოლიტიკის კვლევა და მტკიცებულება

ახალგაზრდობის პოლიტიკის ფორმირება კვლევის მტკიცებულებების საშუალებით სასურველია ეფექტური პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით; თუმცა, როგორც ვნახეთ, კვლევის ტიპის განსაზღვრა და ის, თუ რა ითვლება მტკიცებულებად, თავად შეიძლება კატეგორიულად სადავო იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს უნივერსალური მტკიცებულების სტანდარტი ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებისთვის და კატეგორიზაცია კი პრობლემატურია, ევროკავშირის 2018 წლის ახალგაზრდობის სტრატეგია წახალისებს ეროვნულ ხელისუფლებას, შეიმუშაონ პოლიტიკები იმ რეალური პირობების ანალიზზე დაყრდნობით, რომელშიც ახალგაზრდები ცხოვრობენ. ევროკავშირის რამდენიმე წევრმა ქვეყანამ შეიმუშავა დეტალური დირექტივა პოლიტიკის მტკიცებულებებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება არის ხარისხიანი ახალგაზრდობის პოლიტიკის ძირითადი მახასიათებელი, რომელიც ეფუძნება რწმენას, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკა უნდა იყოს შემუშავებული არა მხოლოდ პოლიტიკური და მორალური მიზნების შესაბამისად, არამედ მთელს საზოგადოებაში ახალგაზრდების სოციალური მდგომარეობის შესახებ ზუსტ ემპირიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და მათი ცვალებადი მოლოდინების, დამოკიდებულებებისა და ცხოვრების წესის გათვალისწინებით. ცოდნაზე დაფუძნებული პოლიტიკა მოიცავს ცოდნის ორ განზომილებას: კვლევა/სამეცნიერო ცოდნა და პრაქტიკული/გამოცდილების ცოდნა. ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემუშავებისა და ახალგაზრდების შესახებ შესაბამისი განახლებული კვლევების შეგროვებისთვის; საჭიროა ასეთი კვლევის დაწყება იმ პირობებში, როდესაც არსებული მასალა არასაკმარისია.

მრავალი ინსტიტუტი და წყარო იძლევა მტკიცებულებებსა და კვლევებს ახალგაზრდობის პოლიტიკის სფეროში, მათ შორის:

- ▶ საერთაშორისო ორგანიზაციები (როგორიცაა ევროპის საბჭო, ევროკომისია და ევროკავშირ-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე);

- ▶ ეროვნული საჯარო და კერძო ორგანოები (როგორცაა სამთავრობო კვლევითი ცენტრები და უნივერსიტეტები);
- ▶ ანალიტიკური ცენტრები (როგორცაა youthpolicy.org) და ახალგაზრდობის კვლევითი ინსტიტუტები (როგორცაა ნიდერლანდების ახალგაზრდობის ინსტიტუტი (NJI), გერმანიის ახალგაზრდობის საერთაშორისო სამსახური (IJAB) ან ახალგაზრდობის კვლევის პლატფორმა (JOP) ბელგიის ფლამანდიური საზოგადოებაში);
- ▶ საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება და საქველმოქმედო ორგანიზაციები, როგორცაა Save the Children, Plan International ან Transparency International.

ლუქსემბურგში მტკიცებულებებზე აგებული მიდგომა ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის ძირითადი, თუმცა ზოგადი პრინციპია. 2008 წელს მიღებული ახალგაზრდობის კანონის 2.3 მუხლში ნათქვამია, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკა ახალგაზრდობის მდგომარეობის შესახებ არსებული ცოდნიდან გამომდინარეობს (Gesetzliche Grundlagen, 2020). ნიდერლანდში მტკიცებულებებთან კავშირი არა სამართლებრივ, არამედ ინსტიტუციურ დონეზეა უზრუნველყოფილი. ჯანდაცვის, კეთილდღეობისა და სპორტის სამინისტროს აკისრია სისტემური პასუხისმგებლობა მთავრობასა და ახალგაზრდობის კვლევით საზოგადოებას შორის არსებული საინფორმაციო ჯაჭვისთვის, ხოლო ნიდერლანდის ახალგაზრდობის ინსტიტუტი სამინისტროს დაკვეთითა და დაფინანსებით ახორციელებს ახალგაზრდობის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებას, შემოწმებასა და გავრცელებას, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს დარგის სპეციალისტები და დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს ადგილობრივი ახალგაზრდობის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში (NJI, 2020). შედეგით, ახალგაზრდობის პოლიტიკის 2004 წელს მიღებულ კანონში ნათქვამია, რომ ახალგაზრდობის ცხოვრების პირობები რეგულარულად და პოლიტიკის ყველა შესაბამის სფეროში არსებული ინდიკატორების გამოყენებით უნდა კონტროლდებოდეს (შედეგთის პარლამენტი, 2004).

ავსტრია იყენებს „ახალგაზრდობის კონტროლს“ (Youth Check) — ზემოქმედების შედეგის შეფასებაზე აგებულ სისტემას, რომელიც 2013 წლის იანვარში დაკანონდა და ყველა დეპარტამენტსა და მთელ სამთავრობო პოლიტიკაში ახალგაზრდობის საკითხების ჩართვას ითვალისწინებს. „ახალგაზრდობის კონტროლის კანონის“ თანახმად, ყველა ახალი საკანონმდებლო და სარეგულაციო ინიციატივა უნდა შეფასდეს იმ შესაძლო გავლენის კრილში, რომელიც მისმა მიღებამ ბავშვებზე, მოზარდებსა და ახალგაზრდებზე შეიძლება მოახდინოს. ეს მექანიზმი უიოლებს ახალგაზრდობის ორგანიზაციებს, კერძოთ ეროვნულ ახალგაზრდობის საბჭოს, საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობას და ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივის დაკანონების შემთხვევაში ახალგაზრდებზე მისი შესაძლო ზემოქმედების შეფასებას („ახალგაზრდობის მონაწილეობა“, 2020).

სერბეთში, ახალგაზრდობის საჭიროებებისა და მდგომარეობის გასაანალიზებლად, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო ყოველწლიურ ეროვნულ გამოკითხვას ატარებს. ყოველი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ამ გამოკითხვის ჩასატარებლად თანხის გამოყოფა სავალდებულოა. სერბეთის ახალგაზრდობის ეროვნული საბჭოც ასევე ატარებს ქვეყნის მასშტაბით ახალგაზრდობის გამოკითხვას, რომლის მიზანი ახალგაზრდობის საჭიროებებთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის შევსებაა.

განსახილველი საკითხები

იცნობთ თუ არა ახალგაზრდობის საკითხების საკვლევ ორგანიზაციას თქვენს თემსა თუ ქვეყანაში და კითხულობთ თუ არა კვლევას ახალგაზრდობის შესახებ?

ახალგაზრდობის პოლიტიკის რომელ კვლევასა თუ მტკიცებულებებს იყენებთ თქვენს გარემოში? როგორ იყენებთ?

ემთხვევა თუ არა კვლევა და მტკიცებულებები, რომელსაც თქვენს ეროვნულ ახალგაზრდობის პოლიტიკაში იყენებენ (თუკი ხელმისაწვდომია)?

ახალგაზრდობის პოლიტიკის ანგარიშგება

ანგარიშგება იმის გარანტიაა, რომ ხორციელდება საჯარო მოხელეების მიერ გადადგმული ნაბიჯებისა და მიღებული გადაწყვეტილებების ზედამხედველობა და ოფიციალური შემოწმება და რომ მთავრობის ინიციატივები შეესაბამება მათ მიზნებსა და ამოცანებს და იმ საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ადამიანების საჭიროებებს, რომლებსაც ისინი უნდა ემსახურებოდნენ, შესაბამისად, უკეთესი მმართველობის დამკვიდრებას უწყობს ხელს. როდესაც ლაპარაკია ახალგაზრდობის პოლიტიკაში საერთო და დარგობრივ ანგარიშგებაზე, საქმე გვაქვს აღმასრულებელი (სამთავრობო) ორგანოების ანგარიშგებასთან ახალგაზრდობის პოლიტიკის სამიზნე ძირითადი გაერთიანებებისა და მონაწილეთა (ახალგაზრდები და ახალგაზრდული ჯგუფები და ორგანიზაციები) წინაშე. ჩვეულებრივ, ის სექტორის წარმომადგენლობითი ორგანოს ხელთაა, რომელსაც ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების შეხედულებების წარდგენა შეუძლიათ. როგორც წესი, მას ეროვნული ახალგაზრდობის საბჭოს ან ახალგაზრდობის ორგანიზაციების ფედერაციის ფორმა აქვს. ევროპის მასშტაბით არსებული სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემების მრავალფეროვნებისა და სირთულის გამო, „ევროპულ მოდელად“ ახალგაზრდობის საბჭოს ფუნქციონირების ვერც ერთი სახეობა ვერ წარმოჩინდება. ეროვნული ახალგაზრდობის საბჭოების სამართლებრივი განსაზღვრებები მოცულობითა და დეტალებით განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგიერთი ქვეყანა მხოლოდ ძირითად განსაზღვრებას იძლევა. კოსოვოს ახალგაზრდობის საბჭო განისაზღვრება როგორც „ახალგაზრდობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ცენტრალური და ადგილობრივი დონის ახალგაზრდობის არაკომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შედგება“. სხვა ქვეყნებს ახალგაზრდობის საბჭოებსა და ახალგაზრდობის პოლიტიკის სისტემას შორის უფრო კონკრეტული კავშირურთიერთობა აქვთ დადგენილი. ბელგიაში (ფლანდრიაში) მთავრობას შექმნილი აქვს ოფიციალური ახალგაზრდობის საბჭო, რომელსაც ახალგაზრდობთან დაკავშირებული საკითხების შესახებ რჩევებისა და ცოდნა-გამოცდილების გაცემა აკისრია და მთავრობისა თუ პარლამენტის მოთხოვნით ახალგაზრდობის წარმომადგენლად გვევლინება, რითაც ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის მექანიზმის ნაწილად გვევლინება.

ანგარიშგების სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე ის ადგილია, რომელიც ახალგაზრდობის პოლიტიკის ანგარიშგების მექანიზმებს (ახალგაზრდობის საბჭოები) ამ პოლიტიკის მართვისას უკავია. პირველ რიგში უნდა განისაზღვროს, რას წარმოადგენს ახალგაზრდობის საბჭო და როგორია მისი ფუნქციები; ახალგაზრდობის საბჭოს ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ახალგაზრდობის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში (იხ. Holtom და სხვები, 2016). სლოვენიაში ახალგაზრდობის საბჭოსთვის ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი სამართლებრივი სისტემა აქვს. აი, როგორია ეროვნულ კანონმდებლობაში ჩადებული განსაზღვრება:

სლოვენიის ეროვნული ახალგაზრდობის საბჭო არის ახალგაზრდობის ეროვნული ორგანიზაციების ნებაყოფლობითი გაერთიანება ახალგაზრდობის სექტორში საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ორგანიზაციის სტატუსით და მოქმედებს ახალგაზრდობის სექტორში საზოგადოებრივი ინტერესის მარეგულირებელი კანონის შესაბამისად (კანონი ახალგაზრდობის საბჭოს შესახებ, 2000) სლოვენიის კანონმდებლობა ასევე აცხადებს, რომ სლოვენიის ეროვნული ახალგაზრდობის საბჭო და ადგილობრივი ახალგაზრდობის საბჭო წარმოადგენენ მათ წევრებს, რომლებიც მონაწილეობენ ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან, რომლებიც მონაწილეობენ ახალგაზრდობის საბჭოებთან, სხვებთან ერთად, რომლებიც არ არიან მათი წევრები და სუბიექტები.

ბელაში (ფლანდრია) ახალგაზრდობის პოლიტიკის კანონის სისტემა ახალგაზრდობის საბჭოს სრულმასშტაბიან მონაწილეობას ითვალისწინებს.

ფლამანდიის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ახალგაზრდობის საბჭოს შექმნა, რომლის ამოცანაა, საკუთარი ინიციატივით, ფლამანდიის მთავრობისა და ფლამანდიის პარლამენტის მოთხოვნით, წამოჭრას ახალგაზრდობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა და იკისროს ახალგაზრდობის წარმომადგენლის როლი (Eutrio.be, 2010) ფლამანდიის მთავრობა რეგულარულად მიმართავს ფლამანდიურ ახალგაზრდობის საბჭოს რჩევა-რეკომენდაციების მოწოდების თხოვნით ფლამანდიაში ახალგაზრდობის პოლიტიკის განსახორციელებლად შემუშავებული დადგენილებებისა და რეგულაციების პროექტებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, კანონში წერია, რომ ახალგაზრდობის საბჭოს უფლება აქვს დაამტკიცოს ან უარყოს რეკომენდაციები. ფლამანდიის მთავრობას, მის უფლებამოსილებებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესაბამისად, ახალგაზრდობის საბჭოსთვის თავისი გადაწყვეტილების არსის ახსნა-განმარტების ვალდებულება აკისრია.

ბელგიაში (ვალონია), ფრანგი თემის ახალგაზრდობის საბჭოს მდგომარეობა ასევე განმტკიცებულია რეგიონის კანონით და ფრანგი თემის ყველა ახალგაზრდის მონაწილეობასა და წარმომადგენლობას უზრუნველყოფს. ირლანდიაში, ირლანდიის ახალგაზრდობის ეროვნული საბჭო (NYCI) კანონით, ნებაყოფლობითი ახალგაზრდობის ორგანიზაციების წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს. ის იყენებს კოლექტიურ გამოცდილებას იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე. ცდილობს უზრუნველყოს, რომ ყველა ახალგაზრდას ჰქონდეს შესაძლებლობა, განივითაროს უნარ-ჩვევები და გაუმყარდეს ნდობა, რომელიც ინკლუზიურ საზოგადოებაში აქტიური მოქალაქეების სრული მონაწილეობისთვისაა საჭირო. NYCI-ის როლი კანონმდებლობაში განმტკიცებულია ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ 2001 წელს მიღებული კანონით და იგი განსაზღვრულია როგორც საზოგადოების სოციალური პარტნიორი და ირლანდიური სოციალური პარტნიორობის ნებაყოფლობითი საყრდენი. ანალოგიურად, დანიაში, დანიის ახალგაზრდობის საბჭოს (DUF) ადგილი ოფიციალურად არის განსაზღვრული ეროვნულ კანონმდებლობაში.

დანიის ახალგაზრდობის საბჭო (DUF) ბავშვთა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებისთვის მომსახურებისა და ინტერესთა სფეროს ორგანიზაციაა. DUF-ი ხელს უწყობს ახალგაზრდების მონაწილეობას ორგანიზაციების მუშაობაში და დემოკრატიის განმტკიცებაში — ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე (დანიის ახალგაზრდობის სამართალი, 2015) ეროვნული ხელისუფლების აღიარებითა და მხარდაჭერით ყველა ახალგაზრდობის საბჭო როდი სარგებლობს.

ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში აქტიური და წარმომადგენლობითი ახალგაზრდობის საბჭო არ არის აღიარებული ქვეყნის მთავრობის მიერ და არც ახალგაზრდობის პოლიტიკის ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმები არსებობს; ასეთია ბელარუსი, სადაც ბელარუსის ახალგაზრდობის ეროვნულ საბჭოს — „რადას“, რომელიც 20 -ზე მეტ ახალგაზრდობის ორგანიზაციას აერთიანებს,

ქვეყნის შიგნით კანონიერად საქმიანობის შესაძლებლობა არა აქვს და, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ლიეტუვაშია დარეგისტრირებული (RADA, 2020 წ).

დასკვნა

ახალგაზრდობის პოლიტიკის მტკიცებულებების წყაროები ადგილობრივიდან საერთაშორისომდე დონეებს და, როგორც ახალგაზრდობის სექტორის, ასევე მის მიღმა მყოფი დაინტერესებული მხარეების მიერ ჩატარებულ კვლევებსა და მონაცემებს მოიცავს. მათ სხვადასხვაგვარად იყენებენ პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას, მაგრამ ანგარიშგების სტრუქტურები, განსაკუთრებით ისეთი, რომლებიც აერთიანებენ ახალგაზრდებს, ახალგაზრდობის ორგანიზაციებსა და პოლიტიკის შემქმნელებს, ხელს უწყობენ ხელმისაწვდომი ინფორმაციის უფრო მეტ გამოყენებას და მტკიცებულებებზე აგებული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას.

განსახილველი საკითხები

რა სისტემები, პროცესები და მექანიზმები გამოიყენება თქვენს ქვეყანაში ახალგაზრდობის პოლიტიკის შესაფასებლად?

არის თუ არა თქვენს ქვეყანაში სტრუქტურები, ორგანიზაციები ან საბჭოები, რომლებიც კანონითაა აღიარებული და შეუძლიათ ანგარიში მოსთხოვონ მთავრობას ახალგაზრდობის პოლიტიკის გადაწყვეტილებებისთვის?

თქვენი აზრით, არის თუ არა საკმარისი კვლევა და მტკიცებულებები თქვენს ქვეყანაში/გარემოში ახალგაზრდობის სხვადასხვა ჯგუფის, მათი საჭიროებების და იმ პოლიტიკური ზომების შესახებ, რომლებმაც შეიძლება ეს საჭიროებები დააკმაყოფილოს?

მე-2 ნაწილის დასკვნა

მე-2 ნაწილში ახალგაზრდობის პოლიტიკის ეროვნულ დონეზე შემუშავებისა და განხორციელების მართვისა და ინფრასტრუქტურის მაგალითები განვიხილეთ. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ წინაშეა მრავალსიმომცველი სურათი, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებულია. ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილებების მიღება და თვითგამორკვევა ახალგაზრდობის პოლიტიკის უმთავრეს საკითხად რჩება; პასუხისმგებლობა ხშირად მმართველობის ქვედა დონეებზეა გადაცემული და ხშირად, მართებულად, დამატებითი მხარდაჭერის პრინციპებს ემყარება, რაც ბევრი გადაწყვეტილების ადგილობრივ დონეზე მიღების შესაძლებლობას იძლევა. მიუხედავად ამისა, ადგილზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და შედეგები შეიძლება ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოებით რეგულირდებოდეს და საპარლამენტო კონტროლს ექვემდებარებოდეს. უფრო მეტიც, ეფექტური ახალგაზრდობის პოლიტიკა დამოკიდებულია დარგთაშორის თანამშრომლობასა და ახალგაზრდობის სერვისების სხვადასხვა ფორმაზე, რომლებიც მნიშვნელოვან ახალგაზრდობის ინფორმაციასა და ახალგაზრდულ მუშაობას მოიცავს. ეროვნულ დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკის ფორმირება და მდგრადობა ასევე შესაბამისი კვლევით მიღებულ მტკიცებულებებსა და ანგარიშგების შესაბამის არხებს ემყარება.

ნაწილი 3

საერთაშორისო მმართველობა და
ინფრასტრუქტურა

შესავალი

მე-2 ნაწილში განხილული იყო ახალგაზრდობის პოლიტიკის მმართველობა და ინფრასტრუქტურა ეროვნულ დონეზე, ხოლო მე-3 ნაწილში კი განხილულია მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებიც აყალიბებენ, გავლენას ახდენენ და ახორციელებენ „ახალგაზრდობის პოლიტიკას“. მე-8 თავში განხილულია ევროკავშირის როლი, ხოლო მე-9 თავში ევრო საბჭოს წვლილი აღნიშნულ მიმართულებაში. 1998 წლიდან ამ ორ ინსტიტუციას შორის ასევე არსებობს ფორმალური თანამშრომლობა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარებაზე ევროპის მასშტაბით, რაც აღწერილია მე-10 თავში. გლობალურ დონეზე, გაეროს როლი მზარდია (თავი 11), მიუხედავად ამ დონეებზე ახალგაზრდული ხმის გამოხატვის არსებობისა, ევროპის ახალგაზრდული ფორუმი, როგორც პირველი თანასწორთა შორის, გვევლინება მოქმედ აქტორად.

თავი 8

ევროკავშირი

შესავალი

ევროკავშირი 27 წევრი სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი გაერთიანებაა. რეგულირების სპეციალურად გამოყოფილ სფეროებში, კავშირის სამართალს ეროვნულ კანონმდებლობებზე მაღალი პრიორიტეტი ენიჭება პირდაპირი მოქმედებით და, მიუხედავად იმისა, რომ დირექტივების გადატანა ეროვნული კანონმდებლობის მეშვეობით ხდება, დადგენილებები დაუყოვნებლივ შედის ძალაში სახელმწიფო ტერიტორიებზე.

კავშირის სამართალი ავტონომიური სამართლებრივი წესრიგია, რომელიც ეფუძნება პირდაპირი გზით არჩეული პარლამენტს - წევრი სახელმწიფოების (რომლებიც ერთიანად მოქმედებენ როგორც თანაკანონმდებლები) წარმომადგენლობით საბჭოს, სასამართლოს, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ გამოყენებას და ადმინისტრაციას, რომელიც ანგარიშვალდებულია თავისი მოქალაქეების წინაშე. 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, ის არის მოქალაქეების, და არა მხოლოდ სახელმწიფოების კავშირი (ადრე იწოდებოდა „საზოგადოება“). მიუხედავად იმისა, რომ წევრი სახელმწიფოების მიერ კომპეტენციის გადაცემა საერთაშორისო სამართლის ხელშეკრულებების ხელმოწერით განხორციელდა, ის არის არა საერთაშორისო, არამედ ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. თავდაპირველად იგი სავაჭრო ურთიერთობების გამყარების განზრახვით შეიქმნა, თუმცა შემდეგ „სულ უფრო მჭიდრო კავშირში“ გადაიზარდა, და უფრო ღრმა პოლიტიკურ და სოციალურ განზომილებები მოიცვა.

ეკონომიკურ ინტეგრაციას ეტაპობრივად მოჰყვა სამართლებრივი ინტეგრაცია, ფუნდამენტური უფლებების დაცვის კომპონენტსა და ღირებულებებზე გამაზვიებელი აქცენტით. თუმცა, კავშირისთვის რეგულირებისა და პოლიტიკის შემუშავების ყველა სფერო არ გადაცემულა, და ახალგაზრდობის პოლიტიკა, 165-ე მუხლის განმარტების შესაბამისად - „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების“ (TFEU) მე-6 მუხლთან დაკავშირებით, ეროვნული კომპეტენციის ფარგლებში რჩება. თუმცა, ეს ხელს არ უშლის წევრ სახელმწიფოებს, ითანამშრომლონ ახალგაზრდობის პოლიტიკის საკითხებში. ამაში მათ ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ ისინი უკვე ღრმად არიან ინტეგრირებულნი სხვა სფეროებში.

ახალგაზრდობის პოლიტიკა შედარებით ახალი პოლიტიკური მიმართულებაა ევროკავშირის ინსტიტუტებისა და სტრუქტურებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ახალგაზრდობის პოლიტიკა ოფიციალურად პირველად 1957 წლის ევროპული ეკონომიკური საზოგადოების (EEC) შესახებ ხელშეკრულებაშია მოხსენიებული (ხელშეკრულების 50-ე მუხლის თანახმად, „წევრი სახელმწიფოები ერთობლივი პროგრამის ფარგლებში წახალისებენ ახალგაზრდა მუშაკების გაცვლას“), 1992 წლის მასტრიხტის ხელშეკრულებამდე ახალგაზრდობასა და ახალგაზრდობის პოლიტიკას მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა კავშირის საქმიანობაში (იხ. ქვემოთ).

ევროკავშირის პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრა

ევროკავშირის საერთო პოლიტიკურ მიმართულებასა და პრიორიტეტებს ევროპის საბჭო განსაზღვრავს. ევროსაბჭოს წევრები არიან ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოს ან მთავრობის ხელმძღვანელები, ევროსაბჭოს პრეზიდენტი და ევროკომისიის პრეზიდენტი. საბჭო არ არის ფორმალური ინსტიტუტი და არ ეწევა კანონმდებლობით საქმიანობას, არ აწარმოებს მოლაპარაკებებს და არ იღებს ევროკავშირის კანონებს, თუმცა განსაზღვრავს ევროკავშირის პოლიტიკურ დღის წესრიგს, ტრადიციულად ევროპის საბჭოს სხდომებზე „დასკვნების“ მიღების გზით, რომლებითაც ხდება პრობლემურ საკითხების გამოვლენა და გასატარებელ ზომების განსაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკის მიმდინარე საკითხების მართვა ფორმალურ ინსტიტუტებს (ევროკავშირის საბჭო, კომისია და პარლამენტი - იხილეთ ქვემოთ) ევალება, ევროპის საბჭომ ახალგაზრდობისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა დაამტკიცა, რომელთა შორის ქვემოთ მოცემული საკითხებიც შედის.

- ▶ 2005 წლის მარტში, ევროპის საბჭომ მიიღო „ევროპის ახალგაზრდობის პაკტი“, დარგთაშორისი პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ახალგაზრდების საქირობებს და მათ „ლისაბონის სტრატეგიაში“ ინტეგრაციას.
- ▶ 2012 წლის დეკემბერში ევროპის საბჭომ მოუწოდა საბჭოს მიეღო რეკომენდაცია „ახალგაზრდობის გარანტიის“ შექმნის შესახებ.
- ▶ 2016 წლის დეკემბერში ევროპის საბჭომ მხარი დაუჭირა „ახალგაზრდობის გარანტიის“ გაგრძელებას, მიესალმა „ახალგაზრდების დასაქმების ინიციატივის“ (YEI) მიმართ მხარდაჭერის გაძლიერებას და მოუწოდა ახალგაზრდების შესახებ კომისიის ბოლო ინიციატივებზე მუშაობის გაგრძელებისკენ (ევროპის საბჭოს ზედამხედველობის ჯგუფი 2019).
- ▶ 2017 წლის დეკემბერში ევროპის საბჭომ წევრ სახელმწიფოებსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს მოუწოდა, ხელი შეეწყოს აკადემიური დიპლომების აღიარების, ახალგაზრდების მობილობის გაზრდისა და ციფრული უნარებისა და ენების სწავლების გაუმჯობესებისთვის (ibid.).

ევროკავშირის ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვა

ევროკავშირის ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვაში ევროკავშირის სამი ძირითადი ინსტიტუტი მონაწილეობს.

- ▶ ევროპარლამენტი წარმოადგენს და პირდაპირ არჩეულია ევროკავშირის მოქალაქეების მიერ; ახალგაზრდობის პოლიტიკის საკითხებს კურირებს პარლამენტის კულტურისა და განათლების კომიტეტი (CULT). დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. https://europa.eu/european-union/about-eu/institutions-bodies/european-parliament_en.
- ▶ ევროკავშირის საბჭო ცალკეული წევრი სახელმწიფოების მთავრობებს წარმოადგენს. ძირითადი სტრუქტურა, რომელიც საბჭოს ფარგლებში ეწევა ახალგაზრდობის პოლიტიკის ოპერაციულ დონეზე განხორციელებას, არის ახალგაზრდული სამუშაო ჯგუფი - განათლების, ახალგაზრდობის, კულტურისა და სპორტის საბჭოს (EYCS) კონფიგურაცია. პოლიტიკის სფეროები, რომელსაც EYCS საბჭო მოიცავს, წევრი ქვეყნების ძირითადი პასუხისმგებლობაა. ამრიგად, ევროკავშირის როლი ახალგაზრდობის პოლიტიკაში არის ჩარჩოს უზრუნველყოფა, რომლის საფუძველზეც წევრ ქვეყნებს ეძლევათ თანამშრომლობისა და საერთო ინტერესთა სფეროებში ინფორმაციისა და გამოცდილებების გაზიარების შესაძლებლობა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. https://europa.eu/european-union/about-eu/institutions-bodies/council-eu_en.

- ▶ ევროკომისია ევროკავშირის საერთო ინტერესებს წარმოადგენს. განათლების, ახალგაზრდობის, სპორტისა და კულტურის დარგში გენერალური დირექტორატი (DG EAC) პასუხისმგებელია ახალგაზრდობის პოლიტიკაზე მის აღმასრულებელ ორგანოსთან - განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოსთან (EACEA) ერთობლივად, რომელიც პასუხს აგებს ევროკავშირის პროგრამების მიმართულებაზე ცენტრალიზებულ მართვაში (მაგალითად, ზოგიერთი აქტივობა Erasmus + -ის ფარგლებში). დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. https://ec.europa.eu/info/index_en.

ერთობლივად ეს სამი ინსტიტუტი ავითარებს პოლიტიკას და კანონებს, რომლებიც მთელს ევროკავშირზე ვრცელდება. შეიძლება ითქვას, რომ კომისია ახდენს ახალ კანონების შემოთავაზებას, ხოლო პარლამენტი და საბჭო იღებს ამ კანონებს. შემდეგ კომისია და წევრი სახელმწიფოები ნერგავენ ამ კანონებს და კომისია უზრუნველყოფს მათ სათანადო გამოყენებასა და აღსრულებას (ევროკავშირის ინსტიტუტები 2020).

მოქმედი 165 TFEU მუხლის გარდა (იხ. ქვემოთ), ევროკავშირის კომპეტენცია ახალგაზრდობის პოლიტიკაში განისაზღვრა „კოორდინაციის ღია მეთოდის“ (OMC) ფარგლებში, რომელიც ევროკავშირის პოლიტიკის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად ცენტრალიზებულ მექანიზმია და ეფუძნება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ნებაყოფლობით თანამშრომლობას. OMC-ის ფარგლებში, ევროკავშირის ახალგაზრდობის პოლიტიკა ყველაზე მეტად იყო დამოკიდებული ევროკომისიის მიერ რბილი პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავებაზე, როგორცაა ევროკავშირის ახალგაზრდობის სტრატეგია და ინდიკატორები. ყველა ამ ინსტრუმენტის ინიცირებასა დამტკიცებას საბჭო და პარლამენტი ახორციელებენ; კომისია ხელს უწყობს ყოველდღიური საქმიანობას და მათ საბოლოო დამტკიცებისთვის წარუდგენს დანარჩენ ორ ინსტიტუტს.

ევროკავშირის ახალგაზრდობის პოლიტიკის ევოლუცია

1992 წელს, 1957 წლის EEC-ს ხელშეკრულების 50-ე მუხლი, რომელიც „ახალგაზრდა მუშაკთა გაცვლის“ ხელშეწყობას ითვალისწინებდა, გადატანილ იქნა „მასტრიხტის ხელშეკრულების“ 126-ე მუხლში და ტერმინი „ახალგაზრდა მუშაკები“ შეიცვალა უფრო ფართო კონცეფციით „ახალგაზრდობა“, რამაც ევროკავშირის ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლები გააფართოვა, თუმცა ის მაინც მხოლოდ განათლებით შემოიფარგლება (რადგან ეს 126-ე მუხლის კომპეტენციაშია). გარდა ამისა, ამ საკითხთან დაკავშირებული კომპეტენცია შემოიფარგლება წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის წახალისებით და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ქმედებების მხარდაჭერითა და შევსებით, ამასთანავე, წევრი ქვეყნების პასუხისმგებლობის სრული პატივისცემით სასწავლო პროგრამების შინაარსისა და განათლების სისტემების ორგანიზების კუთხით, ასევე მათი კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების მიმართ. განვითარების პირველ ეტაპზე (1992-2001 წწ.) ევროკავშირის კომპეტენცია შემოიფარგლებოდა დამხმარე და დამატებითი ღონისძიებებით.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ინსტიტუტების პოლიტიკის ფარგლები გაფართოვდა ახალგაზრდობთან მიმართებით („ახალგაზრდა მუშაკებიდან“ ზოგადად „ახალგაზრდობამდე“), მატერიალური სფერო შევიწროვდა და მხოლოდ განათლებით შემოიფარგლება, ხოლო აღნიშნული პრობლემის გადაჭრის კომპეტენცია შესუსტდა, რამდენადაც 126-ე მუხლი ევროკავშირის ინსტიტუტების ოფიციალურ საკანონმდებლო უფლებამოსილებებს ზღუდავს.

ამ მხრივ ცვლილებები არ მომხდარა ამსტერდამისა და ნიცის ხელშეკრულებების გადასინჯვის დროს. ლისაბონის ხელშეკრულებამ TFEU-ის 165-ე მუხლს დაამატა ახალი დებულება ევროპის დემოკრატიულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ (ასევე ახალგაზრდების გაცვლისა და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტების მოხილვების მხარდასაჭერად კავშირის წახალისების შესახებ, რაც ადრე გათვალისწინებული იყო ამ მუხლში).

1990-იანი წლების ბოლოს, როდესაც ევროკავშირმა სოციალურ საკითხებში უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო, ევროკომისიამ 2001 წელს კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა, გამოაქვეყნა რა თეთრი წიგნი სახელწოდებით „ახალი სტიმული ევროპელი ახალგაზრდებისთვის“ (ევროკომისია 2001 წ.). ეს გახდა ევროკავშირის ახალგაზრდობის პოლიტიკის ევოლუციის კატალიზატორი. თეთრ წიგნში შემოთავაზებული იყო თითოეული წევრი ქვეყნიდან ეროვნული კოორდინატორის დანიშვნა, კომისიაში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე წარმომადგენლის ფუნქციით. მასში ასევე გამოიყო ოთხი პრიორიტეტული მიმართულება: პირველი, ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდის ახალი გზების დანერგვა; მეორე, ევროპასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება; მესამე, მოხალისეობის წახალისება; და მეოთხე, ახალგაზრდობის პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლება. თეთრი წიგნში ასევე შემოთავაზებულია ახალგაზრდობის ასპექტის უფრო მაღალი ხარისხით გათვალისწინება სხვა შესაბამისი პოლიტიკების შემუშავებისას, როგორცაა განათლება და ტრენინგი, მათ შორის არაფორმალური სწავლება, დასაქმება და სოციალური ინკლუზია, ჯანმრთელობა და ანტიდისკრიმინაცია და ახალგაზრდების ავტონომია. თეთრ წიგნში განსაზღვრულ ოთხ პრიორიტეტულ მიმართულებაზე დაყრდნობით, საბჭომ შექმნა ევროპული თანამშრომლობის ჩარჩო ახალგაზრდობის სფეროში. 2000-იანი წლების დასაწყისიდან, ახალგაზრდობის სფეროში ევროკავშირის თანამშრომლობა სულ უფრო ძლიერდებოდა, შედეგად ჯერ 2005 წლის ევროპის ახალგაზრდობის პაკტი დაიდო, შემდეგ შემუშავდა ევროკავშირის პირველი ახალგაზრდობის სტრატეგია 2010-2018 წლებისთვის, რასაც მოჰყვა ევროკავშირის მეორე ახალგაზრდობის სტრატეგია 2019-27 წლებისთვის.

მოკლედ რომ ითქვას, 2005 წლის ევროპის ახალგაზრდობის პაკტი გაფართოვდა - ევროკავშირის ყოვლისმომცველი პრინციპების გათვალისწინებით, როგორცაა სუბსიდიარობა - ევროპული ახალგაზრდობის პოლიტიკის თანამშრომლობის აქცენტი განათლებაზე, დასაქმებასა და ოჯახურ ცხოვრებაზე. „ინვესტირება და გაძლიერება“, 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულის ევროკავშირის ახალგაზრდობის სტრატეგია, სხვა პრიორიტეტებს შორის, მიზნად ისახავდა ყველა ახალგაზრდისთვის მეტი და თანაბარი შესაძლებლობების შექმნას განათლებაში და შრომის ბაზარზე, ასევე აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის, სოციალური ჩართულობისა და სოლიდარობის ხელშეწყობას ყველა ახალგაზრდისთვის (სრული სია იხილეთ ქვემოთ). ევროკავშირის ამჟამინდელი ახალგაზრდობის სტრატეგია „ჩართულობა, კავშირი, გაძლიერება“ მიზნად ისახავს მოიცვას რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა, გაზარდოს მობილობის შესაძლებლობები და მხარი დაუჭიროს მათ ახალგაზრდებთან მუშაობის გზით. აღნიშნული დეტალურად არის აღწერილი ქვემოთ.

ევროკავშირის ახალგაზრდობის სტრატეგიები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროკავშირის კომპეტენცია ახალგაზრდობის პოლიტიკის სფეროში შემოიფარგლება წევრი სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლად შერჩეული საქმიანობების კოორდინირებით და საჭიროების შემთხვევაში რჩევისა და დახმარების გაწევით. ევროკავშირის პირველი ახალგაზრდობის სტრატეგია 2010-18 წლებისთვის მიზნად ისახავდა ასეთი ინიციატივების კოორდინაციას რვა სფეროში:

- ▶ დასაქმება და მეწარმეობა;
- ▶ სოციალური ინკლუზია;
- ▶ მონაწილეობა;
- ▶ განათლება და ტრენინგი;
- ▶ ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;
- ▶ მოხალისეობრივი საქმიანობა;
- ▶ ახალგაზრდობა და მსოფლიო;
- ▶ შემოქმედება და კულტურა.

სტრატეგია განხორციელდა ორი მიმართულებით. პირველ რიგში, ის მოიცავდა კონკრეტულ ახალგაზრდობის ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავდა წახალისებინა ახალგაზრდებში არაფორმალური განათლება, მონაწილეობა, მოხალისეობრივი საქმიანობა, ახალგაზრდებთან მუშაობა, მობილობა და ინფორმირებულობა. მეორე მხრივ, ის დაინტერესებული იყო „მეინსტრუმული“ დარგთაშორისი ინიციატივებით, იმ მიმართულებით, რომ უზრუნველყო ახალგაზრდობის საკითხების პროპორციული და ჯეროვანი გათვალისწინება პოლიტიკისა და ღონისძიებების შემუშავების, დანერგვისა და შეფასებისას სხვა ისეთ სფეროებში, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ახალგაზრდებზე, როგორიცაა განათლება, დასაქმება, ან ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ახალგაზრდებთან მუშაობას, როგორც ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობ მექანიზმს და აღნიშნულია, რომ „მას უფრო მეტი პოტენციალი აქვს ყველა სფეროში“.

ევროკავშირის პირველი ახალგაზრდობის სტრატეგიის ზოგადი ხასიათი მისი განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო. სტრატეგიის დასკვნით შეფასებაში აღნიშნული იყო, რომ ევროკავშირის იმ ქვეყნებში, სადაც ახალგაზრდობის პოლიტიკა დეცენტრალიზებული იყო, ევროკავშირის მიდგომა ახალგაზრდობის პოლიტიკისადმი ხშირად შეუთავსებელი იყო დელეგირებული ახალგაზრდობის პოლიტიკის მრავალფეროვნებასთან. რიგი რეგიონული და ადგილობრივი საკითხები სათანადოდ ვერ აისახა ევროკავშირის ახალგაზრდობის თანამშრომლობის ჩარჩოში, რამაც გამოიწვია ადგილობრივ და ევროპულ პოლიტიკასა და მის რეალიზაციას შორის წყვეტა.

მეორეს მხრივ, ევროკავშირის ეს პირველი ახალგაზრდობის სტრატეგია წარმატებული აღმოჩნდა ეროვნულ და ორგანიზაციულ დონეზე კონკრეტული ცვლილებების ინიცირების კუთხით, ასევე ყველა წევრ სახელმწიფოში ახალგაზრდობის პოლიტიკის საერთო მიდგომებისა და პრინციპების დანერგვის თვალსაზრისით. ევროკავშირის იმ ქვეყნებში, რომლებსაც არ ჰქონდათ მკაფიოდ განსაზღვრული ახალგაზრდობის პოლიტიკის ჩარჩო, კარგი პროგრესი იქნა მიღწეული ევროკავშირის მიზნებთან თანმიმდევრული ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების მხრივ.

დაბოლოს, ევროკავშირის მასშტაბით ქვეყნებმა აჩვენეს მზაობა, მიეღოთ ევროკავშირის ახალგაზრდობის სტრატეგიით განსაზღვრული ისეთი პრინციპები და მიზნები, როგორიცაა მონაწილეობა და კონსულტაცია ახალგაზრდებთან.

ევროკავშირის მეორე ახალგაზრდობის სტრატეგია 2019-27 წლებისთვის ემყარება პირველი სტრატეგიის გამოცდილებას და მთელ რიგ მსგავს ინსტრუმენტებს, როგორიცაა ურთიერთსწავლება, „ევროკავშირის ახალგაზრდობის დიალოგი“ (იხ. ქვემოთ), „ევროკავშირის ახალგაზრდობის სტრატეგიის პლატფორმა“ და მთელ რიგ, ფაქტობრივ მონაცემებზე დაფუძნებულ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ახალგაზრდობის ინდიკატორების ცხრილი (იხ. ქვემოთ). ევროკავშირის მომავალი ახალგაზრდობის კოორდინატორი იქნება ევროკომისიის საკონტაქტო პირი და ახალგაზრდებისთვის თვალსაჩინო ორიენტირი.

ევროკავშირის მეორე ახალგაზრდობის სტრატეგიის აქტივობები დაყოფილია სამ თემატურ ჯგუფად: ჩართულობა (ახალგაზრდების მონაწილეობით), კავშირი (ქვეყნებს შორის მობილობის, მოხალისეობითა და სოლიდარობით) და გაძლიერება (ახალგაზრდებთან მუშაობით). განხორციელების პირველი ეტაპზე (2019-2021) საბჭოს სამუშაო გეგმა ითვალისწინებს:

- ▶ ჩართულობა: ევროკავშირის ახალგაზრდობის დიალოგის ციკლები; საბჭოს დასკვნები საკითხზე - ახალგაზრდობა და დემოკრატია; საბჭოს დასკვნები საკითხზე - ახალგაზრდებთან მუშაობის ხელშეწყობა ახალგაზრდობის სექტორის ცნობიერების ამაღლებისა და რესურსების გაძლიერების გზით; ექსპერტთა ჯგუფი და საბჭოს დასკვნები საკითხზე - ახალგაზრდობის პოლიტიკისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის უზრუნველყოფა; საბჭოს დასკვნები საკითხზე - მრავალდონიანი მმართველობის გაძლიერება ადგილობრივ,

რეგიონულ, ეროვნულ და საერთო ევროპულ დონეზე ახალგაზრდების პოლიტიკურ და სხვა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობის ხელშეწყობაში.

- ▶ კავშირი: ექსპერტთა ჯგუფი საკითხზე - ქვეყნებს შორის სოლიდარობა; გამოცდილებების გაცვლა ეროვნული ერთიანობის საკითხზე; 2008 წლის საბჭოს რეკომენდაციის განახლება საკითხზე - ევროკავშირის მასშტაბით ახალგაზრდა მოხალისეთა მობილობა; საბჭოს დასკვნები სოფლად ახალგაზრდებთან მუშაობისა და თაობათაშორისი სოლიდარობის ხელშეწყობის შესახებ.
- ▶ გაძლიერება: საბჭოს დასკვნები საკითხზე - ახალგაზრდებთან მომუშავე სპეციალისტების განათლება და ტრენინგი; საბჭოს დასკვნები საკითხზე - ციფრული ტექნოლოგიები ახალგაზრდებთან მუშაობაში; გამოცდილების გაზიარების ღონისძიებები ახალგაზრდებთან მუშაობაში დარგთაშორისი მიდგომების გამოყენების თემაზე; საბჭოს რეზოლუცია „ახალგაზრდებთან მუშაობის დღის წესრიგი“; მესამე ევროპული კონვენცია ახალგაზრდებთან მუშაობის თემაზე (დაგეგმილია 2020 წლის დეკემბერში გერმანიაში); გამოცდილების გაზიარების ღონისძიება ციფრული ტექნოლოგიებში ახალგაზრდებთან მუშაობის თემაზე; გამოცდილების გაზიარების ღონისძიება თემაზე ახალგაზრდებთან მუშაობის დაფინანსების ინოვაციური გზები.

ვინაიდან სტრატეგია გრძელვადიანი ინსტრუმენტია, მასში გათვალისწინებული კონკრეტული აქტივობები შესაძლოა მცირედით შეიცვალოს კავშირის პოლიტიკის ახალი პრიორიტეტების შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ევროკავშირი (2018) და ევროკავშირის ახალგაზრდობის სტრატეგია (2020).

ევროკავშირის ახალგაზრდობის პოლიტიკის ინსტრუმენტები

2020 წლის მდგომარეობით, ევროკავშირის ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რაოდენობის პროგრამული დოკუმენტები და პროგრამები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მმართველობის მხარდაჭერისა და სტანდარტების განსაზღვრის კუთხით ისინი არ არის ისეთი ყოვლისმომცველი, როგორც ევროპის საბჭოს პროგრამები (იხ. შემდეგი თავი), ევროკავშირის გაცილებით მეტი რესურსი გააჩნია და, შესაბამისად, პოტენციურად ძალიან დიდი გავლენა აქვს ახალგაზრდებზე წევრ ქვეყნებში და ზოგჯერ მის ფარგლებს გარეთაც. ევროკავშირის მთელი რიგი სტრუქტურები და პროგრამები ძალზე აქტუალური და ქმედითია ახალგაზრდობის პოლიტიკის შემქმნელებისა და პრაქტიკოსებისთვის ევროკავშირში და მის ფარგლებს გარეთ.

მათ შორისაა:

- ▶ ევროკავშირის ინდიკატორები ახალგაზრდობის სფეროში;
- ▶ ევროკავშირის ახალგაზრდული Wiki;
- ▶ ევროკავშირის ახალგაზრდობის დიალოგი და ევროპის ახალგაზრდობის მიზნები;
- ▶ ევროკავშირის დაფინანსების პროგრამები ახალგაზრდებისთვის.

ევროკავშირის ინდიკატორების ცხრილი

ევროკავშირის ახალგაზრდობის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ინსტრუმენტია ევროკავშირის ახალგაზრდობის ინდიკატორების ცხრილი. ეს არის უნივერსალური და ფაქტობრივ მონაცემებზე დაფუძნებული მექანიზმი, რომლის გამოყენება, მისადაგება და ადაპტირება შესაძლებელია ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის კონტექსტში. მექანიზმი ეფუძნება დარგობრივ და კონტექსტუალურ ახალგაზრდობის ინდიკატორებს, რომლებიც რიგ დარგებში ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების პროგრესის გასაზომად გამოიყენება.

ყველა ინდიკატორის შესახებ მონაცემების მიღება შესაძლებელია ევროსტატის შესაბამისი მონაცემთა ბაზებიდან.

2019 წლის ბოლოს ევროკავშირმა წამოიწყო ცხრილის გადასინჯვა. გადასინჯვის პროცესი ეყრდნობა ევროკავშირის ექსპერტთა ჯგუფის ნაშრომებს, რომელიც ახალგაზრდობის პოლიტიკაში ცოდნის დაგროვებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკისადმი მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის ხელშესაწყობის მიზნით შეიქმნა, ევროკავშირის „ახალგაზრდობის სტრატეგიის შესახებ“ საბჭოს რეზოლუციის (და 2019- 2021 წლების სამუშაო გეგმის) შესაბამისად, რომელშიც ჩამოყალიბებულია ახალგაზრდობის დარგში ევროპის თანამშრომლობის ჩარჩო 2019-2027 წლებისთვის.

ევროკომისიის DG EAC-ს (ევროკავშირი 2018) მუშაობაში ექსპერტთა ჯგუფი დაეხმარა, რომელმაც ევროკავშირის არსებული ახალგაზრდობის ინდიკატორების ცხრილი განიხილა და ახალი ცხრილის პროექტი მოამზადა, პოლიტიკის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორებითა და წევრი სახელმწიფოებისა და შესაბამისი სექტორების საჭიროებებზე მორგებული სტანდარტებით, ევროკავშირის ახალგაზრდობის სტრატეგიის (2019-2027) განხორციელების მონიტორინგის გაადვილების მიზნით.

ევროკავშირის ახალგაზრდობის ინდიკატორის განახლებული ცხრილის გამოქვეყნება 2021 წელს იგეგმება.

ევროკავშირის ახალგაზრდული Wiki

ევროკავშირის ახალგაზრდული Wiki ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ ყოვლისმომცველი საინფორმაციო წყაროა. რეგულარულად განახლებული ონლაინ პლატფორმა შეიცავს ინფორმაციას ევროპის ქვეყნების ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ და შექმნილია იმ მიზნით, რომ რეფორმებისა და ინიციატივების სტატუსების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზით დაეხმაროს ევროკომისიას და წევრ სახელმწიფოებს ახალგაზრდობის პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში. ახალგაზრდული Wiki-ის საშუალებით ხარისხიანი ინფორმაციის შეგროვება ასევე იძლევა ინფორმაციისა და ინოვაციების გაცვლის საშუალებას და ხელს უწყობს გამოცდილებათა გაცვლის აქტივობების რეალიზაციას.

ევროკავშირის ახალგაზრდული Wiki-ის შინაარსის ფორმირება ხდება ევროკომისიისა და წევრი სახელმწიფოების მიერ ახალგაზრდობის მიმართულებით ევროპული თანამშრომლობის ჩარჩო-დოკუმენტში ჩამოყალიბებული პოლიტიკური პრიორიტეტების საფუძველზე. შედეგად, ევროკავშირის ახალგაზრდული Wiki-ის მიმდინარე ვერსია ძირითადად მოიცავს ევროკავშირის ახალგაზრდობის 2010-18 წლების სტრატეგიით განსაზღვრულ სფეროებს (ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვა; მოხალისეობრივი საქმიანობა; დასაქმება და მეწარმეობა; სოციალური ინკლუზია; მონაწილეობა; განათლება და ტრენინგი; ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; შემოქმედება და კულტურა; ახალგაზრდობა და მსოფლიო) და სპეციალური თავი ეთმობა ახალგაზრდებთან მუშაობას.

ევროკავშირის ახალგაზრდულ Wiki-ის ყოველწლიურად აახლებენ თითოეული წევრი ქვეყნის მთავრობების მიერ დანიშნული კორესპონდენტები. ევროკავშირის ახალგაზრდული Wiki-ის დიდი ნაწილი თვითმწიფასების ხარისხობრივ მონაცემების ეფუძნება და საშუალებას იძლევა, გავაანალიზოთ წევრ სახელმწიფოებში გატარებული რეფორმები და პოლიტიკის ტენდენციები. ინფორმაციის ძირითადი წყაროა თითოეული ქვეყნის ახალგაზრდობის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი უმაღლესი ეროვნული ორგანოების ოფიციალური დოკუმენტები. ადგილობრივი კორესპონდენტები ასევე ეყრდნობიან უშუალოდ სამთავრობო უწყებების მიერ, ან მათი დავალებით კვლევითი ცენტრების, ექსპერტების, ანალიტიკოსების და სხვ. მიერ ჩატარებულ კვლევებს, გამოკითხვებს, ანალიზებსა და შეფასებებს/დასკვნებს. ახალგაზრდულ Wiki-ში ქვეყნების შესახებ ინფორმაცია იშვიათად შეიცავს ეროვნულ მონაცემებსა და სტატისტიკას, რადგან ისინი, როგორც წესი, ქვეყნის სპეციფიკური მეთოდოლოგიების გამოყენებით გროვდება, რომელთა შედეგების გაგება მხოლოდ ეროვნულ კონტექსტშია შესაძლებელი. სტატისტიკური და რაოდენობრივი შედარების მიზნით, ევროკავშირის ახალგაზრდობის ინდიკატორების ცხრილი (იხ. ზემოთ) ბევრად უფრო სანდო და შესადარი წყაროა (ევროკავშირის ახალგაზრდული Wiki 2020).

ევროკავშირის ახალგაზრდობის დიალოგი და ევროპის ახალგაზრდობის მიზნები

„ევროკავშირის ახალგაზრდობის დიალოგი“ ევროკავშირში ახალგაზრდობის მონაწილეობის ცენტრალური ინსტრუმენტია. დიალოგის მექანიზმები მოიცავს პირდაპირ დიალოგს გადაწყვეტილების მიმღებებსა და ახალგაზრდებსა და მათ წარმომადგენლებს შორის, ახალგაზრდებთან კონსულტაციებს მათთვის აქტუალურ თემებზე და გრძელვადიან პარტნიორობას მმართველობის ადგილობრივ, ეროვნულ და საერთო ევროპულ დონეებზე.

ევროკავშირის ახალგაზრდობის დიალოგი 18-თვიანი სამუშაო ციკლებისგან შედგება, ის ევროკავშირის წარმომადგენლობითი სამეულის ჩართულობით მიმდინარეობს და წევრ ქვეყნებში საერთო ევროპული და ეროვნული ღონისძიებების ჩატარებას გულისხმობს. თითოეული ციკლში ყურადღება სხვადასხვა თემატურ პრიორიტეტებს ეთმობა (რომელთაც ახალგაზრდობის მინისტრთა საბჭო ადგენს). ევროკავშირის ახალგაზრდობის დიალოგი წინასწარ განსაზღვრული გეგმით მიმდინარეობს, გარკვეული ვარიაციებით, რომლებიც რეგიონული და ადგილობრივი თავისებურებებიდან გამომდინარეობს. ყოველი ციკლის პირველ კონფერენციაზე, ახალგაზრდების წარმომადგენლები და პოლიტიკოსები ადგენენ გაიდლაინს, რომლითაც თითოეულ ქვეყანაში ორგანიზებულმა ეროვნულმა კონსულტაციებმა უნდა იხელმძღვანელონ. მეორე კონფერენციაზე მიმდინარეობს ეროვნულ კონსულტაციების შედეგების განხილვა და ერთობლივი რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც მიმართულია პოლიტიკაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდაზე. ციკლის მესამე და ბოლო კონფერენციაზე ნაციონალური მთავრობების წარმომადგენელი ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრები განიხილავენ რეკომენდაციებს, ვიდრე მათი დამტკიცება მოხდება. საბოლოო რეკომენდაციები საფუძვლად ედება საბჭოს რეზოლუციას, რომელიც განკუთვნილია ევროპული ინსტიტუტებისა და ეროვნული მთავრობებისთვის, და რომელიც 18-თვიანი ციკლის ბოლოს ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრების მიერ უნდა დამტკიცდეს. „ევროკავშირის ახალგაზრდობის დიალოგს“ ევროკავშირის დონეზე განაგებს „ევროპული მმართველი კომიტეტი“ (ახლდება ყოველ 18-თვიან სამუშაო ციკლში), რომლის შემადგენლობაში შედიან ევროკავშირის სამი თავმჯდომარე ქვეყნის ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები, სამი თავმჯდომარე ქვეყნის ეროვნული ახალგაზრდობის საბჭოების წარმომადგენლები, Erasmus + სამი თავმჯდომარე ქვეყნის ეროვნული სააგენტოების წარმომადგენლები და „ევროპის ახალგაზრდული ფორუმი“. გარდა ამისა, „ევროკავშირის ახალგაზრდობის დიალოგის“ პროცესის ორგანიზებას თითოეულ ქვეყანაში ახორციელებენ ეროვნული სამუშაო ჯგუფები. ჯგუფების შემადგენლობა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, მაგრამ ისინი, როგორც წესი, დაკომპლექტებული არიან, სხვათა შორის, ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროების,

ეროვნული, ადგილობრივი და რეგიონული ახალგაზრდობის საბჭოების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების წარმომადგენლებით, ახალგაზრდებთან მომუშავე სპეციალისტებით, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელი ახალგაზრდებით და ახალგაზრდობის საკითხების მკვლევრებით (ევროკავშირის ახალგაზრდობის დიალოგი 2020).

„ევროპული ახალგაზრდობის მიზნები“ 2017-18 წლების „ევროკავშირის ახალგაზრდობის დიალოგის“ ციკლის შედეგია და წარმოადგენს შთაგონების წყაროს და ორიენტირს ევროკავშირისთვის, წევრი სახელმწიფოებისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისა და ხელისუფლებებისთვის ევროკავშირის ახალგაზრდობის სტრატეგიის განხორციელებაში. კონსულტაციის პროცესში გამოიკვეთა 11 ახალგაზრდობის მიზანი:

1. ევროკავშირის კავშირი ახალგაზრდებთან;
2. ყველა სქესის თანასწორობა;
3. ინკლუზიური საზოგადოებები;
4. ინფორმაციული და კონსტრუქციული დიალოგი;
5. ფსიქიკური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;
6. სოფლის მკვიდრი ახალგაზრდობის წინსვლის ხელშეწყობა;
7. ხარისხიანი დასაქმება ყველასთვის;
8. ხარისხიანი ტრენინგი;
9. სივრცე და მონაწილეობა ყველასთვის;
10. მდგრადი მწვანე ევროპა;
11. ახალგაზრდობის ორგანიზაციები და ევროპული პროგრამები.

(ევროპის ახალგაზრდობის მიზნები 2020)

ევროკავშირის დაფინანსების პროგრამები ახალგაზრდებისთვის

ევროკავშირში დაფინანსების პროგრამების დახმარებით ახალგაზრდობის პოლიტიკის ხელშეწყობას ხანგრძლივი ისტორია აქვს, საფუძველი კი 1988 წლის პროგრამით „ახალგაზრდობა ევროპისთვის“ ჩაეყარა.

მიმდინარე Erasmus + პროგრამა მოიცავს დებულებებს იმ ახალგაზრდებისა და ახალგაზრდებთან მომუშავე სპეციალისტებისთვის, რომლებიც მხარს უჭერენ:

- ▶ პოლიტიკურ დიალოგს ახალგაზრდებსა და პოლიტიკოსებს შორის ევროკავშირის ქვეყნებსა და Erasmus + პროგრამაში ჩართულ ქვეყნებში;
- ▶ ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდებს შორის გაცვლებს;
- ▶ ევროკავშირის, მეზობელი ქვეყნებისა და დანარჩენი მსოფლიოს ახალგაზრდათა საკითხებზე მომუშავე სპეციალისტების მობილობას (Erasmus 2020).

ევროკავშირი ასევე მხარს უჭერს ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარებას მის საზღვრებს მიღმა, განსაკუთრებით „ევროპის სამეზობლო“ ქვეყნებში, აღმოსავლეთ ევროპაში, დასავლეთ ბალკანეთსა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. ამ ტერიტორიებზე ევროკავშირის აქტივობები მოიცავს როგორც

მთავრობებისთვის ტექნიკურ დახმარების გაწევას ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში (მაგ. კვლევა და პოლიტიკის შემუშავება), ასევე უშუალოდ ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერას, მაგ. ორგანიზაციებისა და ქსელების პროექტების დაფინანსების გზით.

დასკვნა

ევროკავშირი შესაძლოა არ თამაშობდეს ძლიერ როლს წევრი ქვეყნების ახალგაზრდობის პოლიტიკაში, მაგრამ ის რჩება უმნიშვნელოვანეს აქტორად როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე, გამომდინარე იქიდან, რომ მნიშვნელოვანი ბიუჯეტი აქვს გამოყოფილი ახალგაზრდობის პოლიტიკისა და ახალგაზრდობის პროგრამისთვის, ასევე კვლევით საქმიანობაში ნაყოფიერი თანამშრომლობის გამო. გარდა ამისა, იგი აქტიურად უჭერს მხარს ახალგაზრდებს და ახალგაზრდობის პოლიტიკას მთელს მსოფლიოში მისი „ევროპული სამეზობლოსა“ და საერთაშორისო განვითარების პროგრამებისა და სტრუქტურების მეშვეობით.

კითხვები განსჯისათვის

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის: მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ევროკავშირის ახალგაზრდობის პოლიტიკის რომელიმე მექანიზმში? როგორი იყო ამ ურთიერთობის მიმართულება და ხასიათი - ქვემოდან ზევით (ადგილობრივიდან ევროკავშირის დონეზე), ზემოდან ქვევით (ევროკავშირიდან ადგილობრივამდე) - და რა შედეგები გამოიღო?

რა კავშირი/ურთიერთქმედება არსებობს თქვენს ქვეყნისა და ევროკავშირის ახალგაზრდობის პოლიტიკებს შორის?

როგორი გავლენა/ მხარდაჭერა ჰქონდა ევროკავშირის დონეზე არსებულ პოლიტიკასა და მიდგომებს ახალგაზრდობის პოლიტიკაზე თქვენს ქვეყანაში?

ევროკავშირის ახალგაზრდობის პოლიტიკის რომელი ინსტრუმენტებს შეარჩევდით შესასწავლად და ადაპტირებისთვის თქვენი კონტექსტიდან გამომდინარე?

გამოგიყენებიათ თუ არა ევროკავშირის ახალგაზრდობის პროგრამა თქვენს კონტექსტში? რა ზეგავლენა ჰქონდა ამ გამოცდილებას პოლიტიკაზე?

ევროპის საბჭო

შესავალი

ევროპის საბჭო დაარსდა 1949 წელს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებებს, დემოკრატიას და კანონის უზენაესობას ომის შემდგომი ევროპის ფარგლებში. მისი წევრების რაოდენობა მუდმივად იზრდება და ამჟამად 47 ქვეყანას შეადგენს.

ევროპის საბჭო ახალგაზრდებთან მუშაობისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის პიონერია ევროპაში 1972 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც „სტრასბურგის ევროპის ახალგაზრდობის ცენტრი“ და „ევროპის ახალგაზრდობის ფონდი“ შეიქმნა. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები და ახალგაზრდები ერთობლივად მუშაობენ სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო სტრუქტურებში, პროგრამებსა და პროექტებში, ევროპაში ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების მხარდაჭერის მიზნით.

ევროპის საბჭოს საწესდებო ორგანოები და ახალგაზრდობის სექტორის მართვა

ევროპის საბჭო მმართველობა

ევროპის საბჭოს ორი ძირითადი ორგანო (საწესდებო გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები) არის „მინისტრთა კომიტეტი“, დაკომპლექტებული თითოეული წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებით და 47 წევრი ქვეყნის პარლამენტარებისგან შემდგარი „ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა“ (PACE). ორივე ორგანომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავებაში (მინისტრთა კომიტეტი 2020).


ახალგაზრდობის სექტორის თანამმართველი სტრუქტურები

წესდების საფუძველზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების გარდა, ევროპის საბჭო ახალგაზრდობის სექტორის მართვაში თანამმართველობის უნიკალურ სისტემასაც იყენებს. იგი მონაწილეობითი დემოკრატიის პრაქტიკულ მაგალითს წარმოადგენს ევროპის საბჭოს მთელი ახალგაზრდობის სექტორისთვის. ეს არის ერთობლივი განსჯისა და მუშაობის ადგილი, რომელიც თავს უყრის ახალგაზრდა ევროპელებისა და ახალგაზრდების საკითხზე მომუშავე სამთავრობო უწყებების ხმებს, რის შედეგადაც ხდება გამოცდილებათა გაცვლა და შეფასება. ამ დიალოგის წყალობით, სადაც ყველა მხარე თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობს, შესაძლებელი ხდება იდეებისა და გამოცდილებების გაზიარება, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის სულისკვეთებით, რაც „ახალგაზრდობის გაერთიანებული საბჭოს“ (CMI) გადაწყვეტილებებს ლეგიტიმურობას სძენს.

თანამმართველობითი სისტემა კომპლექსური არქიტექტურის მქონე სტრუქტურაა, რომელიც დგას ახალგაზრდობის ორგანიზაციების, მთავრობების, ევროპის საბჭოს ინსტიტუტებისა და სხვა ძირითადი პარტნიორების რეგულარულ და ხარისხიან წვლილზე, როგორც ეს ნაჩვენებია მე-4 სურათზე.

ძირითადი თანამმართველობითი ინსტიტუტებია „გაერთიანებული საბჭო ახალგაზრდობის საკითხებში“ (CMJ), რომლის შემადგენლობაში შედის „მრჩეველთა საბჭო ახალგაზრდობის საკითხებში“ (CCJ), „ევროპული მმართველი კომიტეტი ახალგაზრდობის საკითხებში“ (CDEJ) და „დაგეგმარების კომიტეტი ახალგაზრდობის საკითხებში“ (CPJ).

სურათი 4: თანამმართველობითი სტრუქტურა



წყარო: ევროპის საბჭო ახალგაზრდობის პარტნიორობა

CDEJ თავს უყრის „ევროპის კულტურული კონვენციის“ მონაწილე 50 სახელმწიფოს სამინისტროებს ან უწყებებს, რომლებიც ახალგაზრდობის საკითხებზე არიან პასუხისმგებელი. CDEJ ხელს უწყობს მთავრობებს შორის ახალგაზრდობის სექტორში თანამშრომლობას და უზრუნველყოფს ჩარჩოს ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკების შედარებისთვის, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებისა და ნორმატიული ტექსტების შემუშავებისთვის.

CCJ არასამთავრობო ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა და ქსელების 30 წარმომადგენელს აერთიანებს. იგი უზრუნველყოფს, რომ ახალგაზრდობის სექტორის ყველა სფეროში მოხდეს ახალგაზრდობის არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებებისა და კომპონენტის გათვალისწინება და რომ ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღონ საბჭოს მუშაობაში.

CMJ არის ერთობლივი მმართველობითი ორგანო, რომელიც CCJ-სა და CDEJ-ს აერთიანებს. „გაერთიანებული საბჭო“ ახალგაზრდობის სექტორის პრიორიტეტების, პროგრამებისა და ბიუჯეტის შესახებ იღებს გადაწყვეტილებებს.

CPJ შედგება მთავრობის რვა წარმომადგენლისგან CDEJ-დან და არასამთავრობო ორგანიზაციის რვა წარმომადგენლისგან CCJ-დან. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <http://www.coe.int/en/web/youth/co-management>.

ახალგაზრდობის პოლიტიკა ევროპის საბჭოს სტრატეგიული მიზნების ფარგლებში

„ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის დეპარტამენტის“ მუშაობას ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში განსაზღვრავს ახალგაზრდობის სექტორის სტრატეგიული ხედვა, რომლის ფარგლებშიც ის მუშაობს. პირველ რიგში, „დღის წესრიგი 2020“, რომელიც 2008 წელს იქნა მოწონებული თითქმის 50 ევროპული სახელმწიფოს ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრების მიერ, გამოხატავს საერთოევროპულ კონსენსუსს ახალგაზრდობის სექტორის მუშაობის პრინციპებზე, პრიორიტეტებსა და მიდგომებზე და ახალგაზრდობის სექტორის სამ მთავარ პრიორიტეტს გამოყოფს:

- ▶ ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა;
- ▶ ერთად ცხოვრება მრავალფეროვან საზოგადოებებში;
- ▶ ახალგაზრდების სოციალური ჩართულობა.

ეს დოკუმენტი 2018 და 2020 წლებში განახლდა, მინისტრთა კომიტეტის მიერ ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის სექტორის სტრატეგია 2030-ის მიღების დროს, 2020 წლის იანვარში. ახალგაზრდობის სექტორის სტრატეგია არის ფართო პოლიტიკური ორიენტაციის დოკუმენტი, იგი აყალიბებს ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის სექტორი ახორციელებს თავის მიზანს - ახალგაზრდებს მთელ ევროპაში მიეცეთ საშუალება აქტიურად მისდიონ, დაიცვან, ხელი შეუწყონ და ისარგებლონ ევროპის საბჭოს ფუნდამენტური ფასეულობებით, როგორცაა ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა. მისი ოთხი სტრატეგიული პრიორიტეტი შემდეგი ათწლეულისთვის შემდეგია:

- ▶ დემოკრატიის აღორძინება;
- ▶ უფლებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ▶ ერთად ცხოვრება მრავალფეროვან და მშვიდობიან საზოგადოებებში;
- ▶ ახალგაზრდებთან მუშაობა.

ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პოლიტიკის ინსტრუმენტები

ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებისთვის ევროპის საბჭოს ძირითადი ინსტრუმენტებია:

- ▶ ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პოლიტიკის სტრუქტურები;
- ▶ ევროპის საბჭოს სტანდარტების განმსაზღვრელი პოლიტიკური დოკუმენტები;
- ▶ ევროპის საბჭოს ღონისძიებები წევრი სახელმწიფოების დასახმარებლად;
- ▶ ევროპის საბჭოს მასალები და პუბლიკაციები (მათ შორის, ახალგაზრდობის პოლიტიკის მიმოხილვები და გაიდლაინები).

ზემოაღნიშნული კატეგორიებიდან თითოეული შეიცავს რამდენიმე კომპონენტს, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებას ყველა დონეზე, ადგილობრივი და სათემო ინიციატივებიდან დაწყებული, კოორდინაციისა და თანამშრომლობის საერთოევროპული ძალისხმევებით დამთავრებული.

ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პოლიტიკის სტრუქტურები

ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი

„ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი“ არის „ევროპის საბჭოს დემოკრატიის გენერალურ დირექტორატის“ („DGII“) „დემოკრატიული მონაწილეობის დირექტორატის“ ნაწილი.

დეპარტამენტის ფუნქციაა სახელმძღვანელო მითითებების, პროგრამებისა და სამართლებრივი ინსტრუმენტების შექმნა, რათა ხელი შეუწყოს თანმიმდევრული და ეფექტური ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებას ადგილობრივ, ეროვნულ და საერთო ევროპულ დონეზე.

დეპარტამენტი ასევე ახორციელებს საერთაშორისო ახალგაზრდობის აქტივობების დაფინანსებას და საგანმანათლებლო მხარდაჭერას, ისწრაფვის რა ახალგაზრდებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, ახალგაზრდების მობილობისა და ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კულტურული პლურალიზმის პოპულარიზაციისკენ. მისი მიზანია თავი მოუყაროს და გაავრცელოს ახალგაზრდა ევროპელების ცხოვრებისეული სიტუაციების, მისწრაფებებისა და თვითგამოხატვის საშუალებების გამოცდილებები და ცოდნა.

ევროპის ახალგაზრდობის ცენტრები

ევროპის საბჭოს ფარგლებში „ევროპის ახალგაზრდობის ცენტრები“ სტრასბურგსა და ბუდაპეშტში „ახალგაზრდების საქმეთა დეპარტამენტის“ ნაწილია და „ევროპის ახალგაზრდობის ფონდთან“ (EYF) ერთად, საბჭოს ახალგაზრდობის პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ეს არის საერთაშორისო სასწავლო და საკონფერენციო ცენტრები საცხოვრებელი ფართებით, რომლებიც ახალგაზრდობის სექტორის აქტივობების უმეტეს ნაწილს მასპინძლობს. ისინი უზრუნველყოფენ მოქნილ და თანამედროვე სამუშაო გარემოს საერთაშორისო აქტივობებისთვის, სინქრონული თარგმნის აპარატურით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზებით, საინფორმაციო ცენტრებით, აუდიოვიზუალური და კომპიუტერული აღჭურვილობით.

„ევროპის ახალგაზრდობის ცენტრები“, არასამთავრობო ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, უძღვებიან ყოველწლიურ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც 40-50 ღონისძიება იმართება. ეს ორგანიზაციები, რომელთაგან 40-მდე რეგულარულად თანამშრომლობს EYF-სთან, ინტერესთა ფართო სპექტრს წარმოადგენს, ესენია: პარტიულ-პოლიტიკური, სოციალურ-საგანმანათლებლო და რელიგიური ახალგაზრდობის ჯგუფები, სოფლის ახალგაზრდობის მოძრაობები, პროფკავშირული და ახალგაზრდა მუშაკთა ორგანიზაციები, ბავშვთა ორგანიზაციები და ეკოლოგიური ქსელები (ევროპის ახალგაზრდობის ცენტრები 2020).

ევროპის საბჭოს „ევროპის ახალგაზრდობის ცენტრების“ პოპულარიზაციის მიზნით, - როგორც სტანდარტების შემქმნელი ინსტრუმენტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის კარგი პრაქტიკული მაგალითისა - CDEJ-მა „ახალგაზრდობის ცენტრების“ პროექტისთვის „ევროპის საბჭოს ხარისხის ნიშანი“ შეიმუშავა. „მინისტრთა კომიტეტი“ მიესალმა სამწლიანი საპილოტე ფაზის ინიციატივას, რომელიც 2010 წლიდან დაიწყო; შემდგომ ის გაფართოვდა და ახლა უკვე ჩამოყალიბებული ახალგაზრდობის სექტორის პროგრამაა.

2020 წლის ივნისის მდგომარეობით, ევროპის საბჭოს 11 წევრ ქვეყანაში დაახლოებით 14-მა ახალგაზრდობის ცენტრმა მიიღო „ევროპის საბჭოს ხარისხის ნიშანი“ (დაწვრილებითი

ინფორმაციისთვის, იხილეთ ნაწილი 4). ყველა ახალგაზრდობის ცენტრი თანამშრომლობს, როგორც ერთიანი ქსელის ნაწილი, რომელიც ყოველწლიურად იკრიბება.

ევროპის ახალგაზრდობის ფონდი

EYF არის 1972 წელს ევროპის საბჭოს მიერ ევროპის ახალგაზრდობის საქმიანობის ფინანსური მხარდასაჭერის მიზნით დაარსებული ფონდი (ევროპის ახალგაზრდობის ფონდი 2020). მისი 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენდა დაახლოებით 3.7 მილიონ ევროს. EYF მხარს უჭერს ევროპული არასამთავრობო ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა და ქსელურ პროექტებს, როგორცაა საერთაშორისო ახალგაზრდობის შეხვედრები, კონფერენციები, კამპანიები, სასწავლო კურსები, სემინარები და სასწავლო ტურები, ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის სექტორის პრიორიტეტებთან თანხვედრაში. ის ეწევა ახალგაზრდობის ორგანიზაციების დაფინანსებასა და კონსულტირებას, ზრდის ახალგაზრდებთან მომუშავე სპეციალისტებისა და ლიდერების პოტენციალს და აზიარებს წარმატებულ მეთოდებს. ევროპის ახალგაზრდობის არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ფონდს მიმართონ შემდეგი აქტივობების მხარდასაჭერად:

- ▶ ერთჯერადი საერთაშორისო ღონისძიებები, როგორცაა სულ მცირე, შვიდი ქვეყნის წარმომადგენელი ახალგაზრდების მრავალმხრივი შეხვედრები, რომელიც ჩატარდება საერთაშორისო არასამთავრობო ახალგაზრდობის ორგანიზაციების ან ქსელების ან ეროვნული ახალგაზრდობის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, სულ მცირე, სხვა ქვეყნების წარმომადგენელი სამი პარტნიორის მონაწილეობით;
- ▶ საერთაშორისო არასამთავრობო ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა და ქსელების ყოველწლიური სამუშაო გეგმები: ერთ წელიწადში განსახორციელებელი, ყოველწლიური სამუშაო გეგმა უნდა მოიცავდეს ურთიერთდაკავშირებული, ერთი ფართო საერთო მიზნით გაერთიანებული ღონისძიებების სერიას;
- ▶ ორწლიანი სტრუქტურული გრანტები, რომლებიც ფარავს ახალგაზრდობის არასამთავრობო ორგანიზაციების ზოგად ადმინისტრაციულ ხარჯებს და ხელმისაწვდომია იმ საერთაშორისო ახალგაზრდობის არასამთავრობო ორგანიზაციების ან ქსელებისთვის, რომლებმაც წინა სამი წლის განმავლობაში მიინიშნა სამი საერთაშორისო ღონისძიებისთვის მიიღეს მხარდაჭერა (EYF გრანტი ან სასწავლო სესია „ევროპის ახალგაზრდობის ცენტრების“ წლიური პროგრამის ფარგლებში).
- ▶ საპილოტე აქტივობები, რომლებიც მიმართულია ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების მიერ გამოვლენილი საჭიროებებისა და/ან პრობლემების გადაჭრისკენ, აქვთ მკაფიო კავშირი და ზეგავლენა ადგილობრივ კონტექსტზე და ეხმიანებიან „ახალგაზრდობის საკითხებში გაერთიანებული საბჭოს“ მიერ განსაზღვრული საპილოტე საქმიანობების ძირითად თემებს.

ევროპის საბჭოს სტანდარტების განმსაზღვრელი პოლიტიკური დოკუმენტები

ევროპის საბჭო ჩართულია ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების დასაძლევად საჭირო სტანდარტების შემუშავებისა და მხარდაჭერის საქმიანობაში. ის ეხმარება წევრ სახელმწიფოებს მათი ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებაში რეკომენდაციებისა და სხვა დოკუმენტების მიწოდების გზით, რომლებიც ეფუძნება ორგანიზაციის ფასეულობებს და მოწოდებულია უზრუნველყოს ევროპაში ახალგაზრდობის პოლიტიკის სტანდარტების მინიმალური დონე.

რეკომენდაციებს ახალგაზრდობის პოლიტიკის სფეროში „მინისტრთა კომიტეტი“ იღებს. როგორც წესი,

მათ შედგენაზე მუშაობენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტებულია თანამმართველი ორგანოების წარმომადგენლებით, ექსპერტებით, მკვლევრებითა და სხვა მთავარი დაინტერესებული მხარეებით. შემდეგ მათ ამტკიცებს CMJ და „მინისტრთა კომიტეტს“ წარუდგენს საბოლოო დამტკიცებისთვის.

უკანასკნელ წლებში ევროპის საბჭომ მიიღო არაერთი უადრესად აქტუალური ინსტრუმენტი, რომლებიც ახალგაზრდობის თემებს უკავშირდება და რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი, მათ შორისაა რეკომენდაციები ახალგაზრდებთან მუშაობის, უფლებებზე წვდომისა და სოციალური უფლებების შესახებ.

ევროპული ქარტია ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ

1992 წელს, „ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების მუდმივმა კონფერენციამ“ („ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის“ წინამორბედი) გააცნობიერა, რომ ახალგაზრდების მონაწილეობისთვის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებებმა ისეთი კულტურა უნდა შექმნან, რომელშიც ახალგაზრდები ღირებული და სასარგებლო წვლილის შეტანას შეძლებენ. „მუდმივი კონფერენციის“ გადაწყვეტილებები ასახულ იქნა „ევროპული ქარტიაში ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ“, რომელიც შეიქმნა ახალგაზრდებისა და ადგილობრივი და რეგიონული არჩეული წარმომადგენლების დისკუსიის შედეგად. 2003 წელს ქარტია გადასინჯულ იქნა კონფერენციის „ახალგაზრდები - საკუთარი ქალაქებისა და რეგიონების აქტორები“ ახალგაზრდა მონაწილეთა მოთხოვნით, რომელიც კონგრესის ორგანიზებით 2002 წლის მარტში, ქარტიის 10 წლის იუბილეს აღსანიშნავად გაიმართა კრაკოვში (პოლონეთი).

განახლებული ქარტია სამი ნაწილისგან შედგება: დარგობრივი პოლიტიკა; ახალგაზრდების მონაწილეობის ინსტრუმენტები; ახალგაზრდების ინსტიტუციური მონაწილეობა ადგილობრივ და რეგიონულ საქმეებში. განახლებული ქარტიის I ნაწილი შეიცავს სხვადასხვა პოლიტიკური სფეროების - მათ შორის ჯანდაცვის, ურბანული გარემოსა და განათლების მიმოხილვას, და გვთავაზობს მთელ რიგ კონკრეტულ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს იმ მხარდაჭერას, რაც ახალგაზრდებს სჭირდებათ საკუთარ თემებში ჩართულობისთვის. ნაწილი II იკვლევს იმ იდეებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს შეუძლიათ გამოიყენონ ახალგაზრდების მონაწილეობის გასაზრდელად, მათ შორისაა ტრენინგები, საინფორმაციო სერვისები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები და სხვ. III ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ინსტიტუციურ მონაწილეობაზე და ისეთი ტიპის სტრუქტურებსა და მხარდაჭერაზე, რომელიც უნდა შეიქმნას ახალგაზრდების იმ პროცესებში ჩასართავად, სადაც მათ შეეძლება თავიანთი საჭიროებების გამოვლენა, გადაჭრის გზების ძიება, ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც მათთვის შედეგიანი იქნება და სადაც მათ შეეძლება ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებასთან თანაბარ პირობებში მოქმედებების დაგეგმვა.

ეს შეიძლება მოიცავდეს ახალგაზრდობის საბჭოებს, ახალგაზრდობის პარლამენტებს ან ახალგაზრდობის ფორუმებს, რომლებიც იქნება არჩეული ან დანიშნული წარმომადგენლებით დაკომპლექტებული მუდმივი სტრუქტურები და რომლებმაც ახალგაზრდებს უნდა გადასცეს პირდაპირი პასუხისმგებლობა პროექტებსა და გავლენის მქონე პოლიტიკაზე. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. <https://rm.coe.int/168071b4d6>.

CM/Rec(2015)3 რეკომენდაცია ღარიბ დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდების სოციალურ უფლებებზე წვდომასთან (“the Enter! Recommendation”)

Enter! Recommendation ეფუძნება ევროპის საბჭოს ამავე სახელწოდების პროექტს და მიზნად ისახავს - განსაკუთრებით მულტიკულტურულ ღარიბ დასახლებებში - ახალგაზრდების მიმართ ექსკლუზიის, დისკრიმინაციისა და ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებას, ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებისა და ახალგაზრდებთან მუშაობის გზით. (მინისტრთა კომიტეტი 2015).

რეკომენდაციას ავსებს „ახალგაზრდობის საკითხებში ერთობლივი საბჭოს“ მიერ შედგენილი საგზაო რუკა, რომელიც სამ მთავარ დაინტერესებულ მხარეს - წევრ სახელმწიფოებს, ახალგაზრდობის ორგანიზაციებსა და ევროპის საბჭოს „ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს“ კონკრეტულ ამოცანებს სთავაზობს.

CM/Rec(2016)7 რეკომენდაცია ახალგაზრდების უფლებებზე წვდომასთან დაკავშირებით

რეკომენდაცია მიზნად ისახავს ახალგაზრდების უფლებებზე წვდომის გაზრდას და არა კონკრეტულ უფლებრივი პრობლემების გაჭრას. ის ყურადღებას ამახვილებს უფლებებზე წვდომის გაზრდაზე, ასევე ცნობიერების ამაღლებაზე იმ უფლებების შესახებ, რომლითაც ახალგაზრდებს უნდა შეეძლოთ სარგებლობა და იმის შესახებ, თუ რა შეუძლიათ მოიმოქმედონ, თუ მათი უფლებები ირღვევა. მისი ამოცანაა ასევე სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური ბარიერების მოხსნა და ყურადღებას ამახვილებს წევრი სახელმწიფოების რეგულარულ მონიტორინგსა და უფლებათა დარღვევების ფაქტებზე რეაგირებაზე, ასევე ადეკვატური სამართლებრივი დაცვის საშუალებების უზრუნველყოფაზე.

რეკომენდაციას ავსებს „ახალგაზრდობის საკითხებში ერთობლივი საბჭოს“ მიერ შედგენილი საგზაო რუკა, რომელიც სამ მთავარ დაინტერესებულ მხარეს - წევრ სახელმწიფოებს, ახალგაზრდობის ორგანიზაციებსა და ევროპის საბჭოს „ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს“ კონკრეტულ ამოცანებს სთავაზობს (ევროპის საბჭო 2016).

CM/Rec(2017)4 რეკომენდაცია ახალგაზრდებთან მუშაობასთან დაკავშირებით

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის ახალგაზრდებთან მუშაობის პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით დახმარების მიზნით, რეკომენდაცია შეიცავს სტრატეგიულ და საკანონმდებლო რჩევებს, რომლებიც შედეგად გამოიღებენ ახალგაზრდებთან მუშაობის სფეროში ხარისხის ამაღლებას და ასევე ახალგაზრდებთან მომუშავე კადრების ხარისხიან განათლებასა და ტრენინგს.

რეკომენდაცია განხორციელდება ევროპული ცოდნაზე დაფუძნებული ახალგაზრდობის მუშაობის განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგიის საფუძველზე, რომელიც მოიცავს საგზაო რუკას, მთავარი დაინტერესებული მხარეების - წევრი სახელმწიფოებისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებისთვის შეთავაზებული კონკრეტული ამოცანებით (მინისტრთა კომიტეტი 2017).

CM/Rec(2019)4 რეკომენდაცია ზრდასრულ ასაკში გარდამავალ ახალგაზრდა ლტოლვილთა მხარდაჭერასთან დაკავშირებით

ეს რეკომენდაცია თავდაპირველად შემოთავაზებული იყო „ახალგაზრდობის საკითხებში მრჩეველთა საბჭოს“ მიერ და არის „ახალგაზრდობის დეპარტამენტის“ მიერ შეტანილ წვლილი ევროპის საბჭოს „ევროპაში ლტოლვილი და მიგრანტი ბავშვების დაცვის სამოქმედო გეგმაში“ (2017-19) (მინისტრთა კომიტეტი, 2019).

რეკომენდაცია ეხება ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფს - ახალგაზრდა ლტოლვილებს, რომლებიც მუდმივად იმყოფებიან ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დარღვევის საფრთხის ქვეშ. ეს ვითარება განსაკუთრებით მძიმეა მართოდ მყოფი ან ოჯახებისგან განცალკევებული პირებისთვის, ასევე ახალგაზრდა ლტოლვილი ქალებისთვის. რეკომენდაცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, დამატებითი დროებითი მხარდაჭერა აღმოუჩინონ ახალგაზრდა ლტოლვილებს 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგაც, რათა მათ მიეცეთ თავიანთი უფლებებით სარგებლობის საშუალება. რეკომენდაცია განხორციელდება ევროპის საბჭოს პროგრამის „ახალგაზრდები დემოკრატიისთვის“ ფარგლებში.

რეკომენდაციას ავსებს CMJ-ს მიერ შედგენილი საგზაო რუკა, რომელიც სამ მთავარ დაინტერესებულ მხარეს - წევრ სახელმწიფოებს, ახალგაზრდობის ორგანიზაციებსა და ევროპის საბჭოს „ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს“ კონკრეტულ ამოცანებს სთავაზობს.

ევროპის საბჭოს ღონისძიებები წევრი ქვეყნების მხარდასაჭერად

ახალგაზრდობის პოლიტიკის განხილვა

ევროპის საბჭო წლების განმავლობაში სთავაზობს ახალგაზრდობის პოლიტიკის საერთაშორისო განხილვის სისტემას, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია ეროვნულ დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების ყოვლისმომცველი კვლევა და შეფასება. ბოლო 23 წლის განმავლობაში 21 ასეთი განხილვა განხორციელდა (იხ. Williamson 2002, 2008, 2017). ახალგაზრდობის პოლიტიკის საერთაშორისო განხილვები იყო ყველაზე კომპლექსური და ყოვლისმომცველი ღონისძიება ევროპის საბჭოს სისტემის ფარგლებში, რომლებიც მოწოდებულია ახალგაზრდობის პოლიტიკური აზროვნებისა და განვითარების მხარდასაჭერად. ეს პროცესი მოიცავს ვალდებულებების ფართო სპექტრს, დაწყებული პოლიტიკურით და დამთავრებული ფინანსურით, როგორც მომთხოვნი ქვეყნის, ისე ევროპის საბჭოს მხრიდან. მთავარი ეტაპებია ეროვნული ანგარიშის მომზადება ახალგაზრდობის პოლიტიკისა და ქვეყანაში ახალგაზრდების მდგომარეობის შესახებ, ექსპერტთა ჯგუფის ორი ინტენსიური სავლე ვიზიტი კონკრეტული მოსაზრებების შესასწავლად როგორც სამთავრობო, ისე ქვედა დონეზე, საერთაშორისო ანგარიშის დასრულება მასპინძელი მთავრობასთან კონსულტაციის გზით და მისი პრეზენტაცია მასპინძელ ქვეყანაში საჯარო მოსმენაზე და CMJ-ს წინაშე ევროპის საბჭოს ფარგლებში (ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის განხილვები 2020).

საკონსულტაციო მისიები

„ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი“ წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით და მათი მოთხოვნით აწყოებს საკონსულტაციო მისიებს ახალგაზრდობის პოლიტიკის თემაზე. ფორმალურად

ისინი კონფიდენციალური ხასიათისაა მოცემული ქვეყნისთვის, თუმცა მათი შედეგების გამოქვეყნება რეკომენდებულია. საკონსულტაციო მისიები, რომელთაგან პირველი 2003 წელს შედგა, კონკრეტულ საკითხთან ან პრობლემასთან მიმართებით აფასებენ ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარებას, მაგალითად, მონაწილეობითი ახალგაზრდობის პოლიტიკა საქართველოში ბოლო მისიაში, ან ეროვნული ახალგაზრდობის სტრატეგიის განხორციელება სომხეთში (ბოლო მაგალითები იხილეთ ორმხრივი ღონისძიებების ვებგვერდზე www.coe.int/en/web/youth/bilateral-measures).

დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი ქვეყანას შესაბამისი ინფორმაციისა და მოსაზრებების თავმოსაყრელად სტუმრობს, რის შემდეგაც შეიმუშავებს რეკომენდაციებს ევროპის საბჭოს ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად. რიგ შემთხვევებში ჯგუფს მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელი ეხმარება, რომელიც თავისუფლად ფლობს შესაბამის ენასა და საგანს. ხელისუფლებისთვის მზადდება მოკლე ანგარიში კონკრეტული და პრაქტიკული რეკომენდაციებით ახალგაზრდობის პოლიტიკის მიმართულებით ქვეყნისთვის აქტუალურ საკითხებზე, უახლოესი და საშუალოვადიან პერიოდისთვის. ვიზიტიდან დაახლოებით 12 თვის გასვლის შემდეგ, „ევროპულ მმართველ კომიტეტს ახალგაზრდობის საკითხებში“ შეუძლია ხელისუფლებას მოსთხოვოს ანგარიში (ევროპის საბჭო და ახალგაზრდობის პოლიტიკა, 2016 წ.).

50/50 ტრენინგის ღონისძიებები

„ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის“ მიერ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით ორგანიზებული „50/50“ ტრენინგის ღონისძიებები შექმნილია ახალგაზრდობის სექტორში დასაქმებული პროფესიონალების კომპეტენციების გასავითარებლად, დაწყებული საჯარო მოხელეებიდან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელებაზე ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე და დამთავრებული ახალგაზრდობის არასამთავრობო ორგანიზაციებით, რომლებიც მუშაობენ ახალგაზრდებთან და უზრუნველყოფენ მათ სხვადასხვა სერვისებით.

ტრენინგების მიზანია ხელი შეუწყოს თანამშრომლობასა და პარტნიორობას - როგორც ეფექტურ ახალგაზრდობის პოლიტიკას - და მასში ჩართული უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარე, განსაკუთრებით სამთავრობო ორგანიზაციები (ეროვნული და რეგიონულ და/ან ადგილობრივი) და ახალგაზრდობის ორგანიზაციები ან სხვა სტრუქტურები, ახალგაზრდობის წარმომადგენლობითა და მონაწილეობით.

როგორც დასახელება მიუთითებს, კურსის კონცეფცია მოითხოვს მთავრობის წარმომადგენლების 50%-ისა და არასამთავრობო ორგანიზაციების 50%-ის მონაწილეობას. პროგრამის თითოეულმა ასპექტმა ხელი უნდა შეუწყოს დიალოგს, თავი მოუყაროს ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხედვებს, მათ შორის დემოკრატიული და ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების გამოწვევებს, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმებს. 50/50 კონცეფციის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატში, დაწყებული შედარებით გრძელვადიანი ტრენინგის ღონისძიებებით და დამთავრებული მოკლე ან მიზნობრივი კომპეტენციის განვითარების სემინარებით (ევროპის ახალგაზრდობის ცენტრები 2020).

2017 წელს ჩრდილოეთ მაკედონიის ახალგაზრდობისა და სპორტის სააგენტომ მოითხოვა დახმარება თავისი 2016-25 წლების ეროვნული ახალგაზრდობის სტრატეგიის განხორციელების მხარდასაჭერად, რასთან დაკავშირებითაც 2017 წლის ნოემბერში მოეწყო ტრენინგი 50/50. 2019 წელს საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტომ წამოაყენა მსგავსი მოთხოვნა და 2020 წლის თებერვალში ჩატარდა 50/50 კურსი (უახლოესი მაგალითები შეგიძლიათ იხილოთ ორმხრივი ღონისძიებების ვებ-გვერდზე www.coe.int/en/web/youth/bilateral-measures).

ევროპის საბჭოს მასალები და პუბლიკაციები

ევროპის საბჭო გთავაზობთ რიგ პუბლიკაციებს ახალგაზრდობის პოლიტიკის საკითხებზე, დაწყებული პოლიტიკითა და კანონმდებლობით, ახალგაზრდების კვლევებით და დამთავრებული ახალგაზრდობის პოლიტიკითა და ახალგაზრდებთან მუშაობის პრაქტიკით:

- ▶ გამოქვეყნებული ახალგაზრდობის პოლიტიკის მიმოხილვები (როგორც ზემოთ არის აღწერილი);
- ▶ ცნობარები და სახელმძღვანელოები, როგორიცაა „ცნობარი-კომპასი ახალგაზრდებისთვის ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“;
- ▶ ახალგაზრდებთან მუშაობის რესურსები, როგორიცაა „ახალგაზრდობის სამუშაო პორტფოლიო“;
- ▶ პუბლიკაციები ახალგაზრდობის პოლიტიკის ისტორიის შესახებ;
- ▶ სამუშაო და საპროექტო ანგარიშები;
- ▶ დამტკიცებული დოკუმენტები და რეკომენდაციები;
- ▶ ბროშურები;
- ▶ საინფორმაციო ბიულეტენი *Think Youth*.

დასკვნა

ევროპის საბჭო ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების მნიშვნელოვანი მხარდამჭერია ეროვნულ და საერთო ევროპულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ მისი ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობები შეზღუდულია ორგანიზაციის პროფილით (სამთავრობათაშორისო და არა ზესახელმწიფოებრივი, როგორც ევროკავშირის შემთხვევაში) და ასევე მიუხედავად იმისა, რომ მისი ახალგაზრდობის პოლიტიკის ინსტრუმენტები არჩევითი ხასიათისაა, მის მიერ წვერი სახელმწიფოების, ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა და მთელი კონტინენტის ახალგაზრდებისთვის შექმნილი ახალგაზრდობის პოლიტიკის მხარდაჭერის მექანიზმების პორტფელით მას საშუალებას აძლევს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს კონკრეტულ შემთხვევებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოთხოვნა ადგილობრივი და ეროვნული დაინტერესებული მხარეებიდან მოდის.

კითხვები განსჯისათვის

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პოლიტიკის შექმნის ან დანერგვის პროცესში?

იყენებს თუ არა ვინმე თქვენს ქვეყანაში ან თემში თანამმართველობის პრინციპებს ახალგაზრდობის პოლიტიკაში?

რა კავშირი/ურთიერთქმედება არსებობს თქვენს ქვეყანაში ახალგაზრდობის პოლიტიკასა და ევროპის საბჭოს შორის?

გამოიყენეთ თუ არა თქვენს ქვეყანაში ევროპის საბჭოს პოლიტიკის მხარდაჭერის მექანიზმები?

როგორ იმოქმედა ან ჩამოაყალიბა პოლიტიკაზე თქვენს კონტექსტში ევროპის საბჭოს რეკომენდაციებმა ახალგაზრდობის სფეროში?

რა გავლენა იქონია თქვენს კონტექსტში არსებულ პოლიტიკურ პრინციპებსა და პრაქტიკაზე ევროპის საბჭოს მიერ ახალგაზრდობის სექტორისთვის შემუშავებულმა პრინციპებმა და ინსტრუმენტებმა?

ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე

შესავალი

ევროკომისიისა და ევროპის საბჭოს შორის პარტნიორობა ახალგაზრდობის სფეროში (საყოველთაოდ ცნობილი როგორც „ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე“ ან „პარტნიორობა“) არის ერთობლივი სტრუქტურა, რომელიც დაიწყო 1998 წელს, როგორც თანამშრომლობა ახალგაზრდობთან მომუშავე კადრების მომზადებისა და სასწავლო პროგრამების განვითარებისთვის. მას შემდეგ ის გაფართოვდა და დივერსიფიკაცია განიცადა, რათა ყურადღება მიემართა, სხვათა შორის, ცოდნის შეგროვებასა და მართვაზე, ახალგაზრდობთან მუშაობასა და ახალგაზრდობის პოლიტიკაზე. ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს შორის ახალგაზრდობის საკითხებში პარტნიორობა ეფუძნება პარტნიორი ინსტიტუტების დაბალანსებული მონაწილეობის პრინციპს პოლიტიკური პრიორიტეტების, მმართველობის, დაფინანსებისა და ხილვადობის თვალსაზრისით.

პარტნიორობის ზოგადი მიზანია ახალგაზრდობის სფეროში ორი პარტნიორი ინსტიტუტის პრიორიტეტებსა და პროგრამებს შორის ერთობლივი მოღვაწეობის ხელშეწყობა. იგი ორივე ინსტიტუტს ეხმარება მათი შესაბამისი სამუშაოების შესრულებაში: ევროკავშირს - ევროკავშირის ახალგაზრდობის სტრატეგიის მიზნების განხორციელებაში: ჩართულობა, კავშირი, გაძლიერება; ხოლო ევროპის საბჭოს - 2020-2021 წლების ახალგაზრდობის სექტორის პრიორიტეტებში: ახალგაზრდობის უფლებებზე ხელმისაწვდომობა, ახალგაზრდობის მონაწილეობა და ახალგაზრდობთან მუშაობა, ინკლუზიური და მშვიდობიანი საზოგადოებები და ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის სექტორის სტრატეგია 2030.

პარტნიორობა სთავაზობს პლატფორმას თანამშრომლობისთვის და ასრულებს ანალიტიკური ცენტრისა და ლაბორატორიის ფუნქციას, აგროვებს და აწარმოებს ცოდნას, თარგმნის მას ახალგაზრდობის პოლიტიკასა და პრაქტიკაში ეფექტური გამოყენებისთვის, ამუშავებს და ცდის ახალი მიდგომებს და ითვალისწინებს ტრადიციული თემებსა და ინოვაციურ ტენდენციებს.

ყველა გადაწყვეტილება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პარტნიორობასთან დაკავშირებით ორი პარტნიორი ინსტიტუტის მიერ ერთობლივად მიიღება პარტნიორობის მმართველ საბჭოში, რომელშიც შედიან ევროკომისიისა და ევროპის საბჭოს წარმომადგენლები და დამკვირვებლები.


ამ ორი სტრუქტურის ფარგლებში, პარტნიორობას ჰყავს პარტნიორების ფართო სპექტრი, დაწყებული ორგანიზაციების წევრ სახელმწიფოებში ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი სამინისტროებით (ევროკავშირისთვის, „ახალგაზრდული სამუშაო ჯგუფის“ ფარგლებში და ევროპის საბჭოსთვის CDEJ-ში), დამთავრებული არასამთავრობო პარტნიორებით. ეს არასამთავრობო პარტნიორებია: „მრჩეველთა საბჭო ახალგაზრდობის საკითხებში“; „ევროპის ახალგაზრდობის ფორუმი“; ევროკავშირის Erasmus + პროგრამის ეროვნული სააგენტოები („ახალგაზრდობა მოქმედებაში“); SALTO-ს რესურს ცენტრები; „ევროპის ახალგაზრდობის ინფორმაციისა და კონსულტაციის სააგენტო“ (ERYICA); „ევროდესკი“; „ევროპის ახალგაზრდობის ბარათების ასოციაცია“ (EYCA); ეროვნული ახალგაზრდობის სტრუქტურები და კვლევითი ორგანიზაციები.

ახალგაზრდობის პარტნიორობის გეოგრაფიული არეალი მოიცავს „ევროპის კულტურული კონვენციის“ ხელმოწერ 50 სახელმწიფოს (ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს სხვა წევრების ჩათვლით), ასევე ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხრეთ რეგიონის მეზობელ ქვეყნებს.

ზოგიერთ საქმიანობას შეიძლება ჰქონდეს კონკრეტულ რეგიონებზე კონცენტრირებული მკაფიო რეგიონული აქცენტი : აღმოსავლეთ ევროპა (აღმოსავლეთ პარტნიორობა და რუსეთი), სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა (დასავლეთ ბალკანეთი), სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი.

ინტერვენციის ლოგიკა და პარტნიორული აქტივობები შთაგონებულია მმართველობითი სამკუთხედით, რომელიც ნაჩვენებია სურათზე 5:

სურათი 5: მმართველობითი სამკუთხედი



წყარო: ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე.

ახალგაზრდობის კვლევის, ახალგაზრდობის პოლიტიკისა და ახალგაზრდებთან მუშაობის სამი განზომილება ურთიერთდაკავშირებულია და ევროკავშირი-ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პარტნიორობის როლია ხელი შეუწყოს მათ შორის დიალოგს, ახალგაზრდებისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციების მონაწილეობით. საჭიროების შემთხვევაში, მიესალმებიან სხვა სექტორების წარმომადგენელი დაინტერესებული მხარეების ჩართულობასაც.

ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე (EKCYR) მხარს უჭერს ახალგაზრდობის პოლიტიკის ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავების პროცესს, რისთვისაც შესაბამისი ცოდნის ბაზის შექმნაზე მუშაობს. EKCYP ქსელში შედიან 50 ქვეყნის წარმომადგენელი კორესპონდენტები, რომლებიც „ევროპის კულტურულ კონვენციის“ ხელმოწერნი არიან. ქსელი მხარს უჭერს ცოდნის შეგროვების პროცესს და წვლილი მიუძღვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში, რომლებიც უკავშირდება ევროპაში ახალგაზრდებთან მომუშავე კადრების განათლებასა და მომზადებას, ახალგაზრდობის სოციალურ ინკლუზიას და გაციფრულებას და ახალგაზრდობის პოლიტიკის შეფასებას. EKCYP ასევე ავსებს ევროკავშირის ახალგაზრდული Wiki-ის მონაცემებს იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც Erasmus + პროგრამა არ ფარავს. კორესპონდენტები წელიწადში ერთხელ იკრიბებიან, ერთმანეთს უზიარებენ ცოდნის შეგროვებისა და მართვის საუკეთესო მეთოდებს და თანხმდებიან წლის აქტუალურ თემაზე.

ყველა ანალიტიკური ნაშრომი და ქვეყნის კვლევები ახალგაზრდობის პოლიტიკის, ახალგაზრდებთან მუშაობისა და ახალგაზრდების შესახებ ონლაინ მონაცემთა ბაზაში ქვეყნდება. იხილეთ პარტნიორობის ვებსაიტის „რესურსების“ განყოფილება, სადაც გაეცნობით EKCYP კორესპონდენტებს, ხოლო „ახალგაზრდობის შესახებ/EKCYP“ განყოფილებაში აღმოაჩენთ EKCYP-ის მიერ შექმნილ გვერდებს ქვეყნებისა და თემატიკის მიხედვით, სადაც მოცემულია სასარგებლო ინფორმაცია ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ.

ევროპის ახალგაზრდობის საკითხების მკვლევართა ფონდი (PEYR) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რესურსია, რომელიც ევროპაში პოლიტიკის შემუშავებას ეძღვნება. ფონდი შედგება 35 მკვლევრისგან, რომლებიც ახალგაზრდობისა და დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ და რომლებიც ყოველწლიურად იკრიბებიან ახალგაზრდობისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის ტენდენციების, მიმდინარე კვლევებისა და ახალი აღმოჩენების შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით. მკვლევრები მხარს უჭერენ პოლიტიკურ პროცესებს, როგორცაა ევროკავშირის ახალგაზრდობის დიალოგი და ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პოლიტიკის საკონსულტაციო მისიები წევრ სახელმწიფოებში, და ქმნიან ცოდნის ბაზას, რომელიც ემსახურება ექსპერტთა ჯგუფებსა და პოლიტიკურ პროცესებს საერთო ევროპულ დონეზე, ისევე როგორც ზოგადად ახალგაზრდობის სექტორის წარმომადგენლებს. ისინი ასევე ეხმარებიან გაიდლაინებისა და სასწავლო მასალების შემუშავებაში, რომლებიც ეძღვნება ახალგაზრდობის კვლევის როლს, ახალგაზრდობის პოლიტიკის მონიტორინგსა და შეფასების ეფექტური სისტემებს. PEYR-ის წევრების გასაცნობად, იხილეთ პარტნიორობის ვებსაიტის „რესურსების“ განყოფილება.

რეგულარულად განახლებადი ახალგაზრდობისადმი მიძღვნილი ტერმინოლოგიის ლექსიკონი თავს უყრის ახალგაზრდობის პოლიტიკის, ახალგაზრდობის კვლევისა და ევროპაში ახალგაზრდებთან მუშაობის პრაქტიკის ძირითად ცნებებსა და ტერმინებს. ლექსიკონში ცნებების განმარტება მოცემულია არა მარტო სამეცნიერო და მეცნიერებაში გამოყენებული მნიშვნელობებით, არამედ პოლიტიკურ სტანდარტებსა და ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის სექტორის დებატებში გამოყენებული მნიშვნელობებითაც.

პარტნიორობა ასევე რეგულარულად გამოსცემს პუბლიკაციებსა და საინფორმაციო მასალებს ახალგაზრდობის პოლიტიკის, პრაქტიკისა და კვლევის შესახებ. ქვემოთ მოცემულია ამ პუბლიკაციების მოკლე მიმოხილვა, რომელთა სრული ვერსიები შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ვებ-გვერდიდან <https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/publications>.

ახალგაზრდებთან მუშაობის სწავლებისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალების ნაკრები

ადვილად ადაპტირებადი ფორმატის გამოცემა არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდებთან მუშაობის კომპლექსური თემების შესასწავლად ნებისმიერ სიტუაციაში. T-kits ითარგმნა მრავალ ენაზე, და საჭიროებისამებრ ხდება მათი განახლება. ისინი მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა მდგრადი განვითარება და ახალგაზრდებთან მუშაობა, კონფლიქტების გადაწყვეტა, სოციალური ჩართულობა, სამოქალაქო განათლება და სწავლების მობილობა.

ახალგაზრდობის ცოდნის წიგნები ახალგაზრდობის პოლიტიკის, კვლევისა და ახალგაზრდებთან მუშაობის პრაქტიკისთვის

ეს არის გამოცემების სერია, სადაც თავმოყრილია განსჯები ისეთ თემებზე, რომლებიც უკავშირდება ახალგაზრდების მდგომარეობას, ახალგაზრდობის პოლიტიკასა და ახალგაზრდებთან მუშაობას. ახალგაზრდობის ცოდნის წიგნების სერიის ფარგლებში ასევე გამოცემულია სახელმძღვანელოც. ზოგიერთი წიგნი პირდაპირ ეხება პოლიტიკის შემუშავების თემას, მაგალითად, ახალგაზრდობის პოლიტიკის სახელმძღვანელოს პირველი და მიმდინარე გამოცემა და „ნემსი თივის ზვინში“, რომელიც იკვლევს დარგთაშორისი პოლიტიკის ფორმირებას. სხვა თემები მოიცავს გაციფრულებას და სოციალურ ჩართულობას, პოლიტიკურ მონაწილეობას, ახალგაზრდა ლტოლვილთა მხარდაჭერას და ახალგაზრდებთან მუშაობის ისტორიასა და კონცეფციებს. ზოგადი ახალგაზრდობის პოლიტიკის თემატური კვლევები და მიმოხილვები (მაგ. „ახალგაზრდობის პოლიტიკის შეფასების მიმოხილვა“, სერია „ანალიზი“ ან „გაციფრულებისა და ახალგაზრდების სოციალური ჩართულობის კვლევა“) ნათელს ჰფენს, თუ როგორ ყალიბდება და ხორციელდება ახალგაზრდობის პოლიტიკა ევროპაში.

პერსპექტიული ხედვა ახალგაზრდობაზე

ახალგაზრდობის კვლევის, პოლიტიკისა და პრაქტიკისადმი მიძღვნილი ყოფილი ბეჭდური ჟურნალი „პერსპექტიული ხედვა ახალგაზრდობაზე“ ახლა ონლაინ სამსჯელო პლატფორმად იქცა, რომელიც ვიდეო, აუდიო და მოკლე ტექსტების მეშვეობით იკვლევს ახალგაზრდების აქტუალურ პრობლემებსა და საჭიროებებთან დაკავშირებულ თემებს. „პერსპექტიული ხედვა ახალგაზრდობაზე“ ციფრულ ფორმატზე გადავიდა, იმისთვის, რომ მეტად დინამიკური გაეხადა დღევანდელი ახალგაზრდობის ყველაზე აქტუალურ საკითხებში ჩართულობა. თემები, რომლებიც დღემდე შესწავლილ იქნა ბეჭდურ გამოცემებში თუ ინტერნეტში ეხება ახალგაზრდების მომავალს, ჯანმრთელობას, ახალგაზრდობის სოციალურ ღირებულებებს, კლიმატის ცვლილებას, სტერეოტიპების ფორმირებას და უთანასწორობას, პოლიტიკურ მონაწილეობას და ხელოვნურ ინტელექტს.

ჟურნალი კოიოტი

20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, „კოიოტი“ აშუქებდა სხვადასხვა თემებს, რომლებიც აინტერესებთ ახალგაზრდებთან მომუშავე სპეციალისტებს, ტრენერებს, ახალგაზრდა ადამიანებს, ახალგაზრდობის ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს, რომლებიც ჩართული არიან პოლიტიკასა და პრაქტიკულ საქმიანობაში ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ. 2018 წლიდან „კოიოტი“ ონლაინ გამოიცემა და

აგრძელებს პრაქტიკოსთა დიდი ბაზის შენარჩუნებას, რომლებიც იკვლევენ საკითხებს, როგორიცაა ახალგაზრდებთან მუშაობის აღიარება, სოციალური ინკლუზია, ადამიანთა უფლებების სწავლება, ახალგაზრდებთან მუშაობის ციფრული და „გონიერი“ მეთოდები და სხვა. ახალგაზრდებთან მომუშავე სპეციალისტების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების, ტრენერების, მასწავლებლების, პოლიტიკოსებისა და მკვლევრების მრავალფეროვანი თემატური სტატიების გასაცნობად ეწვიეთ ონლაინ ჟურნალს „კოიოტი“ <https://pip-eu.coe.int/en/web/coyote-magazine>

ევროპის ახალგაზრდობის პოლიტიკის ფორმირება თეორიასა და პრაქტიკაში

ეს პროექტი, რომელიც ხორციელდება Erasmus + ახალგაზრდობის ეროვნულ სააგენტოებთან პარტნიორობით, მიზნად ისახავს ახალგაზრდობის პოლიტიკის აქტორების შესაძლებლობების გაზრდას ახალგაზრდობის პოლიტიკის გაძლიერებისა და სრულყოფის მიზნით, ევროკავშირი-ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის საკითხებზე პარტნიორობისა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილ ნოუ-ჰაუსა და პრინციპებზე დაყრდნობით, ეროვნული დელეგაციებისა და სხვადასხვა ასპექტის პოლიტიკის წარმომადგენელი სპეციალური შემადგენლობის თავშეყრის გზით. გრძელვადიანი მრავალკომპონენტიანი საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით (ადგილზე სწავლება, ონლაინ სწავლა, სასწავლო ვიზიტები, ეროვნულ გეგმებზე მუშაობაში დახმარება), პროექტს წვლილი შეაქვს სხვადასხვა აქტორებს შორის თანამშრომლობის კულტურაში, ეხმარება კონკრეტული ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის გეგმების შემუშავებას და ქმნის სივრცეს ახალგაზრდობის პოლიტიკის საკითხში გამოცდილების გაზიარებისთვის.

მასობრივი ღია ონლაინ კურსი (MOOC) ახალგაზრდობის პოლიტიკის საფუძვლებში

ეს კურსი შექმნა იმ მიზნით, რომ გააზიაროს ევროპის მასშტაბით პარტნიორობისა და თითოეული ორგანიზაციის მიერ დაგროვილი ცოდნა, ახსნას და მხარი დაუჭიროს ახალგაზრდობის პოლიტიკის ფორმირებას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მთელს ევროპაში. ეს ღია ონლაინ კურსი ფართო აუდიტორიას მოსახერხებელი ფორმატით აწვდის ინფორმაციას ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებსა და მეთოდებზე. ის ეფუძნება ახალგაზრდობის პოლიტიკის საფუძვლების ბროშურას და EKCYP-ის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ. თვალი ადევნეთ ახალგაზრდობის პარტნიორობის ვებგვერდს და სოციალურ მედიის არხებს, რათა გამოიწეროთ მომავალი გამოცემები.

დასკვნა

ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე რომელშიც ჩართულია ახალგაზრდობის პოლიტიკის ფორმირების, სტანდარტებისა და მხარდაჭერის ინსტრუმენტების (მათ შორის, დაფინანსების) შემუშავების საკუთარი დინამიკის მქონე ორ ევროპულ ორგანიზაცია, თანამშრომლობს ახალგაზრდობის სექტორის დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრთან დაწყებული ეროვნული სამთავრობო სტრუქტურებით, მკვლევართა და ახალგაზრდებთან მომუშავე პრაქტიკოსთა ქსელის ჩათვლით და დამთავრებული აღმასრულებელი უწყებებით, ახალგაზრდა აქტივისტებითა და მათი ორგანიზაციებით ყველა დონეზე, „ევროპის კულტურული კონვენციის“ 50 წევრი სახელმწიფოს მასშტაბით. მის მიერ დაგროვილი ცოდნა და ფაქტობრივ მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომა ევროპაში ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარებისა და ახალგაზრდებთან

მუშაობის მხარდასაჭერის საკითხში სტიმულს იძლევა, რომ კრიტიკულად იქნას განხილული ახალგაზრდების საჭიროებები და მისწრაფებები და ის, თუ როგორ ხდება ახალგაზრდების ევროპული და ეროვნული ინიციატივების გადაწყვეტა. ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე არა მარტო აქტუალურ თემებს აშუქებს, არამედ ახდენს მიღებული გაკვეთილებისა და მომავლის ანალიზს, იმისთვის, რომ ახალგაზრდობის სექტორს მომავალი გამოწვევების განჭვრეტაში დაეხმაროს. ეს კარგი საწყისი წერტილია სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ახალგაზრდობის პოლიტიკური რეალობისა და საერთო ევროპული მასშტაბით მიმდინარე მოვლენების აღსაქმელად. ახალგაზრდობის პარტნიორობა ახალგაზრდობის პოლიტიკის ფორმირებაში იმგვარ მხარდაჭერას სთავაზობს, რომელიც სხვაგან ხელმისაწვდომი არ არის და აერთიანებს დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს ევროკავშირიდან და ევროპის საბჭოდან, რაც აძლიერებს მათ ქმედითობას ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

კითხვები განსჯისათვის

თქვენი კონტექსტში სასარგებლო რა სახის ინსტრუმენტებს და რესურსებს გთავაზობთ ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე ახალგაზრდობის სფეროში?

ჰყავს თუ არა თქვენს ქვეყანას წარმომადგენლები PEYR-ში ან ეროვნული კორესპონდენტი EKCYP-ში?

არსებობს თუ არა რაიმე მექანიზმი თქვენი ქვეყნის პოლიტიკის დიალოგებში პარტნიორულ საქმიანობაში ჩართული პროფესიონალების ჩართვისთვის?

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა, ან შეგიტანიათ თუ არა წვლილი ახალგაზრდობის პარტნიორობის თემატურ სიმპოზიუმებში, რეგიონულ ღონისძიებებში ან ექსპერტების გაცვლაში?

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

შესავალი

ახალგაზრდები გაეროს დღის წესრიგში არიან მას შემდეგ, რაც 1985 წელი ახალგაზრდობის საერთაშორისო წლად გამოცხადდა, რასაც მოჰყვა 1995 წელს 2000 წლამდე და შემდგომი პერიოდისთვის „ახალგაზრდობის მსოფლიო სამოქმედო პროგრამის“ მიღება და 1999 წელს 12 აგვისტოს გამოცხადება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღედ. თუმცა, ახალგაზრდობის საკითხის, როგორც გაეროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტის წინ წამოწევა მოჰყვა ბან კი-მუნის გენერალურ მდივნად დანიშვნას, რომელმაც დანიშნა სპეციალური ემისარი ახალგაზრდობის საკითხებში (იხ. ქვემოთ), ასევე გაეროს რამდენიმე უწყების (გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და გაეროს მოხალისეების ჩათვლით) მიერ კონკრეტული ახალგაზრდობის სტრატეგიების შემუშავებას. მოგვიანებით, გაერომ წამოიწყო საკუთარი ყოვლისმომცველი ახალგაზრდობის სტრატეგია (გაერო 2018) და მიიღო ყოვლისმომცველი რეზოლუცია ახალგაზრდობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ, რომელშიც ხაზგასმულია ახალგაზრდების როლი და ადგილი (გაეროს უშიშროების საბჭო 2015).

გაეროს ახალგაზრდობის სტრატეგია „ახალგაზრდობა 2030“

ახალგაზრდების განვითარება და ახალგაზრდობის მონაწილეობა ურთიერთგადამკვეთი საკითხებია გაეროს მდგრადი განვითარების 2030 დღის დღის წესრიგში და სხვა საერთაშორისოდ შეთანხმებულ ჩარჩო-დოკუმენტებში, ასევე უშიშროების საბჭოს 2250 (2015) და 2419 (2018) რეზოლუციების ცენტრალური ასპექტია, რაც წარმოადგენს იმის აღიარებას, რომ ახალგაზრდები მნიშვნელოვან და პოზიტიური როლს ასრულებენ მდგრადი განვითარების ხორცშესხმაში, კრიზისების პრევენციასა და მშვიდობის ხელშეწყობაში.

გაეროს ახალგაზრდობის სტრატეგია მოქმედებს, როგორც ქოლგა დოკუმენტი, იმისთვის, რომ წარმართოს გაეროს მთელი სისტემის მუშაობა ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის თავის სამი მიმართულებაში - მშვიდობა და უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები და მდგრადი განვითარება. სტრატეგია მიმართულია გაეროს შესაძლებლობების გაზრდისკენ, იმისთვის რომ მიიზიდოს ახალგაზრდები და ისარგებლოს მათი მოსაზრებებით, შეფასებებითა და იდეებით, ასევე უზრუნველყოს ახალგაზრდობის საკითხებზე გაეროს კოორდინირებული მუშაობა.

სტრატეგია მიზნად ისახავს გლობალურ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე ზეგავლენის გაზრდას და მოქმედების არეალის გაფართოებას, რომ დააყვამყოფილოს ახალგაზრდების საჭიროებები, შექმნას ინიციატივა და მოახდინოს ახალგაზრდების უფლებების გაძლიერება მთელი მათი მრავალფეროვნებით მსოფლიო მასშტაბით, ასევე უზრუნველყოს მათი ჩართულობა და მონაწილეობა მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგისა და სხვა შესაბამისი გლობალური დღის

წესრიგებისა და ჩარჩო-დოკუმენტების დანერგვაში, განხილვასა და შესრულებაში (გაერო 2018).

გაეროს გენერალური მდივნის ემისარი ახალგაზრდობის საკითხებში

გაეროს გენერალური მდივნის ემისარი ახალგაზრდობის საკითხებში არის გაეროს ბოლოდროინდელი ინიციატივა, რომელიც 2013 წელს დაარსდა მსოფლიოში ახალგაზრდა მოსახლეობის მზარდი რაოდენობისა და გაეროს სისტემაში ახალგაზრდების ჩართვის საჭიროების აღიარების მიზნით. ემისარი ახალგაზრდების ინტერესებისა და უფლებების გლობალური დამცველისა და გაეროს მათთან დაახლოების ფუნქციას ასრულებს.

ემისრის ოფისი ნიუ-იორკში გაეროს სამდივნოს შემადგენლობაში შედის და ის ხელს უწყობს მრავალ დაინტერესებულ მხარეთა შორის ისეთ პარტნიორული ურთიერთობებს, რომლებიც კავშირშია გაეროს ახალგაზრდობის სამოქმედო გეგმასა და ახალგაზრდობის მოხალისეობრივ ინიციატივებთან. ოფისი ასევე ხელს უწყობს ახალგაზრდების გაძლიერებასა და ლიდერობას ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე, რაც, სხვათა შორის, გამოიხატება ისეთი მექანიზმების ძიებითა და ხელშეწყობით, რომელიც ახალისებს ახალგაზრდების მონაწილეობას გაეროს მუშაობაში და პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში, განსაკუთრებული აქცენტით ყველაზე მარგინალიზებულ და დაუცველ ახალგაზრდებზე.

აჰმად ალჰენდავი დასახელდა პირველ ახალგაზრდობის დესპანად და ამ თანამდებობას იკავებდა 2013 წლიდან 2017 წლამდე. თავისი მოღვაწეობის პერიოდში მან „გაეროს მოხალისეთა პროგრამას“ დაავალა „ახალგაზრდა მოხალისეთა პროგრამის“ დაარსება, ხოლო გაეროს „ახალგაზრდობის განვითარების უწყებათაშორის ქსელს“ - „საერთო-სისტემური ახალგაზრდობის სამოქმედო გეგმის“ შემუშავება. 2017 წლის ივნისიდან ჯაიატმა ვიკრამანაიაკე არის გაეროს დესპანი ახალგაზრდობის საკითხებში.

გაეროს ახალგაზრდობასთან დაკავშირებული მსოფლიო სამოქმედო პროგრამა

გაეროს ახალგაზრდობის დღის წესრიგს 2000 წლამდე და შემდგომ განსაზღვრავს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1995 წელს მიღებული „ახალგაზრდობასთან დაკავშირებული მსოფლიო სამოქმედო პროგრამა“.

სამოქმედო პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებულია პოლიტიკური ჩარჩო და პრაქტიკული მითითებები ეროვნული ღონისძიებებისა და საერთაშორისო მხარდაჭერისთვის, რომელთა განხორციელება აუცილებელია ახალგაზრდების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მთელ მსოფლიოში. იგი მოიცავს ახალგაზრდობის სფეროს 15 პრიორიტეტულ მიმართულებას და თითოეული ამ მიმართულების სამოქმედო გეგმას. საერთაშორისო საზოგადოების მიერ გამოვლენილი 15 მიმართულებაა: განათლება; დასაქმება; შიმშილი და სიღარიბე; ჯანმრთელობა; ეკოლოგია; ნარკოტიკების ბოროტად მოხმარება; არასრულწლოვანთა დანაშაული; თავისუფალი დროის ორგანიზება; გოგონები და ახალგაზრდა ქალები; ახალგაზრდების სრულყოფილი და ეფექტური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღებაში; გლობალიზაცია; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; აივ/მიდსი; შეიარაღებული კონფლიქტი; და თაობათაშორისი საკითხები.

საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გამოვლენილ 15 პრიორიტეტულ მიმართულებაში განხილულია ძირითადი პრობლემები, კონკრეტული მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად სხვადასხვა აქტორების მიერ გასატარებელი ღონისძიებები. მიზნები და ღონისძიებები ასახავს 1985 წელს აღნიშნული პირველი

ახალგაზრდობის საერთაშორისო წლის სამ თემას: მონაწილეობა, მშვიდობა და განვითარება, სამივე თემა ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული და ერთმანეთს აძლიერებს. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. www.un.org/esa/socdev/unyin/documents/wpay2010.pdf.

ახალგაზრდობის განვითარების საკითხებზე გაეროს უწყებათაშორისი ქსელი

„ახალგაზრდობის განვითარების საკითხებზე გაეროს უწყებათაშორისი ქსელი“ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციათა ქსელი (როგორიცაა UNDP, UNICEF, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR), UNESCO, ILO, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), ჯანმო, წარმოდგენილი ძირითადად იმ სათავე ოფისების დონეზე, რომელთა საქმიანობაც ახალგაზრდობის საკითხებს ეხება. უწყებათაშორისი ქსელის მიზანია გააძლიეროს ახალგაზრდობის განვითარების მიმართულებით გაეროს მუშაობის ეფექტურობა, გაეროს ყველა შესაბამის უწყებას შორის თანამშრომლობისა და ურთიერთგაცვლის გაძლიერების გზით, ამავდროულად თითოეული ამ ორგანიზაციის ინდივიდუალური ძლიერი მხარეების, უნიკალური მიდგომებისა და მანდატის პატივისცემითა და მათგან მიღებული სარგებლის გამოყენებით.

„ახალგაზრდობასთან დაკავშირებული მსოფლიო სამოქმედო პროგრამისა“ და მისი 15 პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში (იხ. ზემოთ), უწყებათაშორისი ქსელი მხარს უჭერს ახალგაზრდობის საკითხებთან დაკავშირებული გაეროს რეზოლუციების, კონვენციებისა და საერთაშორისოდ შეთანხმებული განვითარების მიზნების რეალიზაციას და თვალ-ყურს ადევნებს პროგრესს.

ქსელი ასევე ხელს უწყობს გაეროს ახალგაზრდობის განვითარების მიმართულებით მუშაობის უკეთ გაგებასა და ხილვადობას. კერძოდ, ქსელი:

- ▶ არის თანამშრომლობისა და მხარდაჭერის ფორუმი;
- ▶ უზრუნველყოფს გაეროს სისტემის ახალგაზრდობის განვითარების მიმართულებით მუშაობის შესახებ ინფორმაციის მუდმივი გაცვლის შესაძლებლობას, მათ შორის ცოდნის მართვის ინიციატივებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით;
- ▶ აძლიერებს და მხარს უჭერს თანამშრომლობას ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ერთობლივი ადვოკატირების, ინიციატივებისა და თანამშრომლობის სხვა ფორმების დახმარებით;
- ▶ იყენებს წევრების ქსელებს და ურთიერთობებს მთავრობებთან, ახალგაზრდების მიერ მართულ და ახალგაზრდობაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებთან, დონორებთან, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მრავალპროფილურ ორგანიზაციებთან და სხვ., ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობად;
- ▶ ხელს უწყობს და მხარს უჭერს ახალგაზრდების ჩართულობასა და მონაწილეობას გაეროს სისტემაში, მის პროგრამებსა და ინიციატივებში, ყველა დონეზე.

2020 წლის აპრილის მდგომარეობით, უწყებათაშორისი ქსელი წევრობის სტატუსით აერთიანებდა გაეროს 54 ორგანიზაციას (IANYS 2020).

გაეროს ახალგაზრდა დელეგატთა პროგრამა

„გაეროს ახალგაზრდობასთან დაკავშირებული მსოფლიო სამოქმედო პროგრამის“ თანახმად, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა ახალგაზრდობის საკითხებში გაეროს დღის წესრიგის ერთ-

ერთი მთავარი პრიორიტეტია. გაეროში ახალგაზრდების მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა ახალგაზრდა დელეგატების ჩართვა გაეროს გენერალურ ასამბლეის, ასევე „ეკონომიკური და სოციალური საბჭოს“ სხვადასხვა ფუნქციონალური კომისიების ქვეყნების ოფიციალურ დელეგაციებში. ახალგაზრდა დელეგატების პროგრამას კოორდინაციას გაერო უწევს, თუმცა ეროვნულ დონეზე ახალგაზრდა დელეგატების პროგრამის შექმნაზე პასუხისმგებლობა წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ, ისინივე წყვეტენ, ვინ იქნება მათი ქვეყნის ახალგაზრდობის წარმომადგენელი. ახალგაზრდობის წარმომადგენლის როლი განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებში, თუმცა, როგორც წესი, მოიცავს თავისი დელეგაციის ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმირებას და თავისი დელეგაციის საერთო მუშაობაში მონაწილეობას, შეხვედრებზე დასწრებისა და არაფორმალური მოლაპარაკებების გზით.

ახალგაზრდა დელეგატებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რამდენიმე სამთავრობათაშორისო შეხვედრაში. ოფიციალური ახალგაზრდობის დელეგატების უმრავლესობა მონაწილეობს გენერალურ ასამბლეაში, მაგრამ ნაწილი ასევე ესწრება „ეკონომიკური და სოციალური საბჭოს“ ფუნქციური კომისიების სხდომებს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.un.org/development/desa/youth/what-we-do/youth-delegate-programme.html

გაეროს სააგენტოები ადგილობრივ დონეზე

გაეროს სააგენტოებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ახალგაზრდობის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით განვითარებად და არასტაბილურ სახელმწიფოებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ლიბანში გაეროს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ გაეროს მუდმივი კოორდინატორი, UNICEF, UNDP და UNFPA, მუშაობდა ლიბანის ახალგაზრდობის პოლიტიკის პირველი დოკუმენტის შემუშავებაზე, რომელიც მიღებულ იქნა 2012 წელს და მხარი დაუჭირა ლიბანის ეროვნული ახალგაზრდული ფორუმის, როგორც ახალგაზრდობის პოლიტიკის მონიტორინგისა და განხორციელების ერთობლივი მექანიზმის ჩამოყალიბებას (ახალგაზრდობის პოლიტიკა ლიბანში, 2012).

მონტენეგროში, 2017-2021 წლების ახალგაზრდობის სტრატეგიის შემუშავების პროცესს უძღვებოდნენ ახალგაზრდობისა და სპორტის დირექტორატი და განათლების სამინისტრო, მონტენეგროში არსებული გაეროს სისტემის მხარდაჭერით, „გაეროს ახალგაზრდობის გაძლიერების პროგრამის“ ფარგლებში (ახალგაზრდობის პოლიტიკის დარგში საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია) (ახალგაზრდობის სტრატეგია მონტენეგრო 2017).

უკრაინაში, გაეროს განვითარების პროგრამის ადგილობრივმა ოფისმა წამოიწყო ქვეყნის უმსხვილესი ახალგაზრდებთან მომუშავე სპეციალისტების პროგრამა, რომელიც უკვე მეოთხე წელია, რაც ფუნქციონირებს და 2000-ზე მეტი კადრი ჰყავს გაწვრთნილი და სერტიფიცირებული. პროგრამა, რომელიც თავდაპირველად UNDP-ის პროექტი იყო, საბოლოოდ უკრაინის ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკის ნაწილი გახდა და ამჟამად ძირითადად ფინანსდება მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ, ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ უკრაინის სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და ექსპერტებს ახალგაზრდობის პოლიტიკის დარგში. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ ვებ-გვერდი <http://youth-worker.org.ua>.

დასკვნა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემა ახალგაზრდობის პოლიტიკის მნიშვნელოვანი საყრდენი ორიენტირია, განსაკუთრებით მდგრად განვითარებასთან და გლობალურ ახალგაზრდობის დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებში. მისი როლი მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და გაეროს ორგანიზაციები უფრო აქტიურად მოღვაწეობენ და მეტად არიან წარმოდგენილი განვითარებად ქვეყნებში, ისევე როგორც სამხრეთ ნახევარსფეროში, თუმცა მთლიანი მექანიზმი ისეა მოწყობილი, რომ იძლევა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებსა და ზონებს შორის, განსაკუთრებით ევროპის ფარგლებს გარეთ - ურთიერთკავშირის დამყარების საშუალებას.

კითხვები განსჯისათვის

მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა გაეროს ახალგაზრდობის პოლიტიკის რომელიმე მექანიზმში?

რომელი პროგრამის საშუალებით?

როგორია გაეროს როლი და აქტუალობა თქვენი ქვეყნის ახალგაზრდობის პოლიტიკაში?

გაეროს სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერის რა მექანიზმები და პარტნიორობის სივრცეებია ხელმისაწვდომი თქვენს კონტექსტში?

რამდენად კარგად გამოიყენეთ გაეროს სხვადასხვა სააგენტოების მიერ ახალგაზრდობის სექტორის მხარდასაჭერად უზრუნველყოფილი შესაძლებლობები?

ევროპის ახალგაზრდული ფორუმი

შესავალი

„ევროპის ახალგაზრდული ფორუმი“ („ახალგაზრდული ფორუმი“) არის ახალგაზრდობის ორგანიზაციების პლატფორმა ევროპაში, რომელიც მოიცავს ეროვნულ და საერთაშორისო მაკავშირებელ ახალგაზრდობის ორგანიზაციებს და აერთიანებს ათობით მილიონ ახალგაზრდას მთელი ევროპის მასშტაბით. „ახალგაზრდული ფორუმი“ მუშაობს ახალგაზრდების გასაძლიერებლად, რომ მათ მიეცეთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის საშუალება თავიანთი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის, როგორც საკუთარი, ისე თავიანთი ორგანიზაციების საქმიანობებისა და ინტერესების გაქვრებისა და დაცვის გაზიად.

მიზნები და აქტივობები

„ახალგაზრდული ფორუმის“ მუშაობა სამ ძირითად მიმართულებაზეა ორიენტირებული.

- ▶ ახალგაზრდებზე ორიენტირებული მსოფლიო. ახალგაზრდებზე ორიენტირებული მსოფლიოსკენ სწრაფვის გამოწვევის გადაწყვეტაში ახალგაზრდებისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციების მონაწილეობა აუცილებელია. მათი ჩართულობა ხელს უწყობს იმ გარემოსა და საზოგადოების გაუმჯობესებას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ახალგაზრდებს გარანტირებული უნდა ჰქონდეთ ჯანსაღ გარემოში უსაფრთხო ცხოვრების უფლება. დღევანდელი და მომავალი თაობები უნდა იყვნენ განათლებული და აღჭურვილნი შესაბამისი ცოდნითა და უნარებით, იმისთვის, რომ დაიცვან თავიანთი უფლებები და მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ პროცესებში ყველა დონეზე.
- ▶ ხელსაყრელი გარემო ახალგაზრდობის ორგანიზაციებისთვის. წარმატებული ახალგაზრდობის ორგანიზაციები ჯანსაღი დემოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილია. სამოქალაქო სივრცეს დაცვა და გაფართოება სჭირდება, რათა ახალგაზრდობის ორგანიზაციებმა ფინანსური, სამართლებრივი, პოლიტიკური და ლეგიტიმური ბარიერების გარეშე შეძლონ ფუნქციონირება.
- ▶ წარმატებული პლატფორმა. პლატფორმის შემდგომი განვითარება, რომ შეინარჩუნოს აქტუალურობა, ძალა და სიახლისკენ სწრაფვა. შეინარჩუნოს და გააძლიეროს სანდო აქტორის რეპუტაცია, როგორც ევროპელი ახალგაზრდების მთავარმა ხმამ.

ახალგაზრდული ფორუმის 2020-23 წლების სტრატეგიული გეგმის მიხედვით, მისი მუშაობა იგება შემდეგი ზოგადი პრიორიტეტების გარშემო:

- ▶ ახალგაზრდების უფლებები;
- ▶ კლიმატური კრიზისი;
- ▶ მდგრადი განვითარება;
- ▶ ჩართულობა;
- ▶ ახალგაზრდობის ორგანიზაციების აღიარება;
- ▶ სიცოცხლისუნარიანი ახალგაზრდობის ორგანიზაციები;

- ▶ ეფექტური მართვა;
- ▶ მრავალფეროვანი და ინკლუზიური პლატფორმა;
- ▶ მდგრადი პლატფორმა;
- ▶ რეგიონული პლატფორმა გლობალურ მსოფლიოში.

„ახალგაზრდული ფორუმი“ მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკავშირთან, ევროპის საბჭოსთან და გაეროს სააგენტოებთან ახალგაზრდებისა და მათი ორგანიზაციების საჭიროებებისა და ინტერესების ადვოკატირებისთვის.

ევროკავშირის დონეზე, „ახალგაზრდობის ფორუმი“ ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკავშირის ინსტიტუტებთან, წარმოადგენს რა ახალგაზრდების ხმას პოლიტიკურ დისკუსიებში, ისეთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში, რომლებიც გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე, პროგრამებში, ფინანსირებასა და მსხვილ ახალგაზრდობის ღონისძიებებში.

„ახალგაზრდული ფორუმი“ არის ევროპის საბჭოს თანამმართველობის სისტემის ნაწილი ახალგაზრდობის სფეროში; „ახალგაზრდობის საკითხებში მრჩეველთა საბჭოს“ 30 ადგილიდან მას 20 ადგილი უკავია (იხ. თავი 9 ევროპის საბჭოს შესახებ). 20-ვე წევრი „ახალგაზრდული ფორუმის“ დამფუძნებელთა კრებაზე შეირჩევა და მის წევრ ორგანიზაციებს წარმოადგენენ.

„ახალგაზრდული ფორუმი“ ასევე თანამშრომლობს გაეროს ორგანიზაციებთან ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე და წვლილი შეაქვს შესაბამის პოლიტიკურ პროცესებში, საკონსულტაციო ორგანოების შეხვედრებსა და მუშაობაში.

„ახალგაზრდული ფორუმი“ ასევე მსოფლიოს მრავალ რეგიონულ ახალგაზრდულ პლატფორმას და ორგანიზაციას უწევს პარტნიორობას, მათ შორის აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, კარიბის აუზში, აზიასა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში.

„ახალგაზრდული ფორუმი“ მუშაობს ახალგაზრდობის ორგანიზაციებისთვის ინსტრუმენტებსა და რესურსების შემუშავებაზე, რათა აღნიშნულ ორგანიზაციებს მიეცეთ ახალგაზრდობის პოლიტიკაში ფართოდ მონაწილეობის საშუალება, ევროპული და საერთაშორისო ახალგაზრდობის პოლიტიკის კონკრეტულ პრიორიტეტებზე აქცენტით. „ახალგაზრდული ფორუმის“ ახალგაზრდობის პოლიტიკის ხარისხის სტანდარტების პაკეტი (ევროპის ახალგაზრდული ფორუმი, 2016) წარმოადგენს პოლიტიკოსებისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებისთვის, ასევე თავად ახალგაზრდებისთვის შემუშავებულ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც მათ შეუძლიათ შეაფასონ ახალგაზრდობის პოლიტიკაში არსებული მდგომარეობა თავიანთ კონტექსტში და, შესაბამისად, მოითხოვონ სრულყოფა. ინსტრუმენტთა პაკეტი მოიცავს შემდეგ რვა ძირითად პოლიტიკურ სტანდარტს:

- ▶ სტანდარტი 1: ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ახალგაზრდობის პოლიტიკასთან მიმართებით;
- ▶ სტანდარტი 2: მტკიცებულებებზე დაფუძნებული ახალგაზრდობის პოლიტიკა;
- ▶ სტანდარტი 3: მონაწილეობითი ახალგაზრდობის პოლიტიკა;
- ▶ სტანდარტი 4: მრავალდონიანი ახალგაზრდობის პოლიტიკა;
- ▶ სტანდარტი 5: სტრატეგიული ახალგაზრდობის პოლიტიკა;
- ▶ სტანდარტი 6: რესურსების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდობის პოლიტიკისთვის;
- ▶ სტანდარტი 7: პოლიტიკური პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ახალგაზრდობის პოლიტიკაში;
- ▶ სტანდარტი 8: დარგთაშორისი ახალგაზრდობის პოლიტიკა.

„ახალგაზრდულმა ფორუმმა“ ასევე შეიმუშავა ონლაინ ინსტრუმენტი, როგორც ახალგაზრდობის პოლიტიკის ზემოაღნიშნულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას გამოსაყენებელი დამხმარე საშუალება.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით, „ახალგაზრდული ფორუმის“ ინიციატივით შემუშავდა „ახალგაზრდობის პროგრესის ინდექსი“, ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელიც აფასებს ახალგაზრდობის მდგომარეობას მთელს მსოფლიოში და რომელიც სცილდება ეკონომიკურ მაჩვენებლებს. ინდექსი ზომავს ახალგაზრდობის კეთილდღეობას, მათი ძირითადი ადამიანური საჭიროებების დაკმაყოფილების დონეს და ახალგაზრდობის შესაძლებლობებს.

ინდექსი მიზნად ისახავს, რომ შესაძლებლობა მისცეს პოლიტიკოსებს, ბიზნესებსა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შეიმუშაონ პოლიტიკა, რომელიც ეხმარება ახალგაზრდობის საჭიროებებს, აღმოფხვრის ბარიერებს, რომლებსაც ახალგაზრდები აწყდებიან თავიანთი უფლებების რეალიზებისას და უზრუნველყოს რესურსები, რომლებიც საჭიროა ახალგაზრდობისთვის უკეთესი საზოგადოების ასაშენებლად (ახალგაზრდობის პროგრესის ინდექსი 2020).

დასკვნა

„ევროპის ახალგაზრდული ფორუმი“ არის ახალგაზრდობის პოლიტიკის ანგარიშვალდებულების სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი და უზრუნველყოფს იმას, რომ ახალგაზრდობისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციების ხმა ისმოდეს ევროპულ და გლობალურ დონეზე. მას აქვს უნიკალური სტატუსი ევროკავშირის, ევროპის საბჭოსა და გაეროს სისტემებში, როგორც მათი პარტნიორისა ახალგაზრდობის სექტორში, რითაც ახალგაზრდობსა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებს აძლევს პირდაპირ და რეგულარულ წვდომას ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების პროცესებზე.

კითხვები განსჯისათვის

არიან თუ არა ახალგაზრდები თქვენი ქვეყნიდან ან თემიდან წარმოდგენილი „ევროპის ახალგაზრდული ფორუმის“ წევრ ორგანიზაციებში, იქნება ეს ეროვნული ახალგაზრდობის საბჭოები თუ საერთაშორისო ახალგაზრდობის არასამთავრობო ორგანიზაციები?

რა გავლენას ახდენს ეს წარმომადგენლობა ახალგაზრდობსა და ახალგაზრდობის პოლიტიკაზე თქვენს კონტექსტში?

რა სხვა ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული თუ ტრანსნაციონალური მექანიზმები არსებობს ახალგაზრდობის წარმომადგენლობისთვის თქვენს კონტექსტში და რა არის მათი მიზანი?

დასკვნა მე-3 ნაწილისთვის

მესამე ნაწილი ეძღვნება საერთაშორისო დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკის ჩამოყალიბების, განვითარებისა და განხორციელების მართვასა და ინფრასტრუქტურას. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმძღვანელოში ძირითადი ფოკუსი ევროპულ კონტექსტზეა მიმართული, მეტი ყურადღება დაეთმო ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მუშაობასა და მათ შორის ინსტიტუციურ პარტნიორობას, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფრო ფართო მანდატი და „ევროპის ახალგაზრდული

ფორუმის“ კონკრეტულ საინფორმაციო-პროპაგანდისტული მოღვაწეობა ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში შედარებით ზედაპირულად იქნა განხილული. ორივე, სხვადასხვა გზით, ავსებს ორი ევროპული ინსტიტუტის საქმიანობას ახალგაზრდობის პოლიტიკის სფეროში, პირველი - გლობალური ქოლგის უზრუნველყოფით, ხოლო მეორე - ორგანიზაციებზე პასუხისმგებლობის დაკისრებით ახალგაზრდობის მონაწილეობისა და უფრო ფართო ახალგაზრდობის პოლიტიკის საკითხების მხრივ და მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში კოლეგებთან კონტაქტების მეშვეობით. ყველა ეს ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტი მუდმივად ავითარებდა სტანდარტებსა და ჩარჩოებს ახალგაზრდობის სექტორისთვის, განსაკუთრებით შესაძლებლობებისა და ინკლუზიურობაზე ორიენტირებულ თემებზე (რაც დეტალურად არის აღწერილი მე-4 ნაწილში). დროთა განმავლობაში, სულ უფრო იმატებს მათი ეტალონური ორიენტირისა და რესურსის ფუნქცია ახალგაზრდობის პოლიტიკის სრულყოფასა და ინოვაციებში, ეროვნულ და თუნდაც ადგილობრივ დონეზე.

ნაწილი 4

ინსტრუმენტები და პრაქტიკა

შესავალი

ახალგაზრდობის პოლიტიკა ქმედითი უნდა იყოს. პოლიტიკის ხერხემლის შემუშავება შედარებით იოლია. ახალგაზრდობის პოლიტიკის მიზნებთან დაკავშირებით საყოველთაო თანხმობა თვალსაჩინოა: საზოგადოებები ძირითადად ერთიანნი არიან იმისკენ მისწრაფებაში, რომ დაცული, ჯანმრთელი, აქტიური, წარმატებული, ოპტიმისტური, კრეატიული და მათ ცხოვრებაში მონაწილე ახალგაზრდა მოქალაქეები ჰყავდეთ. ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელება და ამ მიმართულებებით ცვლილებების უზრუნველყოფა ახალგაზრდების მზარდი ნაწილისთვის რეალური ამოცანაა. პოლიტიკის გაცხადებული მიზნები ახალგაზრდების ცხოვრებისეულ გამოცდილებად უნდა იქცეს.

მიუხედავად ახალგაზრდობის პოლიტიკის არსებითი სირთულისა, როგორც ამ სახელმძღვანელოს 1-ლ ნაწილში გამოჩნდა, და მიუხედავად ევროპულ და საერთაშორისო დონეზე არსებული ინსტიტუციური ინფრასტრუქტურისა (რაზეც მე-3 ნაწილში ვიმსჯელებთ), რომელიც განსაზღვრავს სტანდარტებს, ახორციელებს ინოვაციებს და უზრუნველყოფს მხარდაჭერას, ყველა ქვეყანაში მუშავდება საკუთარი მმართველობითი ინფრასტრუქტურა (ნაწილი 2) და გამოიყენება პრაქტიკულ საშუალებათა სისტემა, რომელიც ეყრდნობა კონკრეტულ სახელმძღვანელო პრინციპებს, ახალგაზრდობის პოლიტიკის სხვადასხვა მხარის ამოქმედებას რომ ემსახურება. გაურკვევლობა და მრავალფეროვნება მაღალ დონეზე იშვიათად უწყობს ხელს ინერციას; მეტიც, ის ბიძგს აძლევს არჩევანს ამა თუ იმ მიმართულებით, ხოლო ეს არჩევანი იმ იდეების წინ წამოწევასა და მხარდაჭერას განაპირობებს, რომლებიც მეტადაა ხელმისაწვდომი. მე-4 ნაწილში განვიხილავთ ინსტრუმენტებსა და საშუალებებს, რომლებიც, სხვადასხვა კომბინაციით, აძლიერებს ეფექტური და შესაძლებლობებზე ორიენტირებული, ახალგაზრდობის მონაწილეობისა და განვითარების პრინციპებზე აგებული ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელების პერსპექტივას.

აქედან გამომდინარე, მე-4 ნაწილში ვიმსჯელებთ შემდეგ კითხვებზე:

- ▶ როგორ გადაიქცევა „პოლიტიკა“ მოქმედებად და შედეგად?
- ▶ როგორ შეიძლება, დოკუმენტი გარდაქმნის რეალურ ინსტრუმენტად იქცეს?
- ▶ რა შეიძლება გაკეთდეს საიმისოდ, რომ ეს პოლიტიკა დაეტყოს ადამიანებს, რომლებისთვისაც არის განკუთვნილი?
- ▶ როგორ გადაიქცევა პრინციპები პროგრამებსა და მოქმედებებად?
- ▶ რა სტრუქტურები და პროცესებია საჭირო პრაქტიკულ ნაბიჯებად თეორიის გარდასაქმნელად?
- ▶ როგორ შეიძლება შეიქმნას ხელსაყრელი პირობები რესურსების ყველაზე ეფექტურად გამოსაყენებლად?
- ▶ რა როლი შეიძლება შეასრულოს სხვადასხვა ინსტრუმენტმა საიმისოდ, რომ პოლიტიკა არ შემოიფარგლოს მოდელით — „მოზანს მოვარტყით, მაგრამ აზრი არ ჩანს“?
- ▶ როგორ შეიძლება ახალგაზრდობის პოლიტიკისთვის განკუთვნილი ხელმისაწვდომი რესურსები მაქსიმალურად ეფექტურად და ქმედითად გამოვიყენოთ?

ეს კითხვები სისტემატურად ჩნდება და განიხილება პოლიტიკასთან დაკავშირებულ დისკუსიებში და მათ სვამენ როგორც პოლიტიკის შემუშავებლები, ასევე ახალგაზრდობის სფეროს სპეციალისტები. მე-

4 ნაწილში განვიხილავთ ზოგიერთ ინსტრუმენტს, რესურსსა და ხერხს, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ პოლიტიკის პრაქტიკაში დასაწერად და კონკრეტულ კონტექსტში ახალგაზრდობის პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. მათ შორისაა: ახალგაზრდობის პროექტებისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციების რესურსები, არაფორმალური განათლებისა და სწავლის ხელშეწყობა, საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები, ახალგაზრდული საქმიანობის უზრუნველყოფა, ახალგაზრდების მონაწილეობის სტრუქტურები და ახალგაზრდობის პოლიტიკის მონაწილეთა (აქტორთა) შესაძლებლობათა გაძლიერების მხარდაჭერა.

ამ ინსტრუმენტების უმეტესობაში ჩანს კავშირურობა და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად, ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში გამუდმებით განმსაზღვრელ როლს ასრულებს. თუ ეს კავშირურობა ჯეროვნად ფუნქციონირებს, ერთმანეთის გაძლიერებისა და გამდიდრების საფუძველს ქმნის და უზრუნველყოფს, რომ საშუალებები ერთნაირად ეფექტური იყოს და ეფექტიანიც, მაშინ პოლიტიკა გამოიღებს სათანადო, რეალისტურ, საჭიროებებზე ორიენტირებულ, მუდმივად განახლებად და მყარ შედეგებს. ახალგაზრდობის სექტორში რეგულარულად მსჯელობენ ახალგაზრდობის პოლიტიკის „ჯადოსნური სამკუთხედის“ ან, უფრო მეტად, მრავალწახნაგოვანი ხასიათის შესახებ, სადაც სხვადასხვა წახნაგი უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას, მხარდაჭერას და ერთმანეთზე გავლენის მოხდენას (იხ. Zentner, 2016). პოლიტიკას, პრაქტიკასა და კვლევას შორის ეფექტური ბალანსი ხელს უწყობს ყველა ამ წახნაგის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას. წინამდებარე თავში განხილულ ბევრ ინსტრუმენტს საკუთარი ადგილი უკავია ახალგაზრდობის პოლიტიკის მოზაიკის საერთო სურათში.

ასევე მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღინიშნოს — იმისათვის, რომ ნებისმიერი ინსტრუმენტი ეფექტური იყოს, საჭიროა მისი საგულდაგულოდ დაგეგმარება და განხილვა იმის უზრუნველსაყოფად, რომ შემუშავებული მიდგომა სათანადოდ იყოს მორგებული კონკრეტულ ეროვნულ ან ადგილობრივ გარემოებებზე. მაგალითად, არ შეიძლება, გარკვეული გადამუშავებისა და ადაპტაციის გარეშე, მენტორული პროგრამის სხვა კონტექსტში პირდაპირ გადატანა. არ არსებობს ჯადოსნური ჯოხი, რომელიც თანაბრად მოერგება ერთი შეხედვით მსგავს პრობლემებს სხვადასხვა ქვეყანასა და საზოგადოებაში; აუცილებელია გვქონდეს ანალიზის, შეფასების, კვლევისა და შემოწმების მექანიზმები და ტარდებოდეს კომპლექსური საკონსულტაციო პროცედურები, რომლებიც დაგვეხმარება კონტექსტის შესწავლასა და გამოკვლევაში, გადაცდომებისა და ხარვეზების დადგენაში და რესურსების, პრიორიტეტებისა და მეთოდების კვლავ და კვლავ შეფასებაში. ამისთვის საჭიროა სათანადო ინფორმაციის ფლობა და პოლიტიკის გარდაქმნაში მონაწილეობის სურვილი. ეს გახლავთ მე-4 თავში განხილული ახალგაზრდობის პოლიტიკური „სათის“ სფერო, რომელიც სირთულეებს, დავა-კამათსა და უთანხმოებას ეხება.

ქვემოთ მოცემული სია ამომწურავი ნამდვილად არ არის. ახალგაზრდობის პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების ინსტრუმენტები გამუდმებით ინოვაციასა და ევოლუციას განიცდის, მაგრამ ჩვენ დღეს გავრცელებულ ზოგიერთ ხერხზე შევჩერდებით. თითოეულ ინსტრუმენტს მოკლედ დავახასიათებთ, მისი ძირითადი პრინციპების ანალიზით, მასთან დაკავშირებული ზოგიერთი მიმდინარე ტენდენციითა და საკამათო საკითხებით, შევხებით ასევე უწყვეტად თანმდევ პრობლემებსა და გამოყენების განსაკუთრებით წარმატებულ შემთხვევებს. წარმოდგენილი ხერხების მთელ სპექტრთან ერთად ასევე განვიხილავთ პოლიტიკასთან დაკავშირებულ იდეებს, სამსჯელო წინადადებებთან ერთად, რაც ბიძგს აძლევს მომდევნო სჯა-ბაასს თითოეული ინსტრუმენტის, მისი მიზანშეწონილობისა და გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ახალგაზრდებისთვის გამოჩნული სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა კონტექსტში.

ამგვარად, მე-4 ნაწილი ეთმობა ძირითად თემებთან დაკავშირებულ შეჯერებულ პრაქტიკულ საკითხებს, რომლებიც ევროპის დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკის განსჯის შუაგულშია მოქცეული; ესენია:

- ▶ მონაწილეობა;
- ▶ ინფორმაცია;
- ▶ მოხალისეობა;
- ▶ ჩართულობა;
- ▶ უფლებების ხელმისაწვდომობა;
- ▶ ახალგაზრდული საქმიანობა;
- ▶ მობილობა;
- ▶ გაციფრულება.

პრინციპები და ძირითადი ღირებულებები

როდესაც ვსაუბრობთ ეფექტურ და შინაარსიან ახალგაზრდობის პოლიტიკაზე, რომელიც მნიშვნელოვანი და აქტუალურია ახალგაზრდობისთვის თანამედროვე ევროპის პლურალისტურ და დემოკრატიულ გარემოში, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ყველა პრაქტიკული მექანიზმი ფუნდამენტური ღირებულებებითა და პრინციპებით უნდა იყოს გამყარებული.

იგულისხმება ის ძირითადი ღირებულებები და პრინციპები, რომლებმაც უნდა წარმართოს და განსაზღვროს ყოველ მომდევნო ღონისძიებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

ისინი უმთავრესად, პატივისცემის, გაგების, თითოეული ადამიანის დაფასების, თანასწორობის, პატიოსნების, შეკავშირებისა და სოლიდარობის იდეებზე დგას. უფრო კონკრეტულად, ახალგაზრდობის პოლიტიკის კონტექსტში ამ ღირებულებებსა და პრინციპებს შორისაა ასევე:

- ▶ მონაწილეობა;
- ▶ ჩართულობა;
- ▶ ცოდნისა და მტკიცებულებების ბაზა;
- ▶ ვალდებულება;
- ▶ თანამშრომლობა;
- ▶ გამჭვირვალობა;
- ▶ ანგარიშვალდებულება.

მონაწილეობა როგორც პოლიტიკის პრინციპი ემყარება იმას, რომ ახალგაზრდობასთან დაკავშირებული ყველა მიმართულების პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღება მჭიდრო კონსულტაციით თავად ახალგაზრდებთან, რაც უზრუნველყოფს მათ მნიშვნელოვან და სრულ

მონაწილეობას პოლიტიკური „საათის“ ყველა ეტაპზე და ყველა ფაზაში“. ეს ასევე ნიშნავს, რომ პოლიტიკას უნდა ჰქონდეს ოფიციალურად დადგენილი მექანიზმები გადაწყვეტილების მიღებისას ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

ჩართულობა (ინკლუზია) როგორც პოლიტიკის პრინციპი ნიშნავს, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკა არის ღია, არადისკრიმინაციული და მოიცავს სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაციის, იდენტობისა და წარმომავლობის მქონე ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფს, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან პოლიტიკაზე წვდომისა და სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობით. ჩართულობის პრინციპმა უნდა უზრუნველყოს ნაკლოვანებათა შემცირება და უპირატესობათა ზრდა მათთვის, ვინც უკვე განიცადა ან განიცდის მარგინალიზაციასა თუ სოციალურ იზოლაციას, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება უფრო „თანასწორი ასპარეზი“ ახალგაზრდებისთვის.

ცოდნასა და მტკიცებულებებზე აგებული პოლიტიკის პრინციპი მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ გადაწყვეტილებები მიღებული იქნას ახალგაზრდების ამჟამინდელი მდგომარეობის თაობაზე არსებული მკაფიო და ობიექტური აღქმის საფუძველზე და რომ ამ ინფორმაციამ ხელი შეუწყოს უფრო შესაფერისი, განახლებული, მიზანმიმართული, ეფექტური და საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკის უზრუნველყოფას. ეს ნიშნავს, რომ მოცემულობასა და პოლიტიკას შორის კავშირი მდგრადი, უწყვეტი და ქმედითია.

ვალდებულება როგორც პოლიტიკის პრინციპი ქმნის საფუძველს ახალგაზრდების მხარდაჭერის პოლიტიკური ნებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა მზადყოფნის გასამყარებლად, რაც გამოიხატება პოლიტიკური ღონისძიებების გატარებით, განურჩევლად პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ სხვა ცვლილებებთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორისა. ვალდებულება ნიშნავს, რომ ახალგაზრდობა უპირობოდ განიხილება როგორც პოლიტიკის განსხვავებული, ხშირად დაუცველი სამიზნე ჯგუფი.

თანამშრომლობა როგორც პოლიტიკის პრინციპი ამყარებს მიდგომას, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკის სხვადასხვა აქტორს, დაინტერესებულ მხარეს, სექტორს, დონესა და სფეროს შორის კონსოლიდაცია ხელსაყრელია და ძალუმს, სფეროს გასაძლიერებლად და უკეთ ასამუშავებლად პოლიტიკაში მეტი რესურსი მოიზიდოს. ამას შედეგად მოჰყვება: სამთავრობო ორგანოებში როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური თანამშრომლობის საკოორდინაციო მექანიზმების ამუშავება; სექტორებს შორის პარტნიორობა; ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებს შორის კავშირუბრთიერობა.

გამჭვირვალობის პოლიტიკის პრინციპი ამყარებს აზრს, რომ პოლიტიკა, მისი აქტორები, მიზნები, ამოცანები, პრიორიტეტები, დაფინანსების წყაროები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი და განხორციელების მექანიზმები უნდა იყოს მკაფიო, ღია და გასაგები ფართო საზოგადოებისთვის. ეს ასევე ნიშნავს, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს ხელი მიუწვდება ამ ინფორმაციასა და მექანიზმებზე, რაც მათი წვლილის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

და ბოლოს, ანგარიშვალდებულების პოლიტიკის პრინციპი ითვალისწინებს, რომ პოლიტიკა აღჭურვილია მექანიზმებით, ხერხებითა და სტრუქტურებით, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების საშუალებებზე, რათა დაადგინონ, თუ რამდენად ჯეროვნად, ხარისხიანად და კონკრეტულად როგორ ვაღწევთ მათი მეშვეობით დასახულ მიზნებს. ეს ნიშნავს, რომ საქმის სათანადოდ წარსამართავად, შეფასების, მონიტორინგისა და ანგარიშგების გამჭვირვალე თანმხლები მექანიზმები არსებობს.

ამ საკითხების განხილვისას გირჩევთ, გადახედოთ და შეაფასოთ ახალგაზრდობის პოლიტიკის ვითარება თქვენს ქვეყანაში, რათა დაადგინოთ, რამდენად ესადაგება ეს პრინციპები თქვენს საქმიანობას, რამდენად საფუძვლიანადაა წარმოდგენილი, რა მიუთითებს იმაზე, რომ ისინი დაცულია და მუშაობს, რა საშუალებებით ხდება ამ პრინციპების რეალიზება, და – პირიქით – რა ინსტრუმენტები, სტრუქტურები და პროცესები მოქმედებს თქვენთან საიმისოდ, რომ უზრუნველყოფილი იქნეს აღნიშნული პრინციპების ცხოვრებაში გატარება. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკის პრიორიტეტული პრინციპები ნებისმიერ კონკრეტულ გარემოში დიდ წილად განისაზღვრება იმით, თუ რა თვალთ უყურებენ ქვეყანაში ახალგაზრდებს და შესაბამისად, კონკრეტულად როგორი სახე ეძლევა ახალგაზრდობის პოლიტიკას; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უნდა სასურველი იყოს ახალგაზრდობის პოლიტიკის ზოგიერთი ცალკეული თუ უნივერსალური პრინციპის დამკვიდრება, ისინი უცილობლად, განსხვავებულად ბალანსდება როგორც ახალგაზრდობის პოლიტიკის სისტემაში, ასევე იმ საშუალებების კუთხით, რომლებიც პრაქტიკულად, ამ პოლიტიკის მიზნების ინტერპრეტაციად გვევლინება.

თავი 13

მონაწილეობა და აქტიური მოქალაქეობა

შესავალი

მრავალი მიზეზის გამო, ახალგაზრდობის პოლიტიკის სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღებაში ახალგაზრდების მონაწილეობა და ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში არასამთავრობო ახალგაზრდობის ორგანიზაციების როგორც ინსტიტუციური პარტნიორების როლი, ევროპული და საერთაშორისო ახალგაზრდობის პოლიტიკის სამსჯელო თემებს შორის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს.

მონაწილეობა 21-ე საუკუნეში ფუნდამენტურ დემოკრატიულ პრინციპზე დაყრდნობით თანამედროვე საშუალებებით ჯეროვანი მართვის ხელშეწყობის საკვანძო ფაქტორია.

ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ შესწორებული ევროპული ქარტიის (ევროპის საბჭო, 2015ა) თანახმად, მონაწილეობა და აქტიური მოქალაქეობა ნიშნავს უფლებას, საშუალებებს, სივრცეს, შესაძლებლობას და, საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერას იმ გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისა და მათზე ზემოქმედებისა, რომლებიც ხელს უწყობს უკეთესი საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ხშირად გვესმის, რომ ახალგაზრდობა არ მონაწილეობს სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში, იმედგაცრუებულია პოლიტიკით და მას არ იზიდავს რაიმე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა. იგულისხმება, რომ ახალგაზრდები აპოლიტიკურები არიან და პოლიტიკის მკეთებელ ზრდასრულებს არ ენდობიან. ასეთი სტერეოტიპების შედეგად ახალგაზრდები და მოზარდები რჩებიან მოჯადოებულ წრეში, რომელშიც ერთმანეთს არ ენდობიან, ერთმანეთს არ იცნობენ და შესაბამისად, ერთმანეთთან კავშირისა და ურთიერთობის დამყარებას ვერ ახერხებენ.

ერთია ახალგაზრდების მონაწილეობისთვის გამიზნულად პირობების შექმნა და მეორეა იმ ბარიერების მოხსნა, რომლებიც სრულყოფილ, ინკლუზიურ, გავლენის მქონე მონაწილეობას ეღობება. ეს ბარიერებია: განსხვავებული საკომუნიკაციო სტილი, გამოცდილების განსხვავებული დონე და სახეობები, უნარ-ჩვევების ნაკლებობა, იმის ცოდნის დეფიციტი, თუ როგორ შეიძლება ჯეროვნად ჩავრთოთ ახალგაზრდები საქმეში, ახალგაზრდობის ადგილი სოციალურ იერარქიაში, უნდობლობა მოზარდებსა და ახალგაზრდებს შორის. ნეგატიური სტერეოტიპები, ახალგაზრდობისთვის კეთილგანწყობილი, სტრატეგიულად სამართლებრივი პროცედურებისა და პოლიტიკის ნაკლებობა, სხვა საჭირო რესურსების ნაკლებობა, შეხედულება, რომ ახალგაზრდის მონაწილეობის მიუხედავად, არაფერი არ შეიცვლება და რომ ახალგაზრდები, რომლებიც მონაწილეობენ, არსებითად, ახალგაზრდობის წარმომადგენლები არ არიან (ევროპის საბჭო, 2015 ბ).

დღეს, ახალგაზრდების მონაწილეობისა და ინტერესების დაცვის სფეროს ბევრი სპეციალისტი და აქტივისტი ახალგაზრდობის ორგანიზაციების წინაშე არსებულ რამდენიმე პრობლემაზე ლაპარაკობს. ბევრ ქვეყანაში ახალგაზრდობის ორგანიზაციები მონაწილეობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ხელშეწყობის, განათლების, მონაწილეობის დანერგვის, დემოკრატიული და სოციალური უფლებების განხორციელების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს. დღევანდელი ზოგიერთ პრობლემას წარმოადგენს ახალგაზრდობის სამოქალაქო საზოგადოების სივრცის შემცირება, ზოგადი უნდობლობა და პოლიტიკური აღიარების, ახალგაზრდობის ორგანიზაციების მდგრადი დაფინანსების, ახალგაზრდული პროგრამების, საერთოდ ახალგაზრდული საქმიანობის ნაკლებობა, არაორგანიზებული ახალგაზრდების უფლებამოსილების გაძლიერებისა და პოლიტიკურ დიალოგში მათი ჩართვის უზრუნველსაყოფად საჭირო მკაფიო მექანიზმების ნაკლებობა. ამ პრობლემების არსებობას ადასტურებს ევროპის ახალგაზრდობის არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) ფართო საზოგადოება. საერთაშორისო ორგანიზაციები ხაზგასმით აღნიშნავენ ცალკეული ქვეყნებისა და ევროპულ დონეზე ამ პრობლემების გადაწყვეტისა და რეკომენდაციების შემუშავების მნიშვნელობას. ევროპული ინსტიტუციების ახალგაზრდობის სექციებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის სხვა რეგიონულ აქტორებს თავიანთ რეკომენდაციებში, რეზოლუციებსა და ე.წ. პოზიციურ დოკუმენტებში არაერთგზის წამოუყენებიათ ეს საკითხი და შეუთავაზებიათ მასზე რეაგირების ზომები, ასევე მოუწოდებენ ეროვნულ მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის ინსტრუმენტების გაძლიერების, ახალგაზრდობის ორგანიზაციებისთვის დახმარების გაწევის, ეროვნული ახალგაზრდობის საბჭოებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ახალგაზრდობის ორგანიზაციების მდგრადი და რესურსებით გამყარებული მუშაობის უზრუნველყოფისკენ.

იდევნა პოლიტიკის ღონისძიებებისთვის:

- ▶ თანამმართველობისა და თანადაგეგმარების სისტემების/მექანიზმის შემუშავება.
- ▶ პროგრამების ჩამოყალიბება, რომლებიც სრულყოფილი და შინაარსიანი მონაწილეობისთვის საჭირო ცოდნა-გამოცდილებას უზრუნველყოფს.
- ▶ ახალგაზრდობის ორგანიზაციების, საბჭოებისა და მსგავსი პლატფორმების დაფინანსება, რომლებიც ახალგაზრდების მონაწილეობასა და ხელშეწყობას მოემსახურება.
- ▶ ახალგაზრდობასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის ნდობისა და კონსტრუქციული დიალოგის დასამკვიდრებლად საჭირო ინსტრუმენტებისა და არხების შემუშავება და დანერგვა.
- ▶ მონაწილეობის ახალი, ინოვაციური, თანამედროვე ციფრული არხების ჩამოყალიბება.
- ▶ ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე ახალგაზრდების მონაწილეობის პრინციპების წარმოჩენა.
- ▶ საქმიანობის სხვადასხვა სფეროში და ასევე მთელ პოლიტიკურ სივრცეში მონაწილეობის საშუალებების დანერგვა.

პოლიტიკის პრაქტიკად გადაქცევა

მონაწილეობის პრაქტიკა

არსებობს რამდენიმე მოდელი და მიდგომა, რომლებსაც ქვეყნები ახალგაზრდების მონაწილეობის სისტემის ასაგებად და მისი რაც შეიძლება შინაარსიანი და გავლენიანი ფორმის მისაგნებად იყენებენ. ზოგიერთი მათგანი წარმოადგენს ეტაპობრივი, ხაზოვანი განვითარების მოდელს თითოეულ დონეზე (როგორცაა მონაწილეობის სხვადასხვა „კიბით“ გადმოცემული მიდგომები), ზოგი კი არ გამოირჩევა კონკრეტული იერარქიითა თუ რიგითობით და აქცენტს მონაწილეობის ხარისხსა და პირობებზე აკეთებს. ზოგი მონაწილეობისთვის შესაფერის გარემო პირობებზეა კონცენტრირებულია, ხოლო ზოგი — სრულყოფილი მონაწილეობისთვის საჭირო პირობებზე. ზოგიერთი ქვეყანა მონაწილეობის მიდგომებს აგებს არსებულ საერთაშორისო ნიმუშებზე, რომლებიც სხვადასხვა პროცესში მნიშვნელოვან და უწყვეტ მონაწილეობას ემსახურება და ახალგაზრდობის სტრუქტურების მხარდაჭერით სარგებლობს.

სლოვენიამ მიიღო კანონი ახალგაზრდობის სექტორში საზოგადოებრივი ინტერესის შესახებ, რომლითაც ახალგაზრდობის საკითხებში სლოვენიის სამთავრობო საბჭოს მინიჭებული აქვს ახალგაზრდებთან დაკავშირებული პოლიტიკის გადაწყვეტილებებისა და პრობლემების საკონსულტაციო ორგანოს სტატუსი. საბჭო მთავრობასა და შესაბამის სამინისტროებს მიმართავს წინადადებებით, რჩევებითა და რეკომენდაციებით, რომლებიც საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში ახალგაზრდობის მიმართულების გაძლიერებას ემსახურება. ანალოგიურად, კანონი სტუდენტთა ასოციაციის შესახებ უზრუნველყოფს სტუდენტური ორგანიზაციების მონაწილეობას სტუდენტებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, ხოლო კანონი ახალგაზრდობის საბჭოების შესახებ — პოლიტიკურ დისკუსიებსა და გადაწყვეტილებებში ახალგაზრდების მონაწილეობის შესაძლებლობას (EU Youth Wiki, 2020).

მონაწილეობა ბიუჯეტის შედგენაში

სხვადასხვა ქვეყანაში გამოსცადეს საბიუჯეტო ასიგნებათა დაგეგმვასა და განხილვაში ახალგაზრდების ჩართვის იდეა, რაც ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, ონლაინ ან ოფლაინ დააფიქსირონ საკუთარი პრობლემები და წამოაყენონ წინადადებები, საჭიროებები და კრეატიული იდეები, რომლებსაც საკუთარი თავის სარეალიზაციოდ გამოიყენებდნენ.

პორტუგალიაში, ბიუჯეტის შემუშავებაში ახალგაზრდების მონაწილეობის პროცესი მთავრობამ იმ მიზნით წამოიწყო, რომ 14-30 წლის ადამიანებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, წარმოადგინონ საკუთარი იდეები და გადაწყვეტილების გზები იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს. ეს ინიციატივა ითვალისწინებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან პირისპირ შეხვედრებს, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე პრეზენტაციებსა და წინადადებების განხილვებს, ასევე, განმარტებების მიცემასა და დახმარების გაწევას ახალგაზრდა მოქალაქეებისთვის,

რომლებსაც ამ პროცესში მონაწილეობა და საკუთარი იდეების გამოთქმა სურთ (ახალგაზრდობისა და სპორტის პორტუგალიური ინსტიტუტი).

თანამმართველობა და თანადაგეგმარება

თანამმართველობა გულისხმობს ახალგაზრდების მონაწილეობის მოდელს, სადაც გადაწყვეტილების მიმღებნი და ამ გადაწყვეტილებებით დაინტერესებული სხვა პირები თანასწორ დიალოგურ სტრუქტურაში იყრიან თავს. ეს გადაწყვეტილებები შეიძლება შეეხებოდეს: პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს, განხორციელების მექანიზმებს, დაფინანსების გამოყოფასა თუ შეფასებას ან მონიტორინგს.

ეს მოდელი ფართოდაა გავრცელებული და წარმოადგენს ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების საფუძველს ევროსაბჭოს ახალგაზრდობის სექტორში, სადაც ევროპის მასშტაბით ახალგაზრდობის პოლიტიკის განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გაერთიანებულ საბჭოში შესაბამისი წევრი სახელმწიფოების სამთავრობო ორგანოებისა და საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან გაერთიანებული.

თანადაგეგმარება ასევე მზარდი ინტერესისა და პოპულარობის ობიექტი ხდება, რადგან ის ხელს უწყობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობას, ქმნის სივრცეს დისკუსიებისთვის, თანადაგეგმარებისა და ერთობლივი წარმოებისთვის ყველა შესაბამისი აქტორის მონაწილეობით, როგორცაა: ახალგაზრდობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, მუნიციპალური ხელისუფლება, რომელთა ერთობლივი წვლილი ღია კომუნიკაციას ეფუძნება. შვედეთში, ქვეყნის ადგილობრივ თვითმმართველობათა და რეგიონების ასოციაციამ შეიმუშავა თითოეული ქალაქის ციფრული რუკა და შესაძლებლობა მისცა ახალგაზრდებს, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარებით ჩართულიყვნენ ქალაქის დაგეგმარებაში, მართვასა და უსაფრთხოების განმტკიცებაში. შვედეთის ქალაქები ასევე აწყობენ ყოველწლიურ თემატურ დღეებს, სადაც ბავშვებსა და ახალგაზრდებს შეუძლიათ შესთავაზონ იდეები, თუ როგორ უნდა განვითარდეს მათი უბნები (ფინეთის ახალგაზრდობის კვლევის საზოგადოება და ავტორები, 2014).

მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე

მონაწილეობის სწავლა მისი რეალიზებით უფრო იოლია, ვიდრე თეორიული მოდელების გაცნობით. ბევრი ახალგაზრდისთვის აქტიურობისა და მონაწილეობის გზაზე პირველი ნაბიჯი ადგილობრივ თემებში განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართვაა. სწორედ აქ ეძლევათ ახალგაზრდებს შესაძლებლობა დაინახონ მათი ჩართულობის პირდაპირი გავლენა და მონაწილეობა მიიღონ მცირე მასშტაბის დემოკრატიაში (Galstyan, 2019). აშკარაა, რომ ეს საკმაოდ უწყინარი და ნაყოფიერი სივრცეა ექსპერიმენტებისთვის და იმის დასადგენად, თუ როგორ მოქმედებს მონაწილეობა და როგორ შეუძლიათ ახალგაზრდებს უზრუნველყონ და გამოცადონ საკუთარი გავლენა.

ახალგაზრდობის პოლიტიკის გაძლიერებისა და განვითარების მიზნითა და ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ახალგაზრდების მონაწილეობისა და განვითარების გასამყარებლად სომხეთის

მთავრობამ ყოველწლიური „ახალგაზრდობის დედაქალაქის“ მექანიზმი წამოიწყო. მისი მიზანია: თემების თანაბარი განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი ახალგაზრდობის ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა, ადგილობრივი ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების სტიმულირება, ახალგაზრდობის სფეროში ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეთა პარტნიორობა და ახალგაზრდების მონაწილეობისა და აქტივობების განვითარება. ამ სფეროსთვის პასუხისმგებელი სამინისტრო ყოველ წელს ატარებს კონკურსს, სადაც სხვადასხვა ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებას შეაქვს განაცხადი ახალგაზრდობის დედაქალაქის წოდების მოსაპოვებლად. შედეგად, ახალგაზრდებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საბიუჯეტო რესურსები, აქტივობები, ეროვნული და საერთაშორისო ინიციატივები და პროექტები ამ კონკურსში გამარჯვებულ ქალაქში ხორციელდება.

ახალგაზრდების სოციალური და სამოქალაქო ცოდნა-გამოცდილების განვითარების მხარდასაჭერად, მალტის ახალგაზრდობის ეროვნული სააგენტო და მალტის ეროვნული ახალგაზრდობის საბჭო არაფორმალური განათლებისა და სწავლის ინიციატივების მეშვეობით ახორციელებენ პროექტს, რომელიც ადგილობრივი მუნიციპალური საკრებულოების მუშაობაში ახალგაზრდების ჩაბმას ითვალისწინებს. ახალგაზრდა მრჩეველები ჩართული არიან საჭიროებების შეფასებასა და კვლევაში, საჭიროებებზე ორიენტირებული პროექტების დაგეგმვაში მკაფიო დასაბუთებით, გეგმითა და ბიუჯეტით. საბჭოების მუშაობაში ჩართვის მსურველ ახალგაზრდებს უტარებენ სპეციალურ ტრენინგს ადგილობრივი მმართველობის, ახალგაზრდობის საბჭოს ფუნქციონირებისა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის საკითხებზე. ისინი იკრიბებიან და განიხილავენ თავიანთ იდეებს, ხოლო 10 საუკეთესო პროექტისთვის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსება ხორციელდება. მთელი ეს პროცესი ახალგაზრდობის მუშაკის კურირებითა და დახმარებით მიმდინარეობს (EU Youth Wiki, 2017).

აქტიური მოქალაქეობის სწავლა

როგორც ნათქვამია ევროპის საბჭოს დოკუმენტში (2015c) „შესვლა! რეკომენდაცია“, აქტიური მოქალაქეობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში გააზრებული და პასუხისმგებლიანი მონაწილეობის შესაძლებლობაა. ახალგაზრდები აქტიურ მოქალაქეობას სწავლობენ დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეობის არსის ცნებებისა და ღირებულებების გაცნობით, ხოლო შესაბამისი ასაკის მიღწევის შემდეგ — დემოკრატიულ ქვეყანაში მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების (როგორცაა ხმის მიცემა ან არჩეულ თანამდებობაზე კენჭისყრა) გამოყენებისას. ეს ერთდროულად, ადამიანის უფლებაცაა და პასუხისმგებლობაც. აქტიური მოქალაქეობა როგორც შესაძლებლობას, ასევე ცოდნას მოითხოვს.

ახალგაზრდების სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის სრულყოფა ლუქსემბურგის ახალგაზრდობის პოლიტიკის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს. ახალგაზრდობის კანონში ახალგაზრდობის პოლიტიკის ერთ-ერთ ამოცანად განსაზღვრულია ახალგაზრდების როგორც ისეთი აქტიური მოქალაქეების აღზრდაში წვლილის შეტანა, რომლებიც პატივს სცემენ დემოკრატიას, ღირებულებებსა და საზოგადოებაში დამკვიდრებულ ფუნდამენტურ უფლებებს. განათლების, ბავშვთა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ახალგაზრდებში სამოქალაქო განათლების ხელშეწყობის მიზნით, სამოქალაქო განათლების სტრატეგია შეიმუშავა. სამოქალაქო განათლება ზოგადი და პროფესიული საშუალო განათლების მეორე საფეხურის სასწავლებლების სასწავლო გეგმებშია შეტანილი. მონაწილე სტრუქტურები, რომლებიც ახალგაზრდებს სამოქალაქო ცოდნის მოპოვებაში

ებმარებიან, გვევლინება სხვადასხვა ფორმით და მოქმედებს სხვადასხვა სივრცეში, როგორც: სასკოლო/სტუდენტური საბჭოები, ახალგაზრდული პარლამენტი და ეროვნული ახალგაზრდობის საბჭო (EU Youth Wiki).

მონაწილეობა და გაციფრულება

ბოლო წლებში მიმდინარე გაციფრულებამ ახალგაზრდობის მონაწილეობის არსებითად ახალი რეალობა შექმნა, ამიტომ დღეს სულ უფრო ხშირად ციფრულ მოქალაქეობასა და მონაწილეობაზე ლაპარაკობენ. ონლაინ პლატფორმები, სოციალური ქსელები და მობილური აპლიკაციები შეხედულებათა გადასაცემ და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან დიალოგის გასამართავ ხელმისაწვდომ და მოსახერხებელ ინსტრუმენტად იქცა. ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა (ICT) და მედიის როგორც ჩართულობის საშუალების გამოყენება უფრო ადვილი და ხელმისაწვდომი გახდა, ვიდრე ოდესმე. კარგ მაგალითებს შორისაა აქტიური მოქალაქეების მიერ სხვადასხვა მობილური აპლიკაციის გამოყენება მუნიციპალურ ხელისუფლებასთან დასაკავშირებლად და ეროვნული მთავრობებისა და პარლამენტებისთვის საკუთარი შეფასებების/გამოხმაურებების მისაწოდებლად.

სოციალური და პოლიტიკური მონაწილეობისთვის ახალგაზრდების წახალისების მიზნით, გერმანიის ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდმა (DKJS), გერმანიის ფედერალურმა ახალგაზრდობის საბჭომ (DBJR) და IJAB-მა (გერმანიის საერთაშორისო ახალგაზრდობის სამსახური) წამოიწყეს მონაწილეობის ერთობლივი ონლაინ პლატფორმა jugend.beteiligen. jetzt („ახალგაზრდობა.მონაწილეობა.ახლა“). ინიციატივის მთავარი მიზნებია: ციფრული მონაწილეობის ხელშეწყობა ელექტრონული მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდის, ელექტრონული მონაწილეობის სხვადასხვა ტიპის განვითარებისთვის საჭირო ინსტრუმენტების შემუშავებით, როგორცაა: ePartool, Antragsgrün, Yopad.eu Etherpad და BarCamp-ის ინსტრუმენტი Camper, მონაწილეობის პროექტების უზრუნველყოფა, საუკეთესო მაგალითების თავმოყრის ფორმით წაქეზება და ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის ქსელური კავშირურობის დამყარება. პლატფორმა საშუალებას აძლევს პოლიტიკის შემქმნელებსა და ახალგაზრდობას, ახალგაზრდობისთვის შესაფერისი ფორმითა და ფორმატით დაუკავშირდნენ ერთმანეთს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <https://jugend.beteiligen.jetzt>.

მონაწილეობა ორგანიზებული ახალგაზრდობის სტრუქტურების მეშვეობით

ახალგაზრდობის ორგანიზაციებს ამისთვის უბრძოლიათ და მოპოვებულებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი, როდესაც საქმე ეხება ახალგაზრდობის ხმის მიწვდენას, მათი ინტერესების წარმოჩენას, მოქმედებისთვის მობილიზებასა და ზრდა-განვითარებაში ხელშეწყობას. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდობის მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფის, ხელშეწყობისა და დაცვის საქმეში და უზრუნველყვეს ამ დიალოგში თანასწორად შესვლის შესაძლებლობა. მათ საქმიანობას სამთავრობო ინსტრუმენტებით მხარდაჭერა ესაჭიროება.

ბელგიაში (ფლანდრიაში), ახალგაზრდობისა და ბავშვთა უფლებების პოლიტიკის გეგმის მიხედვით, რომელიც ფლამანდური პარლამენტის 2012 წლის 20 იანვრის კანონით გააძლიერა, კონკრეტული ტიპის

ორგანიზაციები ადმინისტრაციული ხარჯებისთვის სტრუქტურულ სუბსიდიას იღებენ და ასევე შეუძლიათ მოითხოვონ ცალკეული პროექტების დაფინანსებაც. მათ შორის არიან: ქვეყნის მასშტაბით არსებული ახალგაზრდობის ასოციაციები, ახალგაზრდობის საინფორმაციო და კულტურულ-საგანმანათლებლო ასოციაციები. ფლამანდიის მთავრობა ასევე გასცემს გრანტებს ორგანიზაციებზე ახალგაზრდული საქმიანობის, ახალგაზრდული ინფორმაციის, ახალგაზრდობის მონაწილეობის პოლიტიკისა და ახალგაზრდების კულტურული განათლების სფეროებში ექსპერიმენტული საპილოტე პროექტებისთვის. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ EU Youth Wiki (2020).

საფრანგეთში განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო აქტიურად უჭერს მხარს ახალგაზრდობის ასოციაციების განვითარებას. სამინისტროს ერთ-ერთი — ახალგაზრდობის, არაფორმალური განათლებისა და მოხალისეობრივი ორგანიზაციების დეპარტამენტი (DJEPVA) — ორგანიზაციებს არაფორმალური საგანმანათლებლო საქმიანობისთვის გამოყოფილი გრანტებითა და აკრედიტაციით (სტატუსის აღიარებით) ეხმარება. სამინისტრო გრანტებს გასცემს აკრედიტებულ ახალგაზრდობის და საჯარო განათლების ასოციაციებზე ღია და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი პროგრამებისა და აქციების განსახორციელებლად, რომლებიც საერთო საზოგადოებრივი სიკეთის გავრცობას უწყობს ხელს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ EU Youth Wiki (2020).

ახალგაზრდობის შესახებ ინფორმაცია

შესავალი

ახალგაზრდობის უფლება ინფორმაციაზე გაწერილი და აღიარებულია იურიდიულ და პოლიტიკურ დოკუმენტებში ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე. ეს უფლება თავად არის პრაქტიკა და ასევე წარმოადგენს ახალგაზრდობის პოლიტიკის სხვა ისეთი ასპექტების კრიტიკულ კომპონენტს, როგორიცაა მონაწილეობა, სოციალური ჩართულობა და უფლებებზე ხელმისაწვდომობა. ახალგაზრდობის ინფორმაცია ასევე არის ახალგაზრდული სამუშაოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. სხვადასხვა დამხმარე აქტივობების მეშვეობით ახალგაზრდობის საინფორმაციო სერვისები და პროფესიონალები ეხმარებიან ახალგაზრდებს მაქსიმალურად გაზარდონ მათთვის ხელმისაწვდომი რესურსები და შესაძლებლობები პოლიტიკის სპექტრის მასშტაბით, გადამზადებიდან და დასაქმებიდან, მართლმსაჯულებისა და კეთილდღეობის გზით, სპორტამდე, მოგზაურობამდე და დასვენებამდე. დღეს ინფორმაციის ნაკლებობა პრობლემას არ წარმოადგენს თუმცა, მისი ღირებულების და სანდოობის გამორკვევა - განსხვავების დანახვა იმ მასალას შორის, რომელიც ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალებას იძლევა და ის, რაც არის მარკეტინგი, პროპაგანდა ან "ყალბი ინფორმაცია" - კრიტიკულია, ინფორმაციის პროფესიული გაცვლის, კონსულტაციის, ქოუჩინგის, მენტორინგის, ტრენინგის, ნეთვორქინგის მეშვეობით და ისეთ სპეციალიზებულ სერვისებზე მიმართვით, როგორიცაა European Youth Card Association, ERYICA და Eurodesk.

ახალგაზრდობის ინფორმაციისა და კონსულტაციის მიზნები მოიცავს შესაბამის თემებსა და შესაძლებლობებზე, სანდო, ზუსტ და გასაგებ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფას, რაც დაეხმარებათ ახალგაზრდებს ინფორმაციაში შეგნებულად და პასუხისმგებლობით გარკვევაში და გაზრდის მათ მედიაწიგნიერებას (ERYICA - ევროპის საბჭო 2015).

ახალგაზრდობის ინფორმაციის ხარისხი და ეტიკა არის არსებითი კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისებში მკაფიო სახელმძღვანელო მითითებების, პოლიტიკის, ხარისხის მართვისა და უზრუნველყოფის მექანიზმების, კომპეტენციების ჩარჩოების შემუშავებისა და პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების მეშვეობით.

ევროპის ახალგაზრდობის ინფორმაციის ქარტიის (მიღებული 2018 წელს ERYICA-ს მიერ) შესწორებულ ვერსიაში გაწერილია, რომ დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემა გულისხმობს ყველა ახალგაზრდის უფლებას, ჰქონდეთ წვდომა ყოვლისმომცველ, ობიექტურ, გასაგებ და სანდო ინფორმაციაზე, რომელიც ეხება მათ კითხვებსა და საჭიროებებს. ქარტიის თანახმად, ახალგაზრდობის ინფორმაცია აგებული უნდა იყოს რამდენიმე პრინციპზე და უნდა იყოს დამოუკიდებელი, ხელმისაწვდომი, ინკლუზიური, საჭიროებებზე დაფუძნებული, გამაძლიერებელი, მონაწილეობითი, ეთიკური, პროფესიული და პროაქტიური. ეს პრინციპები უზრუნველყოფილია კონკრეტული ღონისძიებებით, რომლებიც ეხება შესაბამისობას, თანასწორობას, ავტონომიის ხელშეწყობას, სფეროს პროფესიონალების შესაძლებლობების განვითარებას და მომსახურებების ხარისხს. ყველა ეს პრინციპი ეხება როგორც ოფლაინ, ასევე ონლაინ

ახალგაზრდობის ინფორმაციას, როგორც მიმდინარე საინფორმაციო ველის განუყოფელ ნაწილს და გათვალისწინებულია 2009 წელს მიღებულ ახალგაზრდობის ონლაინ ინფორმაციის პრინციპებში. (დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ www.eryica.org.)

სამომავლო ახალგაზრდობის ინფორმაციისა და კონსულტაციის შესახებ ბოლოდროინდელმა კვლევამ (ERYICA 2018a) შეისწავლა ახალგაზრდობისა და ინფორმაციის მიმდინარე რეალობა და მასში აღნიშნულია, რომ ახლა ძნელი წარმოსადგენია, როგორ გარდაიქმნება საინფორმაციო სფერო და როგორ შეიცვლება ახალგაზრდობის ქცევა ინფორმაციასთან დაკავშირებით. ინფორმაციის სირთულე და რაოდენობა, სავარაუდოდ, სტაბილურად გაიზრდება. გაჩნდება ინფორმაციის მართვის ახალი ფორმები. ყალბი ამბები და მანიპულირება აშკარად მზარდი პრობლემა იქნება ინფორმაციის ბევრ მომხმარებელს შორის კრიტიკული აზროვნების ნაკლებობასთან ერთად. ახალგაზრდებს გამოწვევები შეექმნებათ ინტერნეტისა და ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხებში. შეიცვლება განათლების სისტემა და მასში ჩაერთვება კიდევ უფრო მეტ ონლაინ სამუშაო, ინსტრუმენტები და რესურსები. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მზარდი ინფორმაციის საჭიროების სფეროები იქნება დასვენება, განათლება, უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, მობილურობა, იმიგრაცია, ადამიანის უფლებები, დემოკრატია და მონაცემთა დაცვა. იზრდება ინფორმაციული საჭიროებები ხელოვნურ ინტელექტსა და დიდი მოცულობის მონაცემებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ ეს ინსტრუმენტები და მონაცემები. აღნიშნული განვითარებადი რეალობა აჩენს მზარდ მოთხოვნებსა და მოლოდინებს ახალგაზრდობის საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისებზე.

იდეები პოლიტიკის ღონისძიებებისთვის

- ▶ ახალგაზრდობის ინფორმაციისა და საკონსულტაციო მომსახურებების ხარისხის უზრუნველყოფა.
- ▶ ახალგაზრდობის ინფორმაციისა და საკონსულტაციო პერსონალის კომპეტენციების განვითარების პროგრამები.
- ▶ ახალგაზრდობის ინფორმაციის სამუშაოს ახალი არხების მოძიება.
- ▶ ინვესტიცია ძლიერ საინფორმაციო ქსელებში.
- ▶ ყველა ჩართული მხარისთვის (ახალგაზრდები, მშობლები, მასწავლებლები, ახალგაზრდობის მუშაკები და ა.შ.) მედია და ინფორმაციული წიგნიერების შესაძლებლობების შექმნა.

პოლიტიკის გარდაქმნა პრაქტიკად

საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებები

ხშირად ახალგაზრდობის საინფორმაციო სერვისები ასრულებენ მასალის „თარჯიმნების“ როლს მასალის ახალგაზრდობისთვის მეგობრულ, გასაგებ, მისაღებ და სასარგებლო ენაზე გადმოსაცემად ისინი ასევე მუშაობენ ინფორმაციის ორგანიზებაზე ახალგაზრდობისთვის ყველაზე ეფექტური გზით, რათა მათ უფრო ფართოდ გამოიყენონ ხელმისაწვდომი რესურსები და შესაძლებლობები.

ფინეთში სატაკუნტას რეგიონის რვა მეზობელ მუნიციპალიტეტს ჰქონდა მსგავსი პრობლემები ახალგაზრდობთან ურთიერთობის, მათთან კომუნიკაციისა და ციფრული ახალგაზრდული სამუშაოს განხორციელების დროს, როგორც დროის, ასევე ტექნიკური ექსპერტიზის ნაკლებობის გამო. 2015 წელს გადაწყდა, რომ პრობლემის გადასაჭრელად, შესაბამის მუნიციპალიტეტებში ყველა ახალგაზრდობის

მომსახურება დაჯგუფებულიყო ორ ვებგვერდზე: Nuokka.fi-ზე და Jeesari.nuokka.fi-ზე. Nuokka.fi ორიენტირებულია დასვენების სერვისებზე, ხოლო Jeesari.nuokka.fi მიმართულია მხარდაჭერაზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა სწავლა, ჯანმრთელობა და დასაქმება. ამ ვებგვერდების მიზანია, გაამარტივონ ინფორმაციის მოძიება ახალგაზრდებზე გათვლილი ადგილობრივი სერვისების შესახებ (ERYICA 2018b), როგორც ახალგაზრდებისთვის, ისე მათთან მომუშავე ზრდასრულებისთვის.

ახალგაზრდების მხარდაჭერა საინფორმაციო სფეროში ნავიგაციაში

არსებობს რამდენიმე ღონისძიება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მიმდინარე ინფორმაციის და ციფრული ეპოქის გამოწვევებზე რეაგირებისთვის, რათა დაეხმაროს ახალგაზრდებს, მართონ ინფორმაცია თავიანთ ცხოვრებაში და გამოიყენონ ის საუკეთესოდ პირადი და პროფესიული კეთილდღეობისა და ზრდისთვის. ზოგიერთი ასეთი ღონისძიება მოიცავს მედია და ინფორმაციული წიგნიერების დაგეგმილ და კონცენტრირებულ განვითარებას, ახალგაზრდობის საინფორმაციო მუშაკების ციფრული კომპეტენციის მხარდაჭერას, მიმდინარე ტენდენციების ყოვლისმომცველ უწყვეტ კვლევას და ინკლუზიური სტრატეგიების შემუშავებას სხვადასხვა მექანიზმებით, რომლებიც გამოიყენება ახალგაზრდებისათვის ინფორმაციის მიწოდებისთვის.

Institut Balear de la Joventut-მა (IBJOVE - ბალეარის ახალგაზრდობის ინსტიტუტი) და ბალეარის კუნძულების მთავრობამ ესპანეთში წამოიწყეს „კიბერმენტორები“, თანატოლთა ქსელი განათლებისა და მენტორინგისთვის ბალეარის კუნძულების საშუალო სკოლებში. პროექტი მიზნად ისახავს სკოლებში ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას მათი ინტერნეტ აქტივობის შესაძლო შედეგებზე, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს რისკები და ბოროტად გამოყენება და გააძლიეროს მათი ონლაინ ყოფნის დადებითი ეფექტები. პროექტი მიზნად ისახავს შექმნას ციფრული მოქალაქეობის შესახებ ცოდნის მქონე ახალგაზრდების ქსელი, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული მათი თანატოლების მიერ. მოსწავლეები გადიან ტრენინგს ინტერნეტში უსაფრთხო ქცევისა და ეტიკეტის შესახებ, სწავლობენ როგორ მიუდგნენ ამ საკითხებს თანატოლებთან ერთად და ატარებენ ქსელურ და თანატოლთა სწავლების სესიებს. შემდეგ კიბერმენტორები გადასცემენ ტრენინგზე მიღებულ ცოდნას მათზე ორი წლით ქვეშ მყოფ საშუალო სკოლის მოსწავლეებს. ამ ტრენინგის შემდეგ და მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, კიბერმენტორები თავიანთ სამიზნე ჯგუფში ავრცელებენ ინფორმაციას, რჩევებსა და ვიდეოებს ციფრული მოქალაქეობის უნარების შესახებ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ERICA 2018b.

პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობი რესურსები

ევროპული რეგულაციები და სამართლებრივი დოკუმენტები

- ▶ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)8 წევრ ქვეყნებს, ახალგაზრდობის ინფორმაციის შესახებ.
- ▶ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (90) 7 წევრ ქვეყნებს, ახალგაზრდების ინფორმაციისა და კონსულტაციის შესახებ ევროპაში.
- ▶ ინტერნეტის მართვის სტრატეგია 2016-19 (<https://rm.coe.int/16806aafa9>).

- ▶ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (97) 20 წევრ ქვეყნებს, „სიძულვილის ენის შესახებ“.

თემატური მასალები

- ▶ ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა უფლებებზე ახალგაზრდობის ინფორმაციისა და კონსულტაციის საშუალებით, 2015 წელი (<https://rm.coe.int/16807023d9>).
- ▶ ახალგაზრდობის ინფორმაციის საწყისი ნაკრები (ევროპის საბჭო–ERYICA 2010).
- ▶ სამომავლო ახალგაზრდობის ინფორმაცია და კონსულტაცია: ინფორმაციულ საჭიროებებზე და ტენდენციებზე დაყრდნობით (ERYICA 2018a).
- ▶ კვლევა: ახალგაზრდობის (ინფორმაციული) მუშაკების საჭიროებების განსაზღვრა, ERYICA, EYCA და Eurodesk, 2017 წ. (<https://static1.squarespace.com/static/59ab1130ff7c50083fc9736c/t/5c62bfe5f4e1fcf05b96c75b/1549975531792/Results+of+the+survey.pdf>).
- ▶ SHERYICA: კარგი პრაქტიკების სერია ახალგაზრდობის ინფორმაციაში (ERYICA, 2018b).

მოხალისეობა

შესავალი

მოხალისეობა თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვანი, თითქმის აუცილებელი ნაწილია. ეს არის აქტივობა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური მონაწილეობის, სამოქალაქო წვლილის შეტანის, აქტივიზმის, ფილანთროპიის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი ევროპული ღირებულებების განხორციელების შესაძლებლობას. მოხალისეობითი სამუშაო თავისი მრავალფეროვნებით უზრუნველყოფს სივრცეს და შესაძლებლობას პიროვნული, სოციალური, სამოქალაქო და პროფესიული კომპეტენციების განვითარებისათვის. მოხალისეობა არის ინსტრუმენტი სოციალური ჩართულობის, სოლიდარობისა და აქტიური მოქალაქეობისთვის.

მოხალისეობრივი სამუშაო თავისი მრავალფეროვნებით შესაძლებლობას აძლევს მოხალისეებს ღირებული წვლილი შეიტანონ ადგილობრივ თემებში, დაწყებული სოციალური ქმედებებიდან, გადაუდებელი ქმედებებიდან, განათლების, გარემოს დაცვის, სოფლის განვითარების, კულტურული მემკვიდრეობის, მშვიდობისა და შერიგებიდან, სხვა ტიპის სოლიდარობის ღონისძიებებამდე. ის იღებს სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც შეიძლება იყოს ეროვნული ან საერთაშორისო, მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, ორგანიზებული ან სპონტანური, ონლაინ/ვირტუალური ან ოფლაინ, არასპეციალიზებული ან პროფესიული. ის შეიძლება განხორციელდეს ინდივიდების ან ჯგუფების მიერ.

„მოხალისეობრივი საქმიანობა“ გულისხმობს ყველა სახის მოხალისეობრივ საქმიანობას, იქნება ეს ფორმალური, ინფორმალური თუ არაფორმალური, რომელიც ხორციელდება პირის თავისუფალი ნებით, არჩევანითა და მოტივაციით და არ არის გამიზნული ფინანსური სარგებლისთვის. ამგვარ აქტივობებს სარგებელი მოაქვთ ინდივიდუალური მოხალისეებისთვის, თემებისთვის და მთლიანად საზოგადოებისთვის. (ევროკომისიის შეტყობინება საბჭოს, 2004 წ.)

ეს ფართო განმარტება მიზნად ისახავს მოიცვას მოხალისეობის ფორმების, მიმართულებების, სისტემების, ტრადიციებისა და კულტურის ფართო სპექტრი მთელ ევროპაში.

იდეები პოლიტიკის ღონისძიებებისთვის

აშკარაა, რომ არსებობს სამართლებრივი ბაზის შემუშავების მნიშვნელოვანი საჭიროება, რათა შეიქმნას ხელსაყრელი გარემო და სტრატეგიები მოხალისეობის ხელშეწყობისთვის. სამართლებრივი ჩარჩო უნდა მოიცავდეს ქვემოთ მოცემულ ზომებს:

- ▶ მოხალისეთა დაცვის სისტემების შემუშავება;
- ▶ ორგანიზაციების მხარდაჭერა მოხალისეობრივ პროექტებში;
- ▶ ინოვაციების წახალისება მოხალისეობის სფეროში, ციფრული და ონლაინ ინსტრუმენტების ჩათვლით;

- ▶ მოხალისეთა უნარებისა და გამოცდილების აღიარება;
- ▶ სამართლებრივი და ადმინისტრაციული დაბრკოლებების მოხსნა, რათა ყველანაირი შესაძლებლობა მიეცეს ახალგაზრდობის მოხალისეობრივ საქმიანობას ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში.

პოლიტიკის გარდაქმნა პრაქტიკად

ახალგაზრდობის მოხალისეობის მხარდაჭერა ეროვნულ დონეზე

მოხალისეობა ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანებში, სადაც მოხალისეობის კულტურა ახალია, კვლავ წარმოშობს მნიშვნელოვან გამოწვევებს, მათ შორის ეროვნული სტრატეგიების არარსებობას ან არასრულყოფილებას; მკაფიო სამართლებრივი ჩარჩოს და განმარტების არარსებობას; შეთანხმების ნაკლებობას მოხალისეთა უფლებებსა და მოვალეობებზე და მოხალისეთა უსაფრთხოებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე; და მოხალისეობის პარამეტრებისა და სერვისების ხარისხს.

ხორვატიაში არსებობს როგორც კანონი მოხალისეობის შესახებ, ასევე საკანონმდებლო აქტი, რომელიც განსაზღვრავს მოხალისეობის ცნებას. ასევე არსებობს მოხალისეთა მხარდაჭერის სისტემა, რომელიც შეიქმნა სოციალური პოლიტიკისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ, რომელიც თავისუფლად თანამშრომლობს ოთხ რეგიონულ მოხალისეობრივ ცენტრთან და ოთხ ადგილობრივ მოხალისეთა ცენტრთან, უზრუნველყოფს მხარდაჭერასა და დაფინანსებას ქვეყანაში მოხალისეობის განვითარებისთვის. სამინისტროს, როგორც მოხალისეობის შესახებ კანონის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელ ორგანოს, მოხალისეობის ორგანიზებაში ჩართული ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორი წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში მოხალისეობრივი საქმიანობის ორგანიზების შესახებ. მოხალისეობის ეროვნული კომიტეტი შეიქმნა, როგორც მთავრობის საკონსულტაციო ორგანო მოხალისეობის განვითარებისა და ხელშეწყობის საკითხებში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ EU Youth Wiki (2020) ეროვნული აღწერებისთვის და European Commission 2018a კონკრეტული ინფორმაციისთვის ხორვატიასთან დაკავშირებით.

მოხალისეობის კომისრის ოფისი და არასამთავრობო ორგანიზაციები კვიპროსში პოლიტიკის შემუშავებაში ჩართული მთავარი აქტორი და ახალგაზრდობის მოხალისეობაზე პასუხისმგებელი მთავარი სამთავრობო ორგანოებია. კომისარი მუშაობს მოხალისეობრივი მოძრაობის მხარდასაჭერად ყველა დონეზე აქტიური მოქალაქეობის პოლიტიკის გატარებით და ყველა მოხალისეობრივ ორგანიზაციასთან ადგილობრივ ხელისუფლებასა და ეკლესიასთან კოორდინირებით. იგი ასევე მხარს უჭერს მოხალისეობრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარებას და ავტონომიას, მუშაობს ამ სფეროსთან დაკავშირებული მთავრობის გადაწყვეტილებების აღსრულებაზე (მაგალითად, მოხალისეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ დეკლარაციის მეშვეობით) და მხარს უჭერს არაფორმალური და ინფორმალური სწავლების აღიარებას მოხალისეთა საკანონმდებლო ჩარჩოს საფუძველზე, რათა ხელი შეუწყოს უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.volunteercommissioner.gov.cy/volunteer/volunteercommissioner.nsf/contact_en/contact_en?opendocument.

მოხალისეთა ცენტრების ასოციაცია (AVC), უმსხვილესი მოხალისეთა ორგანიზაცია რუსეთში, შეიქმნა ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივით, ფართომასშტაბიანი სპორტული და კულტურული

დონისძიებების მოხალისეობრივი პროგრამების მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად და ზოგადად მოხალისეობრივი მოძრაობის განვითარებისათვის. ასოციაცია გახდა რუსული ანალიტიკური ცენტრი მოხალისეობის სფეროში. AVC ექსპერტები მონაწილეობდნენ მოხალისეობის შესახებ ფედერალური კანონმდებლობის, რუსეთში მოხალისეობის განვითარების კონცეფციისა და ამ კონცეფციის განხორციელების გეგმის შემუშავებაში. AVC-ის მისიაა მოხალისეობის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <https://xn--80ae4d.xn--p1ai/programs/mobility>.

ევროპის სოლიდარობის კორპუსი არის ევროკავშირის პროგრამა, რომელიც უქმნის ახალგაზრდებს მოხალისეობის შესაძლებლობებს, რათა მათ იმუშაონ, მოამზადონ და განახორციელონ საკუთარი სოლიდარობის პროექტები, რომლებიც სარგებელს მოუტანს თემებს მთლიანი ევროპის მასშტაბით. მოხალისეები არიან ახალგაზრდები, რომლებიც დაინტერესებულნი და მოტივირებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ სოლიდარობასთან დაკავშირებულ პროექტებში და რომლებიც ეთანხმებიან პროგრამის ღირებულებებს, მისიას და პრინციპებს. ევროპის სოლიდარობის კორპუსი ღიაა 18-30 წლის ადამიანებისთვის და შეიძლება გრძელდებოდეს 2-დან 12 თვემდე. ESC სისტემაში ინდივიდის მონაცემების რეგისტრაციის შემდეგ, ორგანიზაციებს შეუძლიათ შეამოწმონ მონაცემთა ბაზა და შეარჩიონ ადამიანები თავიანთი პროექტებისთვის. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიძიონ დაფინანსება თავიანთი პროექტებისთვის და პროექტების დამტკიცების შემდეგ, მათ წვდომა ექნებათ მონაწილეთა ბაზაზე. პროგრამა ღიაა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და მეზობელი რეგიონებისთვის. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ https://europa.eu/youth/solidarity_en.

მოხალისეობის ხელშეწყობა სხვადასხვა დონეზე

ერთ-ერთი საკითხი და საზრუნავი, რომელიც მოხალისეობას საერთო აქვს ახალგაზრდულ სამუშაოსთან, არის სხვადასხვა დონის აქტორების მიერ მოხალისეობრივი პრაქტიკითა და გამოცდილებით მიღებული შესაძლებლობების აღიარება და დარგის, როგორც პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობი სისტემის, პოპულარიზაცია. ხშირად დარგის განვითარებას აფერხებს აღიარების ინსტრუმენტების ნაკლებობა და ხელშეწყობის პროგრამების არარსებობა.

ევროპის მოხალისეობის დედაქალაქის კონკურსი მიზნად ისახავს მოხალისეობის პოპულარიზაციას და განვითარებას ადგილობრივ დონეზე. ეს ღია ევროპის მასშტაბის კონკურსი მუნიციპალიტეტებისთვის მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოხალისეობას ადგილობრივ დონეზე, იმ მუნიციპალიტეტების აღიარებით, რომლებიც მხარს უჭერენ და აძლიერებენ პარტნიორობას მოხალისეთა ცენტრებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩართულნი არიან მოხალისეებთან მუშაობაში, და აღნიშნავენ და ხელს უწყობენ მოხალისეობას და მათ გავლენას. პროექტი ინიცირებულია ევროპის მოხალისეობის ცენტრის მიერ (www.europeanvolunteercentre.org).

ნიდერლანდების ეროვნულმა ევროპის ცენტრმა დააფუძნა ინიციატივა „ევროპისის მობილურობა მოხალისეებისთვის“. ეს იყო საპილოტე ინიციატივა, რათა არსებული Europass Mobility დოკუმენტი გამოყენებულიყო ადგილობრივი მოხალისეობის კონტექსტში. აღნიშნულის მიზანია წვდომა იმ ორგანიზაციებზე, რომლებსაც სურთ გამოიყენონ ევროპის აღიარებისთვის და, ამავედროულად, ახალგაზრდების მოზიდვისთვის მოხალისეობრივ სამუშაოზე. Europass Mobility დოკუმენტის გამოყენება ანაზღაურებადი სამუშაოს წინაპირობას იძლევა; მოხალისეების მიერ მიღებული კომპეტენციების თვითაღიარება აძლიერებს მათ შესაძლებლობებს სხვადასხვა დონეზე კომპეტენციების აღიარებით. Europass Mobility დოკუმენტი მოხალისეებისთვის უზრუნველყოფს

მოხალისეობრივი საქმიანობის პერიოდში ნასწავლი შედეგების კონსოლიდაციას და ობიექტურად წარმოჩენას. დოკუმენტი დამოწმებულია და ხელმოწერილია გამგზავნი და მასპინძელი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/europass-mobility>.

პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობი რესურსები

ევროპული რეგულაციები და სამართლებრივი ჩარჩოები

- ▶ ევროპარლამენტი: 2012 წლის 12 ივნისის რეზოლუცია ევროკავშირში ტრანსსასაზღვრო მოხალისეობრივი საქმიანობის აღიარებისა და ხელშეწყობის შესახებ, 2012 წ.
- ▶ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა: რეკომენდაცია 1496 (2001) მოხალისეთა სტატუსისა და როლის გაუმჯობესების შესახებ.
- ▶ ევროპის საბჭო: ევროპული კონვენცია ახალგაზრდებისთვის ტრანსნაციონალური გრძელვადიანი მოხალისეობრივი სამუშაოს ხელშეწყობის შესახებ (2000 წ.).
- ▶ ევროპის საბჭო: მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (94) 4 წევრ ქვეყნებს მოხალისეობრივი სამუშაოს ხელშეწყობის შესახებ.
- ▶ ევროპის საბჭოს 2002 წლის 14 თებერვლის რეზოლუცია მოხალისეობრივი საქმიანობის დამატებითი ღირებულების შესახებ ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებზე საზოგადოებრივი მოქმედების განვითარების კონტექსტში.

თემატური მასალები

- ▶ ევროპელი ახალგაზრდობის მოხალისეობრივი აქტივობების ლანდშაფტის მონიშვნა ჰ.უილიამსონ და ბ.ჯოსკინს კ.ბოეთელენთან ერთად, 2005, ხელმისაწვდომია <https://go.coe.int/RTBku>.
- ▶ T-Kit 5: საერთაშორისო მოხალისეობრივი სერვისი, ხელმისაწვდომია <https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/t-kit-5-international-voluntary-service>.
- ▶ „მოხალისეობის ძალა“, კოიოტი, No. 17, 2011, ხელმისაწვდომია <https://pjp-eu.coe.int/en/web/coyote-magazine>.

სოციალური ჩართულობა

შესავალი

ახალგაზრდობის პოლიტიკის ერთ-ერთი განმეორებადი საფუძველი ან ძირითადი ელემენტია სოციალური ინკლუზიისადმი ერთგულების საკითხი (იხ. თავი 2). იმისათვის, რომ გადავჭრათ პრობლემები და გავაუმჯობესოთ ახალგაზრდობის ინკლუზიის მდგომარეობა და, იმისთვის რომ ზოგადად, პოლიტიკა იყოს ინკლუზიური ყველა ახალგაზრდისთვის, აუცილებელია იმის გაგება, თუ რა არის ინკლუზია; ვინ არის გარიყული; რატომ, რის საფუძველზე და რა ახდენს მათ გარიყვას; და რა კეთდება ამის პროაქტიულად პრევენციის ან შეჩერების მიზნით. მნიშვნელოვანია გატარებული პოლიტიკის შემოწმება, „ინკლუზიური შემოწმება“ და იმის გაგება, თუ რა მექანიზმები და პრაქტიკა განამტკიცებს პოლიტიკის განხორციელების ინკლუზიურ მიდგომას.

ინკლუზია არის ტერმინი, რომელიც ფართოდ გამოიყენება სოციალური და საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებაში, რათა გამოხატოს იდეა, რომ მოცემულ საზოგადოებაში მცხოვრებ ყველა ადამიანს (უნდა) ჰქონდეს თანაბარი პირობებით წვდომისა და მონაწილეობის უფლებები. ეს ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, ინსტიტუტები, სტრუქტურები და ღონისძიებები დადებითად უნდა იყოს შემუშავებული გარემოებების, იდენტობებისა და ცხოვრების წესთა მრავალფეროვნებაზე მოსარგებად. მეორე მხრივ, ეს ნიშნავს, რომ შესაძლებლობები და რესურსები უნდა განაწილდეს ისე, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს მინუსები და მარგინალიზაცია. ევროპული ახალგაზრდული სამუშაოსა და არაფორმალური განათლებისა და სწავლის სფეროში, ინკლუზია განიხილება, როგორც ყოვლისმომცველი სტრატეგია და პრაქტიკა იმისათვის, რომ ნაკლები შესაძლებლობების მქონე ადამიანებს ჰქონდეთ წვდომა შეთავაზებულ სტრუქტურებსა და პროგრამებზე. (ევროპის საბჭო და ევროკომისია, 2017 წ.)

ის ახალგაზრდები, რომლებიც სოციალურად გარიყულნი არიან, ხშირად მჭიდროდ არიან დაკავშირებული ან ერგებიან ევროკომისიის მიერ რამდენიმე წლის წინ შემუშავებულ კატეგორიას ან კონცეფციას „ახალგაზრდები ნაკლები შესაძლებლობებით“ - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალგაზრდები, რომლებიც თანატოლებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან, რადგან ისინი აწყდებიან ერთ ან რამდენიმე გარემოებას, გამოცდილებას და დაბრკოლებას, რომლებიც ცნობილია, რომ იწვევს გარიყულობას. ახალგაზრდები მიგრანტული წარმომავლობით; შშმ ახალგაზრდები; დაბალი განათლების დონის მქონე ახალგაზრდები; შორეულ რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდები; დაბალი შემოსავლიანი ოჯახის მქონე ახალგაზრდები; ახალგაზრდა დამნაშავეები; ახალგაზრდები, რომლებიც ბოროტად იყენებენ ნარკოტიკებს; სკოლის ადრეულად დამამთავრებლები; უპატრონო ახალგაზრდა ადამიანები; უსახლკარო ახალგაზრდობა; ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსი, კვირი/გაურკვეველი და ინტერსექს (LGBTQI); ჯგუფები; ახალგაზრდა ქალები; ახალგაზრდები უმუშევრობის რისკის ქვეშ მყოფი მშობლებით; დაბალი განათლების მქონე ან განქორწინებული; ახალგაზრდა მომვლელები; და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანები; წარმოადგენს გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი სხვადასხვა ჯგუფების არასრულ ჩამონათვალს. ისინი ხშირად სოციალური ჩართვის პოლიტიკის ყურადღების ცენტრში არიან, მაგრამ ერთი და იგივე

კატეგორიისა და ქვეკატეგორიის სოციალური მდგომარეობა და პირობები თითოეულ კატეგორიაში მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპის მასშტაბით. ერთ ქვეყანაში მიგრანტებს ნაკლებად ემუქრებათ გარიყვის რისკი, ვიდრე მეორეში, ხოლო უსაბუთო მიგრანტები ან სტატუსის არმქონე პირები შეიძლება გაცილებით დიდი რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ, ვიდრე მეორე თაობის მიგრანტები.

გარკვეულ კონტექსტში, ეს სიტუაციები ან დაბრკოლებები ხელს უშლის ახალგაზრდებს ისეთ ძირითად სოციალურ უფლებებზე ეფექტურ წვდომაში, როგორიცაა საცხოვრებელი, დასაქმება, ჯანმრთელობა, კულტურა, განათლება და დასვენება. მათ ხშირად მცირედით ან საერთოდ არ აქვთ წვდომა არაფორმალურ განათლებასა და სწავლაზე, ტრანსნაციონალურ მობილურობაზე და მონაწილეობაზე, აქტიურ მოქალაქეობაზე, გაძლიერებასა და საზოგადოებაში ჩართვაზე. შესაბამისად, ნაკლები შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები არიან ისეთები, რომლებიც აწყდებიან სოციალურ, ეკონომიკურ ან გეოგრაფიულ დაბრკოლებებს, აქვთ საგანმანათლებლო სირთულეები ან კულტურული განსხვავებები, ჯანმრთელობის პრობლემები ან შეზღუდული შესაძლებლობები და შეზღუდული წვდომა სოციალურ უფლებებზე. ამ საკითხების ერთ-ერთი სასარგებლო ანალიზი მოწოდებულია Marcovic et al.-ის მიერ (2015).

ევროკავშირის-ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პარტნიორობის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი ანგარიში სოციალური ინკლუზიის შესახებ ხაზს უსვამს ახალგაზრდობის სოციალური გარიყულობის რამდენიმე ძირითად წინაპირობას (პანტეა 2014), რომლებიც მოიცავს მშობლების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ეთნიკურ-კულტურულ ფონს, ხშირად კომბინაციაში რელიგიასთან, ახალგაზრდობის საკუთარ საგანმანათლებლო მიღწევებს, ინვალიდობას, ქრონიკული დაავადებებს და ნივთიერებების ბოროტად გამოყენებას, ადრეული ორსულობას/დედობას და სექსუალური ორიენტაციას.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სოციალურ ინკლუზიასთან დაკავშირებული რაიმე პოლიტიკის შემუშავებამდე, უზრუნველყოთ დეტალური განხილვა და ანალიზი, რათა შეარჩიოთ ყველაზე შესაბამისი და ეფექტური პოლიტიკის ზომები, რომლებსაც შეუძლიათ სიტუაციის შემსუბუქება.

იდეები პოლიტიკის ღონისძიებებისთვის

- ▶ მექანიზმების შექმნა ახალგაზრდობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის, მაგალითად, დასაქმების, განათლებისა და გადაზიდვების, დასვენების, ჯანმრთელობის, საცხოვრებლის, ინფორმაციისა და კონსულტაციის კუთხით.
- ▶ სეგრეგაციის გარღვევისა და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობი პოლიტიკების დამკვიდრება.
- ▶ ისეთი ინკლუზიური და გამჭვირვალე პროცესების შემუშავება, რომლებიც საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს და მათ წარმომადგენლებს მონაწილეობა მიიღონ მათთვის რელევანტურ გადაწყვეტილებებში, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა ახალგაზრდას შეეძლოს სრულად, დისკრიმინაციის გარეშე განახორციელოს თავისი როლი, როგორც აქტიური მოქალაქე.
- ▶ სოციალური ჩართულობის პროგრამებსა და ინიციატივებზე მომუშავე ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა და ახალგაზრდული სამუშაო გარემოს მხარდაჭერის სქემების შემუშავება.

პოლიტიკის გარდაქმნა პრაქტიკად

არახელსაყრელი ფონის და საცხოვრებელი პირობების მქონე ახალგაზრდები

ახალგაზრდების სოციალური უფლებებზე ხელმისაწვდომობა შეიძლება განვიხილოთ შემდეგი ასპექტებით: ხელმისაწვდომობა ხარისხიან საჯარო სერვისებზე, განათლებაზე, ჯანდაცვის სერვისებზე, სოციალურ დაცვაზე, საცხოვრებელზე, დასაქმებაზე და სოციალურ უფლებებზე, უმცირესობის სოციალური ჯგუფებისთვის. რეკომენდაცია CM/Rec(2015)3 არახელსაყრელი სამეზობლოების ახალგაზრდების სოციალურ უფლებებზე წვდომის შესახებ ხაზს უსვამს იმას, რომ ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა, უსაფრთხო დასაქმება, დამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობები, ადეკვატური ტრანსპორტი, ჯანდაცვა, ტექნოლოგია და სოციალური, კულტურული და ეკონომიკური მონაწილეობის შესაძლებლობები არის ყველა ახალგაზრდის ჩართულობისა და აქტიური მოქალაქეობის წინაპირობა. ეს ახალგაზრდები უფრო დაუცველები არიან ყველა სახის რისკის მიმართ, მათ შორის ცუდი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის, ნივთიერებების ბოროტად გამოყენების, თვითდაზიანების, ძალადობის, დისკრიმინაციისა და გარიყვის მიმართ. ეროვნული პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს სიღარიბის, დისკრიმინაციის, ძალადობისა და გარიყულობის პრევენციას და აღმოფხვრას ასეთი ახალგაზრდებისთვის.

ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის სექტორის ერთ-ერთი წამყვანი პროექტია „Enter!“ - პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდული სამუშაოს იდენტიფიცირებას და მხარდაჭერას და ახალგაზრდობის პოლიტიკის გზით რეაგირებას იმ ძალადობაზე, გარიყულობასა და დისკრიმინაციაზე, რომელიც გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე ევროპაში, განსაკუთრებით არახელსაყრელ სამეზობლოებში. პროექტი ეფუძნება ევროპის საბჭოს Enter! რეკომენდაციას, რომლის განხორციელებასაც იგი ხელს უწყობს, როგორც ევროპულ, ისე ეროვნულ დონეზე. პროექტი ითვალისწინებს გრძელვადიან საგანმანათლებლო აქტივობებს ახალგაზრდობის მუშაკებისთვის, პირდაპირ საკონსულტაციო მექანიზმებს, ადგილობრივ ახალგაზრდული სამუშაო პროექტებს, ფართომასშტაბიან ახალგაზრდობის შეხვედრებს, ღონისძიებებს რეკომენდაციის განხორციელებაში ადგილობრივი ხელისუფლების მხარდასაჭერად, სემინარებსა და სასწავლო სესიებს და საგანმანათლებლო რესურსების განვითარებას, სოციალური უფლებებისა და ამ უფლებების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.coe.int/en/web/enter/home.

ნორვეგიაში მთავრობის მიზანია 2025 წლისთვის ყველა საჯარო სივრცე ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადოს. „ახალგაზრდა უმცირესობა“ არის სამოქმედო გეგმა, რომელიც განკუთვნილია ფიზიკური შეზღუდვების მქონე ადამიანებისთვის, რომლებიც განიცდიან გამოწვევებს ყოველდღიური სერვისების ან აქტივობების გამოყენებისას. განსაკუთრებით აქცენტი კეთდება ბავშვებსა და ახალგაზრდებზე თანაბარი ხელმისაწვდომობისა და მონაწილეობის უფლების უზრუნველსაყოფად შვიდი კონკრეტული ღონისძიებისა და ინიციატივის მეშვეობით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ EU Youth Wiki (2020).

რომას წარმოშობის მამაკაცებისა და ქალების სოციალური ჩართვის სტრატეგია სერბეთში მიზნად ისახავს სიღარიბის შემცირებას და დისკრიმინაციის აღმოფხვრას რომას წარმოშობის მამაკაცებისა და ქალების მიმართ. სტრატეგია ცდილობს გააუმჯობესოს რომას წარმოშობის მამაკაცებისა და ქალების სოციალური ჩართულობა, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ ადამიანის უფლებებით სრულყოფილ სარგებლობას და მოიცავს ხუთ პრიორიტეტულ სფეროს (განათლება, საცხოვრებელი, დასაქმება, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა). დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ EU Youth Wiki (2020).

ლგბტი+ ახალგაზრდობის ეროვნული სტრატეგია 2018-2020, რომელიც ირლანდიაში დანერგა ბავშვთა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა, მიზნად ისახავს ლგბტი+ ახალგაზრდობისთვის უსაფრთხო, უფრო ტოლერანტული და ინკლუზიური გარემოს შექმნას ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში (განათლება, დასაქმება, მომსახურება, დასვენება, სპორტი, სამოქალაქო მონაწილეობა და ა.შ.), ლგბტი+ ახალგაზრდობის მშობლებისა და ოჯახების მხარდაჭერას და შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების უზრუნველყოფას სერვისის პროვაიდერებისთვის, რათა მათ გააუმჯობესონ ლგბტი+ ახალგაზრდობის გაგება და მათთან ურთიერთობის უნარები. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <https://assets.gov.ie/24459/9355b-474de34447cb9a55261542a39cf.pdf> და EU Youth Wiki (2020).

იტალიაში, ტრენტოს ავტონომიური პროვინციის ოჯახის, აღზრდისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის სააგენტომ დააფუძნა პროექტი სახელწოდებით „Cohousing: io cambio status“ (Cohousing: სტატუსის ცვლილება) ახალგაზრდობისთვის ხელმისაწვდომ საცხოვრებელზე წვდომის პრობლემის გადასაჭრელად და ახალგაზრდობის ავტონომიაზე, დასაქმებასა და დამოუკიდებლობაში გადასვლაში მხარდაჭერისთვის. ინიციატივის მიხედვით, 18-29 წლის ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმებული ან დაკავებული განათლებით/გადამზადებით (NEET) იცხოვრობენ საერთო საცხოვრებლებში ორი წლის განმავლობაში. მწვრთნელები და მენტორები ეხმარებიან ახალგაზრდებს დასაქმებაში ტრენინგის და ორიენტაციისა და კარიერული რჩევების მეშვეობით. ხარჯების მესამედს ანაზღაურებენ ბენეფიციარები, დანარჩენს კი ადგილობრივი ხელისუფლება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ახალგაზრდობის პარტნიორობა (Youth Partnership) (2017).

პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობი რესურსები

ევროპული რეგულაციები და სამართლებრივი ჩარჩოები

- ▶ ევროპის საბჭო: მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2016)7 წევრ ქვეყნებს ახალგაზრდობის უფლებებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.
- ▶ ევროპის საბჭო: რეკომენდაცია CM/Rec(2015)3 სოციალურ უფლებებზე წვდომის შესახებ ახალგაზრდობისთვის არახელსაყრელი სამეზობლოებიდან.
- ▶ ევროპის საბჭო: მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)7 წევრ ქვეყნებს ევროპის საბჭოს ქარტიაზე დემოკრატიული მოქალაქეობის და ადამიანის უფლებების შესახებ განათლებასთან დაკავშირებით.
- ▶ ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის რეზოლუცია 442(2019) ახალგაზრდობის სოციალური უფლებების შესახებ: ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების როლი.

თემატური მასალები

- ▶ სოციალური ინკლუზია ახალგაზრდებისთვის: ბარიერების დაშლა (ევროპის ახალგაზრდობის ცენტრი 2007).
- ▶ ადგილის პოვნა თანამედროვე ევროპაში: დაუცველ სიტუაციებში მყოფი ახალგაზრდების სოციალური ჩართულობის ბარიერების რუკა (Markovic et al. 2015).
- ▶ Enter! ევროპის საბჭოს პროექტი, ხელმისაწვდომია www.coe.int/en/web/enter.
- ▶ რა შეუძლია ახალგაზრდულ სამუშაოს სოციალურ უფლებებზე ხელმისაწვდომობისთვის? Enter! პროექტისგან მიღებული გაკვეთილები და გავლენა (2009-15) (Ohana 2018).
- ▶ სერიოზულად აღქმა – ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2015)3 რეკომენდაციის გზამკვლევი წევრ სახელმწიფოებს ახალგაზრდების სოციალურ უფლებებზე წვდომის შესახებ, არახელსაყრელი სამეზობლოებიდან. ხელმისაწვდომია www.coe.int/en/web/enter/taking-it-siously.

უფლებათა წვდომა

შესავალი

ახალგაზრდობა ხშირად განიხილება, როგორც მნიშვნელოვნად დაუცველი ხარისხის ცხოვრების ეტაპი, რაც კიდევ უფრო ნათელი ხდება გარდამავალი პერიოდის კრიტიკულ მომენტებში. აღნიშნული უფრო მეტად თვალსაჩინო ხდება ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კრიზისის დროს. ხშირად ახალგაზრდები შეიძლება დისკრიმინირებული აღმოჩნდნენ, უარყოფილი ან დარღვეული უფლებებით, მათ შორის, განათლების, დასაქმების, საცხოვრებლის, დასვენებისა და ჯანმრთელობის სფეროებში. ახალგაზრდობის პოლიტიკა მათი განვითარების სხვადასხვა ფაზაში და მათგან მომდინარე ინსტრუმენტები და ინტერვენციები უნდა ცდილობდნენ ხელი შეუწყონ ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობას, რადგან ამის გარეშე რთული იქნება პოლიტიკის ღონისძიებებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც რაიმე მიზეზით უკვე უჭირს მათზე წვდომა. ახალგაზრდებს უფლება აქვთ ისარგებლონ ადამიანის ყველა უფლებით და ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით უზრუნველყოფილი ყველა სხვა უფლებით. იმისათვის, უზრუნველყოფილ იქნას ყველა ახალგაზრდის ხელმისაწვდომობა უფლებებზე, ახალგაზრდობის პოლიტიკის დებულებები უნდა გავრცელდეს ყველა ახალგაზრდაზე, განსაკუთრებით მათზე, ვინც არ არის ჩართული, დისკრიმინირებული და დაუცველია.

უფლებებზე ხელმისაწვდომობა არის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ნაწილი, რომელსაც ევროპის საბჭო მტკიცედ უჭერს მხარს ახალგაზრდობის სფეროში. ეს ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებები და მათი სრულად სარგებლობის ხელმისაწვდომობა ევროპის დონეზე ყველა პოლიტიკის, ინიციატივის, მიდგომისა და ინტერვენციის ყურადღების ცენტრშია. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა არის იმის უზრუნველყოფა, რომ ადამიანის უფლებების სტანდარტები და პრინციპები ინტეგრირებული იყოს პოლიტიკის შემუშავებაში, ისევე როგორც ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ყოველდღიურ საქმიანობაში. ეს არის ევროპის საბჭოს რეკომენდაციის ფუნდამენტური და უდაო ასპექტი ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის შესახებ, რომლის ამონარიდიც მოცემულია ქვემოთ.

ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობა არსებითი ელემენტია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებზე დაფუძნებული კულტურის შესაქმნელად... რეკომენდაცია მიემართება ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას და არა კონკრეტულ უფლებებს. ის ყურადღებას ამახვილებს ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე კონკრეტული ნაბიჯების გადადგმით, რათა ხელი შეუწყოს ცნობიერების ამაღლებას იმ უფლებების შესახებ, რომლებითაც ახალგაზრდებს უნდა შეეძლოთ სარგებლობა და რისი გაკეთება შეუძლიათ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ასევე სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური ბარიერების მოხსნის გზით. იგი ხაზს უსვამს წევრი სახელმწიფოების უფლებათა დარღვევებზე რეგულარული მონიტორინგის და ადეკვატური დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულებას სამართლებრივი

დებულებებით. რეკომენდაცია ეხება ყველა ახალგაზრდას, ვისაც ასაკის გამო, ექმნება ბარიერები ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სრულად სარგებლობისა და საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობისთვის. (ევროპის საბჭო 2016 წ.)

შემოთავაზებული ღონისძიებები და ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც რეკომენდირებულია მთავრობებისთვის მიემართება ისეთ სფეროებს, როგორიცაა განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ავტონომია და ინკლუზია, მობილურობა, აქტიური მოქალაქეობის განხორციელება, მრავალფეროვან საზოგადოებებში ცხოვრება, ინფორმაცია, დაცვა და ჯანდაცვა.

ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის სექტორის სტრატეგია 2030-ს (ევროპის საბჭო 2020) აქვს ოთხი თემატური პოლიტიკის პრიორიტეტი, რომელთაგან ერთ-ერთი ფოკუსირებულია ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის გაძლიერებაზე და მიზნად ისახავს ახალგაზრდებისა და ახალგაზრდობის სამოქალაქო საზოგადოების ყველა ფორმისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სრულად რეალიზაციისთვის, მათ შორის კონკრეტული პოლიტიკის, მექანიზმებისა და რესურსების ჩათვლით. სტრატეგია ხაზს უსვამს ერთგულებას:

- ▶ ახალგაზრდების უფლებების ხელმისაწვდომობის კუთხით ევროპის საბჭოს სტანდარტების დანერგვის შემდგომი პროგრესისადმი;
- ▶ ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობებისა და რესურსების გაზრდისადმი, ადამიანის უფლებების შესახებ განათლების უზრუნველსაყოფად და უფლებებზე ხელმისაწვდომობის ადვოკატირებისთვის;
- ▶ ინსტიტუციური რეაგირების გაუმჯობესებისადმი არსებულ ისეთ საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ახალგაზრდების უფლებებზე და მათ ზრდასრულ ასაკში გადასვლაზე, სხვა ასპექტებთან ერთად როგორიცაა, კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დეგრადაციის ეფექტები, ხელოვნური ინტელექტი, ციფრული სივრცე, გაზრდილი მობილურობა და დასაქმების ახალი ფორმები.

იდეები პოლიტიკის ღონისძიებებისთვის

- ▶ დისკრიმინაციული პრაქტიკის უწყვეტი, სტრუქტურირებული, თანმიმდევრული გზით მოგვარების პოლიტიკისა და სისტემების დანერგვა.
- ▶ ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის უფლების სამართლებრივი და პრაქტიკული დაბრკოლებების მოხსნა.
- ▶ ახალგაზრდობის პოლიტიკის ჩამოყალიბება და შემდგომი განვითარება ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის ფასილიტაციისა და ხელშეწყობის მიზნით.
- ▶ კოორდინირებული მიდგომა ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის ყველა შესაბამისი სფეროს თანამშრომლობით.
- ▶ ადამიანის უფლებათა განათლების ხელშეწყობა და ჩართვა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სისტემებში და სამუშაოში, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა განათლების ქარტიის მეშვეობით, მონიტორინგისა და შეფასების თანმიმდევრული სისტემებით.
- ▶ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის განათლების სტრუქტურებისა და პროგრამების მხარდაჭერა.

პოლიტიკის გარდაქმნა პრაქტიკად

ადამიანის უფლებების შესწავლა

ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობაზე მუშაობის ერთ-ერთი წინაპირობაა ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება და მათი გაძლიერება განათლების გზით. ამ მიზეზების გამო, ახალგაზრდებისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციების მხარდამჭერი პოლიტიკა და მათი შესაძლებლობების გაძლიერება ადამიანის უფლებების შესახებ განათლების უზრუნველსაყოფად, წარმოადგენს ამ სამუშაოს ერთ-ერთ ძირითად მიზანს და ინსტრუმენტს. ადამიანის უფლებათა განათლება - როგორც ეს განსაზღვრულია ევროპის საბჭოს ქარტიით დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა განათლების შესახებ - არის განათლება, გადამზადება, ცნობიერების ამაღლება, ინფორმაცია, პრაქტიკა და აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს, მოსწავლეთა ცოდნით და უნარებითა აღჭურვილ და მათი დამოკიდებულებებისა და ქცევის განვითარებით, მისცეს მათ საშუალება, წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში ადამიანის უფლებების უნივერსალური კულტურის ჩამოყალიბებაში და დაცვაში, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ რეკომენდაცია CM/Rec(2010)7 ევროპის საბჭოს ქარტიაზე დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა განათლების შესახებ.

ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა განათლების ახალგაზრდობის პროგრამა მხარს უჭერს არასამთავრობო ახალგაზრდობის ორგანიზაციების, როგორც აქტორების როლს ევროპის საბჭოს ქარტიის იმპლემენტაციაში, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლების შესახებ. პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ღირებულებების მეინსტრიმიზაცია, ხელშეწყობა და დანერგვა განათლებაში და მის მეშვეობით. იგი ამას აკეთებს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებით ადამიანის უფლებების განათლების შესახებ და შესაძლებლობების განვითარების აქტივობებით ტრენერებისთვის, ახალგაზრდა გამავრცელებლებისთვის და ადამიანის უფლებათა განათლებისა და ადამიანის უფლებების დამცველებისთვის. ადამიანის უფლებების განათლების ერთ-ერთი მთავარი რესურსია კომპასი სახელმძღვანელო ახალგაზრდების ადამიანის უფლებებზე სწავლებისთვის (www.coe.int/compass), რომელიც ადამიანის უფლებების თემებს რთავს ახალგაზრდულ სამუშაოში, მეთოდურად ეხმარება რა არაფორმალურ განათლებაში ჩართულ პირებს, ისწავლონ ადამიანის უფლებების სხვადასხვა თემების განხილვა. ევროპის საბჭოს ეროვნული და რეგიონალური სასწავლო კურსები ადამიანის უფლებათა სწავლებაში იძლევა შესაძლებლობას და ფინანსურ რესურსებს ახალგაზრდობის ლიდერები, ახალგაზრდობის მუშაკები და ასევე მასწავლებლები სკოლებში და სხვა საჯარო ორგანოებში გადამზადებულ იყვნენ კომპასის და მისი მეთოდოლოგიური მიდგომის გამოყენებაში. ტრენინგ კურსების ორგანიზება შესაძლებელია ადგილობრივი ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, როგორცაა ახალგაზრდობის არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდობის ცენტრები, ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ორგანოები და ა.შ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <https://www.coe.int/en/web/human-rights-education-youth/human-rights-education-youth-programme>.

განათლების ხელშეწყობა ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიისთვის

თანამშრომლობა, ურთიერთდახმარება, კარგი პრაქტიკისა და რესურსების გაზიარება არსებითია ადამიანის უფლებათა კულტურის ჩამოყალიბების პროცესში, სადაც ადამიანის უფლებების

მნიშვნელობა და ღირებულება არ არის სადავო. ასევე აუცილებელია ერთობლივი ძალისხმევის ხელშეწყობა გაძლიერების, შესაძლებლობების განვითარების, პოპულარიზაციისა და მისთვის ადვოკატირების მიზნით, ადამიანის უფლებების საგანმანათლებლო აქტორების მხარდაჭერით.

ევროპის საბჭოსა და ნორვეგიის მიერ დაარსებული ევროპული Wergeland ცენტრი (EWC) არის განათლების რესურსცენტრი კულტურათაშორისი გაგების, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის განათლებისთვის, რომელიც თავის საქმეს აყალიბებს ევროპის საბჭოს რეკომენდაციებსა და პოლიტიკაზე, მათ შორის დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა განათლების ქარტიაზე დაყრდნობით. ცენტრის მიზანია გააძლიეროს ინდივიდების, საგანმანათლებლო დაწესებულებების და საგანმანათლებლო სისტემების შესაძლებლობები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების კულტურის ასაშენებლად და შესანარჩუნებლად. მას აქვს პროგრამები და მხარდაჭერის მექანიზმები 47-ივე წევრი სახელმწიფოსთვის და მუშაობს ეროვნულ საგანმანათლებლო ხელისუფლებასთან პარტნიორობით. ამჟამად, EWC ყურადღებას ამახვილებს ხუთ სამოქმედო სფეროზე, რათა შექმნას და შეინარჩუნოს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების კულტურა განათლებაში, მათ შორის დემოკრატიული კომპეტენციები, სწავლების მხარდაჭერა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს ხელშეწყობა. ის მუშაობს სკოლებთან და მასწავლებლებთან, ტრენერებთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან და პროფესიული მომზადების დაწესებულებებთან, რათა დაეხმაროს მათ ადამიანის უფლებებისა და მოქალაქეობის განათლების მაღალი ხარისხით განხორციელებაში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <https://theewc.org>.

ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობა ადამიანის უფლებებს, განათლების გზით

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებებისთვის განათლების აუცილებლობისა და ცნობიერების ნაკლებობა ჩვენს საზოგადოებებში არსებული გამოწვევების გადასაჭრელად სერიოზული ბარიერია ადამიანის უფლებათა განათლების ინტეგრირებისთვის ინსტიტუციებში, პოლიტიკებსა და სტრატეგიებში. ცნობიერების ამაღლების პოლიტიკა და პროგრამები შეიძლება იყოს კარგი წვლილი დარგის პოპულარიზაციასა და გაძლიერებაში.

სლოგანით „ჩვენ ვართ ის უფლებები, რაც გვაქვს“ პორტუგალიაში ლისაბონის მუნიციპალიტეტმა წამოიწყო SOMOS განათლების პროგრამა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ქალაქში ადამიანის უფლებების კულტურის ხელშეწყობას ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების აქტივობებით, მოქალაქეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და მათთან ერთად. პროგრამას ყოველწლიურად დაახლოებით 2000 ბენეფიციარი ჰყავს და ეხმარება გამავრცელებელთა ქსელი, რომელიც გადამზადებულია ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან ერთად. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად გადაიდგა ნაბიჯები ტრენინგებისთვის ეროვნული სასწავლო კურსების დასაწყებად, შესაბამისი რესურსების სათარგმნად და ადამიანის უფლებათა მასწავლებელთა ეროვნული ქსელის შესაქმნელად, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობით, ადგილობრივი ხელისუფლებიდან ფორმალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებამდე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.coe.int/en/web/edc/case-studies#%7B%2226651549%22:%5B5%5D%7D.

პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობი რესურსები

ევროპული რეგულაციები და სამართლებრივი ჩარჩოები

- ▶ რეზოლუცია CM/Res(2020)2 ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის სექტორის 2030 წლის სტრატეგიის შესახებ.
- ▶ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2016)7 წევრ სახელმწიფოებს ახალგაზრდების უფლებებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.
- ▶ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)7 წევრ ქვეყნებს ევროპის საბჭოს ქარტიაზე დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა განათლების შესახებ.

თემატური მასალები

- ▶ კომპასის სახელმძღვანელო ახალგაზრდებისთვის ადამიანის უფლებების სწავლებისთვის.
- ▶ განათლების პორტალი დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა განათლებისთვის, ხელმისაწვდომია www.coe.int/en/web/edc/home.
- ▶ ჟურნალი Coyote, No. 25 („მოქალაქეობის განათლება - გადახედვა“), ხელმისაწვდომია <https://pjp-eu.coe.int/en/web/coyote-magazine/issue-25>.
- ▶ ადამიანის უფლებათა განათლების მსოფლიო პროგრამა, ხელმისაწვდომია www.ohchr.org/EN/Issues/Education/Training/Pages/Programme.aspx.

ახალგაზრდული საქმიანობა

შესავალი

დოკუმენტის მე-3 ნაწილში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ახალგაზრდული სამუშაოს ოდნავ განსხვავებული, მაგრამ მნიშვნელოვნად გადაფარვითი დეფინიციები, რომლებსაც იყენებს, ერთის მხრივ, ევროკავშირი და მეორე მხრივ, ევროპის საბჭო. მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2017) რეკომენდაცია წევრ ქვეყნებს ახალგაზრდული სამუშაოს შესახებ, როგორც ყველაზე ახალი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომია ახალგაზრდული სამუშაოს შესახებ, მას განსაზღვრავს, როგორც:

ფართო ტერმინი, რომელიც მოიცავს სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, გარემოსდაცვითი და/ან პოლიტიკური ხასიათის აქტივობების მრავალფეროვნებას ახალგაზრდების მიერ მათთან ერთად და მათთვის, ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. ახალგაზრდული სამუშაოს ახორციელებენ ანაზღაურებადი და მოხალისე ახალგაზრდები და იგი ეფუძნება არაფორმალურ და ინფორმალურ სასწავლო პროცესებს, რომლებიც ორიენტირებულია ახალგაზრდებზე და ნებაყოფლობით მონაწილეობაზე. ახალგაზრდული სამუშაო ძირითადად სოციალური პრაქტიკაა, რომელიც მუშაობს ახალგაზრდებთან და იმ საზოგადოებებთან, სადაც ისინი ცხოვრობენ, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას და ჩართულობას მათ თემებში და გადაწყვეტილების მიღებაში. მას უნდა ახასიათებდეს ხელმისაწვდომობა, ღიაობა და მოქნილობა და ამავდროულად ხელი უნდა შეუწყოს დიალოგს ახალგაზრდებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის. მან ყურადღება უნდა გაამახვილოს ახალგაზრდებზე და შექმნას სივრცეები თანამშრომლობისა და კავშირებისთვის, რათა ხელი შეუწყოს ზრდასრულ ასაკში და ავტონომიაში გადასვლას. (ევროპის საბჭო 2017)

ახალგაზრდული სამუშაო სულ უფრო მეტად განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ევროპულ დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკის მისწრაფებების განვითარებისა და განხორციელებისთვის, რაც ეხმარება ახალგაზრდების გაძლიერებას მათ ცხოვრებაში. ახალგაზრდული სამუშაო არის სამუშაო სფერო, რომელიც მოიცავს იმ აქტივობებს, პარამეტრებს, პროგრამებსა და მიდგომებს, რომლებიც მხარს უჭერენ ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფებს ცხოვრებისეულ საკითხებთან დაკავშირებით. როგორც რეკომენდაციაში ნათქვამია, „ახალგაზრდული სამუშაოს უპირველესი ფუნქციაა ახალგაზრდების მოტივაცია და მხარდაჭერა, იზოვონ და გაუყვანონ კონსტრუქციულ გზებს ცხოვრებაში, რაც ხელს შეუწყობს მათ პიროვნულ და სოციალურ განვითარებას და სარგებელს მოუტანს ზოგადად საზოგადოებას“.

ახალგაზრდული სამუშაოს ორმაგი და ზოგჯერ კონკურენტული მიზანია ახალგაზრდების გაერთიანების, აქტივობებისა და ავტონომიის სივრცის განსაზღვრა და დაცვა და, ამავდროულად, რჩევებისა და ადვოკატირების გზით, ისეთი ხიდეების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ახალგაზრდების პოზიტიურ და მიზანმიმართულ გადასვლას ცხოვრების შემდგომ ეტაპებზე. ახალგაზრდების ცხოვრების პიროვნული და სოციალური ასპექტების ამგვარი განვითარების გზით, ახალგაზრდული სამუშაო ხელს უწყობს ყველა ახალგაზრდის აქტიურ მოქალაქეობას, სიცოცხლის

მანძილზე განგრძობად სწავლას, სამოქალაქო და პოლიტიკურ მონაწილეობას და სოციალურ ჩართულობას, განსაკუთრებით მათთვის, ვინც რისკის ქვეშ იმყოფება და მარგინალიზებულია.

ახალგაზრდული სამუშაო ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია სერვისების მიწოდებისა და ახალგაზრდებთან წვდომისთვის. მას აქვს სხვადასხვა ფორმის, ჩარჩოების, გაგებისა და განმარტებების, ისტორიების, ფილოსოფიების, მიზნების, პრაქტიკისა და კულტურის ფართო სპექტრი. ახალგაზრდული სამუშაოს სიძლიერე მდგომარეობს სამუშაოს შესაძლო და შესაბამისი სქემების მრავალფეროვნებაში; მისი ორგანიზება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით, ახალგაზრდული ცენტრიდან ან კლუბიდან დაწყებული დამთავრებული ქუჩებით, პარკებით, სავაჭრო ცენტრებით, სოფლებით, ციხეებით, სკოლებით, კაფეებით, ონლაინ სივრცეებით და სოციალური ქსელებით. არსებული მიდგომა არის ის, რომ ახალგაზრდული სამუშაო სერვისები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, და საინტერესო რაც შეიძლება ბევრი განსხვავებული ახალგაზრდისთვის.

ახალგაზრდული სამუშაოს ფუნქციები სხვადასხვაგვარად აღიქმება: მოქმედებისა და გახსნის შესაძლებლობა, პოტენციალის გამოვლენა, დიალოგსა და ცვლილებაში ჩართვა, ემანსიპაცია და ავტონომიის მინიჭება, ტრანსფორმაცია, შესაძლებლობების უზრუნველყოფა, კომპეტენციების და უნარების განვითარება, ან „ტრანზიტულ ზონად“ ყოფნა - არა მხოლოდ ან არა ძირითადად ასაკობრივი თვალსაზრისით, არამედ სატრანზიტო ზონა იქიდან რაც ახალგაზრდები არიან იქამდე როგორც შეიძლება გახდნენ, და თვითგამოხატვის ფორუმი (ჟურნალი Coyote, No. 28, 2019; ევროპის საბჭო 2020). ახალგაზრდული სამუშაო საკმაოდ მოქნილი ინსტრუმენტია და შეუძლია სწრაფად და ეფექტურად უპასუხოს ცხოვრებისეულ სიტუაციებს, მოიპოვოს მხარდაჭერა, რომელიც საჭიროა მიმდინარე მომენტისთვის. ამის ნათელი მაგალითი იყო იმ გამოწვევებზე რეაგირება და კონსტრუქციული გამკლავება, რომლებიც წარმოიშვა კრიზისული სიტუაციებით მსოფლიოს ბოლოდროინდელი Covid-19 პანდემიის გამო და იქამდე ლტოლვილთა ვითარებით ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ, სადაც ახალგაზრდული სამუშაოს მრავალი ინსტრუმენტი იქნა ადაპტირებული და შემუშავებული ამ კონკრეტულ გარემოებებში ახალგაზრდების გაჩენილი საჭიროებების სასარგებლოდ.

საზოგადოების უახლესი ციფრული აფეთქებისა და ციფრულ ტექნოლოგიებში გაზრდილი ჩართულობით (დაჩქარებული Covid-19 პანდემიის გამო), ჩამოყალიბდა ახალგაზრდული სამუშაოს ახალი ჭკვიანი და ციფრული კონცეფცია. ციფრული ახალგაზრდული სამუშაო გულისხმობს ახალგაზრდული სამუშაოში ციფრული მედიისა და ტექნოლოგიების პროაქტიულ გამოყენებას ან მიმართვას. ციფრული ახალგაზრდული სამუშაო არის ახალგაზრდული სამუშაოს არა ცალკე მდგარი მეთოდი, არამედ დამატებითი ტექნიკა ახალგაზრდებთან ნებაყოფლობითი ურთიერთობების დამყარებისთვის და არაფორმალური განათლებისა და სწავლის მიწოდებისთვის - ციფრული ახალგაზრდული სამუშაო შეიძლება ჩართული იყოს ნებისმიერ ახალგაზრდული სამუშაო გარემოში (ღია ახალგაზრდული სამუშაო, პროექტზე მუშაობა, ცალკეული ახალგაზრდული სამუშაო, პრობლემაზე დაფუძნებული ახალგაზრდული სამუშაო) (ევროპის კომისია 2018b).

არაფორმალური განათლება და სწავლა

ახალგაზრდული სამუშაო არაფორმალური განათლებისა და სწავლის ცენტრშია ახალგაზრდების ცხოვრების კონტექსტში. არაფორმალური განათლება და სწავლა, გაგებული, როგორც ინსტიტუციური კონტექსტის მიღმა სწავლა (სკოლის გარეთ) არის ახალგაზრდული სამუშაოს მთავარი აქტივობა და ასევე მთავარი კომპეტენცია. Pathways 2.0 ანგარიშის მიხედვით:

არაფორმალური სწავლა/განათლება ახალგაზრდული სამუშაოში ხშირად სტრუქტურირებულია სასწავლო მიზნებზე, სწავლის დროსა და სპეციფიკურ სასწავლო მხარდაჭერაზე და მიზანმიმართულია. ეს, როგორც წესი, არ იწვევს სერტიფიცირებას, მაგრამ მზარდი რაოდენობის შემთხვევაში, სერტიფიკატები გაიცემა, რაც იწვევს ინდივიდუალური სწავლის შედეგის უკეთ აღიარებას. (ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე (2011))

არაფორმალური განათლება და სწავლა ძალიან ხშირად განიხილება, როგორც არა მხოლოდ აუცილებელი ცხოვრებისეული უნარების წინსვლა და განვითარება, არამედ ასევე აქტიური მონაწილეობისა და სამოქალაქო აზროვნების შესაძლებლობების ჩამოყალიბება (იხ. <https://education.report/videos/what-is-non-formal-education/> 3111). ესენია თავდაჯერებულობა, პასუხისმგებლობა, თვითმართვა, კომუნიკაციის და ინტერპერსონალური უნარები, ინტერკულტურული კომპეტენციები, თანაგრძნობა, სოლიდარობა, ლიდერობის უნარები, გუნდური მუშაობა, კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, ავტონომია, მონაწილეობა, პრობლემის გადაჭრა, დაგეგმვის უნარები და მეწარმის აზროვნება. გარდა ამისა, არაფორმალური განათლება და სწავლა მჭიდრო კავშირშია უწყვეტი სწავლისა და თანამედროვე ცხოვრების ძირითადი კომპეტენციების განვითარებასთან. როდესაც ვსაუბრობთ არაფორმალური განათლებისა და სწავლის როლზე, არსებობს მთელი რიგი კითხვები, რომლებიც საინტერესოა შესასწავლად.

- ▶ რა კომპეტენციები უვითარდებათ ახალგაზრდებს არაფორმალური განათლებისა და სწავლის გზით?
- ▶ როგორ უწყობს ხელს არაფორმალური განათლება და სწავლა ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას და მოსალოდნელი შედეგების მიღწევას?
- ▶ არსებობს თუ არა ახალგაზრდების მომზადებისა და განვითარების ეროვნული სტრატეგია არაფორმალური განათლებისა და სწავლის სფეროში, რომელიც აღიარებულია სახელმწიფო დონეზე?
- ▶ როგორია (ფინანსური, პოლიტიკური და სამართლებრივი) მხარდაჭერის როლი და დონე ახალგაზრდობის პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში?

იდეები პოლიტიკის ღონისძიებებისთვის

- ▶ სხვადასხვა ფორმით ახალგაზრდული სამუშაოს სფეროს უზრუნველყოფა მდგრადი რესურსებით.
- ▶ ახალგაზრდობის მუშაკების მომზადების, კვალიფიკაციის, პროფესიის აღიარების პროგრამების ჩამოყალიბება.
- ▶ ახალგაზრდული სამუშაოს ინოვაციური მიდგომებისა და მეთოდოლოგიების მხარდაჭერა.
- ▶ ახალგაზრდული სამუშაო ჩართულობით შეძენილი კომპეტენციების აღიარების ეროვნული სისტემების ჩამოყალიბება და განვითარება.
- ▶ ახალგაზრდული სამუშაოს და არაფორმალური განათლების და სწავლის როლის დაცვა ახალგაზრდების პიროვნულ განვითარებასა და ავტონომიაზე გადასვლაში.
- ▶ ახალგაზრდობის სამუშაოს პრაქტიკაში ინოვაციებისა და შემოქმედებითი მიდგომების მხარდაჭერა და დაფინანსება.

პოლიტიკის გარდაქმნა პრაქტიკად

ახალგაზრდული სამუშაოს პრაქტიკოსების განვითარება

ახალგაზრდობის სექტორში მომუშავე ადამიანებისთვის მუდმივი პროფესიული განვითარებისა და უწყვეტი სწავლის მნიშვნელობა და ღირებულება ძნელია გადაჭარბებული იყოს, როდესაც საქმე ეხება ახალგაზრდული სამუშაოს ხარისხისა და უფრო ფართო არაფორმალური განათლებისა და სასწავლო აქტივობების უზრუნველყოფას. ეს მოიცავს ინვესტირებას პრაქტიკოსთა, პოლიტიკის შემქმნელთა და მკვლევართა ტრენინგსა და განვითარებაში, სასწავლო პროგრამებისა და კვალიფიკაციის ჩარჩოების ჩამოყალიბებას ახალგაზრდების უნარების განვითარების ხელშეწყობისთვის, კარგი პრაქტიკის გაცვლის ხელშეწყობას ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე და ახალგაზრდების, ახალგაზრდობის მუშაკებისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციების ჩართვას პოლიტიკის დიალოგში სწავლის ხელშეწყობისთვის (ახალგაზრდობის პარტნიორობა 2017).

უკრაინის კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრომ ოჯახისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის სახელმწიფო ინსტიტუტთან, UNDP უკრაინასა და UNICEF უკრაინასთან ერთად წამოიწყო ახალგაზრდობის მუშაკთა პროგრამა. ინიციატივა ეფუძნება არაფორმალური განათლებისა და სწავლის ხელშეწყობას ახალგაზრდობის ცენტრების, საზაფხულო ბანაკების, ახალგაზრდობის საინფორმაციო სერვისებისა და სოციალური მობილობის განვითარების გზით სტრატეგიული ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტებში. ახალგაზრდობის მუშაკთა ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს საჯარო მოხელეების და არასამთავრობო ორგანიზაციების მოხალისეების შესაძლებლობების განვითარებას, იმისთვის რომ გააძლიერონ და აღჭურვილი ახალგაზრდები, რომლებთანაც ისინი მუშაობენ საჭირო უნარ-ჩვევებით, რათა მათ შეძლონ აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავიანთ თემებში, ასევე პოლიტიკასა და გადაწყვეტილებების მიღებაში როგორც ადგილობრივ ისე ეროვნულ დონეზე. პროგრამა მოიცავს ტრენინგს საბაზისო გაცნობითი საფეხურიდან, ტრენერთა ტრენინგებამდე (O'Donovan 2020).

ეროვნული ახალგაზრდობის სამსახური ლუქსემბურგში ყოველწლიურად დაახლოებით 200 ტრენინგ კურსს სთავაზობს როგორც პროფესიონალ, ისე მოხალისე ახალგაზრდობის მუშაკებს. კურსებს აფინანსებს განათლების, ზავშვთა და ახალგაზრდობის სამინისტრო. ტრენინგის თემები მოიცავს ახალგაზრდობის პოლიტიკის ღრმა გააზრებას, პედაგოგიურ უნარებს, პროექტების შემუშავებას, ახალგაზრდობის პროექტებისა და ინიციატივების მხარდაჭერას, ახალგაზრდების განვითარებისა და ინიციატივების ხელშეწყობას და მხარდაჭერას და ახალგაზრდულ სამუშაოსთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ კომპეტენციებს. კურსებში მონაწილეობა სავალდებულოა ანაზღაურებადი ახალგაზრდობის მუშაკებისთვის, რომლებიც იღებენ მონაწილეობის სერტიფიკატს.

ახალგაზრდული სამუშაო სფეროს მხარდაჭერა და დაცვა

არსებობს რამდენიმე ღონისძიება, რომელიც ქვეყნებს შეუძლიათ პროაქტიულად გაატარონ ახალგაზრდული სამუშაო სფეროს განვითარებისა და მისი გავლენის გაზრდის მიზნით, როგორც ახალგაზრდებზე, ისე საზოგადოებაზე. როგორც ევროპის საბჭოს (2017) რეკომენდაცია ახალგაზრდული სამუშაოს შესახებ გვთავაზობს, ისინი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ზომებს:

- ▶ ხელსაყრელი გარემოსა და პირობების უზრუნველყოფა, როგორც დადასტურებული, ისე ინოვაციური ახალგაზრდული სამუშაო პრაქტიკებისთვის;
- ▶ ახალგაზრდული სამუშაოს როლისა და წვლილის გაძლიერება ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაში ყველა დონეზე და ახალგაზრდებთან დაკავშირებული სხვა სექტორების მხარდაჭერა;
- ▶ ახალგაზრდული სამუშაოს ხელშეწყობი სტრატეგიების, ჩარჩოების, კანონმდებლობის, მდგრადი სტრუქტურებისა და რესურსების შემუშავება;
- ▶ ახალგაზრდულ სამუშაოში მონაწილეობისა და განხორციელების გზით განვითარებული ღირებულებების, დამოკიდებულებების, უნარების, ცოდნისა და კრიტიკული გაგების აღიარების ხელშეწყობა;
- ▶ ახალგაზრდულ სამუშაოზე თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა
- ▶ ახალგაზრდობის ორგანიზაციების მუშაობისა და წვლილის პატივისცემა და მხარდაჭერა;
- ▶ არაფორმალური განათლებისა და სასწავლო ინტერვენციების მხარდაჭერა;
- ▶ ცოდნაზე დაფუძნებული ახალგაზრდული სამუშაოს მხარდაჭერა;
- ▶ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და შედეგების გაზომვის ინსტრუმენტების შექმნა და ახალგაზრდობის მუშაკების პროფესიული განვითარების პროცესების მხარდაჭერა;
- ▶ დოკუმენტაციის, ვალიდაციის, სერტიფიცირებისა და კომპეტენციების აღიარების სისტემების დანერგვა.

მოლდოვას აქვს ეროვნული ახალგაზრდობის ცენტრის განვითარების პროგრამა, რომელიც ხორციელდება განათლების, კულტურისა და კვლევის სამინისტროსა და გაეროს განვითარების პროგრამის პარტნიორობით. პროგრამა ხორციელდება მოლდოვის რეგიონებში, სადაც ადგილობრივი საჯარო ხელისუფლება ავითარებს და აფართოებს ახალგაზრდული სერვისების ტერიტორიულ დაფარვას. პროგრამა მოიცავს ახალგაზრდული სამუშაოს პროფესიონალების შესაძლებლობების განვითარებას, ახალგაზრდული ცენტრის ინფრასტრუქტურის განვითარებას და ახალგაზრდობის სფეროს დაფინანსების მექანიზმების მხარდაჭერას. ახალგაზრდული ცენტრები არის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი საჯარო ხელისუფლებისთვის ახალგაზრდული სამუშაოს ადგილობრივად განსახორციელებლად (ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე 2020).

სლოვაკეთში, კანონი ახალგაზრდული სამუშაოს მხარდაჭერის შესახებ განსაზღვრავს ახალგაზრდული სამუშაოს და ასევე გვთავაზობს „ახალგაზრდობის ლიდერის“, „ახალგაზრდობის მოხალისის“ და „ახალგაზრდობის მუშაკის“ განმარტებებს. სახელმწიფოს როლი ახალგაზრდული სამუშაოს მხარდაჭერაში ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე და დაფინანსების სისტემები ასევე ასახულია კანონში, რომელიც არეგულირებს და ავტორიზებას აძლევს საგანმანათლებლო ორგანოებსა და პროგრამებს არაფორმალური განათლებისა და ტრენინგის სფეროში. 2016-20 წლების ახალგაზრდული სამუშაოს განვითარების კონცეფცია, რომელიც მიღებულ იქნა მთავრობის მიერ, ფოკუსირდება ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ახალგაზრდების საჭიროებები, როგორც ახალგაზრდული სამუშაოს საფუძველი; ხარისხიანი ახალგაზრდული სამუშაო; დაინტერესებული მხარეები ახალგაზრდულ სამუშაოში; ახალგაზრდული სამუშაოს დაფინანსება; და ახალგაზრდული სამუშაოს აღიარება და პროფილის ამაღლება (EU Youth Wiki 2020, ახალგაზრდებთან მუშაობის განვითარების კონცეფცია 2016-2020 წლებისთვის).

ხარისხის უზრუნველყოფა არაფორმალურ განათლებასა და სწავლაში

არაფორმალური საგანმანათლებლო ინტერვენციების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხი არის იმის გარანტირება, რომ როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო არაფორმალური განათლების ინტერვენციების მიმწოდებლები მუშაობდნენ ხარისხის დადგენილ სტანდარტებზე, უზრუნველყოფდნენ აქტივობების ეფექტურობას და პასუხობდნენ ამ საგანმანათლებლო ფორმის კრიტერიუმებს, პრინციპებს და მეთოდოლოგიურ მოსაზრებებს, სწავლის შესაძლებლობის ბოროტად გამოყენებისა და გადამეტების მინიმუმამდე შემცირებისათვის. ამისათვის შემუშავებული ინსტრუმენტები უზრუნველყოფს ახალგაზრდების ხარისხიანად მომსახურებას; ამავდროულად, განათლების მიმწოდებლებს შესაძლებლობა ექმნებათ გააუმჯობესონ შეთავაზების ხარისხი ახალგაზრდებისთვის საჭირო სტანდარტების დანერგვით.

ევროპულ დონეზე ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის ცენტრების ხარისხის ეტიკეტი შემუშავდა, როგორც სტანდარტების დამდგენი ინსტრუმენტი ახალგაზრდობის ცენტრების ხარისხის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მხარდასაჭერად, და ზოგადად ახალგაზრდობის სამუშაოსთვის. იგი მოიცავს ხარისხის 15 კრიტერიუმს, ინდიკატორებს, ამოცანებსა და რჩევებს საერთაშორისო ახალგაზრდობის ცენტრის მუშაობისთვის. ევროპის სხვადასხვა ახალგაზრდობის ცენტრს შეუძლია მიმართოს ხარისხის ეტიკეტის მისაღებად. ცენტრებს შეუძლიათ გამოიყენონ ეტიკეტის მოპოვების პროცესი, რათა გააუმჯობესონ თავიანთი შეთავაზების ხარისხი ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდობის სექტორისთვის თავიანთ ქვეყანაში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <https://rm.coe.int/quality-label-brochure-en-2015/16806fcf1b>.

ლიტვაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არაფორმალური სწავლების მიწოდების ლიცენზია 90 დაწესებულებას მიანიჭა. ეკონომიკის სამინისტროს რეესტრში 700-მდე დაწესებულებაა, მათ შორის სახელმწიფო და არასახელმწიფო კომპანიები, რომლებიც გათვლილია მოზარდებზე და სხვებზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტებში შეიქმნა ზრდასრულთა მომზადების სპეციალური დეპარტამენტები. შემოთავაზებული კურსები მოიცავს ტრენინგს, განსაკუთრებით პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და სპეციალური ან დამატებითი განათლების სფეროებში (EU Youth Wiki 2020).

"aufZAQ" არის არაფორმალური განათლებისა და ტრენინგის კურსების სერტიფიცირების სისტემა ახალგაზრდობის მუშაკებისთვის, რომლის მეშვეობითაც შრომის, ოჯახისა და ახალგაზრდობის ფედერალური სამინისტრო, რეგიონალური ახალგაზრდობის დეპარტამენტები და ახალგაზრდული სამუშაოს ოფისი სამხრეთ ტიროლში უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ტრენინგსა და განათლებას. aufZAQ კომპეტენციის ჩარჩო საბავშვო და ახალგაზრდობის სამუშაოსთვის მოქმედებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველი და მჭიდროდ არის დაკავშირებული ავსტრიის ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოსთან, რაც თავის მხრივ კვალიფიკაციას თვალსაჩინოს და შესაძარებელს ხდის ევროპის კვალიფიკაციის ჩარჩოს (EQF) მეშვეობით ევროპის მასშტაბით. aufZAQ-ის მრჩეველთა საბჭო (რომელიც, მათ შორის, მოიცავს სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და სფეროს ექსპერტებს) ამოწმებს წარმოდგენილი და სერტიფიცირებული სასწავლო კურსების ხარისხს და შეიმუშავებს სასერტიფიკაციო პროგრამას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.aufzaq.at.

SALTO-YOUTH - რომელიც ნიშნავს მხარდაჭერას (Support), გაფართოებულ სწავლებასა (Advanced Learning) და ტრენინგის შესაძლებლობებს ახალგაზრდებისთვის (Training Opportunities for youth) - არის რეგიონალური და თემატური რესურს-ცენტრების ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს ტრენინგს, ქსელურობას, საგანმანათლებლო რესურსებს ახალგაზრდობის მუშაკებისა და ახალგაზრდობის ლიდერებისთვის და მხარდაჭერას ორგანიზაციებისა და ეროვნული სააგენტოებისთვის (NAs), ევროკომისიის Erasmus+ ახალგაზრდობის პროგრამის ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ. SALTO

ინსტრუმენტები მოიცავს ინსტრუმენტთა ყუთს ტრენერებისთვის, ევროპულ ტრენინგის კალენდარს, თემატურ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებსა და რესურსებს, ონლაინ სასწავლო პორტალს, ტრენერთა ქსელს (TOY) და საერთაშორისო პროექტებისთვის პარტნიორების საპოვნელ ინსტრუმენტს (Otlas). SALTO-ს ტრენინგის და თანამშრომლობის რესურს ცენტრი მხარს უჭერს შესაძლებლობების განვითარებას და ახალგაზრდულ სამუშაოში სწავლის აღიარებას.

ახალგაზრდული სამუშაოს აღიარება

ევროპის ახალგაზრდობის სფეროში, როგორც ეს აღწერილია Pathways 2.0-ში, ტერმინს „აღიარება“ აქვს ოთხი განსხვავებული მნიშვნელობა. „ფორმალური აღიარება“ ნიშნავს სწავლის შედეგების ვალიდაციას და სასწავლო პროცესის და/ან ამ შედეგების სერტიფიცირებას ისეთი სერტიფიკატების ან დიპლომების გაცემით, რომლებიც ოფიციალურად აღიარებენ ინდივიდის მიღწევებს. „პოლიტიკური აღიარება“ ნიშნავს არაფორმალური განათლების აღიარებას კანონმდებლობაში ან/და არაფორმალური სწავლის/განათლების ჩართვას პოლიტიკურ სტრატეგიებში და ამ სტრატეგიებში არაფორმალური სწავლების მიმწოდებლების ჩართვას. „სოციალური აღიარება“ ნიშნავს იმას, რომ სოციალური მოთამაშეები აცნობიერებენ არაფორმალურ გარემოში შეძენილი კომპეტენციების ღირებულებას და ამ საქმიანობის ფარგლებში შესრულებულ სამუშაოს, მათ შორის ამ სამუშაოს მომწოდებელი ორგანიზაციების ღირებულებას. „თვით აღიარება“ ნიშნავს სწავლის შედეგებისა და ამ სწავლის შედეგების სხვა სფეროებში გამოყენების უნარის შეფასებას ინდივიდის მიერ (ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე, 2011). არაფორმალური სწავლის/განათლების და ახალგაზრდული სამუშაოს აღიარებაზე მუშაობა ხშირად მოითხოვს სისტემურ მიდგომას და სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის მიმართვას, რომლებიც მოდიან ახალგაზრდობის სფეროს „შიგნიდან“ ან „გარედან“ (ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე 2013).

ჩეხეთარაფორმალური განათლების აღიარებისა და დადასტურების ერთ-ერთი ინსტრუმენტია პერსონალური კომპეტენციების პორტფოლიო (PCP), რომელიც თავის მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას შეაფასონ გამომუშავებული კომპეტენციები და ღირებულად ჩამოაყალიბონ ისინი დამსაქმებლებისთვის. PCP იძლევა სურათს არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობებით შეძენილი კომპეტენციების შესახებ და ინტეგრირებულია კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში (SALTO-YOUTH 2016).

ევროპული ინსტრუმენტები, რომლებიც მხარს უჭერენ ახალგაზრდული სამუშაოს აღიარებას, მოიცავს Youthpass-ს, საერთაშორისო დონეზე მომუშავე ტრენერებისა და ახალგაზრდობის მუშაკების ტრენინგის სტრატეგიის კომპეტენციის მოდელს, ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სამუშაო პორტფოლიოს - ონლაინ ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ინდივიდებს, გუნდებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ ახალგაზრდულ სამუშაოს ევროპაში გაიგონ და განავითარონ თავიანთი კომპეტენციები, რომლებიც ასევე შეიძლება გამოიყენონ ტრენერებმა, ახალგაზრდული სამუშაოს მენეჯერებმა, პოლიტიკის შემქმნელებმა და სხვებმა, Open Badge ინფრასტრუქტურა, რომელიც ახლა ფართოდ არის ჩართული სასწავლო პროექტებში.

ევროპის მობილობის პროექტებში ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული ინსტრუმენტი არის Youthpass-ის აღიარების ინსტრუმენტი ახალგაზრდულ სამუშაოში არაფორმალური და ინფორმალური სწავლის გამოცდილებებისთვის, რომელსაც Erasmus+ პროგრამების მონაწილეები იყენებენ. Youthpass სერთიფიკატი მონაწილეებს საშუალებას აძლევს აღწერონ თავიანთი სწავლის გამოცდილება და

სწავლის მიღწევები, როგორც ევროკომისიის სტრატეგიის ნაწილი არაფორმალური სწავლის აღიარების ხელშეწყობისთვის. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.youthpass.eu.

პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობი რესურსები

ევროპული რეგულაციები და სამართლებრივი ჩარჩოები

- ▶ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2017)4 წევრ სახელმწიფოებს ახალგაზრდული სამუშაოს შესახებ.
- ▶ ევროკავშირის საბჭო: 2017 წლის საბჭოს დასკვნები ჭკვიანი ახალგაზრდული სამუშაოს შესახებ.
- ▶ ევროკავშირის საბჭო: 2013 წლის საბჭოს დასკვნები ახალგაზრდების ხარისხიანი სამუშაოს წვლილის შესახებ ახალგაზრდების განვითარებაში, კეთილდღეობასა და სოციალურ ინკლუზიაში.
- ▶ ევროპის საბჭო: მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)8 წევრ სახელმწიფოებს ახალგაზრდების არაფორმალური განათლების/სწავლის ხელშეწყობისა და აღიარების შესახებ.
- ▶ ევროკავშირის საბჭო: 2018 წლის 22 მაისის რეკომენდაცია უწყვეტი სწავლის ძირითადი კომპეტენციების შესახებ.

თემატური მასალები

- ▶ სახელმძღვანელო ახალგაზრდული სამუშაოს გაუმჯობესება – თქვენი გზამკვლევი ხარისხის განვითარებისთვის, ევროკომისია, 2017, ხელმისაწვდომია https://ec.europa.eu/youth/news/2017/improving-youth-work-your-guide-quality-development_en.
- ▶ ხარისხიანი ახალგაზრდული სამუშაო – საერთო ჩარჩო ახალგაზრდული სამუშაოს შემდგომი განვითარებისათვის, ევროკომისია, 2015, ხელმისაწვდომია https://ec.europa.eu/assets/eac/youth/library/reports/quality-youth-work_en.pdf.
- ▶ ახალგაზრდების ციფრული სამუშაოს განვითარება – პოლიტიკის რეკომენდაციები, ტრენინგის საჭიროებები და კარგი პრაქტიკის მაგალითები, ევროკომისია, 2018, ხელმისაწვდომია <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/fbc18822-07cb-11e8-b8f5-01aa75ed71a1>.
- ▶ ახალგაზრდებთან მუშაობა: ახალგაზრდული სამუშაოს ღირებულება ევროკავშირში, ევროკომისია და განათლების აუდიოვიზუალური და კულტურის ადმსრულებელი სააგენტო, 2014, ხელმისაწვდომია https://ec.europa.eu/assets/eac/youth/library/study/youth-work-report_en.pdf.
- ▶ 2010 და 2015 წლების ევროპის ახალგაზრდული სამუშაოს კონვენციების დეკლარაციები.
- ▶ ევროპის საბჭო: კომპეტენციების საცნობარო ჩარჩო დემოკრატიული კულტურისთვის, ხელმისაწვდომია www.coe.int/en/web/campaign-free-to-speak-safe-to-learn/reference-framework-of-competences-for-democratic-culture.
- ▶ სერიოზულად ფიქრი ახალგაზრდულ სამუშაოზე: და როგორ მოვამზადოთ ხალხი ამისათვის, ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე, 2017 წ. ხელმისაწვდომია <https://pjp-eu>.

coe.int/documents/42128013/47261623/Thinking+seriously+about+YW. pdf/6b620a71-f7be-cf80-7da9-17408a3960ba.

- ▶ ახალგაზრდული სამუშაოს ისტორია ევროპაში (ტომები 1-7), ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი.
- ▶ ახალგაზრდული სამუშაოს აუცილებელი ელემენტები, ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე, 2020, ხელმისაწვდომია <https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/other-publications>.
- ▶ ახალგაზრდული სამუშაო აღმოსავლეთ ევროპაში - რეალობა, პერსპექტივები და შთამაგონებელი ინიციატივები, ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე, 2020 წ.

მობილობა

შესავალი

მობილურობა ეხება ყველა ახალგაზრდა ევროპელს, იქნება ეს სკოლის მოსწავლე, სტუდენტი, შეგირდი, მოხალისე, მასწავლებელი, ახალგაზრდა მკვლევარი, ტრენერი, ახალგაზრდობის მუშაკი, მეწარმე თუ ახალგაზრდები შრომის ბაზარზე. მობილურობა უნდა გავიგოთ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ფიზიკური მობილურობა, რაც გულისხმობს სხვა ქვეყანაში დარჩენას სასწავლოდ, სამუშაოდ, საზოგადოებრივ მუშაობას ან დამატებით ტრენინგს მთელი სიცოცხლის განმავლობაში უწყვეტი სწავლის კონტექსტში. (ევროკავშირის საბჭო 2008 წ.)

მობილურობის აქტივობები შეიძლება მოიცავდეს ფართო შესაძლებლობებს ფორმალური და არაფორმალური სწავლებიდან, დაწყებული სასკოლო გაცვლითი პროგრამებით, მოხალისეობრივი სამუშაოთი, სამუშაო ბანაკებით, აკადემიური სემესტრით ან წელიწადით სხვა ქვეყნის უნივერსიტეტში, ტრენინგებით და სემინარებით, პროფესიული მენტორინგით, ახალგაზრდობის გაცვლითი პროგრამებით, პროფესიული გაცვლითი პროგრამებით, მოკლევადიანი საგანმანათლებლო აქტივობებით, საწარმოებში განთავსებით, ახალგაზრდობის მუშაკების მობილურობით, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროექტებით, საერთაშორისო სტაჟირებით, სამუშაოს შესრულების იმიტაციით და სხვა.

ახალგაზრდობის მობილურობა ევროპაში განიხილება, როგორც ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს უფრო მეტ თანამშრომლობას და ინტეგრაციას, მშვიდობას, ურთიერთგაგებას, დიალოგს, სოლიდარობას და ევროპული იდენტობის მშენებლობას. ევროპული ინსტიტუტების ცენტრალური მისწრაფებაა გაუხსნან შესაძლებლობები ყველა ახალგაზრდას, ისარგებლონ ახალგაზრდობის მობილობის პროგრამებით თავიანთ საგანმანათლებლო გზებზე. ასევე პოპულარიზდება პროფესიონალთა მობილურობაც.

არსებობს არაერთი პროგრამა, რომელიც მხარს უჭერს და ხელს უწყობს მობილობას ტრანსსასაზღვრო და ორმხრივ პროგრამებში, ქალაქებს შორის, დამმობილებული ქალაქებისა და მათი ქსელების მეშვეობით, ასევე მუნიციპალური პროგრამებისა და პარტნიორობის მეშვეობით ევროპაში.

ბოლო წლებში, ევროპული ახალგაზრდობისა და განათლების პროექტების გაჩენით, ჩვენ დავიწყეთ სწავლისთვის მობილურობით უზრუნველყოფილი შესაძლებლობების ფართო სპექტრის შესწავლა. სასწავლო მობილურობა ჩვეულებრივ განიმარტება, როგორც ტრანსნაციონალური მობილურობა, რომელიც ხორციელდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში და შეგნებულად არის ორგანიზებული საგანმანათლებლო მიზნებისთვის ან ახალი კომპეტენციების შესაძენად. ის მოიცავს მრავალფეროვან პროექტებსა და აქტივობებს და შეიძლება განხორციელდეს ფორმალურ თუ არაფორმალურ გარემოში. ის მიზნად ისახავს ახალგაზრდების მონაწილეობის, აქტიური მოქალაქეობის, ინტერკულტურული სწავლისა და დიალოგის, ინდივიდუალური კომპეტენციების განვითარებას და დასაქმების გაზრდას. ევროპულმა საბჭომ 2011 წელს გაიხსენა, რომ სასწავლო მობილურობა:

ფართოდ განიხილება, რომ ხელს უწყობს ახალგაზრდების დასაქმების გაზრდას ძირითადი უნარებისა და კომპეტენციების შეძენის გზით, მათ შორის განსაკუთრებით ენობრივი კომპეტენციებისა და ინტერკულტურული გაგების, ასევე სოციალური და სამოქალაქო უნარების, მეწარმეობის, პრობლემების გადაჭრის უნარებისა და ზოგადად შემოქმედებითობის. დაინტერესებული პირებისთვის ღირებული გამოცდილების მიწოდების გარდა, სასწავლო მობილურობამ შეიძლება ხელი შეუწყოს განათლების საერთო ხარისხის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის გზით. (ევროკავშირის საბჭო 2011)

იდევნო პოლიტიკის ღონისძიებებისთვის

- ▶ მექანიზმების ჩამოყალიბება, რათა ხელი შეეწყოს ყველა ახალგაზრდას, მათ შორის მძიმე ცხოვრებისეულ სიტუაციებში და ფონზე, მობილურ აქტივობებზე წვდომაში.
- ▶ ახალგაზრდობის მობილურობის შესახებ ცოდნის გაზრდა.
- ▶ მობილურობის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის შემუშავება ან არსებული სისტემების ინტეგრირება.
- ▶ ახალგაზრდობის ორგანიზაციების მხარდაჭერა და რესურსების მიწოდება, რომლებიც ხელს უწყობენ ახალგაზრდების მობილურობის ინიციატივებისა და პროგრამების ხელშეწყობას ახალგაზრდობის ორგანიზაციების მხარდაჭერა და მათთვის რესურსების მიწოდება.
- ▶ სასწავლო მობილურობის პროგრამებით შეძენილი კომპეტენციების აღიარების სისტემების შემუშავება, მათ შორის საერთაშორისო მობილურობა.
- ▶ ახალგაზრდობის მობილურობის ეროვნული პროგრამების ჩამოყალიბება.

პოლიტიკის გარდაქმნა პრაქტიკად

ახალგაზრდობის მობილურობის მხარდაჭერის ევროპული სქემები და სტრუქტურები

მობილურობა არის ევროპაში თანამშრომლობისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი ღირებულება, პოლიტიკის სფერო, რეაგირება და ინსტრუმენტი. ამრიგად, ევროპული დონის მრავალი პროგრამა, რომელიც მხარს უჭერს და ხელს უწყობს მობილურობას მთელს ევროპაში და მის მეზობლებში, აძლევს შესაძლებლობებს ახალგაზრდებს, მათთან მომუშავე პროფესიონალებს და გადაწყვეტილების მიმღებებს, გამოიყენონ მობილურობის სქემების პოტენციალი.

Eurodesk არის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი ევროპაში ახალგაზრდობის მობილურობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის სფეროში. იგი არის საერთაშორისო არაკომერციული ასოციაცია, რომელიც შეიქმნა 1990 წელს და რომელიც ეროვნული კოორდინატორების ქსელის მეშვეობით, 30-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობს. Eurodesk ამაღლებს ცნობიერებას ევროპაში სწავლის მობილურობის შესაძლებლობებზე, აძლევს ახალგაზრდებს უფლებას გამოიყენონ ეს შესაძლებლობები და ეხმარება ინფორმაციის მიმწოდებლებს თავიანთი შესაძლებლობებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბებაში, რათა უზრუნველყონ ხელმძღვანელობა ახალგაზრდობის მობილურობისთვის ეროვნულ, რეგიონულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე. იგი მხარს უჭერს Erasmus+ პროგრამას

მობილურობის სფეროში გაცვლისა და ხარისხის მხარდაჭერა ევროპულ დონეზე

იმისათვის, რომ გქონდეთ მდიდარი მობილურობის გამოცდილება, რომელიც ხელს უწყობს ზრდას და განვითარებას, გამოცდილება უნდა იყოს გარკვეული ხარისხის. მხოლოდ საზღვარგარეთ სწავლის ფაქტი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ გამოცდილება იქნება ღირებული და გარდამტეხი. როდესაც ვსაუბრობთ ხარისხის უზრუნველყოფაზე, აუცილებელია, რომ შესაბამისი სტანდარტები და კრიტერიუმები შემუშავდეს იმ ადამიანების მიერ, რომლებიც ადგენენ პოლიტიკას და ხდებიან მათი ბენეფიციარები და ძირითადი მომხმარებლები.

ევროპული პლატფორმა სასწავლო მობილურობის შესახებ (EPLM) ახალგაზრდობის სფეროში, რომელიც შეიქმნა ევროკავშირი-ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პარტნიორობის ფარგლებში, მიზნად ისახავს შექმნას ღია მონაწილეობითი სივრცე პრაქტიკოსებს, მკვლევარებსა და პოლიტიკის შემქმნელებს შორის გაცვლისა და თანამშრომლობისთვის. კონფერენციებზე, სემინარებსა და კვლევით პროექტებზე მუშაობით და ისეთი რესურსებით, როგორიცაა Q! პორტალი, პლატფორმა ხელს უწყობს სფეროს მუდმივ გაუმჯობესებას და მხარს უჭერს აქტორებს ხარისხიანი სასწავლო მობილურობის აქტივობების განხორციელებაში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სახელმძღვანელო ხარისხის შესახებ სასწავლო მობილურობაში, ხელმისაწვდომია <https://go.coe.int/jcCbj>.

ახალგაზრდობის სფეროში სასწავლო მობილურობის ხარისხის ჩარჩო განსაზღვრავს ხარისხის 22 პრინციპს, რომელიც დაგეხმარებათ მაღალი ხარისხის მობილურობის პროექტების განხორციელებაში. ჩარჩო გამიზნულია მათთვის, ვინც ახორციელებს ტრანსნაციონალურ მობილურობის პროექტებს ახალგაზრდობის სფეროში. პრინციპები მოიცავს მიზნებისა და სწავლის შედეგების სიცხადეს, მონაწილეთა საჭიროებებსა და პროფილებზე დაყრდნობით, დასაქმების გამჭვირვალობას, ინკლუზიურობას, კარგად შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ეფექტურ მომზადებას და მართვას, ადექვატური დამხმარე სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას, სათანადო ანალიზსა და შეფასებას, გამოცდილებების კაპიტალიზაციას და პროექტების ზემოქმედების ოპტიმიზაციას.

მობილურობის ხარისხის აპლიკაცია „Q! აპი“ შემუშავდა სასწავლო მობილურობის ევროპული პლატფორმის ფარგლებში, სასწავლო მობილურობის ხარისხის პრინციპების შესაბამისად (ევროკავშირი-ევროპის საბჭოს პარტნიორობა ახალგაზრდობის საკითხებზე 2018b). აპლიკაცია მიჰყვება პროექტის ციკლის მიდგომას და მოუწოდებს ყველა მომხმარებელს გამოიყენონ აპლიკაცია სასწავლო მობილურობის ხარისხის სახელმძღვანელოსთან ერთად და მასთან დაკავშირებით (<https://go.coe.int/jcCbj>), რომელიც უზრუნველყოფს სიღრმისეული ცოდნას პრინციპებისა და 116 ინდიკატორის შესახებ ხარისხიანი მობილურობის აქტივობისთვის, გაუმჯობესების რჩევებითა და ქმედებებით.

პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობი რესურსები

ევროპული რეგულაციები და სამართლებრივი ჩარჩოები

- ▶ ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის დასკვნები ახალგაზრდობის მობილურობის შესახებ (EU Council 2008).
- ▶ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (95) 18 წევრ ქვეყნებს ახალგაზრდობის მობილურობის შესახებ.
- ▶ ევროპის საბჭო, ახალგაზრდობის პოლიტიკის თვითშეფასების ინსტრუმენტი (www.coe.int/en/web/youth/youth-policy-self-assessment-tool).
- ▶ რეზოლუცია ResAP(2003)1 (ანაცვლებს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციას (91) 20), რომელიც აფორმებს ნაწილობრივ შეთანხმებას ახალგაზრდობის ბარათზე ევროპაში ახალგაზრდობის მობილურობის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით.
- ▶ ახალგაზრდობის სფეროში სასწავლო მობილურობის ხარისხის პრინციპები.
- ▶ ხარისხის ჩარჩო ახალგაზრდობის სფეროში სასწავლო მობილურობისთვის.

თემატური მასალები

- ▶ ევროპული პლატფორმა სასწავლო მობილურობის შესახებ (იხ. <https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/european-platform-on-learning-mobility>).
- ▶ სახელმძღვანელო ხარისხის შესახებ სასწავლო მობილურობაში (Kristensen 2019).
- ▶ Q! აპლიკაცია (იხილეთ www.qualitymobility.app).
- ▶ MOVE European Policy Brief II, 2018, Mapping mobility – გზები, ინსტიტუტები და ახალგაზრდობის მობილურობის სტრუქტურული ეფექტები (იხ. http://move-project.eu/fileadmin/move/downloads/MOVE_Policy_Brief_II_EN.pdf).
- ▶ Eurodesk (იხ. <https://eurodesk.eu>).

დიגיტალიზაცია

შესავალი

ახალმა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა გაზარდა ციფრული ტექნოლოგიების როლი საზოგადოებაში, რაც გავლენას ახდენს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროზე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კონტექსტების თვალსაზრისით. ეს ცვლილებები უფრო აქტიურად აყალიბებს ჩვენს ცხოვრებას და უკვე გავლენას ახდენს ახალგაზრდების ცხოვრების ყველა ნაბიჯზე. ცხოვრების ყველა ასპექტის გაზრდილი დიგიტალიზაცია კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმას, თუ როგორ ვფიქრობთ პოლიტიკის როლზე სიტუაციების გაგებაში, შეფასებაში, ინტერპრეტაციაში და ახალგაზრდების მხარდაჭერაში, რომ გამოიყენონ ტექნოლოგია უსაფრთხოდ და პასუხისმგებლობით თავიანთი არჩევანი გააკეთონ ღირებულებებსა და ეთიკის საფუძველზე. ტექნოლოგიურმა განვითარებამ, დიგიტალიზაციამ და ინოვაციებმა ასევე გაამდიდრა მრავალი ახალგაზრდის პოტენციალი და შესაძლებლობების სპექტრი, და ახალი გამოწვევაა თანაბარი ხელმისაწვდომობის, წვდომისა და გამოყენების უზრუნველყოფა.

ახალგაზრდები დღეს მნიშვნელოვან დროს ხარჯავენ ინფორმაციისა და ციფრული მედიის (სურათები, ვიდეო, შეტყობინებები, სოციალური მედია და ა.შ.) მოხმარებაში, გაზიარებასა და მართვაში. ამ ინსტრუმენტებს ძლიერი პოტენციალი აქვთ ახალგაზრდებისთვის, რომ ისინი გაეცნონ კომუნიკაციას, სოციალიზაციას და გამოცდილების გაზიარებას, თვითრეალიზაციას, თვითგამოხატვას და შემოქმედებითობას, გააცნობიერონ თავიანთი როლი, როგორც მოქალაქეების და აქტიური აქტორების იმ თემსა და საზოგადოებაში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ციფრული ტექნოლოგიების მზარდ განვითარებასთან ერთად, ახალგაზრდებმა არა მხოლოდ გაზარდეს ინფორმაციის მოხმარება, არამედ გახდნენ მისი მწარმოებლები და შემქმნელები და ამან მკვეთრად შეცვალა მედიის ლანდშაფტისა და კომუნიკაციის გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ეს ახალი ვითარება მოითხოვს ახალგაზრდებისა და მათთან მომუშავე პირებისგან, განავითარონ ახალი კომპეტენციები ტექნოლოგიების გამოყენებისა და გაგების შესახებ. ციფრული კომპეტენციების ჩარჩო 2.0 (<https://ec.europa.eu/jrc/en/digcomp/digital-competence-framework>) განსაზღვრავს ციფრული კომპეტენციების ძირითად კომპონენტებს ხუთ სფეროში, რომელიც მოიცავს ინფორმაციულ და მონაცემთა წიგნიერებას, კომუნიკაციას და თანამშრომლობას, ციფრული კონტენტის შექმნას, უსაფრთხოებასა და პრობლემების გადაჭრას, რაც აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილი უზარმაზარი შესაძლებლობების კონსტრუქციული გამოყენებისთვის.

ციფრული კომპეტენცია აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ძირითადი კომპეტენცია მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტი სწავლისთვის და განისაზღვრება, როგორც „ციფრული ტექნოლოგიების თავდაჯერებული, კრიტიკული და პასუხისმგებელიანი გამოყენება და მასში ჩართულობა სწავლისთვის, სამუშაოსთვის და საზოგადოებაში მონაწილეობისთვის“. ის გულისხმობს იმის გაგებას, თუ როგორ შეუძლია ციფრულ ტექნოლოგიებს ხელი შეუწყოს კომუნიკაციას, კრეატიულობას და ინოვაციას, შესაძლებლობების, შეზღუდვების, ეფექტებისა და რისკების გაცნობიერებას, ზოგად პრინციპებს, მექანიზმებს, გამოყენებას, ფუნქციებს და ლოგიკას, რომლებზეც დგას ციფრული

ტექნოლოგიები, და ინფორმაციისადმი კრიტიკულ მიდგომას და ეთიკურ პრინციპებს. იგი ასევე ხაზს უსვამს, რომ „პიროვნებებს უნდა შეეძლოთ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება აქტიური მოქალაქეობისა და სოციალური ინკლუზიის მხარდასაჭერად, სხვებთან თანამშრომლობისა და კრეატიულობისთვის პირადი, სოციალური თუ კომერციული მიზნების მისაღწევად" (ევროკავშირის საბჭო 2018).

Covid-19-ის პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ჩაკეტვის ზომებმა, მრავალი ტრადიციულად ოფლაინ აქტივობა გარდაქმნა აქტივობებად ონლაინ ადაპტაციითა და გადაწყვეტილებებით. ამან წახალისა ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის ახალგაზრდობის სფეროს, განავითარონ, გამოსცადონ, პილოტირდნენ, განახორციელონ და გააძლიერონ ციფრული პასუხები. ეს მოიცავდა ციფრული გადაწყვეტილებების ცდას ახალგაზრდობის სერვისების უმეტესობისთვის, ახალგაზრდული სამუშაო პრაქტიკისთვის, საინფორმაციო სამუშაოებისთვის და საგანმანათლებლო შესაძლებლობებისთვის. ახალგაზრდობის სფეროს ჰქონდა არაერთი საინტერესო ციფრული გადაწყვეტა მისი ძირითადი ფორმატებისა და მუშაობის ინსტრუმენტების გარდაქმნისთვის: ახალგაზრდების ონლაინ და ციფრული სამუშაო პრაქტიკა, ონლაინ ცოცხალი ბიბლიოთეკა, ახალგაზრდული ბანაკები, ახალგაზრდული კლუბები, ონლაინ კამპანიები, ციფრული მხარდაჭერით ახალგაზრდული შეხვედრები და სასწავლო აქტივობები. არაერთი გამოკითხვა იკვლევდა ახალგაზრდების გამოცდილებას და მათკენ მიმართული პრაქტიკის ტრანსფორმაციას. ახალგაზრდებთან მომუშავე სერვისის ბევრმა პროვაიდერმა გაიარა ინტენსიური ტრენინგი ახალგაზრდებთან ციფრული მუშაობის შესახებ სხვადასხვა გარემოში. ციფრული ინსტრუმენტების მეტი გამოყენება ასევე ნიშნავს იმას, რომ ინსტიტუტები ციფრულ სერვისებს უფრო მეტი ახალგაზრდისთვის ხდიან ხელმისაწვდომს. ზოგიერთ ქვეყანაში სოფლის სკოლებმა მიიღეს კომპიუტერები და პლანშეტები, რათა შეძლებოდათ გაკვეთილების ჩატარება, ზოგიერთში კი ინტერნეტ პროვაიდერებმა გაზარდეს დაფარვა უფრო დაბალ ფასად და საუკეთესო უნივერსიტეტებიდან ბევრი ონლაინ კურსი ხელმისაწვდომი გახდა ონლაინ უფასოდ.

იდეები პოლიტიკის ღონისძიებებისთვის

- ▶ ციფრული წიგნიერების პროგრამების მხარდაჭერა, პროგრამები და ინსტრუმენტები ახალგაზრდების მხარდასაჭერად, სულ უფრო ციფრულ სამყაროში ნავიგაციისთვის.
- ▶ ციფრული უნარების განვითარების ჩართვა, ახალგაზრდობის განვითარების დღის წესრიგსა და პროგრამების არსებით ნაწილად.
- ▶ უსაფრთხოებისა და დაცვის ზომების უზრუნველყოფა ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ციფრული ან ონლაინ ტექნოლოგიების გამოყენებისას.
- ▶ ICT-ის გამოყენებაში კომპეტენციების განვითარების პროგრამების ჩამოყალიბება განმანათლებლებისთვის, მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის და ახალგაზრდებთან მომუშავე ყველა სხვა პირისთვის.
- ▶ ციფრული და ჰიბრიდული ახალგაზრდული სამუშაოს ჩართვა ახალგაზრდობის სტრატეგიებში, პოლიტიკასა და კანონმდებლობაში.
- ▶ ინსტრუმენტების ჩამოყალიბება დიგიტალიზაციის როლისა და გავლენის უწყვეტი კვლევისთვის ახალგაზრდების ცხოვრებაზე.
- ▶ ახალგაზრდული სამუშაო სფეროს მხარდაჭერა და დაფინანსება მათი ინსტრუმენტებისა და მუშაობის მეთოდების მოსარგებად სამუშაოს ციფრულ კონტექსტზე.

- ციფრული ინსტრუმენტების ეთიკური გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპების, სტანდარტებისა და ხარისხის კრიტერიუმების შემუშავება.

პოლიტიკის გარდაქმნა პრაქტიკად

დიგიტალიზაცია, ინკლუზია და ციფრული სეპარაცია

ახალგაზრდების ახალი თაობა ხშირად განიხილება, ნაგულისხმევად, რომ თავისუფლად ფლობს ICT-ის და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას ცხოვრებაში. ამან შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ყველა ახალგაზრდას აქვს წვდომა და იყენებს ICT-ს, კომფორტულად იყენებს სოციალურ მედიას, აქვს თანაბარი წვდომა ICT ინსტრუმენტებსა და გაჯეტებზე და აქვს ბუნებრივი და ავტომატური გაგება იმ რისკების, გამოწვევების, ხაფანგების, შესაძლებლობებისა და პოტენციალის შესახებ რაც წარმოიშვა ტექნოლოგიების საშუალებით. ამან შეიძლება ასევე შექმნას ილუზია, რომ ციფრული სამყარო ქმნის სივრცეს გარკვეული სერვისების ხელმისაწვდომობის გასაადვილებლად უფრო მეტი ახალგაზრდისთვის, ვიდრე ეს რეალურად ხდება. ევროპაში განსაკუთრებით დაუცველი ფენის ახალგაზრდებს ხშირად არ აქვთ სრული წვდომა კომპიუტერებზე, ინტერნეტზე, სმარტფონებზე ან სხვა გაჯეტებზე. ეს სეპარაცია აღრმავებს უკვე არსებულ უფსკრულს, რადგან იგი ნიშნავს კიდევ უფრო ნაკლებ ჩართულობას, ნაკლებ შესაძლებლობებს, ნაკლებ ხმას, ნაკლებ ხილვადობას ზოგიერთი ჯგუფისთვის და კიდევ უფრო და უფრო დიდ შესაძლებლობებს უკვე უპირატესი ჯგუფებისთვის. სიტუაცია კიდევ უფრო სერიოზულდება, როდესაც საქმე ეხება მანქანების სამუშაო რეჟიმს. როგორც McQuillan და Salaj აღნიშნავენ თავიანთ 2020 წლის სტატიაში ალგორითმული სტერეოტიპების შესახებ, ხელოვნური ინტელექტი და დიგიტალიზაცია სოციალური განხეთქილების კიდევ უფრო გაზრდის საფრთხეს ქმნის, ადამიანებს ყუთებში და რიცხვებში აქცევს და წარსულ სიტუაციებსა და ქცევებზე წინასწარ განსაზღვრულ პასუხს აშენებს, პოტენციური ინდივიდუალიზებული მიებისკენ სწრაფვის ნაცვლად. ეროვნულმა პოლიტიკამ უნდა გამოიკვლიოს როგორ გადალახოს ეს უთანხმოება და შექმნას თანაბარი შესაძლებლობები ახალგაზრდებისთვის და მათთან მომუშავე პროფესიონალებისთვის, რათა ისინი გაეცნონ ICT-ს, ციფრული რესურსების სრული, უსაფრთხო, ხელშემწყობი წვდომისა და გამოყენებისათვის ინკლუზიური სტრატეგიების დანერგვით. 2018 წლიდან ახალგაზრდობის პარტნიორობამ დაიწყო ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიისა და დიგიტალიზაციის საკითხზე მუშაობა, მოაწყო სიმპოზიუმები და ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები და შეუკვეთა კვლევა ახალგაზრდების, სოციალური ინკლუზიისა და დიგიტალიზაციის შესახებ, რათა უფრო ღრმად გაეგო არსებული სიტუაცია და ღიად განეხილა სიტუაციაზე რეაგირების მაგალითები. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/study-on-social-inclusion-digitalisation-and-young-people>.

ესტონეთში მთავრობამ დააარსა განათლების ინფორმაციული ტექნოლოგიების ფონდი (HITSA), რათა უზრუნველყოს, რომ ყველას, ვინც ამთავრებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, შეეძლოს გამოიყენოს თანამედროვე ICT ინსტრუმენტები და კომპეტენტური იყოს ამ ინსტრუმენტების გამოყენებაში. HITSA არის არაკომერციული ასოციაცია, რომელიც დაარსდა ესტონეთის, ტარტუს უნივერსიტეტის, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის, Eesti Telekom-ისა და ესტონეთის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების ასოციაციის მიერ და მისი საგანმანათლებლო პროგრამები აძლიერებს ყველა აქტორის თანამშრომლობას და წვლილს სფეროს განვითარებაში. HITSA ასევე უზრუნველყოფს ტრენინგ პორტალს მასწავლებლებისთვის,

ახალგაზრდებისთვის და სხვა პირთათვის ციფრული ტექნოლოგიების სფეროში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <https://www.hitsa.ee>.

შვედეთში შეიქმნა შვედეთის ყველა რეგიონის მიერ დაფინანსებული 13-დან 25 წლამდე ახალგაზრდების ეროვნული ციფრული სახელმძღვანელო ცენტრი, რათა უზუნველყოფილიყო შესაბამისი მითითებები და ინფორმაცია სხეულის, სექსუალობის, ურთიერთობების, ფსიქიკური ჯანმრთელობის, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების, თვითშეფასების და მრავალი სხვა საკითხის შესახებ. ცენტრი მუშაობს ახალი ჩამოსული ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის ინკლუზიურად მიწოდებაზე, ინფორმაციის მიწოდებაზე რამდენიმე ენაზე, ახალგაზრდა მიგრანტების საჭიროებებზე შვედეთში, ასევე სხვა ახალგაზრდებზე, რომლებიც ჯერ კიდევ ცხოვრობენ თავიანთი წარმოშობის ქვეყნებში, სადაც მსგავსი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

დიגיტალიზაცია, მომხმარებლების უსაფრთხოება და დაცვა

გაზრდილ დიგიტალიზაციასთან ერთად ჩვენ უნდა ვიპოვოთ ძლიერი გზა მედიაწიგნიერების, ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების, ინფორმაციის ჰიგიენის, მანიპულირების, პასუხისმგებლობის, თავისუფლების, დაცვის, ეკრანთან გადაჭარბებული დროის უარყოფითი შედეგების, ინტერნეტდამოკიდებულების, კიბერბულინგის, ყალბი ამბების გავრცელების, პროპაგანდის, მავნე კონტენტის, სექსტინგის, სიძულვილის ენის, ონლაინ ძალადობის და ძალადობრივი რადიკალიზაციისა და კონფიდენციალურობის საფრთხის, მათ შორის მონაცემთა უნებართვო გამოყენება და ბოროტად გამოყენება, და პოტენციური ზიანის სხვა ფორმების საკითხებთან გასამკლავებლად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 2017 წლის ევროსაბჭოს დასკვნები ჰკვიანი ახალგაზრდული სამუშაოს შესახებ (EU Council 2017).

რაც შეეხება ინტერნეტის უსაფრთხოებას ევროპულ დონეზე, ამისთვის რამდენიმე ინსტრუმენტი არსებობს. ევროკომისიამ შექმნა უსაფრთხო ინტერნეტ ცენტრები, რომლებიც შედგება ეროვნული ცნობიერების ცენტრებისგან, დახმარების ხაზებისგან (Insafe) და ცხელი ხაზებისგან (INHOPE). ამ ცენტრების ძირითადი საქმიანობაა ცნობიერების ამაღლება იმ პოტენციურ რისკებთან დაკავშირებით, რომლებსაც ახალგაზრდები შეიძლება წააწყდნენ ინტერნეტში, რჩევების შეთავაზება ინტერნეტში უსაფრთხოების შესახებ ახალგაზრდებისთვის და ისეთი საკითხებზე მუშაობა, როგორიცაა კიბერბულინგი, საინფორმაციო მასალის შემუშავება, ისეთი ღონისძიებების ორგანიზება, როგორიცაა უსაფრთხო ინტერნეტის დღე, ისევე როგორც საინფორმაციო სესიები მშობლებისთვის, ბავშვებისთვის და მასწავლებლებისთვის. საზიანო შინაარსის კონტენტის შესახებ შეტყობინების შესაძლებლობა ასევე არსებობს ცხელი ხაზის საშუალებით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <https://ec.europa.eu/digital-single-market/en/safer-internet-centres>. ცენტრებმა ასევე შექმნეს ახალგაზრდობის პანელები, რათა ახალგაზრდებს საშუალება მისცენ გამოხატონ თავიანთი შეხედულებები და გაცვალონ ცოდნა და გამოცდილება ონლაინ ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით, ისევე როგორც რჩევები უსაფრთხოების შესახებ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.betterinternetforkids.eu/web/portal/policy/insafe-inhope.

ალბანეთში, ბავშვთა ინტერნეტის უსაფრთხოების ეროვნული პლატფორმა (ISIGURT) (www.ISIGURT.al) აწვდის ცნობებს ბავშვებს, ახალგაზრდებს, მშობლებსა და მასწავლებლებს ინტერნეტის გამოყენების შესახებ და აძლევს რჩევებს და მითითებებს ციფრული სამყაროს შესახებ, აჩვენებს, თუ როგორ გამოიყენონ იგი უკეთ, რა არის შემოთავაზებული და როგორ შეუძლიათ ახალგაზრდებს უსაფრთხოდ გამოიყენონ ციფრული შესაძლებლობები. პლატფორმას, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია

სმარტფონებისთვის, აქვს შეტყობინების მექანიზმი ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, რათა შეეძლოთ უსაფრთხოებასთან, დაცვასთან ან ძალადობასთან დაკავშირებული შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. მან დაამყარა თანამშრომლობა ბავშვთა დახმარების ეროვნულ ხაზთან, რომელიც აწვდის კონსულტაციას ბავშვებსა და ახალგაზრდებს ონლაინ ჩატის სერვისების მეშვეობით (ახალგაზრდობის პარტნიორობა 202)

ჭკვიანი და ციფრული ახალგაზრდული სამუშაო

საზოგადოების ყველა ასპექტის ფართოდ გავრცელებული დიგიტალიზაცია აჩენს უამრავ გამოწვევას, მათ შორის ციფრული და მედიის კომპეტენციების განვითარების აუცილებლობა, განათლების, სამუშაოსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ICT-ის გამოყენების უნარების ამაღლება და ციფრული სისტემებისა და კონტენტების ნავიგაციის სწავლის აუცილებლობა. ახალგაზრდული სამუშაო, როგორც სივრცე და ინსტრუმენტი ახალგაზრდების განვითარებაში მხარდაჭერისა და მათ მუდმივად ცვალებად და დინამიურ ცხოვრებაში ორიენტირებაში, ასევე განიცდის ადაპტაციას ახალ ციფრულ სამყაროსთან. ახალგაზრდული სამუშაოს ჭკვიანი და ციფრული პრაქტიკა, რომელიც გაჩნდა და განვითარდა ბოლო წლებში, ეხმარება ახალგაზრდულ სამუშაოს და მხარს უჭერს ახალგაზრდებს მათთვის ყველაზე ნაცნობი გზით (VERKE და EYWC 2019). მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ „ციფრული“ არ ნიშნავს მხოლოდ და ყოველთვის ონლაინს. ტერმინი მოიცავს სხვადასხვა ICT-ს, რომელიც გადასცემს და უზრუნველყოფს ინსტრუმენტებს სწავლისა და განვითარების აქტივობებში ციფრულად ჩართვისთვის, როდესაც საქმე ეხება ახალგაზრდულ სამუშაოს. ეს მოიცავს ვიდეო თამაშებს, ვიდეო კონტენტის შექმნას, ვირტუალური რეალობის (VR) და გამდიერებული რეალობის (AR) გაჯეტებთან მუშაობას, ხმის და გამოსახულების სისტემებს, სოციალური მედიის ინსტრუმენტების გამოყენებას, ციფრული წიგნიერების მხარდაჭერას და ციფრული მონაწილეობის ჩართვას და ტექნოლოგიური უნარების განვითარების მხარდაჭერას.

Verke არის ფინეთის ციფრული ახალგაზრდული სამუშაოს ექსპერტიზის ცენტრი, განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ დაარსებული ექსპერტიზის ერთ-ერთი ეროვნული ცენტრი. Verke სრულად ფინანსდება სამინისტროს მიერ, ხოლო მის საქმიანობას მართავს ქალაქ ჰელსინკის ახალგაზრდობის სამმართველო. იგი მხარს უჭერს ეროვნული ახალგაზრდული სამუშაოსა და ახალგაზრდობის პოლიტიკის პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას. Verke-ის მიზანია ახალგაზრდებთან მომუშავე პრაქტიკოსების აღჭურვა ციფრული, კრეატიული, ინოვაციური ახალგაზრდული სამუშაოს გადაწყვეტილებებითა და მეთოდებით. ის მუშაობს ტრენინგებისა და კონსულტაციების, ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების, და ციფრული ახალგაზრდული სამუშაოს განვითარების გზით ამ სფეროში მოღვაწე აქტორებთან ერთად. Verke ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს მუნიციპალიტეტებთან, ორგანიზაციებთან და სამრევლოებთან. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.verke.org

ციფრული მოქალაქეობა და ციფრული მოქალაქეობის განათლება

საზოგადოების დიგიტალიზაციის რეალობამ გავლენა მოახდინა და შეცვალა მოქალაქეობის პრაქტიკა. ციფრული მონაწილეობის მრავალი ფორმა არსებობს ჩვენი ცხოვრებისა და სამოქალაქო ჩართულობის მრავალ ასპექტში. ციფრული მოქალაქეობის კონცეფცია ასევე ჩნდება, როგორც სამუშაოს ახალი სფერო.

ციფრული მოქალაქეობა გულისხმობს უნარს: კომპეტენტურად და პოზიტიურად ჩაერთო ციფრულ ტექნოლოგიებში (შექმნა, მუშაობა, გაზიარება, სოციალიზაცია, გამოძიება, თამაში, კომუნიკაცია და სწავლა); აქტიურ და პასუხისმგებლობით მონაწილეობას (ღირებულებები, უნარები, დამოკიდებულებები, ცოდნა და კრიტიკული გაგება) თემებში (ლოკალური, ეროვნული, გლობალური) ყველა დონეზე (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ინტერკულტურული); ჩაერთო უწყვეტი სწავლის ორმაგ პროცესში (ფორმალურ, არაფორმალურ და ინფორმალურ გარემოში); და შეუფერხებლად დაიცვა ადამიანის უფლებები და ღირსება (ევროპის საბჭო 2017). ციფრული დომენის 10 ნაკრები განისაზღვრა, როგორც ციფრული მოქალაქეობის საერთო კონცეფციის საფუძველი. დომენები დაყოფილია სამ კატეგორიად - ონლაინ (წვდომა და ჩართვა, მედია და ინფორმაციული წიგნიერება, სწავლა და კრეატიულობა); კეთილდღეობა ონლაინ (ეთიკა და თანაგრძნობა, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ელექტრონულად ყოფნა და კომუნიკაცია); და ონლაინ უფლებები (აქტიური მონაწილეობა, უფლებები და მოვალეობები, კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება, მომხმარებელთა ინფორმირებულობა) (ევროპის საბჭო 2019). ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2019)10 წევრ ქვეყნებს ციფრული მოქალაქეობის განათლების განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ ციფრული მოქალაქეობის განათლებას განსაზღვრავს, როგორც:

ყველა ასაკის მოსწავლის გაძლიერება განათლების ან სწავლისა და ციფრულ საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობის კომპეტენციების შეძენის გზით, რათა განახორციელონ და დაიცვან თავიანთი დემოკრატიული უფლებები და მოვალეობები ონლაინ, და ხელი შეუწყონ და დაიცვან ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა კიბერსივრცეში.

ციფრული სამყარო და ადამიანის უფლებები

ციფრული ეპოქის ერთ-ერთი გამოწვევა დაკავშირებულია ადამიანის უფლებებთან და მათ დარღვევასთან (მონაცემთა დაცვა, კონფიდენციალურობა, მიზანმიმართული ძალადობა, ბულინგი, თაღლითობა, დეზინფორმაცია, ბოროტად გამოყენება სოციალური მედიით, ალგორითმებით, კონტროლითა და ა.შ.). ბევრმა ქვეყანამ იმუშავა ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვაზე კიბერდანაშაულთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემოღებითა და ზომების დანერგვით, რათა დაეხმარონ ადამიანებს დაიცვან თავიანთი უფლებები ვირტუალურ სივრცეში. უფრო მეტიც, 2012 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია A/HRC/20/L.13 ინტერნეტში ადამიანის უფლებების ხელშეწყობის, დაცვისა და სარგებლობის შესახებ, რათა იგივე უფლებები, რაც ადამიანებს აქვთ ოფლაინ, ასევე დაცული ყოფილიყო ონლაინ (ხელმისაწვდომია <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/LTD/G12/147/10/PDF/G1214710.pdf?OpenElement>).

სიდულვილის ენის მოძრაობის ახალგაზრდობის კამპანია, რომელსაც ხელმძღვანელობს ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის დეპარტამენტი, ცდილობს ახალგაზრდების მობილიზებას სიდულვილის ენის წინააღმდეგ საბრძოლველად და ადამიანის უფლებების ინტერნეტში პოპულარიზაციისთვის. 2013 წელს დაწყების მერე, იგი ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე 45 ქვეყანაში განხორციელდა, ეროვნული კამპანიების, ონლაინ აქტივისტებისა და პარტნიორების მეშვეობით. მოძრაობა ცდილობს შეამციროს სიდულვილის ენის მიღება როგორც ონლაინ, ისე ოფლაინში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და ცნობიერების ამაღლების, ახალგაზრდების მონაწილეობისა და მედია წიგნიერების გზით. კამპანიის ფარგლებში შეიქმნა არაერთი საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც მხარს უჭერს პედაგოგებსა და აქტივისტებს, რათა ამ თემას თავიანთი პროექსის ფარგლებში უპასუხონ. მოძრაობა ასევე ავითარებს შესაძლებლობებს, ამაღლებს ცნობიერებას და მობილიზებს ახალგაზრდებს, რათა შეატყობინონ

სიძულვილის ენისა და კიბერბულინგის შესახებ შესაბამის ორგანოებს და სოციალური მედიის არხებს და აძლევს მათ საშუალებას, დაუპირისპირდნენ სიძულვილის ენას და ხელი შეუწყონ ალტერნატიულ მეტყველებას, ონლაინ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიულ ღირებულებების პოპულარიზაციით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.coe.int/en/web/no-hate-campaign/no-hate-speech-movement.

პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობი რესურსები

ევროპული რეგულაციები და სამართლებრივი ჩარჩოები

- ▶ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2019)10 წევრ სახელმწიფოებს ციფრული მოქალაქეობის განათლების განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ.
- ▶ ევროპული საბჭოს დასკვნები ჭკვიანი ახალგაზრდული სამუშაოს შესახებ (ევროპის საბჭო 2017 წ.).
- ▶ ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგი ევროპისთვის (www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/64/digital-agenda-for-europe).

თემატური მასალები

- ▶ ციფრული მოქალაქეობის განათლების პორტალი (www.coe.int/en/web/digitalcitizenship-education/home)
- ▶ Coyote, No. 26 (<https://pjp-eu.coe.int/en/web/coyote-magazine/issue-26>)
- ▶ უკეთესი ინტერნეტი ბავშვებისთვის პორტალი (www.betterinternetforkids.eu/web/portal/policy/unsafe-inhope)
- ▶ ახალგაზრდობის პერსპექტივები: ახალგაზრდები ციფრულ სამყაროში, ტომი 4 (<https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/issue-4>)
- ▶ ციფრული ახალგაზრდული სამუშაოს განვითარება (<https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/fbc18822-07cb-11e8-b8f5-01aa75ed71a1>)
- ▶ სოციალური ინკლუზია, დიგიტალიზაცია და ახალგაზრდები: კვლევა (<https://go.coe.int/RE2AL>)
- ▶ ციფრული ახალგაზრდული სამუშაო (ევროპის საბჭო 2017)
- ▶ არა სიძულვილის ენის მოძრაობა (www.coe.int/en/web/no-hate-campaign/home)

მე-4 ნაწილის დასკვნა

მე-4 ნაწილი მოიცავდა ახალგაზრდობის პოლიტიკის თემების დიდი სპექტრის მხოლოდ მცირე ნაწილს, განსაკუთრებული ფოკუსით ევროპის ახალგაზრდობის პოლიტიკის დღის წესრიგის მიმდინარე და არსებულ პრიორიტეტებზე - ახალგაზრდობის პოლიტიკის თანამედროვე თემები, რომლებიც წარმოადგენს ევროპულ დონეზე დებატების, მიმართულების, განვითარებისა და გადაწყვეტილების ჩარჩოს. ეს არავითარ შემთხვევაში არ არის პრიორიტეტული და ძირითადი თემებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის საქმიანობის ამომწურავი ჩამონათვალი, სადაც სხვა ძირითადი სფეროები (როგორცაა ფორმალური განათლება, ტრენინგი და დასაქმება ან ახალგაზრდობის მართლმსაჯულება) უპირველეს ყოვლისა ეროვნული ადმინისტრაციების პრეროგატივაა.

მე-4 ნაწილის მთავარი მიზანი იყო განხილულ თემებთან დაკავშირებული ზოგიერთი ძირითადი საკითხის გამოკვეთა, რათა პოლიტიკის აქტორებს საშუალება მიეცეთ დაფიქრდნენ ევროპის ახალგაზრდობის პოლიტიკის სფეროში პრიორიტეტულ სფეროებზე, შექმნან სივრცე მათ შესახებ გასაგებად, განიხილონ მათი შესაბამისობა ეროვნულ და ადგილობრივ კონტექსტებთან, განსაზღვრონ მიმდინარე პრობლემატური საკითხები, გააცნობიერონ, რომ პოლიტიკის რეაგირება განსხვავდება ადგილის მიხედვით და დაგეგმონ მიწოდებისა და იმპლემენტაციის ადვოკატირება და სტრატეგიები ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

მე-4 ნაწილი ასევე მიზნად ისახავდა იდეების მიწოდებას პოლიტიკის ინსტრუმენტების, პასუხებისა და პროექტებისთვის; ხაზი გაესვა რამდენიმე ძირითად რესურსს, რომელიც ხელმისაწვდომია ევროპულ ინსტიტუტებში და მათგან, რათა დახმარებოდა ინტერვენციების აწყობას, აღჭურვასა და მხარდაჭერას; და გაეძლიერებინა ახალგაზრდობის სფეროში თემატურ მიმართულებებზე მოღვაწეთა შესაძლებლობები.

და ბოლოს, მე-4 ნაწილში ასევე აღწერილია პოლიტიკის მუშაობის მთელი რიგი ძირითადი ღირებულებები და პრინციპები, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიული, ინკლუზიური, ადამიანის უფლებებსა და ღირსებაზე დამყარებული, მდგრადი, ეფექტური და ეფექტიანი ახალგაზრდობის პოლიტიკის უზრუნველსაყოფად ყველა დონეზე და სფეროში, თუნდაც რეალპოლიტიკა ხშირად დაუპირისპირდეს და ძირი გამოუთხაროს მათ.

ნაწილი 5

რა მუშაობს

„ახალგაზრდობის პოლიტიკაში“?

ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარება ევროპაში: დაპირება პრაქტიკა და უწყვეტი გამოწვევები

შესავალი

ეს ყველაფერი ძალიან კარგია, ახალგაზრდობის პოლიტიკის კონცეფციებისა და ფილოსოფიების განხილვა (ნაწილი 1), მისი განვითარებისა და მიწოდების ინფრასტრუქტურის აღწერა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე (ნაწილი 2 და ნაწილი 3), და განხორციელების პრინციპებსა და ინსტრუმენტებზე მითითება (ნაწილი 4). თუმცა, საბოლოო ჯამში, კრიტიკული კითხვაა არის ის, მთელი ამ მიმოხილვის შემდეგ, ახალგაზრდობის პოლიტიკა რეალურად ახდენს თუ არა გარკვეულ გავლენას იმ ახალგაზრდობის ცხოვრებაზე, ვისკენაც ის არის მიმართული. აქედან გამომდინარე, მე-5 ნაწილი ცდილობს მოკლედ განიხილოს ის, რაც ვიცით ეფექტური პრაქტიკის შესახებ, იმის შესახებ, თუ „რა მუშაობს“ და საით უნდა მიემართებოდეს ახალგაზრდობის პოლიტიკა. მტკიცებულებები, როგორც ნაწილი 1 გვთავაზობს, შეიძლება ყოველთვის არ მონაწილეობდეს ან არ მართავდეს პოლიტიკის შემუშავებას. პოლიტიკა, მათ შორის ახალგაზრდობისთვის, კეთდება სხვადასხვა გზით და მრავალი განსხვავებული მიზეზით. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ მტკიცებულებები - მისი უამრავი ფორმით - მნიშვნელოვან და არსებით წვლილს შეიტანს ახალგაზრდობის პოლიტიკის დებატებში.

ახალგაზრდობის პოლიტიკა, როგორც ვნახეთ, მოიცავს და ითვალისწინებს აქტივობებისა და ამოცანების მთელ რიგს, რომლის ფარგლებშიც შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ცენტრალური წამყვანი წერტილი არის შემდეგი:

- ▶ პრევენცია და ხელშეწყობა – განათლების, მონაწილეობის, განრიდებისა და შეკავების გზით;
- ▶ მიწოდება - პირდაპირი ინტერვენცია როგორც ზოგადად, ისე ცალკეულ ჯგუფებსა და საკითხებზე ყურადღების მიქცევით, დაწყებული პოზიტიური აქტივობებიდან სადამსჯელო სანქციებამდე;
- ▶ პარალელური შესაძლებლობები - „სექტორთაშორისი“ ან განივი თანამშრომლობა და კოლაბორაცია რელევანტური და შესაბამისი „პოლისტური“ პასუხების უზრუნველსაყოფად.

ახალგაზრდობის პოლიტიკის სხვადასხვა ელემენტები, როგორც ვიცით, ჩართულია ფართო სოციალურ პოლიტიკაში, რომელიც ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ოჯახური ცხოვრება, განათლება, სოციალური დაცვა და სოციალური ინკლუზია, შრომის ბაზარი, საცხოვრებელი და უსახლკარობა, სისხლის სამართალი და ჯანსაღი ცხოვრების წესი. ბევრი მათგანი და სხვა მრავალი, რა თქმა უნდა, ეროვნული ხელისუფლების პასუხისმგებლობაა და არ შედის ევროპული ინსტიტუტების უშუალო კომპეტენციაში. ეს უკანასკნელი, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტანდარტების

დადგენას, ინოვაციურ იდეებს, ახალგაზრდობის პოლიტიკის ზოგიერთ კონკრეტულ სფეროს და, შესაბამისად, ფართო თვალსაზრისით, ტრანსნაციონალური ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარებას.

რა მუშაობს?

არ მთავრდება გამოწვევები ახალგაზრდობის პოლიტიკაში იმის გასარკვევად თუ „რა მუშაობს“, ისევე როგორც ბევრ სხვა ტიპის სოციალურ პოლიტიკაში. არსებობს კომპლექსური პროგრამები, რომლებიც მომდინარეობს ახალგაზრდობის პოლიტიკიდან. მათი ამოხსნა ძნელია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ - მათი დაარსებაში - გაიზარდა ინტერესი და ერთგულება მათი გაერთიანების უზრუნველსაყოფად! შედარებით ადრეა ახალგაზრდობის პოლიტიკის გრძელვადიანი შედეგების განსჯა: როგორც წესი, დროთა განმავლობაში ზემოქმედების ძალიან შეზღუდული მტკიცებულება არსებობს. როგორც ვიცით, ხშირად ჩნდება „მტკიცებულებებზე დაფუძნებული“ პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სათანადო ზომები ყველაზე „გაჭირვებული“ ჯგუფების იდენტიფიცირებისთვის, პრევენციისა და ადრეული ჩარევის გაძლიერებისთვის, მონაწილეობისა და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობისთვის. მაგრამ ჯერ კიდევ მხოლოდ საკმაოდ სუსტი მტკიცებულება არსებობს იმის შესახებ, თუ როგორ უკავშირდება ახალგაზრდობის პოლიტიკის სხვადასხვა ელემენტები ერთმანეთს და რა გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე და მათზე, როდესაც ისინი ახალგაზრდები აღარ არიან. ჯერ კიდევ არ არის სიცხადე იმის შესახებ, უნდა იყოს თუ არა ახალგაზრდობის პოლიტიკის ფოკუსი „უბრალოდ“ ახალგაზრდების გადასვლის ხელშეწყობა „სრულწლოვანებაზე“ გარკვეული ნორმატიული განცდით, რაც უფრო მეტად ეხება „მოწესრიგებული“ გადასვლების მხარდაჭერის გაძლიერებას და მათთან დაკავშირებულ რისკებსა და დაუცველობას, ან უფრო ზოგადად ორიენტირებულია იმაზე, რასაც ეწოდება „გამძლეობის“ ან „შესაძლებლობის“ დღის წესრიგი (იხ. მაგალითად, Otto 2015, Otto et al. 2017). კვლევის შედეგად მიღებული მტკიცებულებებით ივარაუდება, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკის ბენეფიციართა სამიზნე და კონტექსტი ფართოდ განსხვავდება იმ ჯგუფების მხარდაჭერის უზრუნველყოფიდან, რომლებიც განიცდიან მრავალ დაბრკოლებას და დისკრიმინაციას (თუმცა ძალიან ცოტა ქვეყანაში) უნივერსალურ შეთავაზებებამდე ყველა ახალგაზრდისთვის. ან, ზოგიერთ შემთხვევაში, ახალგაზრდების მხარდაჭერა სპექტრის ორი ბოლოდან: ყველაზე ნიჭიერის და ყველაზე დაუცველის.

სანამ განვიხილავდეთ უფრო კონკრეტულ დასკვნებს იმის შესახებ, თუ რას შეიძლება ეწოდოს „გამარჯვებული პოლიტიკა“ და, პირიქით, მუდმივი „პოლიტიკის პრობლემატიკა“, არსებობს ოთხი ძირითადი დასკვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს ფართოდ გააზრებული ახალგაზრდობის პოლიტიკის ევოლუციიდან. პირველ რიგში, ოჯახები რჩება მხარდაჭერის მნიშვნელოვან ქსელებად გარდამავალ პერიოდში და ახალგაზრდების მომავლის გასაძლიერებლად. ეს შეიძლება ძალიან უდაოდ ჟღერდეს, თუმცა არც ისე დიდი ხნის წინ ამტკიცებდნენ, რომ ოჯახური გავლენა მკვეთრად შემცირდებოდა ახალი ICT-ების გაჩენით და ახალგაზრდობის კულტურული ფორმების მდგრადი ზემოქმედებით, მაშინ როცა ორივე გავლენას მოახდენდა ახალგაზრდებზე ბევრად მეტად. თუმცა ახლა ჩვენ ვიცით, რომ მშობლების რჩევა, ფინანსური მხარდაჭერა და ოჯახებისთვის ხელმისაწვდომი (ან არა) შესაძლებლობების ქსელებზე წვდომა კვლავაც დიდ გავლენას ახდენს ახალგაზრდების შესაძლებლობებზე, გადაწყვეტილებებზე და მარშრუტებზე, გარდამავალ პერიოდის განმავლობაში. მეორე, და ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, არის უზარმაზარი მტკიცებულება რომ - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მშობლის რჩევა არ არის შეთავაზებული ან ხელმისაწვდომი - იმის მნიშვნელობის შესახებ, რასაც განსხვავებულად უწოდებენ "პერსონალურ მრჩეველებს", "წამყვან პროფესიონალებს" ან "სანდო მოზრდილებს": კონტაქტი მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთან და სასურველ ზრდასრულთან

წვდომა. ამას ქვემოთ დავუბრუნდებით. მესამე, სადაც არის რაიმე პოლიტიკური სურვილი, დაბრუნდეს უფრო დამსჯელი ახალგაზრდობის პოლიტიკა, ამას დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. ნებისმიერი სახის სანქციები, განსაკუთრებით სოციალური დაცვისა და სისხლის სამართლის სისტემებში, გამოყენებული უნდა იქნას დიდი ფიქრით, ზრუნვით და მგრძნობიარობით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათ შესაძლოა გავლენა იქონიონ ყველაზე „პრობლემატურ“ (თუ ზოგჯერ „პრობლემურ“) ახალგაზრდებზე საზოგადოებაში. „ევროპული“ ახალგაზრდობის პოლიტიკა, ეროვნული ახალგაზრდობის პოლიტიკისგან განსხვავებით, არ ეყრდნობა ასეთ მოსაზრებებს, რადგან ის ცდილობს პოზიტიური პერსპექტივის ხელშეწყობას ახალგაზრდებზე და ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ მათ აქვთ სააგენტო, რომ ისინი არიან პოლიტიკური და პოლიტიკის აქტორები, არა მხოლოდ ახალგაზრდობის პოლიტიკის სფეროში, მაგრამ საზოგადოების საერთო დემოკრატიულ განვითარებაში, და რომ ახალგაზრდობის პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს განსაკუთრებული ზრუნვა და კომუნიკაცია დაუცველი ახალგაზრდებისთვის. და ბოლოს, მიუხედავად ყველა გაფრთხილებისა და გამოწვევისა, არსებობს ძლიერი საფუძველი იმისა, რასაც ხშირად უწოდებენ "მრავალაგენტურ მუშაობას" და რომელიც მომდინარეობს ტრანსსექტორული ახალგაზრდობის პოლიტიკის სურვილიდან. ეს ყოველთვის საუკეთესო საშუალებაა ინდივიდუალური საჭიროებისთვის შესაბამისი უზრუნველყოფის, ჩარევისა და შესაძლებლობის შესატყვისად.

ახალგაზრდობის პოლიტიკის გამოწვევები

ასევე, შეგვიძლია განვსაზღვროთ რომ, არსებობს ექვსი ფართო საზრუნავი და გამოწვევა, რომლებიც გასათვალისწინებელია და სასურელია მოგვარებადი, ახალგაზრდობის პოლიტიკის ასახვისა და შემუშავებისას:

- ▶ დამაბულობა ახალგაზრდობის პოლიტიკის შიგნით, ახალგაზრდობის პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებს შორის;
- ▶ ახალგაზრდობის პოლიტიკის ფოკუსირება (საყოველთაოდ უზრუნველყოფა ყველა ახალგაზრდისთვის ან კონკრეტულ ჯგუფებზე ორიენტირება, ყველაზე ხშირად ნიჭიერ ახალგაზრდებს და ახალგაზრდებზე, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციასა და სოციალურ გარიყულობას);
- ▶ სპეციალური ან მიზნობრივი უზრუნველყოფის დაკავშირება მთავარ პროგრამებთან; გეოგრაფიულად ორიენტირებული ახალგაზრდობის პოლიტიკის მიერ ამ ტერიტორიების გარეთ მყოფი ახალგაზრდების უგულებელყოფის პრევენცია;
- ▶ იმის უზრუნველყოფა, რომ მიზნობრივი ახალგაზრდობის პოლიტიკის კრიტერიუმები არ იყოს ძალიან ვიწრო, რაც გამორიცხავს იმ ახალგაზრდების ხელმისაწვდომობას, ვისაც ეს შეიძლება დასჭირდეს;
- ▶ იმის უზრუნველყოფა, რომ ასაკობრივი საზღვრები უარყოფითად არ იმოქმედებს ახალგაზრდებზე ასაკის მატებასთან ერთად.

ეს პუნქტები ახსნილია და განხილულია ქვემოთ.

პირველ რიგში, ხშირად არის დამაბულობა, ზოგჯერ საკმაოდ ღრმა, პოლიტიკებს შორის, სადაც ახალგაზრდობის პოლიტიკის ზოგიერთი ელემენტი მუშაობს ერთი მიმართულებით, ხოლო სხვა ელემენტები სხვა მიმართულებით. მაგალითად, ახალგაზრდობის მართლმსაჯულების პოლიტიკის ფარგლებში სარეაბილიტაციო და შესაძლებლობებზე ორიენტირებული ვალდებულებები არ

შეესაბამება მარეგულირებელ და პრობლემაზე ორიენტირებულ სოციალურ უზრუნველყოფას ან ახალგაზრდების ტრენინგის პოლიტიკას. არსებობს სხვა უამრავი მაგალითიც.

მეორე, ახალგაზრდობის პოლიტიკა, დასახულ მიზნებში თუ არა, მაშინ განხორციელების ინსტრუმენტებში, ზოგჯერ აღმოჩნდება, რომ მიმართულია კონკრეტულ ჯგუფებზე. EKCYP-დან ზოგიერთი ქვეყნების ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი ხაზს უსვამს იმას, რომ დაფინანსების პროგრამები ზოგჯერ მიმართულია ერთი მხრივ ნიჭიერ და მაღალი პოტენციალის მქონე ახალგაზრდებზე, და მეორეს მხრივ ახალგაზრდებზე, რომლებიც ცხოვრობენ დაუცველ ადგილებში და განიცდიან მრავალ დისკრიმინაციას. ახალგაზრდობის სერვისების შეთავაზებები არის კიდევ ერთი ზომა, რომლითაც ახალგაზრდობის პოლიტიკის მიზანი და ფოკუსი ადვილად ვლინდება.

მესამე, ყოველთვის ჩნდება კითხვები, თუ როგორ უკავშირდება „სპეციალური“ ან „მიზანმიმართული“ ღონისძიებები და ინიციატივები „ძირითად“ ინტერვენციებსა და პროგრამებს, კერძოდ, კრიტერიუმებს, თუ რომელი ახალგაზრდები უნდა იყვნენ სპეციალური ღონისძიებების ბენეფიციარები - მაგალითად, დამატებითი მხარდაჭერისა და ხელმძღვანელობისთვის, ან მეტი ზედამხედველობისა და კონტროლისთვის. ყოველთვის არის რისკი, რომ ახალგაზრდები ნაადრევად მოხვდნენ ასეთ ზომებში ან, პირიქით, ახალგაზრდები ამგვარ ზომებში დიდი ხნით დარჩნენ. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ახალგაზრდობა და სოციალური პოლიტიკა მხარს უჭერს ასეთი შეთავაზებების ერთობლიობას იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც განიცდიან მრავალ დაბრკოლებას, ამ ახალგაზრდების ოჯახები ან მათი მთელი საზოგადოებაც ხშირად განიცდის ამ დაბრკოლებებს. შედეგად, ეს შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც არგუმენტები გარკვეული სპეციალური პროგრამებისთვის, რომლებიც საკმარისად არ არის ინტეგრირებული სტრატეგიულად უნივერსალურ ან მეინსტრიმ შეთავაზებებში ყველა ახალგაზრდისთვის.

მეოთხე, როგორც დაკავშირებული საკითხი, სადაც ახალგაზრდობის პოლიტიკის ზოგიერთი ინიციატივა რომელიც ეფუძნება ტერიტორიებს, ხშირად მიემართება ფესვგადგმულ სოციალურად დაუცველ თემებს (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ), არის ბევრი ახალგაზრდა მსგავსი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლებით, რომლებიც იმ დანიშნულ ტერიტორიების გარეთ ცხოვრობენ და რომლებიც, შესაბამისად, იმსახურებენ თანაბარ ან ექვივალენტურ მხარდაჭერას.

ანალოგიურად, მეხუთე, სადაც ახალგაზრდობის პოლიტიკა ცალსახად ეხება დაუცველ ჯგუფებს, იქ ყოველთვის ჩნდება კითხვა, ყველა ახალგაზრდა, ვინც ისარგებლებდა ასეთი სერვისებითა და შესაძლებლობებით, აუცილებლად მიიღებს მათ თუ არა. ამ და წინა ორ პუნქტში პოლიტიკასთან გასათვალისწინებელია ის, რომ ერთი პოლიტიკის მიდგომის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს სიტუაციები, როდესაც გაჭირვებული ახალგაზრდების მნიშვნელოვანი რაოდენობა შეუმჩნეველი რჩება.

მეექვსე, ასაკობრივი საზღვრები, რომლებიც უცვლელად მართავენ „ახალგაზრდობის“ პოლიტიკას, არ არის არაფერი სხვა თუ არა გარკვეულწილად თვითნებური სოციალური (პოლიტიკური) კონსტრუქტები. მე-18, 21-ე, 25-ე ან 30-ე დაბადების დღე არ ცვლის გარემოებებს, საჭიროებებს ან გამოცდილებას ერთ დამეში. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ეს საზღვრები გაფართოვდა კანონმდებლობაში, რამაც საშუალება მისცა, როგორც კვლევებმა აჩვენა, ძალიან არასტაბილურ, დაუცველ, გაჭიანურებულ „იო-იო“ გადასვლა ავტონომიასა და ზრდასრულ ასაკში.

ეს ექვსი პოლიტიკის დაკვირვება ნათლად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სერვისებს შორის კავშირებს და ინტეგრაციას, არა მხოლოდ ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა არსებობდეს რაღაც, რასაც ზოგჯერ უწოდებენ „გამტარ საზღვრებს“ ან რასაც ევროპული ახალგაზრდობის პოლიტიკის ჟარგონი

მოიხსენიებს, როგორც სექტორთაშორის თანამშრომლობას. უნდა მოხდეს თუ არა ტერიტორიის, ჯგუფური ან ასაკობრივი (ზოგჯერ სამივე) ახალგაზრდობის პოლიტიკის კლასიფიკაცია და კატეგორიზაცია, არის თუ არა პრიორიტეტული ფოკუსირება და შესაძლებლობები და რესურსების ეფექტურად მართვა, ასეთი მიდგომის არასასურველი ეფექტები ასევე უნდა იყოს აღიარებული და მაქსიმალურად შემცირებული. ეს განსაკუთრებით მზარდი პრობლემაა პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის ან AI-ზე დაფუძნებული განსაზღვრის გამო, იმის დასადგენად თუ ვინ რა სერვისს მიიღებს. როგორც მტკიცებულებებით დასტურდება, ზედმეტად გამარტივება, მათ შორის მანქანებით, მოქმედებს არსებული უთანასწორობის გამწვავებაზე და ახალგაზრდობის პოლიტიკა მაინც უნდა იყოს მიმართული ყველა ახალგაზრდაზე. ის, რაც ჩვენ ასევე ვიცით არის ის, რომ არის ახალგაზრდობის პოლიტიკის ზოგიერთი ელემენტი, რომელიც უკვე გამოხატავს თავის ეფექტურობას („გამარჯვებულები“), ზოგი კი აგრძელებს გამოწვევების წარმოქმნას. ეს ელემენტები განიხილულია ქვემოთ.

ახალგაზრდობის პოლიტიკის "გამარჯვებულები"

სანდო მოზარდები.

ახალგაზრდობის სააგენტო.

კულტურისა და მოტივაციის გაგება.

ახალგაზრდობის ყველა ჯგუფის ჩართვა.

სერვისებზე წვდომისა და ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

მისი მნიშვნელობისა და შესაბამისობის შემოწმება შეფასების გზით.

დამცავი ბადეები.

ახალგაზრდული სამუშაო.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობის ორგანიზაციები მუდმივად იბრძვიან ახალგაზრდობის ავტონომიის ხელშეწყობისა და პატივისცემისთვის, ასევე არსებობს მოსაზრება, რომ ავტონომია შეიძლება ნაადრევად იქნეს მოიპოვებული ან მიენიჭოს და ეს არის მიტოვების ტოლფასი: „მოზარდის თავისუფლება შეიძლება საექჟოდ ჰგავდეს უფულებელყოფას“ (პიტ-აიკენსი და თომას ელისი 1989). ახალგაზრდები თანმიმდევრულად ადასტურებენ „სანდო მოზარდილების“ მნიშვნელობას მათ ცხოვრებაში და ეს მოზარდილები ჩვეულებრივ არსებობენ - თუმცა, რა თქმა უნდა, არა ყოველთვის (იხ. ბატლერი და უილიამსონი 1994) - ახალგაზრდობის პოლიტიკის ჩარჩოების ფარგლებში: სკოლებში, ახალგაზრდულ სამუშაოებში, ჯანდაცვის სერვისებში და ა.შ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები აფასებენ ურთიერთობას სანდო ზრდასრულთან, მათ ასევე აქვთ საკუთარი შეხედულებები სამყაროსა და იმ მიმართულების შესახებ, რომლითაც სურთ მოძრაობა. ახალგაზრდობის პოლიტიკა უფულებელყოფს ახალგაზრდობის სააგენტოს სათავედანვე. 1988 წელს ინგლისსა და უელსში „ახალგაზრდობის გარანტიის“ დაპირებამ ზუსტად საპირისპირო შედეგი მოიტანა, ვიდრე განზრახული იყო. ახალგაზრდები არ შეუერთდნენ პროფესიულ მომზადების იმ პროგრამებს, რომლებსაც მათთვის სანდოობა აკლდათ, მიატოვეს, გაუჩინარდნენ და „გათიშულნი“ გახდნენ: ახალგაზრდები ახლა ყველგან მოიხსენიება, როგორც NEET. ახალგაზრდობის ტრენინგის პოლიტიკა იმ დროს უბრალოდ ყურადღებას არ აქცევდა ახალგაზრდობის კულტურასა და მოტივაციას.

ასე რომ მოქცეულიყო - და რა თქმა უნდა არსებობდა ამის შესახებ "მტკიცებულებები" (Horton 1986) - გააცნობიერებდა, რომ ახალგაზრდებს სურდათ "გარანტიები", მაგრამ არა რაიმე პირობებით.

ახალგაზრდების ჩართვა ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში გადამწყვეტია, თუ ასეთი პოლიტიკის მიზანია სწორი კავშირი დაამყაროს ახალგაზრდების გამოცდილებასთან, პერსპექტივებსა და მისწრაფებებთან. "ტომი ბატლერის" მითითური, მაგრამ ძალიან რეალური შემთხვევა მშვენივრად ასახავს ამ საკითხს (იხ. ტექსტური ველი).

მიუხედავად იმისა, რომ განახლებულია (2015 წელს), მითითური ტომი ბატლერის ორიგინალი „ისტორია“ დაიწერა 1999 წელს, როდესაც ბრიტანეთის ახალმა ლეიბორისტულმა მთავრობამ წამოიწყო თავისი ძირითადი სოციალური ჩართვის სტრატეგია ახალგაზრდებისთვის, სახელწოდებით „სიცარიელის შევსება: ახალი შესაძლებლობები 16-18 წლის ახალგაზრდებისთვის, რომლებიც არ არიან დასაქმებული, არ იღებენ განათლებას ან ტრენინგს (NEET). ამან აიძულა ჰოვარდ უილიამსონი წარმოედგინა მსგავსი 16 წლის „გათიშული“ ან „გამორიცხული“ ახალგაზრდები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყოველ ათწლეულში და ის თუ როგორ მოიქცეოდნენ თავიანთი ეკონომიკური და ახალგაზრდობის პოლიტიკის კონტექსტში. ახალი ლეიბორისტების მიერ გამოცხადებული პოზიტიური და შესაძლებლობებზე ორიენტირებული ახალგაზრდობის პოლიტიკის ზომების გათვალისწინებით, უილიამსონმა წარმოიდგინა, რა რეაქცია ექნებოდა 2005 წლის "ტომის" (დაბადებული 1990 წელს):

როგორ უპასუხებს ტომი ამ ყველაფერს? ბევრი რამ არის დამოკიდებული, რა თქმა უნდა, მის ხასიათზე და გარემოებებზე. რასაკვირველია, საჯარო პოლიტიკის ამ ჩარჩოს აქვს პერსპექტივა, რომ გაცილებით ნაკლები ახალგაზრდა გადაიჩეხოს უფსკრულში, მაგრამ ის ვერ აცნობიერებს, რომ მონაწილეობის მოტივაცია (ბორტზე დარჩენა) უზრუნველყოფილია ძირითადად დარწმუნებით იმ მიმართულებების შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ იქნება მიღწეული. დღევანდელი გლობალიზებული სამყარო მცირე დარწმუნებას შეიცავს და კვლევის მტკიცებულებები გვეუბნება, რომ სწავლაში შეკავება და კვალიფიკაციის შეძენა საუკეთესო დამცავი ფაქტორია გამორიცხვის ყველა ინდიკატორის წინააღმდეგ (თინეიჯერული ორსულობა, კრიმინალი, ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება, ფსიქო-სოციალური აშლილობა). მაგრამ ტომი არ არის დაინტერესებული კვლევის მტკიცებულებებით. ის შეეცდება გაიაზროს ეს „შესაძლებლობა“ თავისი სუბიექტური რეალობის კონტექსტში. არ უნდა გამოგვრჩეს ძალაუფლება მისი ადგილობრივი კულტურისა და საზოგადოების გზავნილებში (რაც არ უნდა არასწორი და მცდარი იყოს) - იმის შესახებ, თუ რა აზრი აქვს განათლებას, სამთავრობო ტრენინგის სქემების ექსპლუატაციურ ხასიათი, „დღევანდელით ცხოვრების“ მენტალიტეტის საჭიროება (ფსიქოლოგიური კეთილდღეობის შესანარჩუნებლად), პროფესიონალების ეჭვი, რომ მოხალისეობა არის მზაკვრული ხრიკი, რათა უფასოდ იმუშაო, ის ფაქტი, რომ არსებობს სხვა გზები „საარსებოდ“ და ა.შ. ეს არის ის, თუ როგორ აფასებს ტომი ბატლერი ასეთ ინფორმაციას საჯარო პოლიტიკის ინიციატივებში ჩართული ბატალიონების მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან შედარებით, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად უკავშირდება ის ჩართულობას, მიღწევებს და მოქალაქეობის დღის წესრიგს ან ირჩევს სხვა რამეს (Williamson 2001).

ასევე, ცხადია, არსებობს ძლიერი შემთხვევა ახალგაზრდების სერვისების გაერთიანების. ეს გამარტივებული მანტრაა, მაგრამ ყველა პრევენციული ღონისძიება ასევე სარეკლამო ღონისძიებაა. ყველა ახალგაზრდას, სადაც არ უნდა იყოს ახალგაზრდობის პოლიტიკის რომელიმე სპექტრში,

სჭირდება მხარდაჭერისა და შესაძლებლობების კომბინაცია. ეს პუნქტი უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკის უსაფრთხოების ყველა ბადა შეიძლება და უნდა იყოს ბატუტი, რომელიც ახალგაზრდებს უფრო პოზიტიური მომავლისკენ უბიძგებს. ახალგაზრდების გზის პირას დაცემისგან რაც შეიძლება ადრე გადარჩენა მათი დაბრუნების საუკეთესო შანსს იძლევა მთავარ, შესაძლებლობებზე ორიენტირებულ გზებზე. ეს მოითხოვს ახალგაზრდების საჭიროებებთან მიმართებაში ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას, რაც ნიშნავს, რომ უზრუნველყოფა არ უნდა დაელოდოს ახალგაზრდებს, არამედ უნდა მოძებნოს და გააფართოვოს თავისი წვდომა, რათა დარწმუნებული იყოს, რომ დაკავშირებული იქნება მათთან, ვისაც ეს სჭირდება. უფრო მეტიც, ის, რაც შეიძლება გამოიყურებოდეს კარგ და სამართლიან შეთავაზებად, პოლიტიკის შემქმნელებისა და მიმწოდებლებისთვის (ვინც მხარს უჭერს და ახორციელებს მას), შეიძლება ასე არ იყოს აღქმული ახალგაზრდების მიერ, ვისაც მიემართება. ახალგაზრდობის პოლიტიკის მნიშვნელობა და შესაბამისობა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც მის გავლენას განიცდიან, უნდა იყოს ცენტრალური განზომილება მასზე ჩატარებული ნებისმიერი კვლევისა თუ შეფასებისას. ახალგაზრდობის პოლიტიკა, რომელიც მიჩნეულია უაზროდ და შეუსაბამოდ ახალგაზრდებისთვის, ვისზეც ის არის მიმართული და ვინც ამას განიცდის, დიდი ალბათობით უაზრო და არაეფექტურია. თუ ახალგაზრდობის პოლიტიკა არ მიაღწევს ახალგაზრდებს მიზანმიმართული და შინაარსიანი შეთავაზებით, მისი მიზანი კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დადგეს.

და ეს პუნქტი, თავის მხრივ, ეხება ახალგაზრდული სამუშაოს როლს ახალგაზრდობის პოლიტიკაში. ევროპულ დონეზე, ეს სტაბილურად იქნა აღიარებული 2000-იანი წლებიდან, თუმცა ასე არ არის ევროპის ბევრ ქვეყანაში, და ახლა ის ასახულია როგორც ევროკავშირის (2018) ისე ევროპის საბჭოს (2020) ახალგაზრდობის სტრატეგიებში. მიუხედავად გარკვეული სკეპტიციზმისა, თუ რა არის და რას აკეთებს „ახალგაზრდული სამუშაო“, აშკარად მზარდია აღიარება, რომ ახალგაზრდული სამუშაო მნიშვნელოვან კავშირებს ამყარებს ახალგაზრდებისთვის, როგორც მათი აზროვნების, ასევე მათი ცნობიერების, გაგებისა და უფრო ახალგაზრდობის პოლიტიკის ფართო ასპექტების მიმართ. კვლევა უდაოდ გვთავაზობს, რომ ახალგაზრდობის სამუშაო მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ახალგაზრდების პიროვნულ ცვლილებებს, რაც იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ცუდ მხარეს დგანან ან არ გადაუწყვეტიათ ცხოვრების გზა, არის ძირითადი წინაპირობა პოზიტიური ცვლილების ინფორმირებისთვის (შრომის ბაზართან ან ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან ჩართულობა, ან ნივთიერების ბოროტად გამოყენების ან დანაშაულისგან თავის შეკავება). ახალგაზრდულ სამუშაოს, შესაბამისად, იმ პირობით, რომ ის არის საკმარისი რესურსებით უზრუნველყოფილი და ორიენტირებული და იმის გათვალისწინებით რომ მისი პერსონალი იქნება საკმარისად გაწვრთნილი პროფესიულ პრაქტიკაში, აქვს მთავარი როლი ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში ახალგაზრდების ყველა ჯგუფთან მისაწვდომობისა და მათთვის „სივრცის“ მიწოდებაში ავტონომიისა და თვითგამოხატვის მიზნით და „ხიდების“ უზრუნველსაყოფად მათ ცხოვრების შემდეგ ეტაპებზე პოზიტიურად გადასასვლელად (ევროპის საბჭო 2017). ახალგაზრდული სამუშაო და განსაკუთრებით ახალგაზრდობის მუშაკების განათლება და ტრენინგი, შედარებით ცოტა ხნის წინ გახდა ევროპის ახალგაზრდობის პოლიტიკისა და ევროპის ახალგაზრდობის კვლევის ფოკუსი (იხილეთ, მაგალითად, ევროკავშირი-ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის პარტნიორობის საკმაოდ ინტენსიური მუშაობა ახალგაზრდულ სამუშაოზე: <https://pjp-eu.coe.int/en/web/youth-partnership/youth-work>); კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ახალგაზრდები ახალგაზრდულ საქმიანობაში ხვდებიან შემთხვევით ან იმით რომ ხედავენ, ინსპირაციული ახალგაზრდობის მუშაკები როგორ ურთიერთობენ მათთან სანდო, ნებაყოფლობით სწავლის ურთიერთობაში (იხ. Kiilakoski 2020). ყურადღება უნდა მიექცეს ასეთი მოტივაციის გაღრმავებას და შენარჩუნებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფას.

და ბოლოს, კვლევამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალგაზრდობის პოლიტიკის მიწოდება ისეთივე მრავალფეროვანი და რთულია, როგორც ევროპული ქვეყნები და ახალგაზრდული სამუშაო მისი ერთ-ერთი ინსტრუმენტია. მზარდი კვლევები და დებატები ევროპულ დონეზე აჩვენებს თაობათა ცვლილებებს ახალგაზრდობის ურთიერთობაში თანატოლებთან, უფროსებთან და საზოგადოებასთან. ამ თვალსაზრისით, ასევე იზრდება ინტერესი იმის გაგებაში, თუ როგორ იცვლება ახალგაზრდობის ჩართულობის სივრცეები - რამდენად მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის როლი ახალგაზრდობთან წვდომასა და ჩართვაში (მაგალითად, ახალგაზრდობის კლუბები კვლავ მნიშვნელოვანი სივრცეა დაუცველი ახალგაზრდობისთვის, სოფლად ან უფრო შორეულ რაიონებში მცხოვრებთათვის, მცირე ადგილობრივი ორგანიზაციებისა და ახალგაზრდობის ჯგუფებისთვის). თუმცა, ციფრული კავშირი ასევე მოითხოვს სხვა სახის კომუნიკაციის სერვისებს ახალგაზრდობისთვის, რომლებიც არის მოქნილი, ესაუბრება მათ საკუთარ ენაზე და გაგებით და ხელმისაწვდომია, რათა დაეხმარონ ახალგაზრდებს თავიანთი სამყაროს გაგებაში - გლობალურ მოძრაობებთან შეერთებიდან, როგორიცაა Occupy და Fridays for Future, კონფიდენციალური კონსულტაციებისა და მხარდაჭერის მიღებამდე მათი პირადი რეალობისა და გამოწვევების დასაძლევად. აქამდე, ასეთი სერვისები პარალელურად ვითარდებოდა, მაგრამ არსებობს მრავალი ძლიერი არგუმენტი იმის შესახებ, რომ დროა გადახედოს აქტორთა ლანდშაფტი, მათ ძლიერი მხარეები და შეთავაზებები, რამაც შეიძლება ახალგაზრდობის პოლიტიკა გახადოს აქტუალური ყველა ახალგაზრდისთვის. ეს არის გამოწვევა და შესაძლებლობა ახალგაზრდობის პოლიტიკის რევოლუციისთვის.

ახალგაზრდობის პოლიტიკის გამოწვევები

- ▶ პოლიტიკის ტრანსფერი
- ▶ სკალირების გაზრდა
- ▶ ქარიშხალი "გარყვნილი ქცევის" წინააღმდეგ
- ▶ მიზანში დარტყმა, აცდენა
- ▶ მტკიცებულებებზე დაფუძნებული
- ▶ დამიზნების დილემები
- ▶ პოლიტიკის სიტყვები, ქმედებები პრაქტიკაში
- ▶ არჩევანი თუ იძულება

უკვე განხილული ეგრეთ წოდებული „პოლიტიკის გამარჯვებულების“ მიუხედავად, რჩება ახალგაზრდობის პოლიტიკის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა და გამოწვევა, რომლებიც ჭარბობს როგორც ეროვნულ, ისე ტრანსნაციონალურ დონეზე. პირველი არის პოლიტიკის გადაცემის შესაძლებლობა გარემოსა და ქვეყნებს შორის და პოლიტიკის ზომების მასშტაბურობა. პოლიტიკის დიდი ნაწილი თავდაპირველად პილოტირდება შედარებით მცირე მასშტაბით, მაგრამ აქტუალურია არა მხოლოდ ზომა. ახალ ინიციატივებს, როგორც წესი, აქვს ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერა და ადვოკატირება, რაც დროთა განმავლობაში შეიძლება შემცირდეს. ახალი ინიციატივები ასევე ხშირად იზიდავს უაღრესად მოტივირებულ სამუშაო ძალას, რომელთაც იზიდავთ სამუშაოს „მოწინავე“ ბუნება, და ახალი ინიციატივები ხშირად უხვი რესურსითაა უზრუნველყოფილი. ამიტომ, მრავალი მიზეზის გამო, პერსპექტიული, თუნდაც დადასტურებული, ახალგაზრდობის პოლიტიკის ღონისძიებების

„გაფართოვებამ“ შეიძლება არ იმუშაოს, რადგან პოლიტიკური ინტერესი და მხარდაჭერა, პროფესიული ენერგია და ვალდებულება და რესურსების დონე მცირდება. ამას დაუმატეთ სხვა პოლიტიკური და კულტურული გამოწვევები, როდესაც ცდილობთ პოლიტიკის გამოყენებას სხვადასხვა სახის საზღვრებს შორის და ძნელი გახდება ახალგაზრდობის პოლიტიკის კიდევ უფრო ფართო მასშტაბით გამოვრება. ეს არის ახალგაზრდობის პოლიტიკის შეფასების მიმოხილვის (ახალგაზრდობის პარტნიორობა 2020) ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა, რომელიც ხაზს უსვამს, ერთის მხრივ, შეფასების შედეგების შეზღუდულ გამოყენებას და, მეორე მხრივ, საზღვრებს გარეთ კარგი პრაქტიკისა და სწავლის გადაცემის გამოწვევებს, ვინაიდან ასეთი ამოცანები ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების ზღვარზე დგას.

როგორც არ უნდა იყოს ნებისმიერი ახალგაზრდობის პოლიტიკის ცენტრალური მიზნები, განხორციელებამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო ფართო მოულოდნელი ეფექტები, როგორცაა მისასალმებელი „ქარიშხლები“ და არასასურველი „გარყვნილი ქვევები“. ყოველთვის მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ როგორც არ უნდა იყოს პოლიტიკოსებისა და მენეჯერების მისწრაფებები და განზრახვები, რომლებიც შემდგომში აყალიბებენ ახალგაზრდობის პოლიტიკას, ის ასევე ექვემდებარება „ქუჩის დონის ბიუროკრატის“ (ლიპსკი 1980) ადგილზე (იხ. ტექსტური ველი).

ქუჩის დონის ბიუროკრატებს შეუძლიათ „გააკეთონ პოლიტიკა“, რადგან მათ შეუძლიათ გამოიყენონ დისკრეცია (გააკეთონ არჩევანი იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელებენ თავიანთ ძალაუფლებას). ეს დისკრეცია ნაწილობრივ გამომდინარეობს იქიდან, რომ ისინი ითვლებიან პროფესიონალებად და ამიტომ ყველა მათგან მოელის, რომ გამოიყენონ საკუთარი განსჯა თავიანთი ექსპერტიზის სფეროებში. თუმცა, ეს ასევე იმიტომ ხდება, რომ ისინი ხშირად შედარებით თავისუფალი არიან ორგანიზაციული ზედამხედველობისა და ძალაუფლებისგან და ასრულებენ ისეთ კომპლექსურ ამოცანებს, რომლებიც არ შეიძლება მთლიანად დაწერილ ან დაწესებულ ქმედებებამდე ან აქტივობებამდე შემცირდეს.

ქუჩის დონის ბიუროკრატები შესაძლოა კონფლიქტში იყვნენ ან ჰქონდეთ განსხვავებული პერსპექტივები ორგანიზაციის სხვა ჯგუფებთან, როგორცაა მათი მენეჯერები. ამიტომ მათ შეუძლიათ აირჩიონ და შეძლონ წინააღმდეგობა გაუწიონ ორგანიზაციულ მოლოდინებს სხვადასხვა გზით.

ეს დისკრეციისა და ორგანიზაციული უფლებამოსილების თავისუფლების ხარისხის კომბინაციაა, რაც საშუალებას აძლევს ქუჩის დონის ბიუროკრატებს „გააკეთონ პოლიტიკა“ როგორც უფრო სასურველი, ასევე ზოგჯერ არასასურველი ან მოულოდნელი გზებით. მათი ქმედებები და გადაწყვეტილებები შეიძლება ყოველთვის არ შეესაბამებოდეს პოლიტიკის დირექტივებს და, შესაბამისად, მათმა სააგენტოებმა შეიძლება დაასრულონ ისეთი გზებით მოქმედებით, რომლებიც ეწინააღმდეგება გაცხადებულ პოლიტიკის განზრახვებს ან მიზნებს.

აქედან შეიძლება იყოს როგორც სარგებელი, ასევე უარყოფითი შედეგები. ერთის მხრივ, ახალი ინიციატივები შეიძლება მყარად და პოზიტიურად იყოს დაკავშირებული არსებულებთან, რაც გამოიწვევს „დამატებული ღირებულების“ ზემოქმედებას; მეორეს მხრივ, პრაქტიკოსებმა შეიძლება შეეცადონ დააკმაყოფილონ ახალი პოლიტიკის მოთხოვნები, მათ მიღწევის უმოკლეს გზის გატარებით („დაბალი ნაყოფის“ არჩევა და უფრო რთულად მისაღწევს ხელუხლებელი დატოვება) ან იმ გზებით მუშაობით, რომლებიც ფაქტობრივად არ შეესაბამება თავდაპირველი პოლიტიკის მიზნებს. ასეთ

შემთხვევებში, ეს ხდება „მიზანში დარტყმის, მაგრამ აცდენის“ პრობლემა. საჯარო პოლიტიკა დღეს დაკავებულია მიზნების დასახვითა და მიღწევებით, მაგრამ თუ სამიზნეები საგულდაგულოდ არ არის განსაზღვრული, მათ შეუძლიათ ადვილად დაამახინჯონ მიზნები და ამოცანები. ახალგაზრდობის პოლიტიკა შემდეგ ხორციელდება ეფექტურად, მაგრამ არა ეფექტიანად, თუ ის ვერ მიაღწევს იმას, რისთვისაც იყო შექმნილი. დამიზნება ასევე შეიცავს მიმღებთა სტიგმატიზაციის და ზოგჯერ უნებლიედ მათი შემდგომი მარგინალიზების რისკს. ამის კლასიკური მაგალითია პროფესიული გადამზადების ღონისძიებები, რომლებიც გამიზნულია სკოლის ადრეულად მიმტოვებლების მომზადებისთვის, რათა გაიუმჯობესონ ძირითადი უნარები და გაზარდონ პერსპექტივები შრომის ბაზარზე. ზოგჯერ აღნიშნული იწვევს დამატებით დისკრიმინაციას შრომის ბაზარზე, რასაც Furlong-ი (1992) უწოდებს „ორმაგ საფრთხეს“ („double jeopardy“). კლასიკურ ახალგაზრდობის პოლიტიკაში ეს არის საკითხი ახალგაზრდობისთვის განკუთვნილი ადგილების შესახებ (ახალგაზრდული კლუბები, ახალგაზრდული ცენტრები/სახლები ან თუნდაც ახალგაზრდული სამუშაო აქტივობებისთვის განკუთვნილი ოთახი), რომლებიც ზოგჯერ იქმნება პოლიტიკური ქსელების დასაწერად, მაგრამ არ არის სათანადოდ დაპროექტებული, აღჭურვილი რესურსებით და არ არის მხარდაჭერილი ახალგაზრდობისთვის მეგობრული სივრცეებად.

კიდევ ერთხელ ჩნდება „მტკიცებულებების“ მუდმივი ეკლიანი საკითხი. დახვეწილი კომენტარები, ისევე როგორც უფრო უხეში პრეტენზიები ხშირად კეთდება მტკიცებულებებთან დაკავშირებით. ადრეულ საპილოტე პროგრამებს შეიძლება ჰქონდეთ „დროებითი“ ინდიკატური დასკვნები. უფრო ჩამოყალიბებულმა პოლიტიკამ შესაძლოა მოგვცეს გარკვეული „პერსპექტიული“ დასკვნებიც. იშვიათ შემთხვევებში, ახალგაზრდობის პოლიტიკა ეფუძნება „დადასტურებულ“ კვლევას. ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე საკითხი ახალგაზრდობის კვლევისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის ირგვლივ, მაგრამ ჩვენ არ ვართ განსაკუთრებით გათვინობიერებული იმის გაგებაში, თუ როგორ მოქმედებს მტკიცებულებები პოლიტიკაზე. ბევრი ახალგაზრდა (და ახალგაზრდობის პოლიტიკის) მკვლევარი გამოხატავს შეზღუდულ ინტერესს პოლიტიკის შემუშავების პროცესებსა და პლატფორმებში უშუალო წვლილი შეიტანოს; ბევრი პოლიტიკის შემქმნელი მკვლევარების ჩართვის შეზღუდულ ინტერესს იჩენს. უფრო ხშირად, ახალგაზრდობის პოლიტიკა ჭიანჭურდება მეტი კვლევის საჭიროების, სავარაუდოდ, უფრო ყალბი მიზეზების გამო. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდობის პოლიტიკის შეფასების მიმოხილვა (ახალგაზრდობის პარტნიორობა 2020) ასკვნის, რომ ბევრი თვალსაზრისით, ჩვენ ხშირად ცოტას ვსწავლობთ კვლევისა და შეფასებისგან, რადგან ის რჩება იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ის შეიქმნა და რეალურად არ გამოიყენება იქაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ. სხვაგან გამოიყენებაზე. უფრო მეტიც, შეფასება ასევე ხშირად კეთდება იმისათვის, რომ მოინიშნოს პოლიტიკური ველი და არა იმისთვის რომ იგი ჩართული იყოს პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, რათა გამოსცადოს ლოგიკური კავშირები პოლიტიკის ფარგლებში (მის მიზნებთან, ინდიკატორებთან, ქმედებებთან, ზემოქმედებასთან და შედეგებთან შედარებით). თუმცა, კვლევებით თუ მის გარეშე ახალგაზრდობის პოლიტიკა კეთდება. ეს კი უბრალოდ აცოცხლებს განმეორებად კითხვას, თუ რატომ გვჭირდება საერთოდ „მტკიცებულებები“?

არის სხვა კითხვები, რაც ეხება. არჩევანს იძულების წინააღმდეგ. აკადემიურად ადვილია (ნებაყოფლობითი) ემანსიპატორული ახალგაზრდობის პოლიტიკის აღნიშვნა და (სავალდებულო) მარეგულირებელი ახალგაზრდობის პოლიტიკის დაგმოება. იშვიათად არის კამათი სავალდებულო, ემანსიპატორული ახალგაზრდობის პოლიტიკის რაიმე ჰიბრიდულ ფორმაზე, თითქმის შეუძლებელი იდეა იყოს. მიუხედავად ამისა, თუ ახალგაზრდობის პოლიტიკის ზოგიერთ ფორმა ჩაითვლება, რომ აქვს თანდაყოლილი განვითარების მნიშვნელობა ახალგაზრდობისთვის, ჩნდება ლეგიტიმური კითხვა ახალგაზრდობის პოლიტიკის შესახებ, უნდა მოეთხოვოს თუ არა ყველა ახალგაზრდას მონაწილეობა მიიღოს მასში. ბოლოს და ბოლოს, ზოგიერთი კვლევა ძალიან ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ

ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში პოზიტიური შესაძლებლობებით არაპროპორციულად სარგებლობენ ის ახალგაზრდები, რომლებიც უკვე არიან სოციალურად ჩართულნი და ახალგაზრდობის პოლიტიკის სხვა შესაძლებლობების ბენეფიციარები. შედეგად, უფრო მარგინალიზებული ახალგაზრდები კიდევ უფრო უკან რჩებიან. „იძულება“, რა თქმა უნდა, ემოციური და დატვირთული სიტყვაა. მაგრამ უფრო შეთანხმებული მიღწევა, კონტაქტი და დარწმუნება - დროისა და მოთმინების აშკარა ფუფუნება - შეიძლება იყოს ახალგაზრდობის პოლიტიკის მნიშვნელოვანი, ხშირად შეუმჩნეველი განზომილება, რომელიც ცდილობს შეზღუდოს "ახალგაზრდობის უფსკრული", ხელი შეუწყოს სოციალურ ინკლუზიას და მეტი შესაძლებლობების მიაწოდოს იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც ნაკლები წვდომა აქვთ მათთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, საუკეთესო ახალგაზრდობის პოლიტიკაც კი, რომელიც შემუშავებული და გამოცხადებული იქნება „სოციალური ინკლუზიის“ შესახებ, უბრალოდ ვერ მიაღწევს იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. სწორედ ამიტომ არის ახალგაზრდობის პოლიტიკის სოციალური ინკლუზიის განზომილებები უმთავრესია, თუ გვინდა შემცირდეს უფსკრული იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც აგროვებენ უპირატესობებსა და მათ, ვინც აგროვებენ დაბრკოლებებს. ერთი პროექტი აშკარად არასდროს არის საკმარისი; უნდა იყოს შეთანხმებული და განივი ვალდებულება სოციალური ინკლუზიის პრინციპის, როგორც ახალგაზრდობის პოლიტიკის უმთავრესი მისწრაფების ფუნქციონირების თაობაზე.

დასკვნა

საკითხების ამ ფართო სპექტრში იგულისხმება ცენტრალური გზავნილი. პოზიტიური, შესაძლებლობებზე ორიენტირებული ახალგაზრდობის პოლიტიკის წვდომა უნდა გაფართოვდეს სტრუქტურული და პროფესიული განვითარების გზით. და პირიქით, უფრო ნეგატიური, პრობლემაზე ორიენტირებული ახალგაზრდობის პოლიტიკის წვდომა უნდა შეიზღუდოს ისევ სტრუქტურული და პროფესიული შეზღუდვებით. უნივერსალური უზრუნველყოფა უნდა იყოს ფართოდ გაფანტული, ინფორმირებული და ყველასთვის ხელმისაწვდომი; მიზნობრივი უზრუნველყოფა უნდა იყოს ყურადღებით ორიენტირებული და კონტროლირებული. ბალანსი სავალდებულო და შესაძლებლობებზე ორიენტირებულ პოლიტიკას შორის ყოველთვის საჭიროა. გამოცდილი, პროფესიონალი პრაქტიკოსები აუცილებელია ამ პროცესისთვის.

ვერასოდეს ვერ შევაფასებთ ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტებისა და სტრუქტურების გამორჩევის მნიშვნელობას იმ ემპირიული რეალობისგან, რომელიც მათგან მომდინარეობს. პოლიტიკოსები დახელოვნებულნი არიან ისეთი პოლიტიკის წამოწყებაში, რომელიც თითქმის ვარაუდობს, რომ სამუშაო დასრულებულია. მაგრამ შთამბეჭდავი „მიწოდების სტრუქტურების“ განვითარებაც კი არ ადასტურებს, რომ ეს ასეა. ხშირად არის ძალიან ბევრი რიტორიკა, რომელიც ძალიან შორს არის ადგილზე არსებული რეალობისგან. როგორც სხვადასხვა გზით აღინიშნა, არსებობს სტრუქტურული, კულტურული, პიროვნული და სისტემური ბარიერები, რომლებიც უნდა გადაიჭრას და გადაილახოს მანამ, სანამ ახალგაზრდობის პოლიტიკა ეფექტურად გადაიქცევა დასაბუთებულ პრაქტიკად.

